მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეათე

№ XI

ნოემბერი, 1903

ტფილისი

[illegible]

1903

Дозв. ценз. 17 Декабря 1903 г., Тифлисъ.

შინაარსი

		გვ.
I	**ბრძოლის ველზე.**—მოთხრობა ოკტავ მირბოსი, თარგმანი თ. ს. (გაგრძელება)	1
II	**მსხვერპლი.** - კომედია სამ მოქმედებად, ალფ. დოდესი, თარგმანი ინ-ანისა. (დასასრული)	13
III	**გლეხი კაცი.**—რომანი ვიდჰელმ ფონ-ჰოლენციისა, თარგმანი იგ. ჭოლუმორდგინოგისა (გაგრძელება)	43
IV	**მეფე სოლომონ დიდი და როსტომ, რაჭის ერისთავი.**—დრამატიული პოემა ხალხური თქმულებიდან, სევასტი მ. გაჩეჩილაძისა	89
V	**ღალატი.**—დრამატიული ლეგენდა ხუთ-მოქმედებად საქართველოს წარსულიდან, თხზ. თავ. ა. სუმბათაშვილისა, თარგმანი კ. მესხისა	121
VI	**ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.**—წერილი მეშვიდე, კიტა ანანიძისა.	1
VII	**უცხოეთის მიმოხილვა.**—1. ახალი რესპუბლიკა.—2. ერთი პროცესი	21

ბრძოლის ველზე

მოთხრობა

ოქტავ მირბოსი

(ფრანგულით)

(შემდეგი *)

დილაზე, არც კი მოველოდი ისე, ბედმა გამიღიმა. ჩემს სასიხარულოდ, საქმე არაფერი გაუკეთებინებიათ. ჩემი თოფი, წვიმისაგან დაჟანგული, გავფერე და რამდენისამე საათის განმავლობაში ტკბილად მოვისვენე. საბანზე გაშხლართული, საამო ბურანში ვიყავ; მკაფიოდ მესმოდა ბანაკში ატეხილი ხმაურობა: ღოროტოტოს ხმა, შორს კიდევ ცხენის ჭიხვინი. ამ ბურანში მყოფი ვოცნებობდი. ჩემის ოცნების საგანნი იყვნენ უკვე შორს დატოვებულნი არსებანი და ადგილნი. ნაცნობთა სახემ, ნაცნობმა სურათებმა თვალწინ გამირბინეს ელვის სიმალეზე... წარმომიდგა ჩემი სახლი, ჩემი მკვდარი დედა, მამა-ჩემი, მისის განიერ ტოტებიან ჩალის ქუდით; წარმომიდგა პატარა მათხოვარა თმა-აწეწილი, წარმომიდგა ჩვენი მებაღე ფელიქსი, ბოსტანში მოკუზული თხუნველას რომ სდარაჯობდა ხოლმე. გამითვალისწინდა ჩემი ოთახი სტუდენტობის დროისა, ჩემი ტოლ-ამხანაგნი. თვალწინ გამირბინა ბულიემ**),

*) იხ. „მოამბე“ № VIII,

**) ბულიე—დროს გასატარებელი სახლია პარიზში.

ჩემმა სატრფომ ნინომ, დამთვრალმა და თმა-აწეწილმა, ვუყურებდი მისს ალისფერ ტუჩებს, მისს წითელს თმას, მისს ვარდისფერ წინდებს, თამაშობისაგან აფრიალებულ კაბის ქვეშიდან რომ უჩანდა. მერე წარმომიდგა სახე ერთის უცნობის ქალისა, ყავისფერ კაბაში რომ იყო და თეატრის ლოჟის ჩრდილში რომ დავინახე. ამ სახემ გულში ტკბილად, სულ ტკბილად მიღიტინა.

ამასობაში ჩემი ამხანაგები, ვინც უფრო კარგად მყოფი იყო, სოფელში სათარეშოდ წავიდნენ. უკან მხიარულად ბრუნდებოდნენ: ვის ჩალის კონები მოჰქონდა, ვის ქათმები მოჰყავდა, ვის ინდოური და ვის იხვი. ერთს დიდი ღორი გამოეგდო წინ და ფეხის ცემით მოერეკებოდა, ისიც ღრუტუნით მოძუნძულებდა; მეორეს კიდევ მხარზე ცხვარი შემოეგდო; მესამე თოკით ხბოს მოათრევდა, საცოდავი პირუტყვი ადამიანს სიცილსა ჰგვრიდა, ტუჩს იქით-აქეთ აწყვეტდა და ბღაოდა. ბანაკში გლეხებმაც მოირბინეს და ჩივილი დაიწყეს,—დაგვარბიეს ჯარისკაცებმაო; ყველა მხრიდან ყიჟინა დასცეს და კინწის კვრით გააგდეს.

შუადღისას გენერალმა დაგვათვალიერა. თან ახლდა ჩვენი ლეიტენანტი, გაშეშებული, თვალებ გადმოკარკლული. წამოჭარხლებულ სახეზე მოელვარე თვალები გენერლისა, მისი გატყლარჭული ხმა ამტკიცებდა, რომ საუზმეზე არაფერი დაჰკლებია. პირში გამჭრალ სიგარის ნამწვი ეჩარა და ღეჭდა, იფურთხებოდა, ქშინავდა, ილანძღებოდა, არავინ კი იცოდა, თუ ვისა ლანძღავდა, რადგან სახელდობ არავის ელაპარაკებოდა. ჩვენს რაზმთან რომ მოვიდა, ლეიტენანტს მკაცრად შეხედა და ყური მოვკარ, როგორ დაიბურტყუნა:

— ერა ნაყარ ნუყარი ხალხი გყოლიათ, ფუი, შეგარცხვინათ ღმერთმა!

ესა სთქვა და მოგვშორდა კიდეც. გოდორსავით გამოგდებულ ღიპის სიმძიმე მისს მოკლე ფეხებს აწვებოდა. ყვითელი წაღები ეცვა, წითელი ძიქვა კაბასავით ებერებოდა და უნაოჭდებოდა.

ნაშუადღევიდან საღამომდე ჯარისკაცები ბელომერის სამიკიტნოებში დაეხეტებოდნენ. ყველგან საშინელი ღრიანცელი და ორონტრიალი იყო ატეხილი; ვიცოდი, რა ხასიათისა იქნებოდა ეს იერიშით აღება სამიკიტნოებისა, ვიცოდი, როგორ აირეოდა მონასტერი ამდენის მაგარ სასმელების დალევის შემდეგ, და აქ გარევა ჩემი საქმე არ არის მეთქი, გავიყოლიე რამდენიმე უფრო დინჯი ამხანაგი და გზას დავადექით, ამ არეულობის მოსარიდებლად. სწორედ ამ დროს გამოიდარა, ღრუბლებ-გადაყრილ ციდან ცოტათი ფერმკრთალმა მზემ გადმოგვაშუქა. ერთს ფერდობზე ჩამოვსხედით, ზურგი მზის გამათბობელ სხივებს შევუშვირეთ, კატასავით, როცა კაცი ეფერება, მისს ხელს ზურგს რომ უშვერს ხოლმე. დაუსრულებლივ ერთიმეორეს მისდევდა დატვირთული ურმები, დიდი თუ პატარა. ყველა ეს გლეხებისა იყო,—შარტრის მიდამოდან პრუსიელთ გაურბოდნენ. სოფლებს საზარელი ამბები ჰქონდა მოდებული: პრუსიელებმა აქ ესა და ეს სოფელი აიკლეს, იქ ყველაფერი გადაბუგეს, მესამე ალაგას გლეხები სულ გაჟუჟესო. ამათაც, თავზარდაცემულთ, თუ რამ გააჩნდათ ძვირფასი, საჩქაროზე წამოეღიათ და სახლ კარისა და ყანებისათვის კი თავ დაუნებებიათ. შიშისაგან გონება-დაკარგულები მიდიოდნენ წინ და თვითონაც არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ. ღამით გზაზედვე ჩერდებოდნენ ალალბედზე, რომლისამე სოფლის მახლობლად ან კიდევ ტრიალ მინდორზე. ცხენები, ურმებიდან გამოშვებულნი, ფეხებ შებორკილნი, გზის პირას ამოსულ ბალახსა სწიწკნიდნენ, გლეხები ღვთისანაბარა მიეყრებოდნენ, საცა მოხვდებოდათ, იმას-ღა სჭამდნენ, რასაც იშოვიდნენ; მცველებად ძაღლები ჰყავდათ; ქარისა, წვიმისა და ჯანყ-ბურუსიან ღამეთა სიცივისაგან არაფერი იფარავდათ. მეორე დილას ისევ გაუდგებოდნენ გზას. საქონლის ჯოგი და გლეხთა გროვა ერთიმეორეს მისდევდნენ. ყვითელ შარა-გზაზე ბაწარსავით გაბმით ხედავდით ცის დასავლამდე ამ ლტოლვილთა რაზმებს, შავად. ასე იტყოდით, მთელი ხალხი სადღაც იხვეწებაო. ერთი მოხუცი გლეხი ვირ-შებმულ ურემს მიუძღვოდა. ამ ურემში ეყარა

ცხვირსახოცებში გამოხვეული რამე-რუმე, სტაფილო, კომ-ბოსტო. ჩადაზე ერთი პაჭუა დედაკაცი მობუზულიყო, იქვე ორი ღორი ღრუტუნებდა, ორ დედალ-მამალისათვის ფეხები შეეკრა და გვერდით დაესვა. გლეხი შევაჩერე და ამბავი ვკითხე.

— მაშ პრუსიელნი თქვენს სოფელში მოვიდნენ?

— აი ის ავაზაკები!..—მიპასუხა მოხუცმა...—ნუ მკითხავთ, ნუ!.. დილით მოვიდნენ, მთელი ხროვა იყო, ქუდებზე ფრთები ჰქონდათ გაკეთებული... აგვიკლეს! ოჰ, ღმერთო ჩემო, ამ დღეს რად შევესწარ! ყველაფერი წაგვართვეს... ჯერ მეგონა პრუსიელნი იყვნენ... მაგრამ მერე გავიგე, რომ ფრანგთა მსროლელი რაზმი ყოფილა...

— მაშ პრუსიელნი არ მოსულან?

— პრუსიელნი?... ისინი ჯერ არ მინახავს, არც-კი ვიცი, როგორები არიან... ჩვენთან ახლა იქნებიან მისულნი .. ჩემმა ქალმა ჟაკელინამ მითხრა, იმ დღეს ერთი პრუსიელი ღობის უკანა ვნახეო!.. თურმე მაღალი, სულ მაღალი, აყლაყუდა და თანაც წითელი, ეშმაკივით წითელი რამ ყოფილა... ცოფიანი, მხეცი, ალქაჯის მსგავსი!.. ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა!...

— ესენი პრუსიელნი არიან, მამიდო, ისე როგორც ჩვენ ფრანგები ვართ.

— პრუსიელნი?... ვინც უნდათ, ის იყვნენ, მაგრამ ჩვენ რაღას გვერჩიან ეს წყეულის შვილები?.. როგორც იყო, მოვასწარი წამომეყვანა ორი ღორი, ჩემი ქალი და ორი დედალ-მამალიც ეს არის და ეს... ღმერთო მაღალო!

გლეხი გზას გაუდგა და თან იმეორებდა:

— პრუსიელნი! პრუსიელნი! აი, კვნესა და ოხვრა არ გამოელიოს მათს ოჯახსა!.. არა, რო შემოგვესივნენ, რას გვერჩიან, რა დავუშავეთ!...

იმ საღამოს მთელის ბანაკის სიგრძეზე ცეცხლი გააჩაღეს და ახალ ხორცით სავსე ქვაბებმა, მიწისა და რიყის ქვებისაგან სახელდახელოდ გაკეთებულ კერაზე შემოდგმულებმა, მხიარული სიმღერა გააბეს. ეს საათი მოსვენებისა და ტანჯვის დავიწყებისა მეტად საამო იყო ჩვენთვის. თითქო შვება-ლხენა მოგვევლინა

გაბადრულ მთვარისაგან გაშუქებულ და მოციმციმე ვარსკვლავებით მოკირწყლულ ციდანაო. შორს დაყოლებულ ყანებს რაღაც ნაზი სიტკბოება ეფინებოდა და ეს სიტკბოება გულში გვწვდებოდა, დატანჯულ სხეულში უფრო მსუბუქ სისხლს გვიტარებდა, ახალ ძალ-ღონეს გვმატებდა. ცოტ-ცოტათი გვიქარწყლდებოდა ხსოვნა ჩვენის სასოწარკვეთისა, სულით დაცემისა, ჩვენის ტანჯვისა, ვითვალისწინებდით ჩვენს მოვალეობას და იმავე დროს ხელახლა გვეღვიძებოდა სურვილი მოქმედებისა. მთელი ბანაკი გამოცოცხლდა. ყველანი სცდილობდნენ სხვის უთქმელად გაეკეთებინათ რამე. ზოგს მუგუზალი ეჭირა ხელში და მირბოდა, რომ ჩამქრალი ცეცხლი ხელახლა გაეჩაღებინა, ზოგი გაპარულს ცეცხლს სულს უბერავდა, სხვანი მიწა-ვაშლას ფცქვნიდნენ ან კიდევ ხორცსა სჭრიდნენ.

მეორე დღეს ყველა დაგვთვალეს და როდესაც უკანასკნელმა ჯარისკაცმა დაიძახა: „აქა ვარ“-ო, პატარა ლეიტენანტმა გვიბრძანა:

— გამწკრივდით!

წაგვიკითხეს გენერალის შედგენილი ბრძანების ქაღალდი. ნათქვამი იყო ამ ქაღალდში, რომ ერთი კორპუსი პრუსიელთა ჯარისა, დამშეული, ტანისამოს-შემოგლეჯილი, უიარაღო ჩქარის ნაბიჯით ჩვენსკენ მოდისო. აქ ჩვენ გზა უნდა გადავუღობოთ, რომ იძულებულ იქმნენ პარიზის კედლებისაკენ წავიდნენ, იქ ჩვენი ლომ-გმირი დუკლო ჩვენის დახმარებით საბოლოოდ უკუაგდებს მტრებსაო. გენერალი გვეუბნებოდა, მოიგონეთ, რა მამაცად იბრძოდნენ ჩვენნი წინაპარნი რევოლიუციის დროს, ეგვიპტეში, აუსტერლიცთან, ბოროდინოში. იმედი მაქვს ახლა თქვენც გამოიჩენთ მხნეობას და დაამტკიცებთ, რომ ღირსეულნი შთამომავალნი ხართ სახელოვან წინაპართაო. ბოლოს დარიგებას გვაძლევდა, თუ როგორ უნდა გაგვემაგრებინა, ეს მხარე. საჭირო იყო სოფლის აღმოსავლეთით ჯებირები აგვემართა, მეორე ჯებირი, უფრო მკვიდრი, შარტრის გზაზე უნდა გაგვეკეთებინა, სასაფლაოს კედლებზე კბილები გაგვეკე-

თებინა, რაც შეიძლებოდა, მეტი ხეები წამოგვექცია და დაგვეხორგებინა გზაზე, რომ ცხენოსან ჯარს მტრისას მისი გადალახვა არ შესძლებოდა; უნდა თვალ-ყური დაგვეჭირა ჯაშუშებზე; ერთის სიტყვით, მარაგად უნდა ვყოფილიყავით... სამშობლოს თქვენი იმედი აქვს... გაუმარჯოს საფრანგეთსაო!..

სუყველამ ხმა გატრუნა. პატარა ლეიტენანტი გარშემო გვივლიდა, ზურგზე ხელებშემოწყობილი. თვალები წაღების წვერისათვის მიეჩერებინა და თავი არც კი აუღია მაღლა. ჩვენკი ერთიმეორეს ვუყურებდით, შეშინებულნი. გული ნაღვლით გვევსებოდა—პრუსიელნი სულ ახლოს არიან და დღეს თუ ხვალ ომი არ აგვცდებაო. ერთბაშად თვალწინ წარმომიდგა სიკვდილი, წითლად მოსილი სიკვდილი: ცელის ქნევით ჩვენსკენ მოდიოდა. სანამ ბრძოლა შორს იყო, გვენატრებოდა, გვწყუროდა მისი დაწყება, რადგან ჯერ პატრიოტულის გრძნობით ვიყავით გატაცებულნი, მერე თავი მოგვბეზრდა, მოგვღალა ამდენმა ლოდინმა, ტანჯვამ, ვამბობდით—ამ ტანჯვას მაინც მოეღება ბოლოო. და ახლა-კი, როდესაც მოგვიახლოვდა წამი ბრძოლისა, შეკვეშინდა, მარტოოდენ მისის სახელის გაგონებაზე კანკალი გვიტანდა. ჩემდა უნებურად ცის კიდურისაკენ, შარტრის მხარეს მივიხედე. წარმომიდგა ომი, რაღაც მიუწდომელით აღსავსე, შესაზარი, ყოველსავე ნივთს ახალი ფერი, ახალი სახე ედებოდა, ფერი ულმობელობისა, სახე საშინელებისა. შორს, სადაც ლაჟვარდი ფერი მოსჩანდა ხეებისა, წარმომიდგა, ვითომ ჯარი გამოჩნდა, ხიშტები აპრიალდა, ზარბაზნების ტუჩები გაწითლდა. ყანები, მზეზე წითლად მოელვარე, სისხლის გუბედ მეჩვენა; ღობეები ირღვევოდა, ისევ იკვროდა, ერთიმეორეში იხლართებოდა; თითქო საომრად გამზადებულ ჯარის ხიშტები და ბაირაღებიაო. მეჩვენა, ვაშლის ხეებს თავზარი დაეცათ და იქით-აქეთ გარბიან, თითქო გზა აბნეული ჯარია ცხენოსანთაო.

— დაიმალენით!—გვიბრძანა ლეიტენანტმა.

დიდს ხანს ვიდექით ერთსა და იმავე ადგილას პირუტყვივით, ხელებ დაკიდებულნი, თითქო რაღაც ავადმყოფობამ, გამოურკვეველმა ავადმყოფობამ აგვიტანაო. ვცდილობდით

გონების თვალით შეგვეხედნა ცის კიდურის ამ საშინელ ხაზისათვის, რომლის იქით უნდა გადაწყვეტილიყო საიდუმლო ბედიღბალი ჩვენი. საზარელი დუმილი იყო გამეფებული, ყველანი გაუნძრევლად იდგნენ, საშინლად. და ამ დროს მხოლოდ ურმები და საქონლის ჯოგი მიდიოდა გზაზე გამწკრივებული, მათს რიცხვს თანდა-თან ემატებოდა, უფრო მეტი აჩქარება, უფრო მეტი სისწრაფე ეტყობოდათ. გამოჩნდა მთელი გუნდი ყვავთა, შავად, თითქო მოწინავე რაზმიაო, შავ ლაქად დააჩნდა ცას, ჯერ შეიკუმშა, მერე ზოლად გადაიქცა, დატრიალდა ჰაერში, ჩვენს ზემოდან წრე შემოავლო, თითქო შავი, სამგლოვიარო სუდარა გადაგვაფარაო, შემდეგ მუხებს შორის თვალთაგან მიგვეფარა.

— ნეტავ ერთი მალე ვნახოთ ეს პრუსიელნი! — წამოიძახა გაუბედავის ხმით ერთმა ფერწასულმა ჯარისკაცმა და თავის-თავის გასამხნევებლად ქუდი უფრო ჩამოიფხატა თვალებზე. პასუხი არავინ გასცა და რამდენიმე ამხანაგი ჩამოეცალა.

ერთი ნაწილი ჩვენის ჯარისა სოფლის ბოლოსკენ წავიდა „მიუდგომელ ჯებირების“ ასაგებად, ხოლო დანარჩენი ტყეში შევედით, რომ „რაც შეიძლებოდა მეტი ხეები წამოგვექცია“. სოფელში რაც რამ საჭელი იარაღი ჰქონდათ, ყველა გამოვართვით გლეხებს: ყველაფერი უნდა გამოგვეყენებინა იარაღი: ცელი, ცული, ხელეჩო და სხ. მთელის დღის განმავლობაში ვსჭრიდით და ძირს ვაწვენდით ხეებს. რომ უფრო წავექეზებინეთ, თვითონ გენერალი დაესწრო ამ ტყის ჩეხვას.

— აბა, ბიჭებო, ყოჩაღად, ყოჩაღად, წააქციეთ, წააქციეთ ყველაფერი, მოუჭრელი არაფერი დასტოვოთ!.. აბა, ჰა.

თვითონ არჩევდა უფრო მაღალს, უფრო სწორ ხეებს, ტაძრის სვეტებივით ცათამდე ამართულებს. მხეცური მხიარულება იყო გამეფებული ამ ბარბაროსულ განადგურების დროს, როცა უზარმაზარი ხეები საშინელის ხმაურობით ერთიმეორეს აწვებოდა, ძირში მტარვალურად მოჭრილი. ტყეს სინათლე გადაეფინა: ასე იტყოდით, უზარმაზარის და არაჩვეუ-

ლებრივის ცელით გაუსწორებიათ აქაურობაო. ერთმა მუხამ ორი კაცი ქვეშ დაიტნია და იქვე სული გააფრთხობინა.

— მარდად, ბიჭებო!

ზეზე რამდენიმე ხე-ღა დარჩა. დალეწილი ტოტები ძირს დაწოლილ ხეთა ზეზე მდგომარე ხეებისაკენ იყო ამართული, თითქო ხელებია ადამიანისა და შველასა სთხოვენო, თითქო უჩვენებენ ღრმა ჭრილობას, საიდანაც წვენი სდიოდათ, ადამიანის ცრემლივით.

ტყის დარაჯს მეტყევისათვის შეეტყობინებია და ისიც საჩქაროზე მოიჭრა და დაინახა განადგურებული ტყე. მე გენერალს გვერდით ვუდექი. მოუახლოვდა მოწიწებით. ქუდი ხელში ეჭირა და მოახსენა:

— უკაცრავად, ბატონო გენერალო. გზის პირას ხეების მოჭრა ჯებირების გასაკეთებლად შეგიძლიათ... მაგრამ ტყის შუაგულს რაღას ემართლებით? ეს, მე მგონია, ცოტა არ იყოს...

გენერალმა სიტყვა გააწყვეტინა.

— რაო, რაო, რა მგონიაო?... აქ რაღა გნებავთ?.. რაც მინდა, იმას ჩავდივარ!.. მბრძანებელი თქვენა ხართ, თუ მე?

— მაინც...—წაილუღლუღა მეტყევემ.

— არც მაინც და აღარც მაგრამ... გესმისთ? თავიდან მომწყდით, ხელს ნუ მიშლით. გესმის, თუ არა? ახლა წაბრძანდით, საიდანაც მობრძანებულხართ, თორემ ამ ხეებს თქვენც მიგაყოლებთ!.. აბა მარჯვედ, ბიჭებო!

გენერალმა სახტად დარჩენილ მოხელეს ზურგი შეაქცია და წავიდა. თან ჯოხით გზაზე დაქუჩებულ ფოთლებს და ხის ნაფოტებს მიყრა-მოყრა დაუწყო.

სანამ ჩვენ ტყეს ვაჩანაგებდით, ჩვენი ამხანაგებიც მარჯვედ აგებდნენ ჯებირებს. ისეთი მაღალი ჯებირები აეყვანათ, რომ სოფლის ბოლოზე გზა სრულიად მოეჭრათ. მართალია არც თუ დაუბრკოლებლივ აღასრულეს თავიანთი საქმე, მაგრამ თანაც იმხიარულეს კიდეც. გამოქცეულს გლეხებს წინ თხრილი რომ დახვდათ, ჩივილი დაიწყეს. საქონლის ჯოგი და დატვირთული ურმები სწორედ ამ ალაგას მოაწვა და ერთი ენით გა-

მოუთქმელი ორონ-ტრიალი ასტყდა. გლეხები ჩივოდნენ, ქალები კვნესოდნენ, ხარები ბღაოდნენ, ხოლო ჯარისკაცები, ხალხისა და საქონლის შეშინებულ სახეებს რომ უყურებდნენ, სიცილით მუცელს ვერ იჭერდნენ. ხოლო ამ რაზმის კაპიტანმა არ იცოდა რა ექმნა, რა გზას დასდგომოდა. ჯარისკაცებმა რამდენჯერმე მოინდომეს ხიშტებით უკან დაეხევინებინათ გლეხებისათვის, მაგრამ ესენი უფრო აწვებოდნენ, გაჯიუტებულნი, უეჭველად უნდა გაგვიშვათ, ფრანგები ვართ, საფრანგეთის შვილნიო. ტყის გაჩეხვას რომ მორჩა, გენერალი ჯებირების დასათვალიერებლად მივიდა. იკითხა, ვინ არიან ეს ნაგლეჯუები და ან რა უნდათო. ყველაფერი მოახსენეს.

— მაშ კარგი!—წამოიძახა გენერალმა.—ხელი მოხვიეთ ყველა ამ ურმებს და ამ ჯებირებზე დაჰყარეთ. აბა, ჩქარა! აბა, მარჯვეთ, ბიჭებო!...

ჯარისკაცნი მეტად გაახარა გენერლის ამგვარმა უტიფარმა ბრძანებამ და გამხეცებულნი ეძგერნენ თავში მდგარ ურმებს, პატრონებისაგან საჩქაროზე თავმინებებულებს, და ბარებით თვალის დახამხამებაზე დამტვრიეს... გლეხებს თავზარი დაეცათ. გზა ისე შეეკრათ, რომ აღარც წინ შეეძლოთ წაწევა და აღარც უკან დახევა. ცხენებს მათრახებსა სცემდნენ, რომ გახირული ურმები როგორმე გამოეტანათ, ყვიროდნენ, იგინებოდნენ, ერთმანერთს აწვებოდნენ, მაგრამ ადგილიდან ველარ იძვროდნენ. ბოლოს მოსულებმა გზას აუხვიეს და ყურთა-სმენის წამღებ ყვირილისაგან დამფრთხალმა ცხენებმა უგზო-უკვლოდ გააქანეს; სხვებმა კი, რაკი დაინახეს, ურმებს და სურსათს ვერ გადავარჩენთო, ჯებირები გადალახეს და ყანებისაკენ გაიქცნენ... ილანძღებოდნენ, იწყევლებოდნენ, ხოლო უკანიდან სალდათები მიწის გოროხებს ესროდნენ. დამტვრეული ურმები ერთი მეორეზე აახუხულავეს, ცარიელი ადგილები ქერის ტომრებით, წალებით, ტანისამოსის ბოხჩებით და ქვებით ამოავსეს. ჯებირის თავზე ერთს ჯარისკაცს ბაირალსავით ჯოხზე წამოეცო ნეფე-დედოფლის თაიგული, ერთ-ერთ ურემში ნაპოვნი.

საღამო ჟამზე შარტრიდან ფრანგის ჯარი მოვიდა, არეულ-დარეული, უწეს-რიგოდ და ერთი ნაწილი სოფლად და ზოგიც ბანაკში დაბინავდა. საშინელება რამ გვიამბეს. პრუსიელნი ასიათასზე მეტნი არიანო, მთელი ჯარიაო. ჩვენკი ორიათასიც ძლივას ვიყავით, არც ცხენები გვყავდა, აღარც ზარბაზანი გვქონდა და იძულებულნი შევიქმენით უკან დაგვეხია. ქალაქ მარტს ცეცხლი უკიდია, გარშემო სოფლებს ბოლი ასდის, გლეხთა სახლები დანგრეულია. საფრანგეთის მთავარი ჯარი დაუყოვნებლივ უნდა მოგვეშველოსო. გამოქცეულს ეკითხებოდნენ, პრუსიელნი ხომ არ გინახავსთ, როგორები არიან ან როგორი ტანისამოსი აცვიათო. ყოველ მეოთხედ საათში ახალ-ახალი რაზმები მოდიოდა სამ-სამ, ოთხ-ოთხ კაცისაგან შემდგარი, ფერწასულნი, დაქანცულნი. ზოგს ჩანთაც არა ჰქონდა, ზოგი უთოფოდაც იყო. ერთი-მეორეზე უარეს ამბებს ამბობდნენ. დაჭრილი კი არც ერთი არ ერია. გადასწყვიტეს, ახალი მისულები ეკკლესიაში დაებინავებინათ. მღვდელმა კინაღამ თავი მოიკლა, ზეცად ხელი აღაპყრო და წამოიძახა:

— ღვთის მშობელო!.. ჩემს ეკკლესიაში ჯარს რა უნდა!.. ოხ, ღმერთო მაღალო!..

გენერალი აქამდე იმას-ღა სცდილობდა, რომ ყველაფერი დაელეწნა, ყველაფერი გაენადგურებინა, ბანაკის დასაცველად კი ერთი მცირედი რაზმი დააყენა ბელომერიდან ერთის კილომეტრის მოშორებით, შარტრის გზაზე. ამ რაზმს უფროსად უნტერ-ოფიცერი ჰყავდა. განკარგულება კი არავითარი არ მიუციათ მისთვის. ჯარისკაცები იქით-აქეთ დაეხეტებოდნენ, სვამდნენ და ეძინათ. ის კი იყო, ერთმა მორიგმა ჯარისკაცმა სამიკიტნოს წინ ერთი ამ სოფლის ექიმი დაიჭირა. მისი ქერა წვერი და ლურჯი სათვალეები საეჭვოდ ეჩვენა და უთუოდ პრუსიელი ჯაშუში უნდა იყოსო. უნტერ-ოფიცერი კი ღობეებს უკან ყურდღლებს დასდევდა.

ამ რაზმების მისვლამ, პრუსიელთა მოახლოვების ხმამ ძალიან შეგვაშინა. წამ და უწუმ მირბოდნენ ცხენოსანი შიკრიკები, მოჰქონდათ დაბეჭდილი კონვერტები, რომელშიაც ეწერა — ეს ასე ჰქენით, ეს ისეო. ოფიცრები თავ-ტან დაკარგულე-

ბი იქით-აქეთ დარჩებოდნენ, თვითონაც არ გაეგებოდათ, რას შვრებოდნენ ან რა უნდა ექნათ. სამჯერ აგვაღებინეს ბანაკი და სამჯერვე ისევ დაგვადგმევინეს კარვები. მთელი ღამე საყვირების ხმა ისმოდა, უშველებელი კოცონი გიზგიზებდა და ამ კოცონის გარშემო ტრიალებდნენ აღელვებულნი აჩრდილნი მეომართა, აჩრდილნი ჯოჯოხეთურნი. დარაჯნი მინდვრად დაძრწოდნენ ხან იქით და ხან აქეთ, შინჯავდნენ ტყეს. არტილერია, სოფლის ბოლოს რომ იყო, წინ უნდა წამოწეულიყო, მაგრამ გზაზე ჯებირებმა არ გაუშვა. რომ გზა გაეწმინდათ, საჭირო შეიქმნა ჯებირები დაენგრიათ ნაწილ-ნაწილ თხრილები გაევსოთ, რომ ზედ ზარბაზნები გადაეტანათ.

რიჟრაჟზე ჩემი რაზმი სადარაჯოდ წავიდა. წინ შემოგვხვდა გამოქცეული რაზმები. გული საცოდავად გვეწურებოდა, რომ ვუყურებდით, როგორ მოათრევდნენ ფეხებს. შორს გენერალი არტილერიის მანევრს უყურებდა. ცხენის კისერზე ბრძოლის ველის რუქა გადაეფარებინა და შიგ ამაოდ ეძებდა ერთის სოფლის წისქვილის ადგილს. ცხენი რამდენიც კისერს დაანძრევდა, იმდენი რუქაც დაიკეცებოდა, და გენერალიც ყვიროდა:

— სად ჯანაბაში დაიკარგა ეს გასატიალებელი წისქვილი!.. არა, ის ოხრები, ნუ თუ ფიქრობენ, რომ თუ სადმე წისქვილია, ყველა უნდა ვიცოდე?

გენერალმა გვიბრძანა, გაჩერდითო და გვკითხა:

— იქნებ ვინმე აქაური გირევიათ? იქნება ვინმემ იცით, სად არის ეს გასაოხრებელი წისქვილი?!.

ხმა არავინ გასცა.

— არა?.. ჯანდაბას მისი თავი!..

ეს იყო და რუქა თავისს ადიუტანტს გადაუგდო. იმანაც ფრთხილად დაჭკეცა. ჩვენ კიდევ ჩვენი გზა განვაგრძეთ.

ერთს სახლთან გავჩერდით. მე დარაჯად დამაყანეს, გზის მახლობლად. დავინახე ტრიალ მინდორი, თვალუწვდენელი, ზღვასავით. აქა-იქ ამ ხმელეთის ოკეანეზე თავი აეღოთ პატარა ტყეებს, კუნძულთა მსგავსად; სოფლის სამრეკლონი, სახლები, ბურუსში გახვეულიყვნენ, თავები-ღა უჩანდათ, აფრებ-

სავით. ამ თვალუწვდენელს სივრცეს საზარელი სიჩუმე, საშინელი სიმარტოვე გადასწოლოდა, სულ უმნიშვნელო საგნის შენძრევა, სულ მცირედი ხმაურობა ამ სივრცეზე გულს უსაზღვრო ნაღვლით გივსებდათ. სულ მაღლა ცას ყვავების ფრენა შავს წინწკლებს აჩნევდნენ, ძირს-კი, მიწაზე, გამოქცეულთა რაზმები ინძრეოდნენ, იკუმშებოდნენ და მეორე შავ წერტილებად ესენი სჩანდნენ; ჟამით-ჟამამდე გაისმოდა ძაღლთა ყეფა, მათი ხმა ეფინებოდა დასავლით-აღმოსავლეთით, სამხრეთით-ჩრდილოეთით, და ეს ყეფა თითქო კვნესა იყო გავერანებულ მინდორ-ჭალათა. დარაჯნი ყოველ ოთხ საათში უნდა გამოცვლილიყვნენ, მაგრამ მთელი საათები გადიოდა, ნელა, ზოზინით, დაუსრულებლივ და ძე-ხორციელი არ მოდიოდა ჩემ გამოსაცვლელად. უეჭველია, დავავიწყდით - მეთქი, გული მწუხარებით ამევსო, ვეკითხებოდი ცისკიდურს, პრუსიელთა მხარეს რომ იყო, ვეკითხებოდი ცის კიდურს, ფრანგთა მხარეს რომ იყო,—რას მიშვრებიან-მეთქი, მაგრამ არსით ხმა, არსით პასუხი; ვერასა ვხედავდი, ვხედავდი მხოლოდ ამ ულმობელს, ამ სამძიმო გზას, გარშემო პირქუშ ცას რომ მახვევდა. ყვავებმა დიდის ხნიდანვე ფრენა შესწყვიტეს, გამოქცეულნიც არსადა სჩანდნენ. ერთბაშად თვალი მოვკარ ერთს ურემს, ჯერ ტყისაკენ მიემართებოდა, მაგრამ მერე გზას უქცია... ნეტავ ვიცოდე, რად დამტოვეს აქ? მშიოდა, მცივოდა; მუცელი ვალადას მაყრიდა, თითები დამიბუხდა... ვცადე, რამდენიმე ნაბიჯი გადამედგა წინ, რამდენჯერმე დავიყვირე კიდეც... ხმა არავინ გამცა, არაფერი შენძრეულა... მარტო, სულ მარტო ვიყავ ამ ველზე, ამ განმარტოებულ და დაცარიელებულ ველზე... ტანში გამაჟრიალა და თვალებზე ცრემლები მომადგა... კიდევ დავიყვირე... ხმა არავინ გამცა... შევედი ტყეში და ერთ მუხის ძირას ჩამოვჯექ, თოფი მუხლებზე დავიდე და ყურები ვცქვიტე, იქნება რამე გავიგონო-მეთქი... ვაგლახ!... დღე თან-და-თან იწურებოდა; ცას ჯერ ყვითელმა ფერმა გადაჰკრა, მერე ოდნავ ალისფრად შეიღება, ბოლოს გარშემო გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში შთაინთქა. ბნელი, უმთვარო და უვარსკვლავო, ღამე გადააწვა ველს და იმავე დროს ჯანყ-ბურუსი ცივი, ყინულსავით ცივი, დედამიწას აუვიდა.

თ. ს.

(დასასრული იქნება)

მსხვერპლი

კომედია სამ მოქმედებად

ალფ. დოდესი.

მოქმედება მესამე

სენ-ჟაკის მიდამოებში, მარგაროსას.

მხატვრის დარბაზში დიდი სამუშაო მაგიდა სდგას. აქაიქ ეკვიდებით სავსე ვაზები და ყარდინორკები მოსჩანან. ერთს კუთხეში, ჭერიდგან იატაკამდე შუალერებია გასაშრობად ჩამოკიდული. უკანა კედელი მთლად შუშისა აქვს: შუა ადგილას განიერი კარები აქვს, რომელიც ხეხილიანს ეზოში გადის. ეზოს ბოლოში თაბრიკა მოსჩანს მრავალის თანჯრებითა და აგურის მალალ ბუხრებით. მარჯვნივ კარია. მარცხნივ მალალი და განიერი, ნახევრად დია თანჯარაა. მარცხნივვე, ავანსტენის მახლობლად, განიერი დივანი სდგას და ზედ ვიღაცა წევს, ძველს თარდაგში გახვეული.

გამოცანა პირველი

ჟურდეიდი-მამა, ქ-ნი ჟურდეიდი, ლუიზა, მარგარო,— მერე ნამუნი. თარდა რო აიხდება, უველანი ფეხზე დგანან: ეს არის შემოსულან. დარბაზის შუაგულ მარგარო სდგას ბლანტატორის მზგავსად ჩაცმული: პიუკის გულზე ვარდი აქვს გაკეთებული, ხელში თეთრი ჩალის შლაპა უჭირავს. ჟურდეიდი-მამა მაგიდას

---

*) იხ. „მოამბე“ № 10.

მიჭურდნობია და ამაყად და ტოტა აბუჩად სდგას: შლაპა გვერდზე ჭხურავს, ოდნავ უსტვენს და ჯოხს ათამაშებს.—ლუიზა კარებში სდგას, ქოდგასა ჭეტავს.

მარგარო (სახელოსნოზე უჩვენებს ხელის შემოტარებით). ჩიტი, ქალბატონო, გაფრენილა, მაგრამ შეგიძლიანთ თვითონ გალია მაინცა ნახოთ!

ქ-ნი ჟურდეილი. გაფრენილა!

ლუიზა (მიუახლოვდება). ნეტავი, სად?

მარგარო. უთუოდ აქ ახლო სადმე იქმნება... იქნება ბაღში გავიდა ციგარის მოსაწევად, ვიდრე ჯერ ზარი არ დაურეკიათ... აი, ჰხედავთ, გასაღებიც კარებშია... (შარტხენა კარებზე უჩვენებს).

ლუიზა. მაშასადამე, სჩანს აქვე მუშაობს?

მარგარო. დიახ, ქალბატონო, აგრე გახლავთ: აი, იმისი მაგიდა, იმისი სკამი, ყარანდაშები და (ჩამოკიდულს შპალერებზე უჩვენებს) მისი ნაწარმოებიც.

ჟურდეილი-მამა (კბილების დრჭიალით). კარგი რამაცაა! ფუჰ!..

ქ-ნი ჟურდეილი (ჩუმად მუდარის კილოთი). ჩემო მეგობარო...

ჟურდეილი-მამა (ჩუმადვე). რა ვქმნა? ბრაზი მძლევს (ისევ განაგრძნობს სტვენასა).

მარგარო (შპალერებ წინ). მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ორის კვირის განმავლობაში, რაც ჩემთან გადმოვიდა, უსაქმოდ არა ყოფილა... ისე სცდილობს, ისე მუშაობს!.. რომ ბაზარში უკვე თხოულობენ ჟურდეილის ნამუშავარსა!

ჟურდეილი-მამა (გაბრაზებული). ბაზარშიო!.. თხოულობენო!.. ო-ო!

ქ-ნი ჟურდეილი (ჩუმად). გეთაყვა...

ჟურდეილი მამა (ჩუმადვე). გეუბნები, შერცხვენაა-მეთქი ესა, სხვა არაფერი... (გაჯავრებული უფრო ძლიერად უსტვენს).

მარგარო. განსაკუთრებით საგანგებოდ გამოიყვანა საბილიარდე დარბაზებისათვის ჩინური ფარდულები... პირდაპირ საუცხოვო რამაა... (ჩინურ ფარდულებზე უჩვენებს და

თითებზე იკოტნის). (ჟურდეიდი-მამა მოთმინებასა ჭკარგავს და ანიშნებს, რომ უველაფერს მიამტვრევდა).

ქ-ნი ჟურდეიდი (საჩქაროდ მივა მარგარიტასთან). მაშ, თქვენის აზრით, ანრი ახლა ბაღში იქმნება?

მარგარიტა. ო, რა საჭიროა, ქალბატონო, რომ თქვენ არ შეესწუხდეთ... ახლავ მე თვითონ გავგზავნი ვისმე მბეჭდავსა... (მიიხედ-მოიხედავს). უთუოდ იქნება ვინმე. . აჰა! აგერა. (მდივანთან მივა და რაღაც გახვეულს ფეხს წაჰკრავს). შენ, ეი გამჭვარტლულო!.. წადი, m-er ანრი მოსძებნე... (ფარდაგი მძიმედ გადიხსნება და ქვეშიდგან გამოძვრება პატარა, გამხდარი ფეხ-შიშველა, ლურჯ ხალათიანი არსება. თვალები უელავს, თმები აჭბურძგვნია და მწვანე მატყლი და ფქრიოს მტვერი აერია ზედა).

ლუიზა (მიუახლოვდება). როგორ?.. (იცინის). ხა-ხა-ხა! აი, სასაცილო ამბავი!.. ხა-ხა-ხა-ხა!.. რა სასაცილო სანახავია ამ ხალათში... აბა, ერთი მიბრუნდი... (შემოტრიალდებს).

ქ-ნა ჟურდეიდი (შორიდგან). ლუიზა, მაგას რას შვრები?

ლუიზა. დედი, ნამუნია, ანრის ნამუნი!

ქ-ნი ჟურდეიდა. როგორ თუ ნამუნი?

ლუიზა. რასაკვრელია, ნამუნია. გამარჯვება ნამუნ!

ნამუნი (ნამძინარევი). გამარჯობა.

ქ-ნი ჟურდეიდი. შენც ფაბრიკაში მუშაობ?

ნამუნი (ამაყად). ი-ი! ნამუნი ახლა დაბეჭდა (ახვევებს).

მარგარიტა. დიახ, დიახ!.. არაფრის გულისათვის ანრისათვის თავის დანებება არ უნდოდა. ავიღეთ ჩვენცა და უნებურად ფაბრიკაში ავიყვანეთ.

ჟურდეიდი-მამა (იქით, რიხიანად). ამის შემდეგ აფრიკის უდაბნოში დაბადება რაღა საჭირო იყო!

მარგარიტა. უცნაური რამ მხეცია! როგორც კი თავისუფალს დროს მოიხელებს, მაშინვე აქ, თავისს პატრონის გვერდით, წამოწვება გაყინული ძაღლივითა...

ლუიზა (დედას). შეჰხედე ერთი!... ჰხედავ ამ ახალს ტანისა-

მოსში რა ლამაზია... ეს მწვანე მატყლის ბეწვები და ოქროს მტვერიც როგორ უხდება თმებსა!

ჟურდეიღი-ბამა (მიუახლოვდება). დიახ, თმებს კი უხდება, მაგრამ ფილტვებს როგორ-ღა უხდება, რატომ ამას არ იკითხავთ! (ნამუნი ახვევდებს). აი, შედეგიც.

ლუიზა (თანაგრძნობით). ახველებ, ნამუნ?

ნამუნი. ეჰა, ბუმ-ბუმ ხველა! როგორც დოლი-ლაკდარი (ამაყად). ფაბრიკა დაახველა.

ქ ნი ჟურდეიღი (შეშინებული). მართლა? მერე, ანრის კი არ ავნებს?

მარგარო (ბიჟაკის გულში ახალს ვარდს გაიკეთებს). არა, ქალბატონო, აქ შიში არაფრისაა!.. იქ, ფაბრიკაში კი, სულ სხვა საქმეა... ათასნაირი მტვერი, საღებავები, ლაქი, ქვის ნახშირი და გაზია... (მხიარულად) წადი, არაბო, გაიქე, მუსი ანრი მოძებნე.

ჟურდეიღი-ბამა (ჩუმად ნამუნს, რომელიც გვერდით გაუვლის). შენს ადგილას ვიყო, ახლავე სამშობლო უდაბნოებისაკენ მოვუსვამდი!.. (ნამუნი არც კი შეჭხედავს, ისე გაუვლის და მარჯვენა კარებით გარეთ გავა).

გამოსვლა მეოთხე

იგინივე, ნამუნის გარდა.

ლუიზა. საბრალო ნამუნი!.. რა საზარლობაა...

მარგარო. ეჰ, ქალბატონო, მრეწველობასაცა აქვს თავისი ბრძოლის ველი. ჩვენს ხელობას კიდევ რა უჭირს, იმდენად მავნებელი არ არის... და მოწყობილობაც ჰიგიენური გვაქვს... სახელოსნოები ფართო, დიდი ბალი, თითქმის რომ ფილანტროპიული დაწესებულებაა... იქნება ინებოთ და ვიდრე ანრის მოსძებნიან, ფაბრიკაში გაისეირნოთ?.. შეგიძლიანთ თქვენის თვალითა ნახოთ და დარწმუნდეთ...

ჟურდეილი-მამა (ტოლს). აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი... იცოდე!

ქ-ნი ჟურდეილი. უკაცრაოდ, გეთაყვათ, ჩემი ქმარი ჯერ ისევ ცქეიფობს და მეშინიან, ვაი-თუ მანქანების ხმაურობამ...

მარგარო. არა, ბ-ნო, ამ ჟამად ქარხანაში აღარავინ არის, მუშები სასაუზმედ არიან წასულები... ვსთქვათ, იქნება სახელოსნოები დაათვალიეროთ - მეთქი, თორემ... დარწმუნებული გახლავართ, ბ-ნ ჟურდეილის ყურადღებასაც უთუოდ მიიპყრობდა...

ჟურდეილი-მამა. ოჰ! სრულიადაც არა, პირ-იქით... ყოველივე საქარხნო მოწყობილობა და მანქანა ისე მოქმედებს, რომ... ერთი სიტყვით, ისიცა კმარა, რომ ემა წითელი აგურით აშენებულს უშველებელს ბუხრებს აქედან ვუყურებ.

მარგარო (კულნატკენი). ძალიან სასიამოვნოდა მრჩება, ბატონო, რომ თქვენი შვილი თქვენის გემოვნებისა არ არის.

ჟურდეილი-მამა (ამაყად). ჩემი შვილი არტისტი არ არის.

ლუიზა. როგორ, მამა?..

ჟურდეილი-მამა. არა. არტისტი არ არის! წინადაც აკი ყოველთვის ვამბობდი ხოლმე, მაგრამ ახლა თავისის მოქმედებით დაამტკიცა, რომ დასთანხმდა და მუშაობს ამ...

ქ-ნი ჟურდეილი. ო-ო, ჩემო მეგობარო!

ჟურდეილი-მამა. თავი დამანებე, გეთაყვა!.. უნდა იცოდეს თუ არა ამ ვაჟბატონმა, რომ ყველა ჟურდეილი რენეგატი არ არის.

მარგარო. რენეგატი?

ჟურდეილი-მამა. დიახ, ბატონო, რენეგატი!.. ხელოვნებაც იგივე სარწმუნოებაა. მაშასადამე, თუ აქ შემოსულა, უარ-უყვია იგი... მაშასადამე, რენეგატია!

მარგარო. რასაკვრელია, რასაკვრელია... მაგრამ იცით... ჩვენს დროში რა ძნელია...

ჟურდეიღი-მაბა. ეჰ, ღმერთო, ჩემო, მერე ეს ბრძოლა რიღასთვის არსებობს? უნდა ვიბრძოლოთ! ყველა ნამდვილი და ჭეშმარიტი მხატვრები იბრძოდნენ... მერე, განა, ჭეშმარიტი მხატვრობა უბრძოლველად შესაძლებელია?.. არა, შეუძლებელია!.. იცით, რას გეტყვით? ყველა დღევანდელს მთხუპვნელებს მხიოლოდ და მხოლოდ ფული აქვთ გაღმერთებული!.. აღარც საკუთარი ღირსება, აღარც სინიდისი აღარ შერჩენიათ,—მარტო სარგებლობით ხელმძღვანელობენ. ჩინურს ფარდულებში, რასაკვრელია, ფულს კარგს იძლევიან; მაშასადამე, კარგიც არ ს... ეეჰ, ახალგაზრდებო! ჩვენს გრძელს თმებსა და განიერს შლაპებს დასცინოდით; უარ ჰყავით ჩვენი უბრალო და საღმრთო კურტკა, რომელიც ადამიანს მართლა ღარიბათ აჩენს: საყოველთაოდ მიღებულს ბურჟუაზულ ტანისამოსში გამოწყობა მოინდომევით... და ის-კი არ წარმოიდგინეთ, რომ დაუსჯელად ეგ არ მოხერხდებოდა: თუ გარეგნობით ბურჟუებს დაეგვანეთ,—შინაგანი ბუნებაც უთუოდ უნდა დაგემზგავსებინათ... დაგემზგავსებინათ-კი არა, უფრო მეტად უნდა გაგჯდომოდათ ძვალსა და რბილში ბურჟუაზობა!

ქ-ნი ჟურდეიღი. კარგი, საცოდავო, გეყოფა, დამშვიდდი. აბა, ეგრე მღელვარება რა საჭიროა? რაც მოხდა, მოხდა.

მარგარეტ. დიახ, და მტკიცეთაც მოხდა: პირობა ათი წლითა გვაქვს შეკრული... პირობის დამრღვეველმა 20 ათასი ფრანკი უნდა გადაიხადოს... და ისე მაგრა ვყევართ ამ პირობას ორივენი დაჭერილნი, რომ ვერავითარი მჭევრმეტყველობა ჩვენს კავშირს ვერ დაარღვევს... მაგრამ უნდა გითხრათ, თქვენი ანრი ახალს ცხოვრებას კარგად შეეწყო: დასამტკიცებლად ისიცა კმარა, რომ თავისს ძველ მეგობრების ნახვა აღარც-კი ჰსურს... მაგალითად, იქნება იცნობდეთ კიდეც?.. ერთი მეგობარი ჰყავს... აის, მარსელელი ტუტრუცანა...

ქ-ნი ჟურდეილი. ფრანკეიროლი?

მარგარეთ. დიახ, დიახ... ფრანკეიროლი... ეს სამი დღეა, ზედიზედ მოდის, ანრის ნახვა უნდა, მაგრამ ანრი არ იღებს...

ლუიზა (ახლოს მივა). მაშასადამე, m-er პიერს შეუტყვია, რომ ანრი აქა მსახურობს?.. ნეტა, ვინ ეტყოდა?

ჟურდეილი-მამა. ვინა-და, მე!

ლუიზა. ო, მამი... ისე იხვეწებოდა ანრი, არავის უთხრათო...

ჟურდეილი-მამა. მით უარესი. თუ სცხვენიან კიდეც აქ ყოფნისა, ნუ შემოვიდოდა-რა... და მეორეც. ნუ-თუ დარწმუნებული იყავით, რომ მრავალ რიგად გამოცდილი პიერი მისს ასე მოულოდნელად მოგზაურობას დაიჯერებდა?..

ქ-ნი ჟურდეილი (რბილად). მაინც ანრი დიდად უკმაყოფილო იქნება, ჩემო კარგო

ჟურდეილი-მამა. კარგია! უკმაყოფილო იქნებაო... მერე, მე-კი კმაყოფილი ვარ, როგორ გგონიათ? რომ წარმოვიდგენ, რომ ორმოცი წელიწადია აგერ ვმუშაობ, მთელი ჩემი საცხოვრებელი შევქამე და ძალა და ღონე გამომელია, რომ, რა არის? ჩემის შვილისათვის სამკვიდროდ სახელი და ჩემი ძვირფასი პალიტრა დამეტოვებინა!.. და ის-კი ამ სამკვიდროს როგორ მოეპყრა?.. ოჰ, შვილებო, შვილებო!

მარგარეთ (ქ-ნი ჟურდეილს). როგორც მივხვდი, ბ-ნი ჟურდეილიც უთუოდ მხატვრობას უნდა მისდევდეს?..

ჟურდეილი-მამა. მე?.. ჰხედავთ, რა არის; კითხულობენ,— მხატვრობას უნდა მისდევდესო?.. ოო!..

მარგარეთ. უკაცრავად, ჩემს სიცოცხლეში, ვგონებ, ეს პირველათა გხედავთ და ანრის-კი თქვენ შესახებ მისს დღეში არა-უთქვამს-რა...

ჟურდეილი-მამა (ნაღვლიანად). მაშ, მაშ... ვიცი, აგრე იქნებოდა! (ამაყად). თქვენ წინა სდგას, ბ-ნო, ჟურდე-

ილი-უფროსი! გაიგეთ, ჟურდეილი-უფროსი... (რბილად). თქვენ-კი, მეგობარო, ვინ გეგონევით?

მარგარეტ (გაშტერებული). ჟურდეილი-უფროსი?..

ჟურდეილი-მამა. ამბობენ ჩემზე, რომ ახალმა თაობამ უარმყო...

მარგარეტ (იქით). აი, უცნაური ადამიანი...

ჟურდეილი-მამა. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ვიდრე შთამომავლობა დამდებდა მსჯავრსა, სულ უცხო და შორეულმა ერმა შიმეგობრა, დამაფასა, მცა პატივი და ამით გადუხადა მაგიერი ჩემს თანამემამულეებს, რომლებმაც ასე აბუჩად ამიგდეს... ჰკითხეთ, ბ-ნო, ამერიკელებსა და ისინი მოგახსენებენ, „პროზერპინის ქორწინებისა", „სნეულ ცენტავრისა", „ადონისის სიკვდილისა" და სხ. ავტორი ჟურდეილი-უფროსი რის ღირსი არის..

მარგარეტ (ტოტხლად). „სნეული ცენტავრი"... თითქოს მეცნობა! ე... ფუ, ეშმაკს!.. როგორ არა, ვიცი!

ჟურდეილი-მამა. მაშ, იცნობთ ჩემს ცენტავრსა?

მარგარეტ (სიცილს იმაგრებს). როგორ არ ვიცნობ!

ჟურდეილი-მამა (ტოლს). გესმის, ჩემი ცენტავრი სცნობია! (მარგარეტს). სადა ნახევით? იქნება ნიუ-ორკში?

მარგარეტ. დიახ, დიახ... ნიუ-ორკში...

ჟურდეილი-მამა (ადტაცებული). ჯაქსონთანა, არა?

მარგარეტ. დიახ, დიახ... ჯაქსონთან!

ჟურდეილი-მამა (ტოლს). ჰხედავ?.. იქ თურმე ცნობილი ყოფილა ეს ჯაქსონი... უნდა ფრანკეიროლისავით პუზი-ულაპიკ იყოს ადამიანი, რომ!.. (მარგარეტს). მითხარით, გეთაყვათ, მეგობარო, ამერიკაში საკმაოდ მაფასებენ, არა?..

მარგარეტ. ო-ო! ეჭვი არ არის..

ჟურდეილი-მამა. ძაან მოხერხებული კაცი-კი უნდა იყოს ეს ჯაქსონი! ფულებს უთუოდ ბლომადა ჰხვეტავს... ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩემის ოჯახობით უცბად

ამერიკაში გადავსახლებულიყავი და ერთი იმისთვის პირში ჩალა გამომეევლო.

ქ-ნი ჟურდეილი (შეშინებული). ო, ღმერთო!

ჟურდეილი-მამა. ფრანკეიროლი უცბად მიგკაფრენდა თავისის გემით!

ლუიზა (მხიარულად). ო, რა კარგი იქნებოდა!

ჟურდეილი-მამა. კარგი-კი არა, ძალიან კარგი იქნებოდა.. მასთან, თუ ერთი ოც-და-ათიოდე წელიწადიც შემომეფცქვნებოდა... მაინც სასიამოვნოა, რო წარმოიდგენ, რომ იქ, სადღაც შორს, დაგაფასეს, შენი ღირსება გაიგეს.. (ცოლს მოუხვევა). როგორლაც გულს მითბობს... (მარგარეთს). თქვენ, თქვენ უპატივცემულესო, თქვენ რაღას ფიქრობთ? უთუოდ თქვენც მოგწონებიათ ი ჩემი ნაჩხაპნი, რომ აქამდის არ დ-გვიწყებიათ?

მარგარეთ. როგორ, ბ-ნო, ვინც-კი ერთხელ თვალს დაჰკრავს, განა დაივიწყებს-ღა ამ სურათებსა?

ჟურდეილი-მამა (გახარებული, ცოლს). გესმის?.. ვინ იფიქრებდა, აბა?.. მერე, ისიც უბრალო მეფაბრიკე!.. (ხელს გაუწვდის). მოიტათ, მარგარო, თქვენი ხელი, შევრიგდეთ! თქვენ წინააღმდეგ აღარა მაქვს-რა... რაკი ჩემი შვილი თავს კარგადა ჰგრძნობს აქა, დეე, დარჩეს.. რას იზამთ, სალმრთო ნაბერწკალი მემკვიდრეობით არ გადიცემა!.. და მეორეც, საბრალოს თავისი მიზეზებიცა ჰქონდა... ამ ბოლოს დროს, ეტყობა, დიდ ხარჯებში ჩავარდა... (ნდობის კიდოთი). დედის აზრით, ვინმე ქალბატონის კლანჭებში უნდა იყოს გაბმული...

მარგარეთ (მოურიდებელის, მოუხეშავის ხარხარით). აჰა! გგონიათ, ვითომ სულიკო უნდა იყოს მიზეზი?..

ქ-ნი ჟურდეილი (ლუიზაზე ანიშნებს, რომელიც მათ უახლოვდება). ჩჩუ-უ!

მარგარეთ. მეც აგრე ვფიქრობდი.

ლუიზა. ანრი მაინც ჯერ არსადა სჩანს... მოდით, წავიდეთ, მოვძებნოთ!

ჟურდეიღი-მამა (მარგარეთს ხელს გაუჭერის). არა, არა! სჯობს, წავიდეთ, ფაბრიკა დავათვალიეროთ.

მარგარეთ. მართლა?.. კარგი იქნება!..

ჟურდეიღი-მამა. რატომ, რატომ? ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ... პირ-იქით, იქნება ეს ჩემთვის საყურადღებოც იყოს. წავიდეთ!

ლუიზა. მერე, ანრი?

ჟურდეიღი-მამა. მოგვეწევა.

მარგარეთ (დამებს ხელს გაუწვდის). ქალბატონებო...

ჟურდეიღი-მამა (მოურიდებლად მიჭყავს). მითხარით ერთი, მეგობარო, ეს ჯაქსონი... (მიდიან და მისაუბრობენ. ქალები წინ წავლენ. ისინი რომ თან-და-თან მოჭშორდებიან, მარცხენა ფანჯარაში ხელი გამოჩნდება, მერე მხარიც. ფანჯრის ჩასარაზი მოტრიალდება, ფანჯარა გაიდება და გადმოვა ფრანკეიროლი.

გამოსვლა მესამე

ფრანკეიროლი მარტო.

ფრანკეიროლი (ფანჯარაში სდგას და სახელოსნოს ათვალიერებს). არის ვინმე, ნეტა, თუ არა?.. არავინა სჩანს... მე-კი თითქოს ხმაურობა შემომესმა... მაგრამ სულ ერთია! გაბედულობაც კაი საქმეა!.. (ოთახში გადახტება). მართალია, სამთავა ძაღლები ჰყარაულობენ, მაგრამ მაინც შემოვედი!.. მაშ, როგორ მექნა! როცა ადამიანი კარებს ჩაიკეტავს და თავის მოკვლას განიზრახავს, ყოველგვარი საშუალება ნებადართულად უნდა იქმნას ჩათვლილი, ოღონდ შეუვიდეს როგორმე ადამიანი. ჩემებურად მეც მართალი ვარ. პირ-იქით, შემეძლო პოლიციელიც მომეყვანა... აბა, მაშ, მოვისაზროთ,

რა ამბები ხდება აქა... თუ რომ სწორედ მანიშნეს... და თუ ფანჯარამ არ მომატყუა... არა, სწორედ ისე უნდა იყოს; სახატავი დარბაზი უნდა იყოს... (მაგიდას უტქერის). ე-ე, რასაკვრელია აგრეა! აგერ, იმისი ჩიბუხიც! ამ ჩიბუხს კი კარგად ვიცნობ: მარსელიდან მე თვითონ მოვუტანე... გამარჯობა, ჩვენებურო. მაშასადამე, მეტი არა დამრჩენია-რა, რომ როგორმე მოსვენებით ჩამოვჯდე სადმე და ზარის დარეკვას უცადო. (სკამს შეაჯდება). თუ რომ ეს იმისი სამუშაო ოთახია, უთუოდ მოვა. (ჩიბუხს დაუწყებს მზადებასა).

გამოსვლა მეოთხე

ფრანკეიროლი, ანრი და ნამუნი.

ანრი (მარჯვენა კარებიდან შემოვა). დიდი ხანია მიცდით?..

ფრანკეიროლი (ღიმილით). არა.

ანრი (კაკვირვებული). როგორ?.. (ნამუნს) ეს რასა ჰნიშნავს?

ნამუნი. ეჰა! არა გავიგე... აქა ეხლა ი-სხვა იყო... მერე-და ეს... ეს ეშმაკი!.. (მიეკ მდივანთან, ფარდაკში გაეხვევა და დაწვება).

ანრი (კბილების დრჭენით). კარგი, კარგი!.. მოგაგონებ.

ფრანკეიროლი. მე არ მეძებდი, მაშა?

ანრი (მდელვარებით). არა... საიდან შემოხვედი?

ფრანკეიროლი (ფანჯარაზე ანიშნებს). აიმ ფანჯარიდანა... რას ვიზამდი, მეტი გზა ალარ იყო.

ანრი (თრთის). რალა იქნება... მერე, რა გინდა, რისთვის მოხვედი?

ფრანკეიროლი. რასაკვრელია, შენთვის. ან იქნება გგონია, რომ აქ დაგტოვებ? წამო, წავიდეთ...

ანრი. ტყუილად გარჯილხარ, პიერ!.. ბევრად უკეთესი იქმნებოდა ჩემთვის, თუ... მაგრამ, ხუმრობა იქით

იყოს, და მეც ჩემი მიზეზები მქონდა, რომ არა გჩვენებოდი.

ფრანკეიროლი. მიზეზები? ჰო, მაგრამ, ამ მიზეზებს გზა-გზა მიამბობ. ახლა კი, დავიძრათ! გესმის?

ანრი. როგორ, წავიდეთ? მერე, პატარა ბავშვი ვარ, თუ რა არის?

ფრანკეიროლი. რასაკვრელია, რომ ბავშვი ხარ, წავიდეთ!

ანრი. კარგი ერთი, ხუმრობას თავი დაანებე!

ფრანკეიროლი. ჰხედავთ, ერთი! ნეტავი, გამაგებინა, ჩვენგანი ვინ ხუმრობს, მე—თუ შენ?.. არა, იქნება მართლა ეყმე ამ კაცსა და აქ აპირებ სამსახურსა?

ანრი. დიახ, აგრეა.

ფრანკეიროლი. მერე, მხატვრობა უარ-ჰყავ?

ანრი. დიახ.

ფრანკეიროლი. მერე, რა უფლება გაქვს, შე საძაგელო!

ანრი. ჰო, დიახ! ხელოვნება... სახელი... მამული... მესმის, მესმის, სულ მამიჩემის სიტყვებია.

ფრანკეიროლი. მამული აქ არაფერს შუაშია! იცოდე, თუ რომ ვინმე პიერ ფრანკეიროლმა შენის გულისათვის ადრიატიკის ზღვაში შესცურა და თავს ხიფათში აგდებდა, იმიტომ მარტო, რომ დარჩობას მხატვარი გადაერჩინა, თორემ ვილაცა მეშპალერესათვის, გარწმუნებ, ზღვის ძირში არ ჩავეშვებოდი სახიფათოდა!.. რადგან ეს ვაჟბატონები უიმისოდაც ძალლთ უმრავლე ნი არიან... აი, გეცინება! მაგრამ, იცი, რას გეტყვი? თუ მართლა მხატვრობას თავს ანებებ, სრული უფლება მაქვს, კისერში ხელი ჩაგჭიდო, წაგიყვანო და ისევ ისრე ადრიატიკის ზღვაში ჩაგიძახო, სწორედ იმ ადგილასა და ისე, როგორც გიპოვნევი.. მაშინ შენთან საქმე ალარ მექნება...

ანრი. ეჰ, უმჯობესი იქმნებოდა, მაშინაც არ ჩარეულიყავი საქმეში... იქ, ქვიშაზედ, ზღვის ძირად წოლა

უთუოდ რომ კარგი უნდა იყოს... ალარაფერზედ ალარ იფიქრებ მაინც... (სიჩუმეა).

ფრანკეიროლი (უფრო ახლო მივა). როგორც გეტყობა, უთუოდ დიდი რამ დარდი უნდა გქონდეს.

ანრი (თავს აიდებს). დარდი?.. საიდან მოიგონა!.. პირიქით, დიდად კმაყოფილი ვარ... მშვენიერს ადგილზე ვარ... დიდი ჯამაგირი მაქვს...

ფრანკეიროლი. მაშასადამე, საქმე ფული ყოფილა, ჰა!.. იმიტომ მოხვედი, რომ მეტი ფული იშოვო?

ანრი. დიახ!

ფრანკეიროლი. მაგრამ... შე ბოროტო, შენა! მითხარი ერთი, საიდან შეგიყვარდა ე ფული?!.. ან რისთვის გინდა? ნუ-თუ-ღა იმდენს ვერ იღებდი, რომ შენის თავის შესანახადა გყოფნოდა?.. ან, იქნება ცოდვები რამ გაგიჩნდა?.. ქალალდს თამაშობ?.. დოლში აგებ?.. არა! მაშ, რაღათ გინდა? რაო, შვილები გყავს?.. არა!.. მაშასადამე, მამაშენი მართალს ამბობს, რომ ახალის დროის მხატვრები, ყველანი...

ანრი (დინჯად). ეჰ, ჩემო მეგობარო, ვერაფერი სასიამოვნოა, ვგონებ, რომ მთელი შენი სიცოცხლე ციგნურად, გაჭირვებით გაატარო. ეს არტისტული ციგნობა-მაწანწალობა, უნდა მოგახსენო, ვერაფრად მიმზიდველია. კაი ადგილი, უზრუნველი ყოფა, გადაჭრილი შემოსავალი, ეს კი, მესმის, კარგია, ვერა შეედრება-რა...

ფრანკეიროლი. არა!.. არა .. შეუძლებელია... ამას ვერ იტყვი... მართალს ამბობს კლემანსი, სხვისა კილოზე მღერისო...

ანრი (აღელვებული). კლემანსი!.. როგორ, ნახევი?.. (ჩუ-უ). რასა იქმს?.. რა გითხრა?

ფრანკეიროლი (ხელს მაგრა მოჭიმავს). ამბობს, რომ ყველაფერში სტყუი; რომ საძაგელი და სასტიკი წერილი

მიგიწერია, რომელშიაც, ერთი სიტყვა რა არის, ერთი მართალი სიტყვა არ არის! რომ, როგორც უნდა იყოს საქმე, მეგობრებს მაინც უნდა უყვარდე და არ გილალატონ, რადგან ყოველი შენი ნაბიჯი გმირობითა და კეთილშობილებით აღსავსე, დიდებულია... აი, რა მითხრა საცოდავმა! მეუბნებოდა ამასა და მშვენიერ თვალებიდან ლაპა-ლუპით ცრემლები სცვიოდა! (ანრი, შემკრთალი, ხირს იქით მიიბრუნებს). და მეც. . მეც დავრწმუნდი ახლა, რომ კლემანსი მართალს ამბობდა.

ანრი. რაო, მერე! მართალია... მიყვარს კლემანსი, გულით მიყვარს! ჩემი ხელოვნებაც გაგიჟებით მიყვარს!.. მაგრამ... იძულებული ვარ ერთიც და მეორეც უარვყო, თუნდაც ვერ ავიტანო კიდეცა და სიკვდილმა მისწროს... იცი, რა არის პიერ... თავი დამანებე... წადი!.. არ იცი... ადამიანს ზოგჯერ საზარელი მოვალეობა აქვს ხოლმე...

ფრანკეირალი. მითხარი მაინც, რომელ უცნაურ მოვალეობასა ჰგულისხმობ?

ანრი. არ შეიძლება! ეგ ჩემის სიცოცხლის საიდუმლოა... ვერავის ვეტყვი.

ფრანკეირალი. ეჰ, შენცა!. მე კი ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი საიდუმლო რომ შენთვის გამემჟღავნებინა!.. აგერ, მეც გამიჩნდა საიდუმლო და მასთან სერიოზული საიდუმლო, რომელსაც დიდი სიამოვნებით გავუზიარებდი ვისმე. . მაგრამ ვის, ვის გავუზიარო? ერთად-ერთი მეგობარი მყავდა და ხომ ჰხედავ, იმანაც ზურგი შემომაქცია... (ხელს კაუურის). მითხარი რამე! თუნდ ერთი სიტყვა... არ გინდა? გასწი, მაშ, ბ-ნო პიერ-გადირბინე მინდორო და ისევ სადმე შორს გადაიკარგე! ეტყობა, მთელი სიცოცხლე ასე ძალლმადურად წანწალში უნდა გავატარო .. (კარებისაკენ მიდის).

ანრი. პიერ!.. (ფრანკეიროლი შედგება)—მიდიხარ?

ფრანკეიროლი. მივდივარ, სამუდამოდ...

ანრი. სამუდამოდ? მართალს ამბობ?.. იცოდე და დაიხსომე, მაშ, რომ მხოლოდ ამითი მაიძულებ საიდუმლო გაგიმჟღავნო და სამუდამოდ გაგშორდე.. (ხელს დაუჭერს და ავ:ნსტენაზე გამოიყვანს. მდივანზე ფარდაკი გადაიშლება, ნამუნი თავს გამოჭუოფს, უერებს ატქვეტს და ელვარე თვალებს მოდაბარაკეთ მიაშტერებს, ეურს უგდებს). ეს იყო, მეკითხებოდი, შვილები ხომ არა გყავსო; დიახ, მყავს!

ფრანკეიროლი. აი, ტუტუცი!..

ანრი. დიახ, მყავს და ერთის მაგივრად სამი, რომელთაც ქმევა და შენახვა უნდათ.

ფრანკეიროლი. სამი!!!...

ანრი. დიახ, სამი... თორემ შენც კარგად იცნობ! მამა, დედა და და.

ფრანკეიროლი. როგორ! მამაშენი... მე-კი მეგონა... მაგრამ, შენ არ მეუბნებოდი ხოლმე, განა, მშობლები..

ანრი (დიმილით). პატარა შემოსავლითა სცხოვრობენო? დიახ აგრეა, მაგრამ ამ შემოსავალს ჩემგან იღებდნენ.

ფრანკეიროლი. აჰა... ახლა-კი მესმის.

ანრი (ხმას დაუდაბალებს). ექვსის წლის წინად რომ იტალიიდგან დავბრუნდი, ოჯახი მთლად გალატაკებული დამხვდა: მამა დაბერებულიყო, ველარ საქმობდა და ავადმყოფობდა, დედა კიდევ გვერდთ უჯდა და დღე და ღამ ჰკერავდა, რომ ლუკმა პური როგორმე ეშოვა... ერთი სიტყვით, სიღატაკე შემეგება... შეგიძლიან წარმოიდგინო: პოეტურ მოგზაურობიდგან იმედითა და სიცოცხლით სავსე დავბრუნდი, იღლიაში სამხატვრო წამლების ყუთითა და აქ-კი უცბად სიღარიბე შემეგება, სრულიად ახალი მოვალეობა აღმიჩნდა... რასაკვრელია, ტვირთი ჩემი მძიმე იყო!.. ცხრამეტის წლისას, ხელში კონა სამ-

ხატვრო ფრთებით, მთელი ოჯახი უნდა გამომეკვება... ჩემი მხატვრობა მაშინვე დავწყევლე... ბევრად მერჩივნა, უბრალო ბარგის მზიდველი და მარბენალი ვყოფილიყავ, ერთის სიტყვით, თუნდ ამაზე უარესიც რამ, ოღონდ ყოველ დღე გადაჭრილი ორმოც-და-ათი სუ მქონოდა... მაინც საქმეს ერთგულად შევუდექი, ტილო ნისიათ ავიღე და პირველი სურათი ისე დავხატე... პირველადვე გავიმარჯვე; სურათი ძაან კაი ფასში გავყიდე, მოიწონეს, საზოგადოება ალაპარაკდა; მაშინვე სხვა სურათებიც შემომიკვეთეს. საბრალო დედა ლუკმა პურისათვის შრომას მორჩა. დღე და ღამ ერთთავად ვმუშაობდი, მაგრამ არაფრათ ვაგდებდი... ბედნიერი ვიყავ იმითი, რომ ჩემმა შრომამ მშობლებს მშვიდობიანი, ტკბილი ცხოვრება მიანიჭა. სამი თუ ოთხი წელიწადი საქმე ასე კარგად მიდიოდა; — მაგრამ ერთს მშვენიერს დილას სულ სხვა ნიავმა დაჰბერა. ოჰ, საზარლობაა სწორედ ეს მოდისაკენ პარიჟის უცბად პირის ბრუნება! იმ დროს სწორედ, როცა თვითონაც ვიგრძენ ნამდვილი ნიჭი... მასთან ნიჭი საფუძვლიანი, პირველის ცდის შემდეგ რომ თავს იჩენს ხოლმე... სწორედ ამ დროს დამეცარა საქმე. მარტო რომ ვყოფილიყავი, გამეკინდებოდა, ისე სულელურად მოხდა ესა! მაგრამ რას იზამ, რომ სამი ბავშვი მყავდა შესანახი?.. აქ სიცილი აღარ გამოდგებოდა... საბედნიეროდ, სწორედ იმ დროს სოფლად გადავასახლე ჩვენები, ასე რომ ჩემის მდგომარეობის შესახებ არა იცოდნენ-რა... უნდა გითხრა, ესკი ნამდვილი გამარჯვება იყო ჩემის პოლიტიკისა! ორი წელიწადი ზედი-ზედ სწორედ კატორგის ცხოვრებას ვატარებდი: დავრბოდი მაღაზიებში, ბევრჯელ უარი, ბევრჯელ შეურაცხყოფა გამოვიარე, ვსესხულობდი, ვაგირავებდი... დამიწყეს მერე ვექსილებით

ჩივილი, ქონება ამიწერეს... ერთი სიტყვით, სრული სილატაკე გამოვცადე; მაგრამ იმათ არა დაჰკლებიათ-რა, ისევე ისრე მშვიდობიანადა და ნებივრათა სცხოვ-რობდნენ: თეთრი პური არ შემოჰკლებიათ, სახლის ქირა მუდამ წინადვე გადახდილი ჰქონდათ... საკმა-ოდ ჰქონდათ საცოდავს ბებრებს სილარიბე ნაცადი, ახლა ველარას გავუჭირვებდი... მაგრამ ჩემთვის მეტად მძიმე და აუტანელი იყო ესა!.. საიდგანაც იქნე-ბოდა თუ არა, ფული მაინც ყოველ-თვე უთუოდ უნდა მეშოვნა... მასთან იქ, სახლში, გაფრთხილება ფულისა სრულიად არ იცოდნენ. თავს ისე ვაჩვენებ-დი, რომ ეგონათ, აღარ იცის, ფულს რა უყოსო... სხვა-და-სხვა გვარს საჩუქრებსა და სურპრიზებს მიკე-თებდნენ... მიხვალ ხუთშაბათობით, მთელის დღე-ღამის უქმელ-უსმელი,—ჰხედავ, იქ ნამდვილი მეჯ-ლიშია გამართული, ჩემს მისვლას დღესასწაულობენ. ხან-და ხან ვცდიდი ხოლმე კიდეც და ვუსაყვედუ-რებდი—ჩემის გულისათვის აგრეთს ხარჯს რათ ეწე-ვით-მეთქი, მაგრამ ყურს ვინ მიგდებდა, დამეხვეო-დნენ და გამწეწდნენ ხოლმე. მამაჩემი ხომ გულ-უბრყვილოდ მისაყვედურებდა ხოლმე სარდაფიდგანა: „მაშ, როდისღა ვიქეიფოთ, თუ არ მაშინ, როცა შენ აქა ხარო!“ მოდი და უთხარ-ღა რამე?.. მეც უნე-ბურად მხიარულად მოვუჯდებოდი ხოლმე სუფრასა და ვცდილობდი არა მეგრძნობინებინა-რა, რადგან საბრალო დედა მაშინვე გულს შემოიყრიდა და, ვინ იცის, რას არ წარმოიდგენდა. მიმიყვანდა რომელსა-მე კუთხეში და თავის ქნევით დაიწყებდა ხოლმე წუწუნს, უთუოდ ცუდათა სცხოვრობ, რომ აგრე ხარო!.. ამის შემდეგ, აბა, სხვაფრივ როგორღა მო-ვიქცეოდი?

ფრანკეიროლი. გამოგიტყდები, არ ვიცი.

ანრა. ასე, ჩემო მეგობარო! ასე გავატარე მთელი ორი წელიწადი და თან იმედს არა ვკარგავდი, ვიმედიანობდი... მაგრამ ცდა ვერას ვახდა და საზარელმა სიღარიბემ საბოლოოდ თავში ჩამიკაკუნა; ვხედავდი, რომ ვიღუპებოდი, მაგრამ მარტოდ მე-კი არა, ჩემ გამო ისინიც... აქ-კი ველარ ვიმაგრე და შევშინდი. რასაკვრელია, მიჰხვდები, რომ ჩემის თავისათვის-კი არა, ისევ იმათთვის. თუ ორ წელიწადს გავუძელ, შემეძლო ათიც სხვა გამეძლო, თუნდაც მთელი ჩემი სიცოცხლე ისე გამეტარებინა, თუ-კი საჭიროება მოითხოვდა... მაგრამ ის-კი, რომ ერთხელ ნანახი ჩვენის ოჯახის სიღატაკე ისევ აღმედგინა: დას გაკვეთილებისათვის აქა-იქ ერბინა, საბრალო მოხუცს დედას კიდევ დღე და ღამ საკერავზე თვალები ეწყალებინა... გესმის, იმ კუწუბების გამოყვანაზე, მანქანის თვლების კბილებს რომ წააგავან და თვალთა სინათლეს უკარგავენ ადამიანსა... არა! ეს არ შემეძლო მექმნა. ვიდრე ცოცხალი ვარ, ამ გვარს ველარას ვერ გამოვაცდეინებ... აი, ამისთვის ვიკისრე ფაბრიკაში სამსახური.

ფრანკეირიდი. საბრალო ახალგაზრავ (დუმილია.—შწოდარე ნამუნი მუშტით თვალებს იწმენდავს). მერე, მამას... მამას, განა, არ შეეძლო ეშველა?.. ისაც ხომ თურმე სადღაც ასაღებს თავისს საზარელს სურათებსა?.. თუმცა... შეიძლება მოვტყუვდი კიდეც, რომ დავუჯერე, ვითომ იმასაც ეყიდება სურათები! მითხარი ერთი, ე ჯაქსონი რა კაცია, ვინ არის. უთუოდ შენივე შეთხზული იქმნება?.. აკი ვთქვი! — მაშასადამე, ყველა მისი უკვდავი ნაწარმოებნი...

ანრა (დაბალის ხმით). იქ, ჩარდახში, ყრია... აბა, რას ვუზამდი! საბრალო მოხუცსაც უთუოდ თავისი გროშები უნდა ჰქონოდა, რომ საყვარელი ფაბიანსის ნივ-

თები ეყიდნა ხოლმე .. ამიტომაც ცალკე შემოსავალი გავუჩინე.

ფრანკეიროლი (ნაღვლიანად). ეჰე, ძმაო! რომ ვხედავ, ოჯახის ბედნიერება ძლიერ ძვირად დაგჯდომია! ხელოვნება, გულის სატრფო, მთლად ძალ-ღონე, მთელი სიცოცხლე იმათთვის შეგიწირავს...

ანრა. ყოველივე... მაგრამ არა ვწუხვარ... მართალია, დიდია ეს ჩემი მსხვერპლი, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ მათ შეეწირათ იგი... ეს აზრი-კი, ჩემო მეგობარო, მეტად..

ფრანკეიროლი (ცხარედ). ჩუმად!.. არა, საზარლობაა!.. წარმოსადგენადაც-კი საზარელია, რომ ხალხმა, რომელიც ასე გულმერთებს, ამდენი ბოროტი მოგაყენა!.. ღმერთო ჩემო! აი, თურმე რა არის ოჯახი! ნუ თუ მოსიყვარულე ხალხს მხოლოდ ასეთი ვნება შეუძლიან?..

ანრა. პიერ...

ფრანკეიროლი. ოჰ! ეს ბიბლიური ლეგენდა აბრაამის შესახებ, შვილს რომა ჰკლავს... რა მკაცრია და იმავ დროს რა მართალი რამ არის!.. გახსოვს, ვენეციაში სომხების მონასტერში ვნახეთ ასეთი სურათი და მაშინვე საშინლად იმოქმედა ჩვენზედ... ეგრედ წოდებული აბრაამის მსხვერპლის შეწირვა იყო გამოყვანილი... თუმცა მე ოფრი ისააკისას ვუწოდებდი. უცნაური სურათი იყო... აგერ, თითქოს ეხლაც თვალითა ვხედავ!.. ისააკი შუაში სდგას, სამსხვერპლოს მიჰყრდნობია; სრულიად ჯანსაღი 16 წლის ახალგაზრდაა, ყელ-შიშველი, ხელ-ფეხი შეკრული არა აქვს; შეეძლო თავის დახსნაც, გაქცევაც, მაგრამ, არა! ნებაყოფლობის მსხვერპლია: სიკვდილს ღიმილით ელის. მარცხნივ აბრაამი სდგას, —მშვიდობიანი, წყნარი სახე აქვს და თმები ჟურდეილისავით გრძლად ჩოშვებული; ჰრტყელს დანას ერთგულათა ჰლესავს,

რომ საქმეს შეუდგეს... შორს მოსჩანს გარეული ვაზები და იქვე ვერძი... ყოველივე ეს მეტად მოუხეშავადა და გულუბრყვილოდ არის გამოყვანილი; მაგრამ ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, რომ სიცილს აქ ადგილი აღარა აქვს... მამა სრულიად დამშვიდებული უპირებს შვილს ყელის გამოჭრასა; შვილმა კიდევ იცის, რომ ახლავ სიცოცხლე გამოეწირება, მაგრამ არა სწუხს და წყნარადა სდგას, ბავშვურის თვალთა გამომეტყველებით თითქოს ეუბნება: „მიიღე, მამავ, სიცოცხლე ჩემი, რადგან შენგანვე მაქვს მონიჭებულიო“... შენი ბედი, ჩემო კარგო, მთლად ამ სურათზეა გამოყვანილი: შენც, ისააკივით, მორჩილებითა და წყნარად გაგიშვერია დანისათვის ყელი, შენც, მისებრ, ოჯახის მსხვერპლი ხარ... იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ღმერთს შენთვის კრავი არ გაუჩენია, რომელიც შენ მაგიერად უნდა შეწირულიყო და აბრაამს დანა მედგრად (ხელით ანიშნებს) დაუჭერია.

ნამუნა (საშინლად გაბრაზებული წამოიწევს და მუშტებს აქნევს). ვერა კარქი აბრამი! უალლაჰ! ვერა კარქი! (გადმოგორდება დივანიდანა და გაცოფებული შუა კარებიდან გარეთ გავარდება).

ფრანგეიროლი (მიიხედავს). ვინ არის? რა ხმაურობაა!

ანრი. არაფერი. ნამუნია, გაიღვიძა და სამუშაოზე გაიქცა... დროა! (სამეშაოდ მომწვევი ზარი რეკავს. მოსჩანს, ფაბრიკის ეზო როგორ მუშებით ივსება, ანრი მძიმედ წამოდგება). დროა! (მაგიდასთან მივა).

ფრანგეიროლი. შენ საით-ლა?

ანრი. სამუშაოდ. მეც ისრეთივე ხელოსანი ვარ, როგორც სხვები... დრო მე არ მეკუთვნის... მშვიდობით, პიერ. მართალია, სასტიკია ეგ შენი შედარება, მაგრამ მიპატიებია; დედა არა გყავს. ბევრი რამაა ისეთი, ჩემო კარგო, რის აზრიც შენ სრულიად არ გესმის.

ფრანკეიროლი (მიეკა და გრძნობა წატაცებით დაუკერს ორსავ ხელებსა). არა, სცდები, ჩემო კარგო, მესმის!.. მესმის, რა დიდი და წმიდა რამ უნდა იყოს ოჯახის მნიშვნელობა, რომ ასეთ უმაგალითო თავგანწირვასა და მსხვერპლსა თხოულობს... ვინ იცის? იქნება, იმიტომაცა ვარ ასე გულ-ნაკლული, შეწუხებული, რომ თვითონ ოჯახი არა მაქვს. მაგრამ, ყური დამიგდე! მეც მაქვს უფლება მცირე უსამართლობისა, იმიტომ რომ მეტად ცუდად მომეპყარი!.. არა, მითხარი, როგორ მოგიხდა ეგა, რომ იცოდი მე მდიდარი ვარ და მასთან შენს მეტი მეგობარი სხვა ამ ქვეყნად არავინ გამაჩნდა... და...

ანრი (ბირზე ხელს მიაფარებს). ჩუმათ, პიერ! იმიტომ ჩამოგართვი სიტყვა წასვლისა, რომ რის თქმაც გინდა, სწორედ ეგ არ გამეგონა, და უნდა წახვიდე კიდეც.. აკი სიტყვაც მომეცი!..

ფრანკეიროლი. ო, ანრი! რა სიამაყეა... ჩვენ შორის...

ანრი. დიახ, სწორედ სიამაყეა... მათით ვამაყობ... (დირსებით). გმადლობ!.. ვიდრე ცოცხალი ვარ... ჩემის ოჯახის შენახვა და გამოკვება მხოლოდ მე შემეხება.

ფრანკეიროლი. მერე, მე, მე კი შენს ოჯახს არ ვეკუთვნი? განა, მე შენი ძმა არა ვარ?

ანრი. ჩემი-კი ძმა ხარ, მაგრამ იმათი შვილი არა ხარ!

ფრანკეიროლი. ეჰ, ღმერთო ჩემო! რა ვუყოთ, რომ შვილი არა ვარ; ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ არა მსურდეს... მე კი მხოლოდ მაგას ვვოცნებობ, რომ შვილი მიწოდონ.

ანრი. როგორ?

ფრანკეიროლი. რა ვიცი, თუნდ აი, ისე, რომ... შენი და შევირთო...

ანრი (გაკვირვებული). ლუიზა?

ფრანკეიროლი. და თუ ეს მოხდებოდა, მაშინ მშობლებს ჩვენ წავიყვანდით და მათი შენახვა შენ აღარ შეგეხებოდა.

ანრი. რას მიჰქარავ, რასა!

ფრანკეიროლი. რაც გესმის. მე შენი და მიყვარს... ჩემი საიდუმლოც ეგ არის, წელან რომ გეუბნებოდი.

ანრი. როგორ, მაშ, შენ მეუბნები ამასა, პიერ გადირბინე-მინდორო?..

ფრანკეიროლი. ე, ჩემო კარგო, მეც არ ვიცი, რა მემართება... (ხელით ანიშნებს, ვითომ ნადებსა სთქვეფს). უთუოდ იმ პატარა ჯადოქარმა მომხიბლა, მომაჯადოვა... საქმე ის არის, რომ პიერ გადირბინე-მინდორი ამ ჟამად მხოლოდ იმას-ღა ფიქრობს, რომ მკვიდრად სადმე მოიკიდოს ფეხი... აი, თუნდაც ვილ დ'ავრეს ქალებში

ანრი (დამიდით). მერე, პატარა ჯადოქარი რაღა აზრისაა? იმასაც უყვარხარ?

ფრანკეიროლი (დაფიქრებული). იმასჯ?.. ფუ, ეშმაკსა!.. იცი, რა არის, მეგობარო, იქამდის მიყვარს, რომ ამის შესახებ ერთხელაც არსად არ მიფიქრია...

ანრი. მერე, უმთავრესი-კი ხომ ეგ არის...

ფრანკეიროლი. არა, მართალი-კი რო ვსთქვათ, რა უნდა იყოს ახალგაზრდა პარიზელისათვის მიმზიდველი ასეთს მოუხეშავს ბებერს ზღვაოსანში?.. მაგრამ, შენ-კი რომ მოგენდომა, ერთი სიტყვის მეტი საჭირო არა იქნებოდა-რა...

ანრი. არაფრის გულისათვის მაგას არ ვიკისრებ! ვინ იცის, იქნება იმასაც თვისი საიდუმლო აქვს?.. ვუთხრა და ჩემმა სიტყვამ მისი ოცნება დაარღვიოს, მისი ქალწულებრივი ტრფიალი იმსხვერპლოს?... არა! ისევ ისააკათ ყოფნა მირჩევნია და უდანაშაულოდ-კი კრავს ვერ ვიმსხვერპლებ...

ფრანკეიროლი. მაშასადამე, არა კისრულობ მაქანკლობა გამიწიო?

ანრი. რატომ? ვკისრულობ, მაგრამ წინადვე გატყობინებ, რომ ისევე ვილაპარაკებ შენზედაც, როგორც ყველა სხვაზე და როგორც-კი მცირეოდენს რასმე შევნიშნავ...

ფრანკეიროლი. მაშ, ეხლავე მოელაპარაკე... აგერ, აქეთ მოდის.

ანრი (ეზოში მიმავალს ქალებს დაინახავს). როგორ, მართლა ესენიც აქა ყოფილან?.. მე-კი მეგონა ნამუნმა... (ფრანკეიროლს). ჩქარა, აქედან დაიკარგე!

ფრანკეიროლი (კუთხეში მიიმალება, ჩამოკიდულ შპალერებს უკან). მოიცა! აი, აქ დავიმალები!

ანრი. მაგრამ უფრთხილდი! ვაი თუ ისეთი რამაც გაიგონო, რაც შენთვის არაფრად...

ფრანკეიროლი (თავს გამოჭყოფს და თითს ბირთან მიიტანს). ჩუ-უ!..

გამოსვლა მეხუთე

იგინიგე, ლუიზა და ქ-ნი ჟურდეილი.

ლუიზა. ოჰო, აგრე უნდა? აგრე გენატრება ჩვენი ნახვა?

ანრი (ჭკოტნის). არ ვიცოდი, თუ აქ იყავით... მცირე რამ გამოურკვევლობა მოხდა... გამარჯობა, ლუიზა.. ნამუნია მთლად დამნაშავე, იმან დამაბნია... გამარჯვება, დედი!...

ქ-ნი ჟურდეილი. გამარჯვება, საძაგელო!

ანრი. მამა ჩემი სადლაა?.. თქვენთან არ მოვიდა, განა?

ლუიზა. როგორ არა, მოვიდა... აქ არის!.. მხოლოდ ეს არის ნამუნმა წაიყვანა... ფაბრიკაში რაღასაც აჩვენებს... მე და დედას-კი მოგვწყინდა კიდეც... მარგაროცა და იმისი მანქანებიც... უჰ!..

ქ-ნი ჟურდეილი (შეიდს). სხვა, ხომ ჯანსაღათა ხარ?.. ვინ იცის, რამდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ, რაც ერთმანერთი აღარ გვინახავს!

ანრი. ჰო, მართლა. . ერთი ახალი ამბავი კიდევ უნდა გაგაგებინოთ!

ქ-ნი ჟურდეილი. ღმერთო! ნეტა, რა არის?..

ანრი. მხოლოდ ამ ჟამად იგი მე არ შემეხება. საქმე ის არის, რომ... (ლუიზასაკენ გასწევს, რომელიც კუთხეში მივა და შეშლერებს ათვალიერებს). შენ ეი, აქ მოდი... მოდი აქა... საქმე ის არის, რომ ლუიზას საქმრო აღმოუჩნდა.

ლუიზა. მე-ე?

ქ-ნი ჟურდეილი. მართალს ამბობ?

ანრი. სრულიად მართალს!

ლუიზა (ხარხარებს). ოჰ, ღმერთო! მეერე, ვინ არის ეგ უბედური?. ვილ დ'ავრელი ბიძია ბორნიში ან m-er პიპეტი ხომ არ არის?!.. მაგრამ, არა, პიპეტი არ იქნება, გაგვექცა.

ანრი. როგორ, კიდევ დაწყვიტა?

ქ-ნი ჟურდეილი. ჰო, ერთი კვირაა აგერ... აღარსადა სჩანს, გაქრა...

ანრი. არა, ლუიზა, არა, არც პიპეტია, არც ბიძია ბორნიში... ეს გახლავთ... აბა, პირდაპირ მიყურე... გახლავთ ფრანკეიროლი.

ლუიზა. ფრანკეიროლი!.. ოჰ, ბედნიერებავ!..

ქ-ნი ჟურდეილი. არა, ლუიზაჯან... (ლუიზა დარტყვენილი პირზე ხელებს მიიფარებს).

ანრი (ცინის). გმადლობ, გმადლობ!.. შენთან საქმის დაჭერა, რო ვხედავ, უბრალო რამა ყოფილა: უცბად გაიგებ მაინც, რას ფიქრობ, ან რა გწადიან.

ლუიზა (პირიდან ხელებს ჩამოიღებს). მეერე, რა არის, რო?.. ბედნიერებაა-მეთქი... ვთქვი და არც თუ ვუარობ. ბედნიერება არ არის, განა, რომ ჩემის ძმის მხსნელ-

მა, ამისთანა მამაცმა და საუცხოვო კაცმა ასეთს გოგოს, როგორიც მე ვარ, ყურადღება მიაქცია! აი, ჩემი პასუხი: პიერ ფრანკეიროლი გულით მიყვარს დ:—თუ თქვენც თანახმანი იქნებით—მზა ვარ ერთგულობითა და სიყვარულით მივუწყა სამაგიერო იმისა, რითაც ჩვენი ოჯახი იმისაგან არის დავალებული.

ქ-ნი ჟურდეიღი. იცი მხოლოდ რა არის, შვილო: ფრანკეიროლი მდიდარია,

ლუიზა (შემკრთალი). მდიდარი?

ანრი. არა, დედი! საქმე სიმდიდრე არ არის... და თუნდ აგრეც იყოს, მითხარ, რა სიმდიდრეს შეუძლიან ანაზღაურება ამ წმინდა სულისა და მშვენიერ, მხიარულ თვალებისა, რომლებიც ფულის ხსენებაზედ წამს ცრემლებით აევსო?.. არა, სიმდიდრეზე აქ არა ითქმის-რა... მე სულ სხვას ვფიქრობ და მინდა უთუოდ გამოვარკვიო კიდეც, აი, რა... არ მინდა ლუიზა ვალდებულადა სთვლიდეს თავისს თავსს მისთხოვდეს ფრანკეიროლს მხოლოდ იმიტომ, რომ მე და ის მეგობრები ვართ... (ლუიზას). მოითმინე, არა, როგორ ბოხდა... ჯერ ხომ თვეც არ არის, რაც ერთმანერთი გიცანით...

ლუიზა. როგორ თუ თვე არ არის?.. აგერ, ექვსი წელიწადია, რაც ფიქრით მუდამ მასთანა ვარ...

ანრი. მართლა!.. (იტყვრება კუთხისაკენ, სადაც პიერია დამჯდარი). მაგრამ იქნება იმის ნახვამდე სხვისა ვისსამე სახელს ატარებდი გულით?

ლუიზა. ჩემს გულში მხოლოდ და მხოლოდ ერთად-ერთი ფრანკეიროლის სახელია ჩაწერილი.

ანრი (წამოდგება). საშინლათ მინდა შევხედო ერთი, რას დაეგვანა, ნეტა, ამ ლაპარაკის დროს! (შეჯდერებისაკენ მიდის კუთხეში).

ქ-ნი ჟურდეიღი. როგორ, განა...

ლუიზა. უი, დედი! აქა ყოფილა... (თავს დედის გულზე მისდებს, დაიმალება).

ანრი. რასაკვრელია, აქ იყო... ასეთ შემთხვევაში სხვაფრივ არ იქცევიან (ფრანკეიროლი შეხედავს ასწევს). გამოდი რაღას უცდი!

ფრანკეიროლი (შემკრთალი, გაფაფითრებული გამოვა, ფეხზე ძლივს სდგას). ოჰ, მეგობარო!..

ანრი (ხელს მიაშველებს). რა დაგემართა! გული-კი არ შეგიღონდეს!.. ეჰე, ჰხედავთ, როგორ შეიცვალნენ! (ლუიზასთან მიიყვანს). აბა უყურე: ეს შენზე მაგრაა.

ლუიზა (ცალი თვალით გამოჰხედავს). ო-ო, საძაგელო ძამიავ, მახე დამიგე, განა?..

ანრი. კარგი, კარგი... ეხლა ხომ ყველაფერი ვიცი!..

ფრანკეიროლი (ძლიერ აღელვებული, იდიმება). M-lle ლუიზა, თქვენი ოჯახი ამიერიდგან აღარასფრით მოვალე არ არის. ის, რაც ამ ორის წამის წინად გავიგონე, ყოველსავე საზღაურსა სჭარბობს... (ხელზე აკოცებს. შემდეგ დედას მიჰმართავს). დღემდისაც ხომ თითქოს რაღაც ნათესავადა მთვლიდით... ნება მომეცით, ამიერიდგან თქვენი ნამდვილი შვილი ვიყო...

ქ-ნი ჟურდეილი. როგორ... ჯერ უნდა მამასაცა ვკითხოთ...

ლუიზა. აგერ, მამაც მოდის!

ქ-ნი ჟურდეილი. ახლავე იმასაც ვკითხავთ... ყური დამიგდე, მეგობარო.

გამოსვლა მეექვსე

იგივე, ჟურდეილი-მამა მთლად კაფაფითრებული და ირეულია.

ჟურდეილი-მამა (ტოლს მოირიდებს). მოიცა... ანრი სად არის?

ქ-ნი ჟურდეილი. რა დაგემართა, რა არის?

ჟურდეილი-მამა (შვილისკენ მიდის). ანრი, შვილო... ჩემო ძვირფასო... მე... მე... სწორედ რომ საზიზღარი რამა ვყოფილვარ... მაპატიე.

ანრი. ღმერთო ჩემო, რა დაგემართა?

ჟურდეილი-მამა. არა, არა.. ტყუილად ნულარ ეცდები მოტყუებასა... ეს არის ეხლა... ჩარდახში ვიყავი... და...

ფრანგეიროლი. აი-აი-აი!..

ჟურდეილი-მამა. ყოველისფერი გავიგე... ნამუნმა მიამბო.

ქ-ნი ჟურდეილი. ნამუნმაო!..

ანრი. ოხ, ის საძაგელი ბიჭი, ისა!..

ჟურდეილი-მამა. მე-კი გამტყუნებდი ხოლმე!.. განდგომილს, რენეგატს გიწოდებდი! წარმოიდგინე, აბა,—რენეგატს! (იცინის და თან ცახცახებს, თრთის). ხა-ხა-ხა-ხა! ვინ იცის, ი მარგაროც როგორ დამცინოდა!..

ქ-ნი ჟურდეილი. მაინც, რა არის, რა?..

ჟურდეილი-მამა. ისა, რომ ბებერი ვირი, ბანჯღვლიანი ყურ ყუტი ვარ... ჟურდეილი-უფროსი!.. მეთქი, ვამბობდი ხოლმე!.. ესაც შენი ჟურდეილი-უფროსი, თავგამოდებულო პირუტყვო!.. შენ მხოლოდ ბებერი ჟურდეილი ხარ, თვითმოყვარე, ავადმყოფი, სხვა არაფერი... დაიჩოქე, შე მხეცო და ნადირო, საკუთარის შვილის წინ და პატიება სთხოვე...

ანრი (მიჭვარდება). არა, არა! ეგ შეუძლებელია...

ქ-ნი ჟურდეილი. მაინც, საქმე რაშია, ღმერთო ჩემო?.. არ მეტყვით?..

ანრი (ძალათი მიჭყავს მამა მარცხნივ). არაფერი, უბრალო საქმეა..! ნამუნს რაღაცა მოუჩმახავს. იმ საძაგელსა!..

ჟურდეილი-მამა. არა, არა... (ანრი ხირზე ხელს აფარებს და შუაში ჩაუდგება, დედას არ უშვებს).

ქ-ნი ჟურდეილი. აკი მუდამ ვამბობდი ხოლმე, ე საძაგელი აფრიკელი ერთხელაც არის ცუდს რასმე შეგვამთხვევს-მეთქი! (ქმართან მივა). მითხარი, ადამიანო, რა მოჩმახა?..

ანრი (მამას). ჩუ-უ! (დედას). ერთს წამს მოითმინე, დედი, რა არის?

ფრანკეიროლი (დედას წაიუვანს მეორე მხარეს). ჰო-და, რა არის... თავი დაანებეთ... მოლაპარაკება უნდათ...

ანრი (მამას). ხომ გიყვარვარ, არა, მამი!

ჟურდეილი-მამა. შენ-და არ მიყვარდე?

ანრი. მაშ, თუ აგრეა... დედასთან ამის შესახებ ნულარას იტყვი... გესმის?.. რომ ვერა გაიგოს-რა... არა-სოდეს!..

ჟურდეილი-მამა. მესმის... გეშინიან, ვაი თუ ჩემი პატივის-ცემა აღარა ჰქონდეს?

ანრი. არა, — მეშინიან, რომ ცუდად იმოქმედებს.

ქ-ნი ჟურდეილი. რა იყო... რაო?..

ჟურდეილი-მამა. არაფერი... არაფერი, საცოდავო, სულ უბრალო რამ... პირველათ ხომ არა ჰხედავ შენს ქმარსა... არ იცი, რა ხასიათიცა აქვს?.. სიცხე მაქვს... ვბოდავ... ცეცხლივით ავენთები და — მერე... ისევ...

ფრანკეიროლი (მიუახლოვდება. ლუიზაც მუჯლუგუნსა სცემს). M-er ჟურდეილ...

ჟურდეილი-მამა. ა-ა, შენა ხარ?.. საიდან გაჩნდი?..

ქ-ნი ჟურდეილი. ჰო, მართლა! ჯერ ხომ არ იცი... მთელი ისტორია მოხდა...

ფრანკეიროლი. M-er ჟურდეილ, ნება მომეცით, თქვენი ქალი ვითხოვო ცოლად... ერთის თქვენის მახლობელ მეგობრისათვის... პატიოსანი კაცია... სახელად ფრანკეიროლს უწოდებენ...

ჟურდეილი-მამა (ცოდს). როგორ?

ქ-ნი ჟურდეილი. აი, ასე... თურმე ერთმანეთს აღმერთებენ.

ჟურდეილი-მამა. ჰხედავთ ამ ყაჩაღსა! კიდეც ამიტომ მოდიოდი ხოლმე, ვითომ-და ჩემის ნათხუპნით დასატკბობადა... განა, არა, უნდა მივხვედრილიყავით, რომ იმიტომ არ მოდიოდი... და ამას გარდა, უნდა იცოდე, რომ ჩემის სახელოსნოს ნაწარმოებთაგან ამ ორის გარდა, სხვა (შვილსა და ქალზე უჩვენებს) არა შემიქმნია-რა რიგიანი.

ქ-ნი ჟურდეილი (ნაწყენი). ეჰ, მეგობარო, როგორ... მაშ, შენი მედალი რაღაა?..

ჟურდეილი მამა. მედალი ... (იქით). საბრალო დედაკაცი!

ანრი. კარგით, მაგრამ ქორწილი როდის-ღა გადავიხადოთ?

ჟურდეილი-მამა. როცა გნებავდეთ. მაგრამ ჯერ უნდა უთუოდ შენ დაანებო თავი ამ საზარელს ფაბრიკასა.

ფრანკეიროლი. ო, ეგ, რასაკვრელია, აგრე იქნება!

ქ-ნი ჟურდეილი. არა, რათ გინდათ, რომ აქედგან გაგდოთ უთუოდ... მე-კი მიხაროდა, ასე კარგად მოეწყო-მეთქი...

ჟურდეილი მამა. არა, ამის აქ დარჩენა შეუძლებელია.

ქ-ნი ჟურდეილი. მერე, იმოდენა „ნეუსტოიკა“ რომ აწევს!.. ოცი ათასი ფრანკი საიდგან უნდა მისცეს...

ჟურდეილი-მამა. ოცი ათასი?...

ანრი. დიახ...

ფრანკეიროლი. ეგ არასფერი! ფრანკეიროლი საკმაოდ მდიდარია, რომ...

ჟურდეილი-მამა. არა, არა... ჩემს მეტს ეგ არავის არ შეეხება... ჩემი საქმეა! ხვალ შუადღისას „ნეუსტოიკა“ გადახდილი იქმნება.

ქ-ნი ჟურდეილი. საიდამაო, მემკვიდრეობა მიიღე, თუ რა არი?

ჟურდეილი-მამა. სრულიადაც არა... ეს... ჰო, მართლა! დამავიწყდა მეთქვა... ახალის გამოგონების წყალობით პიპეტმა თავისი ქონება გამოაბრუნა და .. ჩემს ფულს მიბრუნებს...

ეგელანი. პიპეტი!..

ჟურდეილი-მამა (სიცილით შეჰყურებს). ხარია! არა?

ანრი (მამას ჩუმად). შენ უთუოდ შენის კოლექციის გასყიდვა გინდა... არა, მაგისი თანახმა არა ვარ.

ჟურდეილი-მამა. არა, შვილო, ნება მომეცი, ეს მცირე მსხვერპლი მაინც შეგწირო... დროა, ახლა მაინც მამობა გაგიწიო!

ლუიზა (ნამუნი კუთხიდან გამოუთრევია და მუჯლუგუნსა სცემს). ნუ გეშინიან, ქაჯო.. ხომ არ შეგჭამენ!

ანრი. ა-ჰა, შენც აქა ხარ, საძაგელო!

ქ-ნი ჟურდეილი. ბიჭო, ის რა ჩაიდინე, ჰა?

ნამუნი (მივა ანრისთანა და ჟურდეილის ჯოხს მიუტანს). ნამუნი ენა არა დაიჭირა... ნამუნი ჯოხი ჭამა...

ანრი (გაიდიმებს). არა, ეხლა არა! დღეს მეტად ბედნიერი ვარ... (მარჯვნივ გაიყვლის და დედის წინ დაიჩოქებს).

ჟურდეილი-მამა. საბრალო ჩემი თეფშები!.. რა ვუყო.. კვირაობით მუდამ კლიუნის მუზეუმში ვივლი... რომ ცქერით მაინც არის დავტკბე... (სტენის შუა-გულ გაიყვლის და ქ-ნ ჟურდეილთან მივა, რომელსაც გარს მთელი ოჯახი შემოჭვრეტია. ნამუნი შუა გზაზედ შეაუენებს, ხელს გამოართმევს და აკოცებს). რასა შვრები, ყაჩაღო, ჰა?

ნამუნი. შენა კარქი აბრამი! კეთილი აბრამი!

ინ-ანი.

ბლეხი კაცი

(რომანი *)

ვილჰელმ ფონ ჰოლენტენისა

ლევ ტოლსტოის წინასიტყვაობით

VI

კაჩნერის ქვრივი და მისი ქალი პაულინა სახლს უვლიდ ნენ. პაულინას დედა სისუფთავის დიდი მოყვარული იყო და სახლს სამაგალითო სისუფთავით ინახავდა. მებატონის სახლში მოსამსახურედ ყოფნის დროს ბევრი კარგი ჩვეულება შეითვისა, რასაც გალბენაუში „კარგ ქცევას“ ეძახდნენ და რითაც კაჩნერის ქვრივი სოფლის ყველა დედაკაცებისაგან შესამჩნევად განსხვავდებოდა. კედელზე, საპატიო ადგილზე, თავისი ძველი ქალბატონის, აწ გარდაცვალებული გრაფის მეუღლის, სურათი ჰქონდა ჩამოკიდებული.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კაჩნერის ქვრივი უკეთეს ც ოვრებას იყო შეჩვეული, სოფლის სხვა დედაკაცებთან შედარებით, მაინც არაფერს თაკილობდა და რაც კი შეხვდებოდა ოჯახში გასაკეთებელი, ყველაფერს ერთგვარი სიყვარულითა და ნდომით ჰკიდებდა ხელსა. ეს დღე შაბათი იყო, როცა ყოველ ოჯახში დიასახლისები მოვლა-გასუფთავებაში არიან ხოლმე გართულნი. მოხუცსა და პაულინას ქვედა-ტანი მაღლა აეწიათ, მკლავები დაეკარწახებინათ და იატაკს გულმოდგინედ

*) იხ. «მოამბე» № 10, 1903 წლისა.

რეცხავდნენ. მოხუცი ჩვრით ამშრალებდა დასველებულ იატაკს და ქალი ცოცხით რეცხავდა. შუა ოთახში წყლით სავსე თაბახი იდგა. დოსავით გათეთრებულ წყალს ეტყობოდა, იატაკიდან ცოტა ჭუჭყი არ იყო დღეს აცლილი. პაულინა წელში გაიმართა, რომ ქვაბის ცხელი წყალი მოეტანა და თაბახის მოსვრილი წყალი გამოეცვალა, მაგრამ შემთხვევით ფანჯარაში გაიხედა და გაკვირვებული ერთ ადგილს გაშეშდა.

— დედილო, შეხე! შიგ ბოსტანში ვიღაცის ეტლი მოდის, ღმერთო, მგონი გრაფის ქალები არიან.

კაჩხერის ქვრივი ფანჯარას მივარდა.

— ღმერთო ჩემო! მართლა ისინი არიან! აბა, გოგო, დატრიალდი!

ქვრივმა ფიცხლავ ქვედა-ტანი გაისწორა, სახელოები ჩამოიწია, იატაკზე ადგილ-ადგილ დამდგარი წყლის გუბეები მიშხვიპ-მოშხვიპა და თაბახი ფეჩზე შესდგა. ყველა ამას ერთი წუთიც კი არ მოანდომა მოხუცმა. ამასობაში ფანჯრის შუშაც დააკაკუნეს. სახლის წინ დაწნული პატარა ეტლი იდგა და შიგ ორი ახალგაზდა ქალი იჯდა. ფანჯარაც ერთმა იმათგანმა დააკაკუნა შოლტის ტარით.

— არის ვინმე სახლში თუ არა? — გაისმა ქალის სუფთა და წკრიალა ხმა.

— მე გავალ, პაულინა! — მიუბრუნდა ქალს დედა. — და შენ გადაიცვი რამე, ეგრე ხომ ვერ დაენახვები? ჩულქები ჩაიცვი და ყელზე სუფთა ხელსახოცი მოიხვიე, გესმის? მე კი ცოტა ხანს შევაჩერებ კარში. აბა, შენ იცი, როგორც ჩქარა ჩაიცვამ!

პაულინამ, რომელიც ისედაც გადირია, დაინახა თუ არა გრაფების ეტლი, ხმაამოუღებლივ დაუჯერა დედას და, თავ გადაგლეჯილი, თავის ოთახისაკენ გაიქცა. მოხუცმა ფანჯარა გააღო და შეკივლებით თავისი სიამოვნება და გაკვირვება გამოხატა.

— ღმერთო ჩემო! ამას რასა ვხედავ? გრაფის ქალები მეწვივნენ! ამ წუთსვე გამოვალ, ამ წუთსვე!

ამ ლაპარაკში ქალებიც გადმოვიდნენ ეტლიდან. ერთმა იმათგანმა აღვირის თასმები უკან მჯდომ მოსამსახურეს გადუყარა. ორთავე ქალს ღია ფერის კაბები ერთნაირად ჰქონდათ შეკერილი და ჩალის განიერი შლიაპები ფერად-ფერადი ლენტებით მორთულ მოკაზმულები ჰქონდათ. უმცროსი, ვანდა უფროსზე მაღალი ტანისა იყო, შავგვრემანი და თავადური ამაყობითა და კეთილშობილებით ჰქონდა სახე სავსე. უფროსი, იდა კი, შუა ტანის თეთრი ქალი იყო და ოქროს ფერი ხუჭუჭა თმა ფაქიზათ ეყარა თავზედ. მისი მშვიდი, მაგრამ დიდრონი, თვალები და ფაქიზათ შემოხაზული ბაგე თითქოს რაღაც იდუმალ და ფარულ ნაღველს მოასწავებდნენ.

ბოლოს მოხუციც გამოჩნდა კარებში და, როგორც ბატონის სახლში ჰქონდა უწინ ნანახი, მდაბალი სალამით ოდნავ ჩაიჩოქა ზრდილობიანად.

— რამდენი ხანია შენ ნახვას ვაპირებდით, ბერტა! — დაუყვირა ვანდამ და მოსამსახურის თანადახმარებით ცხენს გამოხსნა დაუპირა. — რა საძაგელი გზა გაქვთ, ღმერთო. კინაღამ ეტლი გადაგვიბრუნდა. შეიძლება „პონი“ ბალახზე გავუშვათ? — დაეკითხა კაჩნერის ქვრივს ვანდა.

კაჩნერის ქვრივი წამ-და-უწუმ ჩაჩოქებით არწმუნებდა ძვირფას სტუმრებს, რომ იმის სახლში ყველაფერი იმათ ბრწყინვალებას ეკუთვნის და ბერტა დიდ ბედნიერებათა და პატივათ ჩასთვლის, თუ იმათი ცხენი კაჩნერების ბოსტანში საძოვარს რამეს იშოვნის. მერე მიუახლოვდა, რომ ახალგაზდა ქალებისთვის ხელები დაეკოცნა, მაგრამ სტუმრებმა ნება არ მისცეს.

— პაულინა შინ არა გყავს, ბერტა? — დაეკითხა უფროსი და.

— შინ გახლავთ, იდა, შინ. იქნება გაგვაბედნიეროთ და სახლში შემობრძანდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ... თუმცა ჯერ მოუვლელი გვაქვს სახლი.

— ეგ პირველად არ მესმის შენგან, ბერტა! შენი ბოდიშების ამბავი კაი ხანია ვიცით! — შეაწყვეტინა უმცროსმა დამ. — შენ სულ იმას ჩივი, სახლი მოუვლელი და დაულაგებელი

მაქვსო, მაგრამ კოპწია კოლოფსავით კი გამოიყურება ხოლმე თქვენი სახლი. ნეტა ჩვენც მუდამ ეგრეთი რიგი და ყველაფერი თავის ადგილზედ გვქონდეს, როგორც თქვენა! შენ რაღას იტყვი, იდა, ამაზედ?

— ღმერთო ჩემო, რასა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ? იმედი მაქვს, არ გაგვიცხავთ, რავქნათ. წესი და სისუფთავე კი ძვირად არ გვიჯდება,—მე სულ ამას გავიძახი მუდამ. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ თქვენ ბრწყინვალების ოჯახში ყოფნის დროს უკეთა ვცხოვრობდი, მაგრამ მაშინ სულ სხვა დრო იყო.

— ჰოო, ჰხედავ? ეგ ყველაფერი კი იმიტომ დაჰკარგე, რომ გათხოვდი!—მიუგო ვანდამ, რომელსაც ყოველთვის მოურიდებელი ბლოდ ლაპარაკი უყვარდა და რაც მოადგებოდა ენაზედ, დაუყოვნებლივ იტყოდა ხოლმე.

— დიაღ, თქვენო ბრწყინვალებავ! ნამდვილ ჭეშმარიტებასა ბრძანებთ. გათხოვება ყოველთვის არ არის კარგი, თუმცა პირადათ მე საჩივლელი არა მაქვს-რა. მართალია, ქმარი მომიკვდა, ღმერთმა აცხონოს, მაგრამ ცოლქმრობაში ბევრი დარდი და უსიამოვნება აქვს ხოლმე ადამიანს! არა, თქვენ მართალსა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ვისაც ჭკუა აქვს, არასოდეს არ გათხოვდება. ამ ლაპარაკით ოთახშიც შევიდნენ. დერეფანში, პატარა მოაჯირს იქით კურდღლის ორი პატარა ბაჭია დახტოდა. ვანდამ ერთი იმათგანის დაჭერა მოინდომა, მაგრამ კურდღელი უფრო მარდი და ფიცხი გამოდგა. მოხუცმა კაჩნერმა ამ შემთხვევითაც ისარგებლა, რომ სტუმრები უფრო მეტი ხანი დაეჭირა დერეფანში, და პაულინასთვის ტანთ ჩასაცმელი დრო მეტი მიეცა. ქვრივმა მოაჯირის კარი გააღო. ბნელ კუთხეში ახლად მოჩიტებული ბარტყები მოგროვილიყვნენ.

— ფუ, რა საძაგლათა ჰყარს აქაურობა!—შესძახა ვანდამ და ცხვირი მაღლა აიბზიკა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც შევიდა მოაჯირს იქით, კურდღლის ბაჭიებს ყურში ჰკი-

დებდა ხელსა და აქეთ იქით ათრევდა. კაჩნერის ქვრივი კიდევ უხსნიდა, რომელი დედალი იყო და რომელი მამალი.

ქალებს როცა კურდღლების ყურება და თრევა მოსწყინდათ, ქვრივმა იფიქრა, ეხლა კი დროა შინაც შევიწვიოთ. ამ დროს პაულინაც გამოვიდა თავის ოთახიდან, თავ ჩაღუნული, სახე საშინლათ დასწითლებოდა და, როგორც ეტყობოდა, ეხლა უფრო მეტად იყო დარცხვენილი, ვიდრე პირველად, როცა კარებზედ მ-დგომილმა სტუმრებმა თავის ოთახისაკენ გააქციეს.

უწინ პაულინა მებატონის სახლშიაც კი დაიარებოდა ხოლმე და თავის ხნის იდასთან თამაშობასა და ცელქობაში აღამებდა დღეებსა. მაშინ პაულინა და გრაფის ასული დიდი მეგობრები იყვნენ, რადგან ბავშვობაში როგორღაც შეუმჩნეველათ რჩება ხოლმე საზოგადოებრივი და წოდებრივი განსხვავება. მიუხედავათ იმისა, რომ მოხუცი კაჩნერი თავის ქალს მუდამ ამ განსხვავებაზედ ეჩიჩინებოდა, ბავშვები მაინც ხშირათ გადააბიჯებდნენ ხოლმე ეტიკეტით შექმნილ საზღვარსა. მერე ორთავე დანი კეთილშობილთა პანსიონში მისცეს, საიდანაც ორთავენი მოზდილი ქალები დაბრუნდნენ. პანსიონიდან გამოსვლის შემდეგ პირველ ზამთარს გრაფის ქალებმა ბერლინის საზოგადოებაში დაიწყეს სიარული, ასე რომ ძველ მეგობრებს რამდენიმე წელიწადი არ ენახათ ერთმანეთი.

იდაც ჭარხალსავით გაწითლდა, პაულინას ხელს როცა არ-თმევდა პირველ წუთს უნდოდა ძველებურათ გადახვეოდა, მაგრამ შეეშინდა,—ძალდატანებული არ ეგონოთო და ხელის ჩამორთმევას დაკმაყოფილდა ისევ. ვანდა კი გაჩერდა პაულინას პირდაპირ და თავიდან ფეხებამდინ ათვალიერებდა.

— უყურებ პაულინასა! —შესძახა ცოტა ხნის დაკვირვების შემდეგ ვანდამ: — როგორ გაზრდილა და დასრულებულა! ძალიან დადედაკაცებულა, ღმერთმანი, გასათხოვრობა აღარ ეტყობა.

კისერი, ლოყები და შუბლი ალისფერად შეეღებნენ პაულინას. ვანდამ არ იცოდა და ვერც მიხვდებოდა, იმის სიტყვებში რა აზრი იფარებოდა.

ამისთანა გასაჭირ მდგომარეობაში ქვრივის დიპლომატიურმა ხერხმა ძლიერ გასჭრა.—მოხუცი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, რალაცეებს ეკითხებოდა სტუმრებს, ხან რას მიაქცევდა იმათ ყურადღებას და ხან რასა. უამბობდა წარსულისა თუ აწმყოს ამბებს და ყველგან და ყოველ შემთხვევაში ბატონებისადმი პატივისცემასა და სიყვარულს მოხერხებულათ უსვამდა ხაზსა. თან მაინც უკვირდა, რომ ქალბატონებმა იკადრეს და იმასთან მიბრძანება ისურვეს. ქვრივმა მშვენივრათ იცოდა, ბატონებთან ლაპარაკი და თავის დაჭერა როგორ უნდოდა სხვა და სხვა ხერხებით და მოსწრებული ლაპარაკით იქამდის მიიყვანა სტუმრები, რომ მაინც აალაპარაკა და რის გაგებაც უნდოდა, ყველაფერი ათქმევინა.

პაულინა კი ხმა ამოუღებლივ იჯდა და არც კი ინძრეოდა. ეტყობოდა, გულზედ რალაც აწვა მძიმე ლოდსავით და მეტად მწუხებდა.

— ღმერთო, რა კარგია აქ ყოფნა!—შეჰკივლა ვანდამ.—მართალი რომა სთქვას კაცმა, ეგრეთ წოდებული, ღარიბი ხალხი სრულიადაც არა ცხოვრობს ისე ცუდათ, როგორც ლაპარაკობენ მუდამ.

ამ დროს მეზობელ ოთახიდან საბრალო კნავილი მოისმა. პაულინა ძალიან შეკრთა და არც თუ კაჩნერის ქვრივს დაეყარა ხეირი.

— რა გყავთ იქით ოთახში? კატის კნუტები ხომ არ არიან? —დაეკითხა ვანდა.

ხმაზედ ეტყობოდა ვანდას კნავილის მიზეზის შეტყობა ეჩქარებოდა.

— ბავშვია!—მშვიდათ მიუგო მოხუცმა კაჩნერმა.—უკაცრავათ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— როგორ, განა წვრილი ყმაწვილები კიდევა გყავთ?

პაულინას თვალები ძირს დაეხარა და სისხლი სახეში მოსწოლოდა.

— ჩვენც არ ვიცით როგორ გაჩნდა ჩვენსა ეს ბავშვი,—სთქვა კაჩნერის ქვრივმა.—ერთი ქვრივი და მყავს, რომელმაც

თავისი ერთად-ერთი ქალი როგორც იყო გაათხოვა უბედურმა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სიძე სადღაც დაგვეკარგა. იმ სათოკეს ქალს ვინ მისცემდა? მე უწინაც ბევრი ვეჩიჩინე ჩემ დას მაგრამ გამგონი სადა მყავდა?.. ჰო და იმის შვილია ეგ ბავშვი. რა მეტი ჩარა გვქონდა, დროებით ჩვენ ავიყვანეთ. რავქნათ, ჯერ თითონაც უადგილოთ არის მაგის დედა და აბა მაგას სადღა შეინახავდა?

პაულინას გაუკვირდა, რომ იმის დედა ასე სცრუობდა, თვალებ დაჭყეტილი შესცქეროდა და გადაფითრებულ სახეზედ ეტყობოდა, რომ დიდ ღელვაში უნდა ყოფილიყო საწყალი. კიდევ კარგი, რომ ვანდა ებაასებოდა პაულინას დედას და კაი მცოდნესავით ვაჟების უსინიდისობაზედ და პატარა ყმაწვილებზედ ლაპარაკობდა. ამასობაში პაულინა შეუმჩნევლათ გავიდა ოთახიდან. ამას შემდეგ მეზობელ ოთახში მისი ჩუმი, მაგრამ ალერსიანი, ხმა გაისმა, პაულინა სცდილობდა ბავშვი დაემშვიდებინა.

— ჰხედავთ, — განაგრძო წათამამებულმა ქვრივმა: — რა ქალი მყავს? თავის საკუთარ შვილსავით შეუყვარდა ბავშვი. მეორე დედა გაუჩნდა ბავშვსა სწორედ.

— არ შეიძლება ბავშვი გვანახვოთ? დაეკითხა იდა.

მოხუცი კაჩნერი გავარდა მეორე ოთახში და ჩურჩულით პაულინას რაღაც უთხრა. ცოტა ხნის შემდეგ ქვრივიც და პაულინაც პირველ ოთახში გამოვიდნენ, პაულინას ხელში ბავშვი ეჭირა.

ბავშვი მარტო პერანგში იყო გამოხვეული; ცალი ხელი დედისთვის მოეხვია კისერზედ, მეორე ხელი პირში ჩაედო და გაკვირვებული უცნობ პირებს ცნობის მოყვარეობით შესცქეროდა. ბავშვი ჩასუქებული, მაგარი და ჯანსაღი ბიჭი იყო. ვისაც ერთხელ მაინც ენახა გუსტავ ბიუტნერი, ყველა თავისუფლად იტყოდა, თვალები ნამდვილი გუსტავისა აქვსო; დანარჩენ ყველაფერში ბავშვი ზედ გამოჭრილი პაულინა იყო.

გრაფის ქალები ერთნაირათ არ მოექცნენ ბავშვს. ვანდამ ძალიან ბევრი ილაპარაკა, აქო, ბევრი რამე დაუწუნა და სხვა-

თა შორის ბავშვის მოკაკვული ფეხები არ მოეწონა: ეს ინგლისური ავადმყოფობის ნამდვილი ნიშანიაო — გადაწყვეტით გამოაცხადა ვანდამ. კაჩნერის ქვრივს თუმცა პირველად ესმოდა ამ ავადმყოფობის სახელი და, რასაკვირელია, არც იცოდა რა სენზედ ლაპარაკობდნენ, მაგრამ, ვანდას სასიამოვნოთ მაინც ისე აჩვენა თავი, ვითომ ძალიან სჯეროდა სტუმრის აზრი და დაეკითხა კიდეც, რა ზომები უნდა მიიღოს ადამიანმა მაგ სენის წინააღმდეგაო.

— ყველაფერს ისევ ტალახები სჯობია!

ამათ სჯასა და ბაასის დროს იდა დაფიქრებულის თვალებით შესცქეროდა ბავშვსა. ქალმა ჯერ გაუღიმა ბიჭუნას, მერე ხელი გამოართვა და სცდილობდა თავის მხარეს გადებირებინა. იმ დროს, როცა ვანდა ინგლისურ ავადმყოფობაზედ ელაპარაკებოდა კაჩნერის ქვრივსა, იდა ბავშვის ხასიათსა და ჩვეულებებს გამოჰკითხავდა პაულინას. ამ ლაპარაკში პაულინა სიამოვნებით სდნებოდა, ეხლა, როდესაც თავის ერთად-ერთ განძზედ და უძვირფასეს რამეზედ ელაპარაკებოდნენ, პაულინა კვლავ გამოცოცხლდა და ისევ დაუბრუნდა თავისი ჩვეულებრივი გულახდილობა. ყინული გატყდა. იმის წინ გრაფის ქალი კი არა, იმისთანავე ქალი იდგა, როგორიც თითონ იყო და, მაშასადამე, თავისუფლად შეეძლო სული და გული გადაეშალა. იდამ ძალიან მალე გაიგო ბავშვის ზნე-ჩვეულებები და ყველაფერი, რაც ბავშვს ცოტათ თუ ბევრათ უყვარდა. პატარა გუსტავს მოსთხოვეს, რამდენიმე სიტყვა ეთქვა, მით უმეტეს, რომ დედა არწმუნებდა—ზოგიერთა სიტყვებს მკაფიოდ ამბობსო. მაგრამ ვერას გზით ვერ ათქმევინეს ვერაფერი. ალბათ, იმიტომ რომ უცხო ხალხისა რცხვენოდა.

ბოლოს ვანდას სტუმრათ ყოფნა მოსწყინდა და დას მკლავი მოსწია: დროა წავიდეთ, ერთი ორი „ღარიბი ოჯახიც“ გვაქვს სანახავი.

გამოთხოვების დროს იდამ პაულინას სთხოვა, რაც შეიძლებოდა, მალე მისულიყო-იმათსა. მერე ხელზედ აკოცა ბავშვსა

და თვალები ისე გაუბრწყინდა, როგორც ბავშვების მოყვარე ქალს შეჰფეროდა.

ცხენსაც მოეძოვა კაჩნერების ბოსტანში ბალახი. ვანდა თითონა შეეცალა მოსამსახურეს ცხენის შებმას. როცა ეტლი მზათ იყო, გრაფის ქალები ჩასხდნენ. ვანდამ აღვირის თასმები და წვრილი შოლტი აიღო ხელში, მოსამსახურებ ქალბატონების ზურგს უკან დაიჭირა ადგილი და ვიწრო გზით სოფლის ქუჩისაკენ გაემგზავრნენ.

პაულინამ ბავშვი თავის ოთახში გაიყვანა, ხმაამოუღებლივ აიწია კაბა და ისევ იატაკის წმენდას მიჰყო ხელი. მოხუცი აღარ მიეშველა ეხლა. იმან ვახშმის მზადებას მიჰყო ხელი, მაგრამ დრო გამოშვებით მაინც ჩუმათ გადახედავდა ხოლმე ქალსა და, ეტყობოდა, ქალის გამოლაპარაკებას ელოდა. პაულინა კი ისეთის გატაცებით ხეხავდა იატაკს, თითქოს სულის ცხონებაც კი იატაკის სისუფთავეზედ არის დამოკიდებულიო.

ეტყობოდა, დედასა და ქალს შორის რაღაც გამოურკვეველი და საყვედურსავით მძიმე უნდა ყოფილიყო დაფარული.

— არ გინდა ივახშმო, პაულინა?—ბოლოს ველარ მოითმინა და დაეკითხა დედა.—მე რაღაცეები დავამზადე.

— არა მინდა-რა, დედავ! სრულიად არა მშიან,—მიუგო ქალმა და სცდილობდა უწინდებურად არც კი ეყურნა დედისათვის.

კაჩნერის ქვრივი მაგიდას მისჯდომოდა, პურის ნაჭრისთვის ხაჭო დაედო და გემრიელად ღლუკმებოდა. პაულინა კი მისულიყო ფეჩთან და, გაშტერებული, რაღასაც ჰფიქრობდა.

— შენ როგორა გგონია, პაულინა?—დაიწყო ისევ კაჩნერის ქვრივმა,—მართალი რომ გვეთქვა შენი ბიჭის შესახებ, როგორ დაეღრიჯებოდათ გრაფის ქალებს სახე?

— რა ვიცი, დედაჩემო!—მოკლეთ მიუგო პაულინამ. მას ზურგი მიეშვირა დედისთვის და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იატაკის სარეცხ ტილოს სწურავდა.

— არა, შვილო, გრაფის ქალებს ამისთანა საქმეებში ცოტას უნდა ვერიდებოდეთ. იმათ ჭირივითა სძულთ მაგისთანა

საქმეები. მე კარგათ ვიცი მაგათი ხასიათი. თითონ მაგათი დედა შესანიშნავი სილამაზის პატრონი იყო, მაგრამ თუ რომელამე გოგოს შეატყობდა რამეს, მშვიდობით მაშინ! იმ საათშივე დაითხოვდა! გრაფების სასახლეში მაგისთანა საქმე ვერ მოხდებოდა. არამც თუ თქმა, ისედაც კი არ უნდა შევამჩნევინოთ.

— იდა მუდამ კეთილის მსურველი იყო ჩემთვის...—წაილაპარაკა გაუბედავად პაულინამ და თვალებზე ცრემლები შეუთამაშდნენ.—რაები არ უთხარით, რაები არ შესთხზეთ, დედავ! მე შემრცხვებოდა სწორედ მაგდენი სიცრუისა. ღმერთო, ღმერთო! მე ვერც კი მოვახერხებდი! მით უმეტეს იდას, იდას როგორ მოვატყუილებდი? არა, დედაჩემო, ცუდათ მოიქეცით, ცუდათ!

ამ სიტყვებზედ პაულინამ ცრემლები ველარ შეიმაგრა. იქვე, ფეჩთან მდგარ ტახტზე, ჩამოჯდა, თავი იდაყვებზე დააყრდნო და სახეზე ხელები მიიფარა.

კაჩნერის ქვრივი გაჯავრდა და დაუყვირა, ხომ არ გაგიჟებულხარო? ნუ თუ გინდოდა ყველაფერი დაწვრილებით გეამბნა და თავს ლაფი დაგესხა ოჯახისათვის? ჰო, კარგი ხერხია იდასთანა ქალების სიყვარულის მოსაპოვებლად: იდამ თუმცა არა სთქვა-რა, მაინც შეეტყო, რომ ბავშვი ძალიან მოეწონა, მაგრამ თუ ვინიცობაა პაულინა ამ დღეებში გრაფის სასახლეში წავა, ფრთხილად უნდა იყოს, რომ არა წამოსცდეს-რა.

პაულინა თითქმის არც კი უგდებდა ყურს დედის დარიგებას. ბოლოს ველარ მოითმინა—შეევარდა თავის ოთახში, ჩაიკეტა კარები, დასტაცა თავის ბავშვს ხელი და თვალ-ცრემლიანმა გულში ჩაიკრა.

VII

გალბენაუს სამიკიტნოს ვიღაცის ეტლი მიადგა. მეეტლეს ტანთსაცმელზე ეტყობოდა, რომ ეტლი ქალაქიდან უნდა ყო-

ფილიყო მოსული. ეტლიდან ვიღაც წითელ-წვერა, ლეგა პალტოში და ჭროღა შალვარში გამოწყობილი, შუა ხნის კაცი გადმოხტა, მეეტლეს ცხენის გამოხსნა უხრძანა და თითონ სამიკიტნოში შევიდა.

სამიკიტნოს დიდ დარბაზში მხოლოდ კაშელის ქალი ოტილია იყო იმ ჟამად. ახლად შესულმა თვალები დააშტერა ქალსა, როგორც ყველა კარგსა თუ გონჯს ქალს უყურებდა ხოლმე.

— მამა შინ არ არის?—დაეკითხა უცბად ახლად შესული.—თქვენ, თუ არა ვცდები, ამ სამიკიტნოს პატრონის ქალი უნდა იყოთ. მე სამუილ გარრასსოვიცი გახლავართ, ქალაქიდან ჩამოსული. მამა თქვენი კარგად მიცნობს.

ოტილიამ, როგორღაც საოცრად მოიღრიცა პირი, რასაც ყოველთვის დარცხვენის დროს სჩადიოდა ხოლმე, და დაჰპირდა ამ საათშივე გავგზავნი კაცსა და მამას დავუძახებო. მერე სარდაფში ჩავიდა, სადაც მისი ძმა რიხარდი ღვინოსა და სხვა მაგარ სასმელებს ბოთლებში ასხამდა, და გამოუცხადა ვინც ეწვიათ.

— ოჰ, სამი მოვიდა?—შეჰყვირა რიხარდმა.

— რა იყო? შეეკითხა ცნობის მოყვარეობით გატაცებული ოტილია.

— სამი სამია, ამას რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა?—აუხსნა რიხარდმა.

— რა ვქნა, მითხარი რაღა ვინ არის? რაღას მაწვალებ?

— წადი შე სულელო, თითონ იმას დაეკითხე, მე რას ჩამკიებიხარ? — უზრდელათ მიუგო ძმამ და თან ენა გამოუყო. მერე მოაგონდა, რომ მამა დასაძახებელი იყო და ფიცხლავ აირბინა სარდაფის რამდენიმე საფეხური.

ოტილია ისევ დარბაზში დაბრუნდა. ეხლა უფრო ძლიერ მოედო ცნობის მოყვარეობის ცეცხლი და უნდოდა გაეგო ეს უცნობი კაცი ვინ უნდა ყოფილიყო. გოგო სხვის საქმეებში ჩხრეკის მეტს არაფერს აკეთებდა, მთელი დღე გულ-ხელ და-

კრეფილი იჯდა და, რასაკვირველია, თავისი სულელური აზრე-ბისათვის საკმაო დროსა და მოცალეობას ჰპოულობდა.

ოტილია მაღალი ტანის, გამხდარი და მკერდ ჩავარდნილი, მაგრამ განიერ თეძოებიანი გოგო იყო. მას ქალური სილრულე და სხეულის მოყვანილობა სრულიად არ ჰქონდა, მაგრამ პრანჭია ღიმილზედ, თავის ფაქიზათ გვერდზედ გადახრაზედ და თვალთა მრავალ მნიშვნელოვან ელვაზედ ეტყობოდა, რომ, მიუხედავათ თავის მოუხეშავ და ულამაზო მოყვანილობისა, მას გულითა და სულით უნდოდა ყველას მოსწონებოდა და ყველას ყურადღება მიექცია. ბიუტნერების სისხლი თითქმის სულ არც კი სჩქეფდა ოტილიას ძარღვებში. უსუფთაო სახე, თავის მსხლის მაგვარი მოყვანილობა და წინ გამოწეული ნიკაპი ნათლათ მოწმობდნენ, რომ ოტილია კაშელერნსტის მეორე გამოცემა იყო.

ოტილია დახლს მოუდგა და რიღაცის ფუსფუსს შეუდგა. იქნება უცნობი გამომელაპარაკოს, ჰფიქრობდა გულში ქალი. მაინც ოტილიას იმედი არ გაუცრუვდა და გარრასსოვიცი მართლა გამოელაპარაკა.

— ხომ არ ინებებთ პატარა ხანს ჩემთან დაბრძანებას, ქალ-ბატონო?

— მე სულ თავისუფალი გახლავართ,—მიუგო ქალმა და გარრასსოვიცის მაგიდას მიუჯდა.

სამუილმა დაურიდებლათ აათვალიერ-ჩაათვალიერა ქალის მთელი სხეული. ოტილიას კი ამ დროს თუმცა თავი მორცხვათ ჩაექინდრა, მაინც ჩუმად გარრასსოვიცს ადევნებდა თვალსა.

— ნება მიბოძეთ ერთი კითხვა მოგცეთ,—მიუბრუნდა ბოლოს მეგობრულის ღიმილით სამუილი:—თქვენ ხომ ჯერ გათხოვილი არა ბრძანდებით?

— რასა ბრძანებთ, ბატონო!—შესძახა ქალმა და იმნაირი ღიმილით დაიხია უკან, რომ ცხადათ ეტყობოდა, ეს კითხვა ესიამოვნა.

— ეგ მე ძალიან მაკვირვებს!—დაიწყო ისევ გარრასსოვიცმა.—ეგრეთი მშვენიერება რამ დღემდის გაუთხოვარი ბრძა-

ნებულხართ, კაშელერნსტის ქალი! მე რამდენსამე ახალგაზდა კაცს ვიცნობ...

მაგრამ ამ დროს, ოტილიას საუბედუროთ, კაშელი შემოვიდა და ლაპარაკი საუკეთესო ადგილზედ შესწყვიტა.

— გამარჯობათ, ბ. გარრასსოვიც!

— გაგიმარჯოთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო კაშელ!

და კარგ ნაცნობებსავით ერთმანეთს გაულიმეს და მაგრა ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

— რად დაიგვიანეთ ეგრე, ბ. გარრასსოვიც?

ვაჭარმა პირდაპირ ეშმაკურ თვალებში შეხედა და გამოუცხადა, რომ „წლეულ ანდელ მოსავლის დასათვალიერებლად“ ჩამოველიო.

კაშელერნსტმა ისე გულიანად გადიხარხარა ამ სიტყვებზედ, რომ კაცს ეგონებოდა გარრასსოვიცმა უსათუოდ დიდად იოხუნჯაო. მიკიტანმა ოტილია ჭიქებისათვის გაჰგზავნა და თითონ ბოთლი მოიტანა. გარრასსოვიცმა უეჭველად უნდა დალიოს მიკიტნის გაკეთებული სასმელი, რადგან ამისთანა კარგ რამეს სხვაგან ვერსად შეჰხვდება ძვირფასი სტუმარი. იმ სიტყვებზედ კაშელმა ჭიქებიც აავსო.

ამას მოსავალზედ, ამინდზედ და საქონლის სენზედ მოჰყვა ლაპარაკი. მაგრამ ყველა ეს მხოლოდ შესავალი იყო. ორთავენი მშვენივრათ იცნობდნენ ერთი მეორეს და ჯეროვანათაც აფასებდნენ. კაშელერნსტმა მშვენივრად იცოდა, რომ ვაჭარი სალაყბოთ არ იყო გულბენაუში ჩამოსული. მაგრამ საქმის მოლოდინში ორთავეს ძალიან მოსწყინდათ ესეთი კეკეტალულას თამაშობა.

ბოლოს, როგორც გარრასსოვიცს ხმის დადაბლებაზედ და ოთახის ყოველი კუთხის მითვალიერებაზედ შეეტყო, საჭიროროტო საგანსაც მალე შეეხებოდნენ. კაშელერნსტმა ქალი დარბაზიდან გაისტუმრა და ამ ორ ღირსეულ ვაჟს ძლივს შეძლება მიეცათ „ჭკვიანური ლაპარაკი“ გაებათ.

ვაჭარი ეკითხებოდა, როგორ მიდის საზოგადოთ გალბენაუში მცხოვრებლების საქმეო - გლეხებისა, მებატონეებისა თუ

ხელოსნებისაო. კაშელერნსტი კიდევ სდამოვნებით და სხვის უბედურებით დამტკბარ ადამიანსავით მოგროვილ ცნობებს ეუბნებოდა. კაცს უნდა ეცქირნა, რა სიამოვნებითა და სიხარულით ლაპარაკობდა კაშელერნსტი სხვის უბედურებაზედ, შეცდომებზედ და სულელურ საქმეებზედ.

ერთის გაკოტრებულ გლეხის ამბავს რომ უამბობდა, სიამოვნებით იღიმებოდა. იღიმებოდა აგრეთვე, როცა თავის ბელელის დაწვის ამბავს მოუთხრობდა და მაშინ კი, როცა ერთი გლეხის თავგადასავალს ეამბობდა, რომელმაც ვალში ძროხის გაყიდვა ველარ აიტანა და თავი ჩამოიხრჩო, სიცილით კვდებოდა.

როგორც ეტყობოდა, კაშელერნსტმა ყველას ამბავი იცოდა და გარრასსოვიციც დიდის ყურადღებით და თითქმის მოწიწებით უსმენდა ყველაფერს, თითქო მიკიტანი ჭორებს კი არ ეუბნება, სახარებას უკითხავსო. როცა ვისმეზედ იტყოდა, ესა და ეს გლეხი ორ წელიწადზედ მეტს ველარ გასძლებსო ან და ამასა და ამას თავისუფლად შეგვიძლიან ფული ვასესხოთ, რადგან მალე დიდ სამკვიდროს მიიღებსო, გარრასსოვიცი სმენათ გადაიქცეოდა ხოლმე.

ამ ლაპარაკსა და ბაასში ბევრი ჭიქა გამოსცალეს; ალბათ, გარრასსოვიცმაც ეგემა მიკიტნის სასმელი, რომ სიამოვნებით პირს აწკლაპუნებდა.

ბოლოს, როცა იგრძნო გარრასსოვიცმა, რომ საკმარისი ცოდნა შეეძინეო, წამოდგა და მიკიტანს გამოუცხადა, გალბენაუში სხვა ვინმეებიცა მყავს სანახავიო.

— კი, მაგრამ გალბენაუში ეხლა რომ არაფერი საქმეა.

— როგორ არ არის, არის! მინდა ერთი გლეხის მამული დავათვალიერო.

კაშელერნსტმა ყურები დასცქვიტა, მაგრამ არ უნდოდა ამ ამბის გაგების სურვილი გამოეხატა და, მითომც აქ არაფერიაო, დაეკითხა:

— ვისი მამულია?

სამუილმა ყური მოიყრუა, თითქოს მიკიტნის კითხვა არც კი გაუგონიაო.

— უსათუდ კარგი მამული იქნება,—განაგრძო გარრასსოვიცმა.—სახნავ სათესი მიწები, შენობები, ყველაფერი ჩინებული უნდა იყვეს. მართალია იმათ პატრონს დიდი ფულები აქვს, მაგრამ ეხლა რომელი გლეხია უფულო? აი, სწორედ ის მამული მინდა დავათვალიერო.

ამ სიტყვებთან ერთად სამუილმა წასვლა დააპირა, მაგრამ მიკიტანმა გააჩერა:

— ფრთხილად კი იყავით, გზა არ დაგეკარგოთ. გალბენაუში ჩვენ ბევრი მამულები გვაქვს. თქვენ რომლის ნახვა გინდათ?

— ბიუტნერისა.

კაშელერნტმა ამ სახელის გაგონებაზედ წარბიც კი არ შეიხარა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გარრასსოვიცმა მაინც ეჭვის თვალით შეხედა მიკიტანს.

— არაფერი იცით ამ მამულის შესახებ?—დაეკითხა ვაჭარი.—მე ძალიან მინდა იმ მამულის გაცნობა.

მიკიტანმა მხრები შეიშმუშნა და რალაც იდუმალი გამომეტყველება მისცა თავის სახეს. ის ვერაფერს იტყვის ამ მამულის შესახებ, რადგან მისი პატრონი—ბიუტნერი მისი ცოლის ძმა არის.

— თქვენი ცოლის ძმისაა!—შესძახა ვითომ და გაკვირვებულმა და განცვიფრებულმა გარრასსოვიცმა.—ეგ ჩემთვის, გეფიცებით, ახალი ამბავია! მე ამას წინად დავეხმარე ბიუტნერს, ფული, ვუშოვნე. ძალიან მიხარიან, რომ თქვენი ნათესავი გამოდგა, ძალიან, მედა ჩემმა ღმერთმა! ეხლა კი უფრო ძვირფასი იქნება ის ჩემთვის! რალა თქმა უნდა, თქვენს ცოლის ძმას გაჭირვებიდან გამოიყვანთ.

ამ სიტყვებზე კაშელერნსტმა ისეთი სულელური გამომეტყველება მისცა თავის სახეს, რომ ეშმაკობა იმ საათშივე შეეტყო. ვაჭარმა ხმა-მაღლა გადიხარხარა და კაშელმაც მალე მისცა პასუხი. ორივე „პატიოსანი კაცი“ მალე მიუხვდნენ ერთი მეორეს ეშმაკობას.

— ეხლა კი წავალ და თქვენი ცოლის ძმის მამულსა ვნახავ,—უთხრა გარრასსოვიცმა, მერე სთხოვა, გზა მაჩვენეო და დიდის ნაბიჯით სოფლის გზისაკენ გასწია.

*
* *

სამუილი ბიუტნერის მამულს რომ მიუახლოვდა, ჯერ შენობები დაათვალიერა დაწვრილებით.—საცხოვრებელ სახლს კრამიტი ჰხურავს, —გაიფიქრა გულში გარრასსოვიცმა. საჯინიბოსა და სარაიას—ჩალა. საერთოთ ყველაფერს რიგი და კარგი პატრონობა ეტყობა. მაშასადამე, ჯერ სრულიად არ დაცემულა გლეხი.

ვაჭარი პირდაპირ დერეფანში შევიდა, რადგან კარები ღია დახვდა, და ოთახის კარები დააკაკუნა. ოთახში ბებერი დედაკაცი იყო მარტო, რომელიც თავის შვილის - შვილს არწევდა.

ბიუტნერის მეუღლემ გაკვირვებით პირი დააღო, უცნობი კაცი რომ დაინახა. სამუილი ღიმილით მიუახლოვდა, გამოუცხადა თავისი გვარი და უთხრა, რომ ბატონ ბიუტნერის კარგი მეგობარი და ნაცნობი ვარო. ბიუტნერთან საქმე მაქვს და, სხვათა შორის, მინდა თქვენი მამულების მიდამოები დავათვალიეროო.

დედაკაცმა, დაინახა თუ არა უცნობის ტანთსაცმელი და, მით უმეტესად, ყელსახვევში გარჭობილი ბრწყინვალე ქინძისთავი, დიდი პატივისცემა და მოკრძალება იგრძნო უცნობისადმი. საბრალომ ყალბი ბრილიანტებისა არა იცოდა რა, ჰხედავ, რა ნაცნობები ჰყოლია იმის კაცს ქალაქში?! გაიფიქრა გულში და იმ წუთსვე სკამის მისათავაზებლად გაიქცა, თუმცა ქარებისაგან ძალიან კოჭლობდა და დიდ ტკივილებსაც გრძნობდა. მაგრამ ვაჭარი ზრდილობიანიც გამოდგა. ის თითონ დასწვდა სკამსა და შეეხვეწა, რომ იმისთვის სრულიად არ შეწუხებულიყვნენ და თუ ვინიცობაა ქმარი მინდორში ჰყავს ქალბატონს, ნურავის გაჰგზავნის, რადგან ის თითონ წავა იმის სანახავათ, ოღონდ აქ არავინ არ შეაწუხოს.

დიასახლისმა გამოუცხადა—სახლში მართლა არავინაა, ყველანი სამუშაოთ არიან გასულნიო: ქალები ჭარხალსა სთოხნიან, კარლი კართოფილსა ზიდავს და იმისი კაცი კი შორს ტყისაკენ წავიდა სათესადაო.

უცნობმა მიათვალიერ-მოათვალიერა ოთახი და სისუფთავე და მყუდროება ძალიან მოუწონა დიასახლისს. მერე კედელიც გასინჯა, ასე გასინჯეთ, რამდენიმე ადგილსაც კი დააკაკუნა ჯოხით და გამოაცხადა, ძალიან მიყვარს, როცა კედლებს შიგნიდან ფიცრები აქვს აკრულიო, რადგან ზამთარში ამისთანა სახლებში ძალიანა თბილა ხოლმეო. მერე კედლის განჯინასაც გადახედა, სადაც სხვა და სხვანაირი ჭურჭელი ელაგა; უკეთესად რომ გაესინჯა ჭურჭელი, რამდენიმე თეფში და მათლაფა ხელშიც კი აიღო და გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ისეთი აღარაფერი დარჩა ოთახში, რომ სამუილს მუშტრის თვალით არ გაესინჯა.

— ღმერთო, რა კარგათა სცხოვრობთ,—ეუბნებოდა დედაკაცს კეთილის ღიმილით სტუმარი.—სწორედ მამაპაპურადა ხართ მოწყობილი. მე ძალიან მიყვარს ასეთი ცხოვრება. ქალაქში კი ამისთანა სიმშვენივრეს ვერსადა ნახავთ.

დედაკაცს ამ ქებამ თავბრუ დაახვია. მაგრამ მაინც თავი დარცხვენილად აჩვენა. ის არწმუნებდა, ჩვენ კარგი არაფერი გვაქვს და ქალაქიდან მობრძანებული სტუმარი უსათუოდ სულ სხვა, კარგ ცხოვრებას იქნება შეჩვეულიო. გარრასსოვიცი-კი ეფიცებოდა, ჩემთვის გლეხის მყუდრო სახლისთანა კარგი არაფერია ქვეყნათ და ამნაირ სახლს მე ბევრით ვამჯობინებ ჩემ კანტორასაო.

მერე აკვანსაც მიუახლოვდა და სანამ ბავში არ გააცინა და სიამოვნების ნიშნად ფეხები არ გააპარტყუნა, აღარ მოეშვა: ხან ნესტოებში უღიტინებდა, ხან ტუჩებზედ უცაცუნებდა თითსა და მოყვარულ დედასავით აღუ-აღუს ეუბნებოდა. მერე ბავშვის სისაღე შეაქო და უამბო გლეხის დედაკაცს, რომ დიდი ხანი არ არის, რაც მეც გავათხოვე ქალიო.

დედაკაცი სულ გადაირია სტუმრის გულკეთილობით. იმას ვეღარ გაეგო, როგორ შეიძლება ასეთი დიდი, საპატიო პირი იყო და ესე კარგათ კი ექცეოდე ვიღაც ტეტიებსაო.

ბოლოს, როცა სამუილმა გამოაცხადა—ეხლა კი თქვენი ქმრის სანახავათ წავალ მინდორშიო, დედაკაცმა კოჭლობით ჭისკრამდინ გააცილა და შეეხვეწა, დაბრუნებისას ისევ ჩვენკენ შემოიარეთო.

მინდორში ჯერ დედაკაცები დაინახა გარრასსოვიცმა, რომელნიც ერთ რიგში ჩამწკრივებულიყვნენ და თოხებით მიწას აყრიდნენ ჭარხალსა. თოხების თამაშობაზედ ნათლად ეტყობოდათ ქალებს, რომ მუყაითად შესდგომოდნენ საქმეს და დაზარებისა არა იცოდნენ-რა. უკნიდან სამი წახრილი ზურგი მოსჩანდა მხოლოდ და მოკლე ქვედა-ტანების ქვეიდან სამი წყვილი ტიტლიკანა კანჭები.

სამთავენი გაჭიმულ ძაფსავით გამწკრივებულიყვნენ.

რბილ ბილიკით სრულიად შეუმჩნევლად და უხმაუროდ მივიდა სამუილი ქალებთან და როცა საკმაოთ მიუახლოვდა, გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა: ერთის გადახედვით მთელ მინდვრებს გადაავლო თვალი.

ბოლოს ჩაახველა. აქ კი სამივე თოხი ძირს დაეშვა და უცბათ სამი თავი გარრასსოვიცისაკენ მობრუნდა. სამუილს ერთი ფეხი წინ წაედგა და სახეზედ შეჩერებულის ღიმილით კატასავით შეჰყურებდა ქალებს.

— გამარჯობათ, ჩემო მშვენივრებო!—მიესალმა სამუილი და დაუმატა: დღეს ძალიან ცხელა და აგრე თავის შეწუხება არ გარგებთო.

ტერეზამ, რომელიც ყველაზედ უფროსიც იყო და მახვილი ენის პატრონიც, მიახალა: მაგ ლაპარაკს, შენც რომ თოხი აიღო და გვიშველო, ძალიან კარგი იქნებოდაო; მაშინ იქნება ღიპიც დაგპატარავებოდა, მაგრამ არა მგონია, რომ შენ ხეირიანი მუშაობა მოახერხოო.

ტონიმ და ერნესტინამ რძლის მოსწრებულ პასუხზედ გადიკისკისეს, მაგრამ, როგორცა სჩანდა, სამუილს სრულიადაც

არ ეწყინა ქალის ამგვარი პასუხი; იმან მიუგო—ჭარხლის თოხნა ჩემი საქმე არ არის და მე სულ სხვა ხელობა მაქვს ჩემთვის არჩეულიო. მერე დინჯათ დაეკითხა, ამ მამულის პატრონი სად არისო.

ქალები დიდის ცნობის-მოყვარეობით სინჯავდნენ უცნობის ტანთსაცმელს. დღის სინათლეზედ ცხადათა სჩანდა, რომ საყელო მაინც ძალიან სუფთა არა ჰქონდა და თეთრი ჟილეტკა რამდენსამე ადგილას იყო დალაქავებული. ტონი მეტად გულუბრყვილო, უხალისო ადამიანი იყო და, რასაკვირველია, უცნობის ტანსაცმელისა და ქცევის ჩხრეკაში არ შედიოდა. მაგრამ სანაცვლოთ ტერეზა და პატარა ერნესტინა უფრო დაკვირვებულები იყვნენ. ჯერ ხეირიანათ არც კი ჩამოშორებულიყო სამუილი, რომ ამ ორმა ქალმა გასჭორეს, გაასამართლეს კიდეც უცნობი კაცი და ათასი რამე დაუწუნეს, მაგალითად, პირის ბაგე, რომელიც ქერა წვერსა და ულვაშებს სრულიად ვერ დაეფარათ, ბევრს აცინებდა ქალებ, ასე გასინჯეთ, იმის მსუნაგობა და ქალების სიყვარულიც კი არ გამოეპარათ ქალებს.

ამ დროს კარლიც მოვიდა, რომელიც იქვე შორი-ახლო კართოფილს ეზიდებოდა. მამა აქვე, ტყის ბოლოში მუშაობს, აუსხნა კარლმა უცნობსა და სახრით უჩვენა, საითკენაც უნდა წასულიყო სამუილი. სამუილმა ჯერ აათვალ-ჩაათვალიერა მალალი ტანის უცნობი ვაჟი, მერე ჰკითხა—ბიუტნერის შვილი ხომ არა ხარო—და სთხოვა გაეცილებინა და მინდორზედ ბილიკი ეჩვენებინა.

კარლმა ცოლს დაუყვირა, ცხენებს მიხედე პატარა ხანსაო და თითონ უცნობ კაცს გაჰყვა.

ზოგიერთ საქცევს ირგვლივ შემოუარა სამუილმა და ჯოხის რკინის წვერით მიწაც კი გასინჯა. გზაში თავის თანამგზავრს მამულის საზღვრებზედ, გზებზედ, არხებზედ და შემოსავალზედ ელაპარაკებოდა, ოჯახური ცხოვრებაც კი აინტერესებდა სამუილს, თუმცა კარლს უკვირდა უცნობი კაცის ამგვარი ცნობის მოყვარეობა და ჰფიქრობდა კიდეც, ამდენი

კითხვები რას მომაყარაო, მაგრამ აზრადაც კი არ მოუვიდა, რომ ცოტა ენა დაეჭირა და გულდახურული ყოფილიყო. იმას არაფრის ეჭვი არა ჰქონდა და დაუფიქრებლივ სხაპა-სხუპით უგებდა ყოველ კითხვაზედ პასუხსა.

ასე ლაპარაკით ტყესაც მიუახლოვდნენ. მოხუც ბიუტნერს შორიდანვე მოჰკრავდა კაცი თვალსა, რადგან პატარა გორაკის ფერდოზედ ასულიყო და, წინ ტომარა-აკრული, აქეთ-იქით თესლს აპნევდა.

ეს უპატრონოთ მიგდებული ქცევა, რომელიც სიშორის გამო ტყის პირად ითვლებოდა და აგერ ორი წელიწადი იქ-ნებოდა, რაც არც გუთანი მოხვედროდა და არც ბარი, მოხუც ბიუტნერს მოსვენებას არ აძლევდა. როცა სხვა ქცევებს მოუარა და ყველგან გაათავა საქმე, ბოლოს ამ ქცევასაც მი-ხედა და იმის შემუშავებასაც შეუდგა. მან თითონ მოხნა და დასათესათ მოამზადა. მაგრამ სიგვიანისა გამო, რაკი პურის დათესის დრო აღარ იყო, საქონლის საკვები ბალახი დასთესა.

ბიუტნერმა პირველად სრულიად ვერ იცნო გარრასსოვი-ცი, ისე რომ სამუილს თავის ვინაობის თქმა დასჭირდა. ბო-ლოს კი, როცა იცნო, მოხუცს სახე გაუბრწყინდა და ხელი გულიანათ ჩამოართვა.

რა დამემართა, ბ. გარრასსოვიც, სულ ვერ გიცანით. რა ყოჩაღათ მოქცეულხართ, რომ ჩვენსკენ გამომგზავრებულხართ. აი, ეგ ძალიან მომწონს!

მოხუცი არა სტყუოდა; მას მართლა ძალიან უხაროდა გარრასსოვიცის ნახვა. ქალაქიდან მოსული სტუმარი არა თუ სასიამოთ, საამაყოთაც კი მიაჩნდა ბიუტნერს.

გლეხმა ჩამოისხნა ტომარა, კარლს მიაწოდა და სამივემ დინჯათ გასწიეს სახლისაკენ. კარლი საპატიო მანძილზედ ჩა-მორჩა მამასა და სტუმარს.

გარრასსოვიცი, რასაც კი თვალს მოჰკრავდა, ყველაფერს აქებდა. იმას აზრით, ნიადაგი ჩინებული იყო და ყანები ხომ ღვთის მადლითა და კურთხევით იყვნენ სავსე. ბიუტნერს ვა-ჭრის გადაჭარბებული ქება-დიდება თავბრუს ახვევდა და თაფლზედ უტკბესად ეჩვენებოდა.

— ჩინებული მოსავალი მოგელით, ჩემო კეთილო მეგობარო!—უთხრა გარრასსოვიცმა.—ამას მე წმინდის გულით გისურვებთ, რადგან ვხედავ, რომ ცოტა შრომა და დრო არ არის აქ დამარხული.

— ღმერთმა ჰქნას, გაგიგონოს და თავისი მადლი ნუ მოგვაკლოს! – მიუგო გლეხმა და თან პირჯვარი გადაიწერა. სწორედ რომ სთქვას კაცმა, გლეხს სტუმრის წინასწარმეტყველური არც კი ლაპარაკი მოსწონდა. წინდაწინვე კაცმა როდი უნდა სთქვას ამისთანა რამეები. ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

— თუ იქნება კარგი მოსავალი, ღვთის მადლით მოვუვლით კია, მა' ავლამდის ვინ იცის რა მოხდება და რა დაგვატყდება თავსა.—მიუგო გლეხმა და ღრმათ ამოიოხრა.

მოხუც ბიუტნერს სწორედ ამ უკანასკნელ დღეებში შემოაწვა გულზედ ჯავრი, რადგან სადარდელიც და სანაღვლოც ბევრი მიეცა.

ბიუტნერის სიძეს—კაშელს დაზღვეული წერილი გამოეგზავნა, რომლითაც ათას შვიდას მარკის გადახდას თხოულობდა. ეს წერილი მეხსაივთ დაეცა თავზედ და ისე იმოქმედა საწყალზედ, როგორც მზის სხივებით გაჩაღებულ დღეში ელვა-ქუხილი იმოქმედებდა ადამიანზედ. სად უნდა ეშოვნა ფული, რომ ეს უკანასკნელი გირაოს ქაღალდი ვამოეხსნა მაგრამ ბიუტნერს ის უფრო სწყინდა, რომ კაშელმა ასე დაზღვეული წერილით მომართვა არჩია. დაზღვეული წერილი! სად გაგონილა! ამაში სიძის სიმდაბლეს და უსინიდისობას ჰხედავდა ბიუტნერი. დაზღვეული წერილი! მერე წერილის მომტანმა ხელიც მოაწერინა რაღაც წიგნში იმდროს,როცა სულ ასი თუ ორასი ნაბიჯის მოშორებაზედ სცხოვრობს სიძე! ეზოში, რომ გავიდეს და ხმა-მაღლა დაიყვიროს, სამიკიტნოში ყველა გაიგონებს ამ ხმასა და ის კი დაზღვეულ წერილებსა ჰგზავნის!

თუ ჩაუვარდებოდა იმ დღეს სიძე ხელში, აჩვენებდა სეირსა! თქმა არ უნდა, უბედურება რამე დატრიალდებოდა.

მაგრამ მარტო ამაში არ იხატებოდა ბიუტნერის უბედურება. საცოდავ გლეხს ყველა მხრიდან აწუხებდნენ. უკანასკნე-

ლად ნაყიდი ძროხის ფულიც არა ჰქონდა ჯერ გადახდილი და საქონლით მოვაჭრეც ყოველ დღე აწუხებდა. გადასახადებიც ჯერ ისევ შესატანი ჰქონდა. ბიუტნერს მგონი ათჯერ ჰქონდა თავისი ნაღდი ფული გადათვლილი და კარგათ იცოდა, რომ ფული კიდევ იყო საჭირო და თუმცა თავს იხეთქდა, მაინც ფულის საშოვნელი წყარო ვერ ეპოვნა. შინ ფული არ მოეპოვებოდა, არც თუ სხვაგან ეგულებოდა და მომავალში მამულის საშინელი აღწერა ელანდებოდა.

— აბა, როგორ არ უნდა სთქვას ადამიანმა, რომ მიწის ეს ნაგლეჯი ღვთისგან ნაკურთხიაო?—შეჰყვირა სამუილმა და ჭვავის ყანასთან გაჩერდა.—აქ პირდაპირ ოქრო ამოდენილა მიწიდან, ოქრო!

ამ სიტყვებმა ბიუტნერს თუმცა ენა გაუსხნეს, მაგრამ მაინც პირდაპირ არ დაიწყო საჭირბოროტო საგანზე ლაპარაკი. გულ-ჩახურულმა და ყველა გლეხსავით ურწმუნო ბიუტნერმა ჯერ შორს გადუკრა სიტყვა და მერე თან-და-თან მიუახლოვდა თავის ვარამსა.

ვაჭარი სიტყვას არ აწყვეტინებდა და მახე ნამდვილის თანაგრძნობის სხივებით ჰქონდა გაბრწყინვებული. ბოლოს, როცა გლეხმა გულ-ახდით სუყველაფერი აუწყა და თავის გაჭირვებული მდგომარეობა ნათლად დაუსახა სამუილს, ვაჭარმა შუბლი შეიკრა, დარდიანათაც კი აჩვენა თავი და გამოუცხადა, სულით და გულით მებრალებით და შევდივარ თქვენს მდგომარეობაშიო.

— ახლა რაღას აპირებთ, ჩემო მეგობარო? მოვალეებს ცარიელი სიტყვებით ხომ ვერ დაამშვიდებთ, რის იმედი გაქვთ?

— იქნება თქვენ მირჩიოთ რამე, ბ. გარრასსოვიც?

— მე რა რჩევის მოცემა შემიძლიან, ჩემო ძვირფასო ბიუტნერ? არ დაგავიწყდეთ, მე ვაჭარი ვარ და სოფლის საქმეებისა არა გამეგება-რა.

— მე მეგონა ფულის შესახებ რამე დახმარებას გამიწევთ მეთქი.

— მერე ვინა გგონივართ, მეგობარო?

— რა კი ერთხელ დამეხმარეთ, მე მეგონა ეხლაც...

— ჰო, შენბერგერზედ ამბობთ? მართალია, მაგრამ მაშინ თქვენ თითონ კაი მდგომარეობაში იყავით. მაშინ საქმე მარტო მოვალეს გამოცვლაზე იყო დამყარებული და ისიც საიმედო გირაოს ქალალდით.. ეხლა კი... ესეთი საქმეა, რომელსაც ჭკვიანი კაცი ხელს არასოდეს არ მოჰკიდებს!

ამ სიტყვების შემდეგ კაი ხანი ხმა აღარ ამოუღიათ. მოხუცს იმედი გადაუწყდა. ყველა უბედურებასა და დაჭირვებაში გარრასსოვიცის დახმარების იმედი მუდამ ულვიოდა ხოლმე გულში. თუ საქმე ძალიან გაუჭირდებოდა, გარრასსოვიცისთვის უნდა შიემართნა: ის უსათუოდ გამოიყვანდა გაჭირვებიდგან. მაგრამ ეხლა ეს იმედიც დაეკარგა!

ისინი სახლს მიუახლოვდნენ კიდეც და ის იყო ბელელის უკანა მხარესთვის უნდა ჩაეარათ, რომ უცებ ვაჭარი შეჩერდა.

— ბიუტნერ!—მიჰმართა ვაჭარმა,—მგონი რაღასაც მოვახერხებ, უსათუოდ უნდა გიშველოთ თქვენ, ეგრე დატოვება არ შეიძლება. თქვენისთანა პატიოსანი მუშაკისა და ოჯახის პატრონის დაღუპვას მე ვერ ავიტან, არ შემიძლიან! უსათუოდ გაშოვით ფულსა, თუმც ჯერაც არ მოძიაზრებია, როგორ უნდა მოგიხერხოთ. ჩემი ფული, რაც მქონდა, სულ ერთ საქმეს დავაყარე. ჩვენი ვაჭარიც ყოველთვის არ არის თავის და გარემოების მბრძანებელი. ჯერ წვრილი მოვალეები უნდა მოგაშოროთ და მერე გირაოს ქალალდზედაც ვიფიქრებთ. აბა, მითხარით, სულ რამდენი გაქვთ წვრილი ვალი?

მოულოდნელი სიხარულით მოხუცს ხელები აუკანკალდა. ბედნიერება უცბათ ეწვია და თავი და ტანი დაუკარგა, გონება გადურია. ბიუტნერმა რამდენიმე მოვალე ჩამოსთვალა, მაგრამ მალე გადირია თვლაში და ახლად დაიწყო.

სამუილმა ნუგეშის საცემლად მხარზედ ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ნუ კი ჰღელავთ, ჩემო მეგობარო! ან არა და მერე დათვალოთ, როცა ცოტას დამშვიდდებით. ჯერ-ჯერობით კი თქვენი შენობები შიგნიდან დამათვალიერებინეთ.

სტუმარი და მასპინძელი საქონლის ეზოში შევიდნენ. ვაჭარი მუშტრის თვალით ათვალიერებდა საქონელს. ერთ ძროხას მუცელი გაჰბეროდა. სამუილმა ურჩია რითიც უნდა ერჩინა გლეხსა და რა ზომები მიეღო ძროხის მოსარჩენათ. ვაჭარმა ბეღელიც დაათვალიერა, ზოგიერთა ბოძები და ფიცრები ხელითაც კი გასინჯა. მერე ბაღშიც გავიდა, გავლით ნარგიზი მოსწყვიტა, გულში გაირჭო და დიდ ვაშლის ქვეშ სკამზედ ჩამოჯდა.

— სოფლის მშვიდ და მყუდრო ცხოვრებისთანა კარგი ქვეყნად არაფერია,—გამოაცხადა სამუილმა და სტუმართ მოყვარე ძველ სახლს გრძნობით გადახედა;—ყველაფრისთვის თავი რომ დამენებებინა და მეც უბრალო გლეხათ გადავქცეულიყავ, მე და ჩემმა ღმერთმა, ძალიან კარგი იქნებოდა.

ამასობაში ბიუტნერის მეუღლემ ისეთი ყავა გააკეთა, როგორიც ბიუტნერების ოჯახში არასოდეს არ გაკეთებულიყო. მერე მოხუცი დედაკაცი თითონ მივიდა ბაღში და ღრმა სალამით სტუმარი სახლში შეიწვია.

მაგიდაზედ ჭრაქი, ხაჭო, შავი პური და თაფლი ელაგა. სამუილმა ყველას გემო გაუსინჯა და რაკი არაფერი დაუწუნა, დიასახლისის პატივისცემა და სიყვარული უფრო დაიმსახურა,

როცა კარგათ გამოძღა სამუილი, სავარძელში გადაწვა, უბის ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო და პაპიროზი ჩაიდო პირში.

— ხომ ნებას მიბოძებთ, რომ მოვწიო?—დაეკითხა სამუილი ღიმილით.—ყავის შემდეგ თუთუნისთანა კარგი არაფერია.

მერე სერთუკის ჯიბიდან სქელი, გაჭუკვნილი პორტმანი ამოიღო, წინ მაგიდაზედ დაიდო და ბიუტნერს მიჰმართა:

— თუ თქვენი ნებაც იქნება, ეხლა კი საქმეს შევუდგეთ, ბ. ბიუტნერ!

ამ დროს გლეხი ოთახის კუნჭულში ცარცის პატარა ნაჭრით გამჭვარტლულ კედელზედ რაღაც ციფრებსა სწერდა, მაგრამ გაიგონა თუ არა ვაჭრის ხმა, სერთუკის მაჯით სულ ერთიანად წაშალა დანაწერი და სამუილს მიუახლოვდა.

— მარტო წვრილი მოვალეების მოსაშორებლათ სამასი მარკა მჭირდება ამ ჟამათ,—ყრუ ხმით მიჰმართა ბიუტნერმა.

ვაჭარმა პორტმანი გასხნა და ქაღალდის ფულები გადმოალაგა.

— მოითმინეთ, ქალები გავიდნენ: —მიუბრუნდა მოხუცი როცა შენიშნა, რომ ტერეზამა და ერნესტინამ კისრები გადმოიგძელეს და რაღაცაზედ ჩურჩული ასტეხეს: —შენა და კარლი დარჩით, მიუბრუნდა მოხუცი თავის დედაკაცს

სამთავ ახალგაზდა ქალმა გაიგონეს თუ არა ეს სიტყვები, წამოდგნენ და კარში გავიდნენ

სამუილმა ლურჯი ქაღალდის ფულები ამოიღო.

— თქვენი ბედნიერება, რომ სწორედ დღეს მივიღე ფული. ჩვეულებრივ ამდენ ფულს მე არასოდეს არ ვატარებ თანა, — უთხრა სამუილმა და სამი ას მარკიანი ქაღალდი გადმოწყო მაგიდაზედ. დანარჩენი კი ჯერ ისევ ხელში ეჭირა.

— ეგ თქვენი წვრილი მოვალეების მოსაშორებელი სამასი მარკა. იქნება ერთი ასიანი კიდევ მოგიმატოთ, ბარემ ფული თანა მაქვს?..

გლეხს თვალები დაეჭყიტა და ხმა ამოუღებლივ ფულებს შესცქეროდა.

— რამდენსაც მეტყვით, მე სიამოვნებით გენდობით. თქვენისთანა ჩინებულ მესაკუთრეს, რომელსაც ეგრეთი ჩინებული მოსავალი მოგელით, კაცი არ ენდოს, ეს ხომ უსამართლობა იქნებოდა! თქვენი ხელის მოწერა ჩემთვის იგივე ფულია.

მოხუცს სულ ერთიანად აუჭრიალდა თვალები. ის ხან ვაჭარს შეხედავდა და ხან ცოლსა. რა ჰქნას, დაუჯეროს თავის თვალებს თუ არა? იქნება ეხუმრებიან? აგერ, აქ მაგიდაზედ იმდენი ფული აწყვია, რაც არამც თუ წერილ მოვალეებს მოაშორებს, სხვა საჭიროებასაც გაუძღვება. აგერ აქ კაცი ზის, რომელიც თითქმის ძალათ აჩეჩებს საჭირო ფულს, თითქმის თითონვე ეხვეწება. რა ჰქნას, დაიჯეროს თუ არა?

ამ გაჭირვების დროს უნდოდა თავის უფროს შვილისთვის მიემართნა და იმისთვის ეკითხნა რჩევა, მაგრამ კარლი ისეთის უაზრო თვალებით შეჰყურებდა ყველა ამ ამბავს, რომ მოხუცმა იმ წუთსვე მიანება თავის განზრახვას თავი. მაშინ

ისევ თავის მეუღლეს მიხედა. დედაკაცმა გასამხნევებლად თავი დაუქნია.

— აიღე, ჯაკო, აიღე! ვერა ჰხედავ, ბატონს ჩვენთვის სიკეთე უნდა?

მოხუცმა ხელი გააწოდა ფულებისკენ, მაგრამ სამუილმა გააჩერა.

— მოითმინეთ! აქ პატარა ფორმალური მხარეა კიდევ შესასრულებელი,—უთხრა გარრასსოვიცმა ღიმილით და ფულებს პორტმანი დაადო.—ყოველ შემთხვევისთვის! ყველანი ღვთის შვილები ვართ, დღეს რა მოაქვს და ღამეს რა, არ ვიცით. ვინ იცის, ვინ როდის მოკვდება! სიკვდილის შემდეგ არაფერი საბუთები გვექნება. ასეთი უსაბუთობა ხომ თქვენც არ გინდათ, არა?

ამ სიტყვებით ჯიბიდან ვიწრო პორტმანი ამოიღო, რომელზედაც რაღაც ეწერა, და დაეკითხა მოხუცს:

— სახლში უთუოთ კალამი და მელანი გექნებათ.

კარლს კალმისა და მელნის მოტანა უბრძანეს.

— ყველაფერში რიგია საჭირო. ჭკვიანი კაცი მოვალეც კი არის, რომ რიგი ყველაფერში დაიცვას.

კალმის რამდენიმე მოსმით სამუილმა ქაღალდის სუფთა ნაწილები შეავსო.

— ოთხას მარკასა ვწერ, იცოდეთ, აი!

პასუხი არავინ მიუგო. მოხუცი ისე მძიმედ ქშინავდა, რომ ოთახში მარტო იმისი სუნთქვა-ღა ისმოდა.

— ეხლა ხელის მოწერის მეტი აღარა დაგრჩენიათ-რა,— უთხრა ვაჭარმა და მოხუცს კალამი მიაწოდა.

ბიუტნერი რამდენსამე წუთს იდგა გარინდებული და ხელში ქაღალდს ატრიალებდა; ის ხან ქალს შეჰხედავდა, ხან ვაჭარს და ხან კარლსა.

— ჯერ წაიკითხეთ, ბ. ბიუტნერ!—ურჩევდა გარრასსოვიცი.—წაუკითხავათ ხელის მოწერა არასოდეს არ უნდა გაჰბედოთ ხოლმე.

ბოხუცს აცახცახებულ ხელში ქაღალდი ეჭირა და ფაშტერებული დასცქეროდა.

— თქვენ ნურაფერზედ შესწუხდებით, ჩემო კარგო. რაც საჭიროა, ყველაფერი სწერია,—ხუმრობდა სამუილი.—ყველაფერი თავის ადგილზე არის დაწერილი. მე თქვენთვის ვირჯები, დამერწმუნეთ, ამაზედ მეტი აღარა შემიძლიან-რა. აი, თქვენი ფულები! ხელი მოაწერეთ, რომ ნაღდათ მიიღეთ ჩემგან ფული და მოვალე ხართ ამ წლის პირველ ღვინობისთვეს დამიბრუნოთ. პირველი ღვინობისთვე მკის შემდეგ არის, არ დაგავიწყდეთ. მე საუკეთესო პირობებს გიდებთ. ეს ქაღალდი საწინდარი იქნება ჩემი და თუმცა ფორმალურ მხარეს შეადგენს, უამისობა მაინც არ შეიძლება. აბა მაშ მოაწერეთ.

მაგრამ მოხუცი მაინც ვერა ჰბედავდა ხელის მოწერას. კოპებად შეკრულ შუბლზედ ეტყობოდა, რომ ამ კითხვის გადაწყვეტა გლეხისთვის ადვილი არ იყო.

სამუილი მოიღუშა.

— როგორცა სჩანს, ბ. ბიუტნერი არ მენდობა!—მიუბრუნდა ვაჭარი ბიუტნერის დედაკაცს.—მაგ შემთხვევაში მიჯობს ჩემი ფული მევე წავიღო. სახვეწური მე რა მაქვს? მე შემებრალეთ და მინდოდა შემწეობა გამეწია, გაჭირვებიდან გამომეყვანეთ, და თუ თქვენ თითონ არ გინდათ ჩემი დახმარების მიღება...—ამ სიტყვებით მოავლო კიდეც გაბანჯგვნილი ხელი ფულებს...

— ტრაუგოტტ! — დაიყვირა დედაკაცმა და ბიუტნერს გვერდში მუჯლუგუნი წაჰკრა.—რა დაგემართა, ხომ არ გაგიჟდი? მოუწერე, რაღა, ხელი!

მერე სახელოში მოჰკიდა ხელი, კალამი მიაწოდა და ყურში წასჩურჩულა:

— გაჯავრდება, თუ ეგრე დაუყოვნებ.

— აი, აქ, ამ ადგილზედ მოაწერეთ!.. მარჯვნივ... მარტო სახელი და გვარი მეტი არაფერი!

ვაჭარმა თითი დაუდო, საცა უნდა მოეწერა ბიუტნერს თავისი გვარი.

ასე ამ რიგად ბიუტნერმა ვაჭარს თამასუქზედ ხელი მოუწერა.

VIII

ორ კვირაზედ მეტი გავიდა, სანამ პაულინამ იდას მიწვევით გრაფების სახლში წასვლა გაჰბედა. უსათუოდ თითონ სულაც ვერ გაჰბედავდა წასვლას, დედას რომ ილაჯი არ გაეწყვიტა—წადი, წადიო,—დღე და ღამე სულ წასვლაზე ჩასჩიჩინებდა.

ერთ დღეს, კაჩნერიანთ სადილი რომ გაათავეს, პაულინამ თავისი ერთად-ერთი სადღესასწაულო კაბა ჩაიცვა, გუსტავის ფულით ნაყიდი შლიაპა დაიხურა და ასე მორთულ-მოკაზმულმა მებატონეების სახლისკენ გასწია.

მებატონეთა მამული „სალანდი“ გალბენაუზედ ასე ნახევარი საათის მანძილით იყო დაშორებული. „სალანდი“ თუმცა სოფლისგან ასე იყო დაშორებული, მაინც მარტო თავისი შენობებით პატარა ქალაქს წააგავდა. თითონ სასახლეს მშვენივრად გაჩეხილი და მოვლილი ბაღი ერტყა გარშემო, რომელშიც ჩინებულად და კოპწიად შეკრეჭილი ბუჩქები, ლამაზ ჯგუფებად მიყრილი ნერგები, კოხტად დაგუბებული წყლები და ლამაზი ხიდები თვალის წარმტაც სურათს წარმოადგენდნენ. ამ ვეებერთელა ბაღის ნამდვილ საზღვრებს ძნელად იპოვნიდა კაცი, რადგან მებატონეების ტყეს უერთდებოდა და სად იწყებოდა ტყე და ბაღი სად თავდებოდა, კაცი ძნელად მიხვდებოდა.

პაულინა დიდ შარა გზით მიდიოდა, რომელსაც მებატონეების კოშკისკენ მიჰყავდა. შარა გზიდან პაულინამ მალე გადუხვია მეორეს, რომელიც ბაღში იკლაკნებოდა და სასახლის კარებთან თავდებოდა. პაულინამ გრაფის ოჯახის ზნე-ჩვეულებები ჩინებულად იცოდა და, რასაკვირველია, მშვენივრად ახსოვდა, რომ პაულინასთანა სტუმრებისათვის უკანა კარები იყო გაკეთებული და ასეც რომ არ ყოფილიყო, იმ კარებისკენ იმი-

ტომ გასწია პაულინამ, რომ ეკონომკა ბუმილეს ნახვა უნდოდა, რომელიც იმის დედას და თითონ პაულინასაც კარგად იცნობდა. იმას უნდოდა ჯერ ბუმილე ენახა და გაეგო ქალბატონი იდა შინ ბრძანდება და სტუმრები ხომ არა ჰყავსო. პაულინას ჯერ არც კი გადაეწყვიტა გრაფის ასულიც ენახა თუ მარტო ბუმილეს ნახვა ეკმარა.

აგერ პატარა ბილიკმა მიიყვანა კიდეც პაულინა მებატონეების სასახლესთან, რომელიც უზარმაზარ და სულ უბრალო მოურთავი კედლებით ზეცისკენ ამართულიყო და ერთ მხარეზედ წამოდგმული კოშკი თითქმის ზეცისთვის მიებჯინა, რაც ყარაულად დაყენებულ მდევ-გმირს აგონებდა ადამიანსა. სასახლის წვრილი ფანჯრები თეთრად იყვნენ შეღებილი და სახლს არაფერ შნოს არ აძლევდნენ. ისე ნაწილ-ნაწილ რომ გაესინჯა ადამიანს შენობა, ღირს-შესანიშნავს არაფერს შენიშნავდა, საგრამ საერთოთ კი თავის უზარმაზაროობითა და სიმაგრით ყველას განცვიფრებაში მოიყვანდა.

პაულინას გულმა ფანცქალი დაიწყო. ამ საოცარ გულის ფანცქალს პაულინა ყოველთვის გამოსცდიდა ხოლმე, როცა კი ამ შენობას შეჰხედავდა; იმას ეგონა, ეს სასახლე გულზედ დამწოლია და სულსა და გულს მიხუთავსო. და ის აზრი, რომ ეს შენობაც თავიანთ ქოხსავით ადამიანის ხელით ხალხისვე საცხოვრებლად არის აშენებული და თუ რითიმე განსხვავდება კაჩნერების ქოხისაგან, მხოლოდ სიდიდით და სიმაგრით—ეს აზრი არასოდეს არ მოუიდოდა ხოლმე პაულინას თავში. კოშკი კოშკათვე რჩებოდა ქალის გონებაში და იმის აზრით სხვა ამ გვარი შენობა დედამიწის ზურგზედ ვეღარსად მოიძებნებოდა და შიგ მცხოვრებნი ხომ უკვდავ არსებათ ჰყავდა წარმოდგენილი.

ჭისკარი ღია იყო და თაღით გადატანილ კარებში პაულინა დაუფიქრებლად შევიდა. ეზო ნათალი კლდის ვეებერთელა ნაჭრებით იყო მოფენილი, შენობის უმთავრესი კედელი მესამე სართულამდინ ასი წლის ზმილით იყო დაფარული. მის მუქ ფოთოლთა და ტოტებისაგან მარტო ფანჯრები განთავისუფ-

ლებულიყვნენ, თორემ სხვაგან ყველაფერი ხელთ ეგდოთ და ყველაფრისთვის კლანჭები ჩაევლოთ. ზმილის უმთავრესი ღერი კედლის ძირში მაჯის სიმსხო იყო. კარებსა და ფანჯრებზედ ჯიხვების დახლართული რქები მიემაგრებინათ. შესავალთან ორი სვეტი იყო ამართული, რომლებზედაც ქვის გამოქანდაკებული ლომი ამაყათ დამდგარიყო უკანა ფეხებზედ და დაღრჭენილ კბილებში გრაფების ღერბი ეჭირა.

პაულინამ ეზო, როგორც იყო, გაიარა. საცოდავს ვერც მარჯვნივ ტ ვერც მარცხნივ ვერ გადაეხედნა, იმას ეგონა, ჩემთვის და ჩემისთანებისთვის აქ სიარული აღკრძალულიაო. მადლობა ღმერთსა, არავინ შეჰხვდა. ბოლოს ერთ პატარა კარებს მიადგა, რომელსაც სამზარეულოს დერეფანში მიჰყავდა და რომელიც პაულინამ კარგათ იცოდა. პაულინას გული ისე უფრთხიალებდა, თითქოს საგულედან გადმოვარდნას უპირებსო, და თუმცა შევიდა კარებში, წინ მაინც ველარ გადაედგა ფეხი და ერთ ადგილს გაჩერებული ელოდა, იქნება რომელიმე მოსამსახურემ შემნიშნა და გამომელაპარაკოსო.

მართლაც ამ დროს სამზარეულოდან ვილაც მოახლე გამოვიდა და, მოჰკრა თუ არა უცნობ ადამიანს თვალი, მიუახლოვდა და ჰკითხა, ვინ გინდაო. პაულინამ ენის დაბმით ჰკითხა—არ შეიძლება „მამზელ ბუმილე“ ვნახოო. მოახლე მიბრუნდა და იქვე ერთი კარები დაარახუნა.

— ვილაცა გახლავთ და თქვენა გკითხულობთ, „მამზელ“!

ეკონომკა გამოვიდა კარებში და თავისი სრული სხეულით თითქმის სულ მთლად გამოავსო კარები.

— პაულინა კაჩნერი!—შესძახა ეკონომკამ.—ძლივს არ გაგიბედნია ჩვენსა მოსვლა!.. გუშინ თუ, არ ვიცი, გუშინ წინ ვლაპარაკობდი შენზედ—რავქნა, რა დაეშართა პაულინას, რომ აღარა სჩანს მეთქი. ქალბატონმა იდამაც ბრძანა, მოვა თუ არა პაულინა, იმ წუთსვე მე მომგვარეთო. აბა, შემოდ ჩემ ოთახში!

ამ სიტყვებით ბუმილემ არც კი დააცალა პაულინას, რომ თავის ნებით შესულიყო, მხარში წაავლო ხელი და თითქმის

ძალით შეაგდო ოთახში. ამ ოთახს პაულინა კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, რომ მთელ სასახლეში ყველა „მამზელის ოთახს“ ეძახდა. პაულინა იძულებული იყო დამჯდარიყო და ახალი ამბები ეამბნა. „მამზელ ბუმილესთვის“ ჭორები არსებით საგანს წარმოადგენდნენ. ალბათ ძალიან კეთილი გული უნდა ჰქონოდა, რომ ყველას ცხოვრება და გულის იდუმალი მოძრაობანიც კი „მამზელ ბუილესათვის“ დიდათ საინტერესონი იყვნენ ხოლმე; რასაკვირველია, სიყვარულის ამბებს უფრო მეტის სიამოვნებით და გულდასმით ისმენდა ხოლმე.

მებატონეთა სამზარეულოში დილიდან მოყოლებული შუალამემდის განუწყვეტლივ ყავადანი იდგა ცეცხლზედ და ყავა დუღდა. „მამზელმა“ მშვენივრად იცოდა, რომ ეს სასმელი ყველას და მით უმეტეს ქალებს აალაპარაკებს ხოლმე. ეხლა პაულინასაც ეს ყავადანი და ტკბილი კუპატები მოუტანეს. და „მამზელ ბუმილემ“ გამოკითხვა დაუწყო. უპირველეს ყოვლისა „მამზელმა“ გუსტავის ამბავი ჰკითხა, რომელსაც „პაულინას საქმროს“ ეძახდა, როგორ არის და ხშირათა გწერს წერილებსა თუ არაო? ამასთან იმოდენი თანაგრძობა გამოუცხადა პაულინას, რომ დაეკითხა, თან ხომ არა გაქვს იმის წერილებიო და როცა გაიგო, რომ პაულინას წერილები შინ დაეტოვებინა, როგორც შეეტყო, ძალიან ეწყინა და დიდი სინანული გამოაცხადა. ხომ დარწმუნებულია პაულინა, რომ გუსტავი უსათუოდ ჯვარს დაიწერს? გაწითლებულმა პაულინამ ძლივს წაილუღლუღა, რომ იმედი მაქვსო.

„მამზელ ბუმილე“ მაღალი და მოყვანილი ტანისა იყო. გაჭაღარავებულ თავზედ ლურჯი ლენტებით მორთული თავსახურავი ჰქონდა ჩამოფხატული. ამ ლენტებით დაწყობილი ყველაფერი როგორღაც ჩამოჰშვებოდა ამ დედაკაცს და ძირს იწევდა; თვალების ქვეშ პატარა პარკები, ჩამოშვებული ლაბები და მკერდი,—ერთი სიტყვით ამ ქალში ყველაფერი ქვეით იწევდა და ძირს დაშვებას აპირებდა.

შაგრამ თვალები კი ნამდვილ გულწრფელობისა და გულკეთილობის გამომხატავი ჰქონდა. მიუხედავათ იმისა, რომ

დინჯი ლაპარაკი იცოდა, მაინც ყბედათ იყო გადაქცეული და ლაპარაკზედ ძლიერ ქვეყნად არაფერი უყვარდა. ალბათ, დიდი მეხსიერების პატრონი იყო, რომ სრულიად უმნიშვნელო და წვრილმანი რამეები შესანიშნავათ ახსოვდა და ამასთან ძნელად თუ სხვა ვინმე იქნებოდა სხვების საიდუმლოებით ასე გატაცებული.

როცა ყველაფერი გამოსტყუა პაულინას, რის გაგებაც დიდი ხანია უნდოდა, სამზარეულოდან მოსამსახურე დაიბარა.

— წადი, ტკბილეულობა მოიტანე! ნუში, ქიშმიში და შოკოლადი,—უბრძანა მოსამსახურეს. — არაფერი დაგავიწყდეს, რომ პატარა გუსტავს საწუწნი და საჭმელი რამე ჰქონდეს,— დაუმატა ალერსიანათ ბუმილემ.

„მამზელ ბუმილე“ თავისი გულუხვობით მთელ სოფელში იყო განთქმული. მათხოვართათვის და მაწანწალა ხალხისთვის „სალანდი“ ნამდვილი ელდორადო იყო, რომელსაც მაწანწალანი თავიანთ ენით „ჩინებულ მაღლა ასასვლელ მანქანას“ ეძახდნენ, სადაც ადვილად შეიძლება კუჭის გაძღობაო. „მამზელ ბუმილეს“ სხვის გაკითხვა ჩვეულებათ ჰქონდა გადაქცეული, რადგან ამას ოჯახის პატივი მოითხოვდა: „სხვის გაკითხვით კაცი არ გაღარიბდება“—იტყოდა ხოლმე ბუმილე: რაკი ბატონების ჯიბიდან და ოჯახიდან უმასპინძლდებოდა ყველას და თავისი გულუხვობით თავისი არა ეხარჯებოდა-რა, „მამზელ ბუმილე“ ეს ანდაზა მართლა არ უცრუვდებოდა.

პაულინასაც ქალალდში გამოუკრა ტკბილეულობა და ურჩია ჯიბეში ჩაედო, რომ „ბატონებს არ დაენახათ“. ამასთან დედასთან მოკითხვა დააბარა და შეუთვალა, როგორმე შემოიარე და დამათვალიერეო. ერთ მოსამსახურეს, რომელთა რიცხვი, როგორც ეტყობოდა, ცოტა არ უნდა ყოფილიყო ამ სახლში, „მამზელ ბუმილემ“ უბრძანა პაულინა ქალბატონთან გააცილეო. მამზელის ოთახი ქვედა სართულში იყო.

პაულინამა და მოსამსახურემ ჯერ გრძელი დერეფანი გაიარეს, რომელიც იარაღითა და სანადირო ნივთებით და ჯი-

ხვის რქებით იყო მორთული; მერე კიბესაც შეუდგნენ, სადაც პაულინამ მალე შეამჩნია, რომ ფეხები ძვირფას საფენებში ეფლობოდა. რბილათ და ფაქიზათ სიარულმა წარსული დღეები მოაგონა პაულინას, როცა ერთხელ და ორჯერ არ აურბენია ეს კიბეები და მის შემდეგ კი ეს სიამოვნება აღარსად გამოუცდია.

ბოლოს ქალბატონის ოთახშიც გაჩნდა პაულინა, მაგრამ თითონაც ვერ გეტყოდათ—როგორ ამოჰყო აქ თავი. იდა საწერ მაგიდას მოსჯდომოდა და რაღასაც ჰკითხულობდა, მაგრამ მოჰკრა თუ არა პაულინას თვალი, იმ წამსვე წამოხტა და სტუმარს მიეგება. ეხლა, როდესაც იმათ მეტი აღარავინ იყო ოთახში, იდა გადაეხვია უწინდელ მეგობარს და გულიანათ გადაჰკოცნა. მერე დაწნული სავარძელი მოსწია, ჩასვა პაულინა და თითონაც იქვე გვერდით მოუჯდა.

პაულინა წითლდებოდა და იდას თვალს ვერც-კი უშტერებდა, ალბათ, იდას მეგობრულმა მოგებებამ თუ დაუკარგა დავთარი.

უწინ, როდესაც ორივენი ბავშვები იყვნენ, ერთად დარბოდნენ და თვალ-ხუჭუნას თამაშობდნენ, პაულინა ძალ ღონით, სიმარდით და ჭკუა მახვილობით ყოველთვისა სჯობნიდა ხოლმე გრაფის ქალს იდას. სოფლის გოგომ, რომელსაც იდასავით არ უმალავდნენ ბუნების საიდუმლოებას, ყველაფერი იდაზედ ადრე გაიგო და, რასაკვირველია, იდაზედ უფრო მიხვედრილი და დაკვირვებულიც იყო პირველ ხანებში. სწორედ ეს გარემოება აძლევდა პაულინას გრძნობათა იმ სიმახვილეს და ინსტიკტებს, რომლებითაც ველური კაცი ყოველთვისა სჯობნის ხოლმე განათლებულს. მაგრამ ამ ბოლოს დროს კი უპირატესობა იდას ერგო და პაულინა ბევრით ჩამორჩა თავის მეგობარს.

ვისაც უნდა შეეხედნა ამ ორი ქალისთვის—პაულინასთვის, რომელიც კონფირმაციის კაბაში, ტლანქ ფეხსაცმლებში და შეუხამებლათ აჭრელებულ შლიაპაში იყო გამოწყობილი და რომელსაც ვერც ხელები ეჭირა ხეირიანათ და ვერც საზოგა

დოთ სხეული, ალბათ ვიწრო კორსეტი თუ უზღუდავდა თავისუფლებას.—და სოფლის ამ ლამაზ გოგოს გვერდით მეორესთვისაც, რომელსაც კეთილშობილური სიამაყითა და გრძნობით ჰქონდა სახე სავსე და რომელიც არც კი ჰგრძნობდა თავის ღიმილის თუ საზოგადოთ სახის გამომეტყველების უპირატესობას, ის კაცი შეადარებდა თუ არა ამ ორ ქალს, ადვილათ მიხვდებოდა, რომ ძველი კულტურა არისტოკრატებს ბუნებრივ უპირატესობას აძლევს ხალხის წარმომადგენელებთან შედარებით.

გრაფის ასულ იდას მშვენივრად შეჰფეროდა ოთახის მოწყობილებაც. ამ მოწყობილებას ცხადად დასტყობოდა ქალის ხასიათი. ოთახში თუმცა არაფერს ეტყობოდა მედიდურობა, ქარაფშუტობა და სიფუქსავატე, მაინც ცხადათა სჩანდა, რომ ახალგაზდა ქალისა უნდა ყოფილიყო, ყვავილებით დატვირთული და გაჭუკვნილი მაგიდა, კედლებზედ სურათები და საწერ მაგიდაზედ ფოტოგრაფიული სურათები, ყველა ეს ცხადათა ჰყოფდა პატრონის გემოვნებას და იმ სიყვარულს, რომლითაც ქალი ყველაფერს, რაც კი მას ეკუთვნოდა და რასაც კი რაიმე დამოკიდებულობა ჰქონდა მასთან, აჯილდოვებდა და ეპყრობოდა. მასპინძლის გულისა და სულის სიმშვიდემ და სითბომ, ცოტა არ იყოს, პაულინაზედაც იმოქმედეს და ისიც დაამშვიდეს. გრაფის ასული დიდის თანაგრძნობით და სიყვარულით გამოჰკითხავდა ყველაფერს. ამან, ცოტა არ იყოს, პაულინას ენა გაუხსნა და აალაპარაკა. კაცს ეგონებოდა, თავისი სიტყვებით, რომლებშიც გადამეტებული და ძალდატანებული არაფერი სჩანდა, იდა უფრო ბევრს ამბობს, ვიდრე სხვანიო, რადგან ყოველ სიტყვას და ხმის ამოღებას სახის ალერსიანი, მაგრამ წრფელი გამომეტყველება თანა სდევდა ხოლმე. პაულინას ეგონა, პირველად რომ აღსარება მათქმევინა, იმ მღვდელთანა ვზივარ და ის მელაპარაკებაო. იმისთვისაც ის ეკვე, როგორც დღეს, გინდოდა თუ არ გინდოდა, ყველაფერი უნდა გეამბნა.

ქალებმა ჯერ თავიანთი სიყმაწვილე მოიგონეს, რა მოხდენოდათ, რა ენახათ და რა გამოეცვლოთ სხვა მეგობარ გოგოებთან ერთად. იდას არავინ დაჰვიწყდებოდა. ყველა მეგობარი მოიგონა და დაწვრილებით გამოჰკითხა პაულინას მათი თავგადასავალი და აწმყო მდგომარეობა. თითქმის ყველა იმათგანი უკვე გათხოვილიც იყვნენ და შვილებიც ჰყავდათ.

მერე ისევ პაულინას ცხოვრებას შეეხო. პაულინამ ბედნიერათ უნდა ჩასთვალოს თავი, რომ დეიდას ბავშვს უვლის ამ ჟამათ. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ იდას შურს კიდეც პაულინას ამგვარი ილბალი. პატარა ბავშვებს უვლიდეს ადამიანი, ნეტა ამაზედ კარგს რალას ინატრებდა ქალი? რასაკვირველია, ეს ბედნიერება იშვიათად თუ ერგება ხოლმე წილად გასათხოვარ ქალებსა.

ჩამოვარდა თუ არა ბავშვზედ ლაპარაკი, პაულინას გულზედ ბოლმა შემოაწვა და რალაცნაირად ცუდათ იგრძნო თავი. გრაფის ასულმა ხომ არც კი იცის, ვის ელაპარაკება! რომ გაიგოს, უსათუოდ იმ წუთსვე წამოხტება და კარში გამიძახებს, რადგან ამ უმანკო და სუფთა ქალმა უსათუოდ არც კი იცისრა ამგვარი ამბების შესახებ და ვერც წამოიდგენს რაები ხდება ქვეყნათ. ამას ჰფიქრობდა პაულინა, მაგრამ საიდუმლო კი გულსა და სულს უთუთქავდა, მოსვენებას არ აძლევდა. განა ათასჯერ უფრო ცუდი არ იქნება, რომ ასე იცრუონ ამისთანა გულკეთილ ადამიანთან? ეგეც რომ არ იყოს, რა არის ამაში ცუდი? ბიჭი ჩემი შვილია, მერე რა? განა ცუდათ უნდა ჩაითვალოს ის, რაც სიყვარულს შეუქნია ქვეყნად? ის, რამაც ამდენი ბედნიერება მიანიჭა, განა შეიძლება დასამალი და დამამცირებელი იყოს ადამიანისთვის? იდაც ისეთივე ქალი არის, როგორიც პაულინა, და მაშასადამე, არ გაუძნელდება მის მდგომარეობაში შესვლა, მიუხედავათ იმისა, რომ გრაფის ასული ცნობილი და დიდი გვარტომობის პატრონი ადამიანია. იდას ისეთი კეთილი თვალები და თანამგრძნობი ხმა აქვს, რომ ვერც კი წარმოიდგენს პაულინა მის გაჯავრებასა და გაცხარებას.

მაგრამ როგორ დაეწყო და როგორც გამოტეხილიყო,— პაულინას ვერას გზით ვერ გადაეწყვიტა. ამ გვარ საქმეში გამოტეხა საშინელებათ ეჩვენებოდა პაულინას. ის ყოველ წუთს აპირებდა ამ საგანზედ ლაპარაკს, თითქმის ყოველ წუთს ჰფიქრობდა: „აი გაჩუმდება თუ არა იდა, მე იმაზედ დავიწყებ ლაპარაკსაო“, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც ვერ ახერხებდა. ასე რამდენმამე ხანმა გაიარა და პაულინამ გადასწყვიტა: როგორც მეტყობა, მე ვერაფერში გამოვტყდები და ისე წავალო.

იდამ უთხრა, არ მესმის, როგორ შეუძლიან დედას თავისი შვილი სხვას მიაბაროს გასაზრდელათ და თითონ კიდევ მოისვენოსო? მერე დაეკითხა, განა რა ქალია, შენი დეიდა, რომ ბავშვის მოშორება გაუბედნიაო?

აქ კი მიხვდა პაულინა, რომ ამაზედ კარგი შემთხვევა აღარ მიეცემოდა. მიყრუებულის, ძლივს გასაგონი ხმით პაულინამ რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ გრაფის ასულს მაინც ყველაფერი აუსხნა და გააგებინა.

პირველ წუთს იდამ მღელვარება ვერ დაჰფარა. ეხლა აშკარათ გამოჩნდა კარგ აღზრდის გარეგნობაში რა მძლავრი და ღრმა გრძნობა იმალებოდა. იდა წამოხტა და მომაკვდავსავით გადაფითრებული მაგიდას დაეყრდნო; აღელვებული ძლივს-ღა სუნთქავდა და მარმარილოსავით თეთრი ხელი უცახცახებდა.

არც ერთი და არც მეორე ხმას აღარ იღებდა. პაულინას თავი ჩაექინდრა და ძირს იყურებოდა. იდა კი, თვალების რაღაც საოცარი და არაჩვეულებრივი ბრწყინვით, დაჰყურებდა პაულინას დარცხვენილ ფიგურას. იყო ისეთი წუთი, როდესაც იდას თვალებმა სასტიკი და უგულო გამომეტყველება მიიღეს, გამომეტყველება, რომელშიაც თავისი საკუთარი უმანკოების რწმენა ცხადათ მოსჩანდა. ნესტოები დაებერნენ და ტუჩები ზიზღით მოეკუმშნენ. იმ წუთს იდა გაფუჭებულ და დაცემულ ქალის გამკიცხავ ამაყ არისტოკრატს წარმოადგენდა.

მაგრამ მალე გაუქრა ეს გამომეტყველება. თვალებზე ცრემლები გამოუჩნდნენ და ტუჩები შეუთამაშდნენ. ეხლა სახის

ყოველი ხაზი თანაგრძნობას და სიბრალულს გამოჰხატავდა, სიბრალულს პაულინასადმი, საკუთარი თავისადმი და, საერთოთ, მთლად თავიანთ სქესისადმი.

იდა კიდევ რამდენსამე წუთს იდგა უნძრეველივ და მხოლოდ გული აუდ-ჩაუდიოდა. მაგრამ მალე შეიკავა თავი, ისევ ჩამოჯდა სკამზედ, ლამაზი ხელი პაულინას მზე-მოკიდებულ და უხეშ ხელს დაადო და უთხრა:

— ხომ ბედნიერებათა სთვლი შენ ბიჭსა, პაულინა?

პაულინამ პასუხის მიცემა ვერ მოახერხა და ხმა ამოუღებლივ თავი დაუქნია.

* * *

პაულინამ ქალაქიდან გუსტავის გამოგზავნილი წერილი მიიღო. უნტერ-ოფიცერი სწერდა, სამსახური შევასრულე და თუმცა უფროსები ძალიან მეხვეწებიან, მე არასგზით არ დავრჩები და უსათუოდ გალბენაუში ჩამოვალო. საშინლად შემზიზღდა სალდათობის „თამაშობა“. აღლუმების შემდეგ სამსახურს თავს დავანებებ და ჩემ სამშობლო სოფელს სამუდამოდ დავუბრუნდებიო. გუსტავი სთხოვდა, მიდი ჩვენებთან და ჩემი გადაწყვეტილება გადაეციო.

პაულინა მეტად ბედნიერადა ჰგრძნობდა თავსა. რა კეთილი გულის არის გუსტავი.

ქალი წერილს არც დღე და არც ღამე აღარ შორდებოდა. იმისთანა წუთებში, როცა არავინ უყურებდა და იცოდა ვერავინ შემნიშნავსო, წაიკითხავდა და კვლავ დაუბრუნდებოდა ხოლმე. ის მზათ იყო ათჯერ და ათასჯერ გადაეკითხა საყვარლის წერილი, მით უმეტეს, რომ გუსტავის ხელით გამოყვანილი ყოველი ასოც კი ბედნიერებად და ძვირფას განძად მიაჩნდა.

მაშასადამე არ მოტყუებულა გუსტავში. როგორ ჩამციებოდა დედაჩემი, დაანებე თავი შენს გუსტავს და ნურც კი გაიხსენებ ხოლმეო, რადგან გუსტავი ფუქსავატი კაცია და უსათუოდ თავს დაგანებებსო. სხვებიც ბევრს ეჩიჩინებოდნენ.

პირველად გუსტავიც ისე ეჭცეოდა, რომ დედისა და მეგობრების სიტყვები თითქმის გამართლებულად უნდა ჩათვლილიყვნენ, გუსტავზედ ათას საშინელ რამეებს უამბობდნენ, მაგრამ პაულინა მაინც იმედს არა ჰკარგავდა. როგორ დაანებებს თავსა, როცა ეს ბავშვი შვილია იმისი?

აი, ეხლა უფრო საიმედო და პატიოსან კაცად ეჩვენა გუსტავი. თუმცა ჯვრისწერაზედ არაფერს იწერებოდა, სტრიქონსა და სტრიქონს შუა კი მაინც ნათლად გამოსჭვიოდა ეს აზრი. ძვირფას გუსტავის წერილებში სტრიქონსა და სტრიქონს შუა აზრების ამოკითხვა პაულინამ მშვენივრად იცოდა. ამ გაუნათლებელ და გაუნვითარებელ ქალს ბუნებით ჰქონდა მინიჭებული ის საოცარი თვისება, რომლითაც თითქმის ყველა ქალი განსხვავდება მამაკაცისაგან და რომლის წყალობით ის წინაგრძნობით იგებს იმას, რასაც ჭკუა აღარ უწვდება ხოლმე.

გუსტავს შემოდგომას უთავდება სამსახური და გალბენაუში ბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ პაულინა იმისი ცოლი შეიქმნება. ეს თითქმის ცხადზე უცხადესი იყო ქალისთვის. ამაზე ფიქრი და დარდიც კი მეტია დღესა. ეს ნამდვილია!

ეხლა ის-ღა დარჩენია, რომ ბიუტნერებსაც ახაროს გუსტავის დაბრუნების ამბავი. გუსტავმა პირველად იმას გაუზიარა თავის აზრი. მარტო ეს გარემოება ბევრს რასმეს ეუბნებოდა პაულინას. ბიუტნერებიც უსათუოდ მალე მიხვდებიან, რა ძვირფასი არსება უნდა იყოს პაულინა გუსტავისათვის.

შემდეგ კვირას პაულინა სადილს შემდეგ ბიუტნერიანთსა წავიდა.

სახლში მარტო დედაკაცები დახვდნენ; მოხუცი ბიუტნერი და კარლი სადღაც წასულიყვნენ. ბიუტნერის მეუღლეს ქმრის შინ არ ყოფნით ესარგებლნა და ჩუმად ყავა მოეხარშა. ყავის სმას ფულების ფლანგვას უძახდა ბიუტნერი და სამუდამოდ აუკრძალა შინაურებს ეს „სულელური ხარჯი“. საუზმეთაც მარტო რძისა და ფქვილით შეზავებულ წვნის მეტს არაფერს მოატანინებდა ხოლმე სუფრაზედ—რძე და ეს წვენი ის

საჭმელები იყვნენ, რომლებსაც მისი პაპა, პაპის პაპა და მთლად მისი წინაპარნი შეექცეოდნენ ხოლმე.

დედაკაცები ბედნიერად ჰგრძნობდნენ თავსა, რომ დაშლილ ხილს შეექცეოდნენ და ფრთხილად იყვნენ. სწორედ ეს სიფრთხილე იყო იმის მიზეზი, რომ პაულინა გზაშივე შენიშნეს და ეზოში შევიდა თუ არა, ფანჯარაში ოთხმა დედაკაცმა გადმოჰყო თავი.

— კაჩნერიანთ პაულინა! – მოჰკრა ყური პაულინამ და შემდეგ რამდენიმე ქალის ხმაურობა გაიგონა.

ამ წუთამდის არა უშავდა რა პაულინას, დინჯათ და მშვიდათ მიდიოდა, რადგან ჰგრძნობდა გუსტავის ბრძანებას ასრულებდა, მაგრამ დაინახა თუ არა ქალების ცნობის მოყვარეობით გატაცებული სახეები, ცოტა არ იყოს, შეკრთა. პაულინა სწორედ ეხლა მიხვდა, რომ ამ სახლში მტრებთან და მოქიშპეებთან ექნებოდა საქმე

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პაულინას გული საშინლად უცემდა და ხელებმაც კი ცახცახი დაუწყეს, კარები მაინც დაიკაკუნა, რადგან უკან დახევის დრო აღარ იყო. კარები ტერეზამ გაუღო. ულამაზო და გამხდარი ტერეზა, დატიტვლებული ხელებით და კისრით შიგ კარებში გაჩერებულიყო და მტრულად უყურებდა პაულინას.

— ჩვენ გვეწვიე?!—უხეშად დაეკითხა ტერეზა.

პაულინამ ენის დაბმით გამოუცხადა, თქვენი დედამთილი მინდა ვნახოო.

— თქვენი ნახვა სდომებია, დედა!— დაუყვირა კისერ მიბრუნებულმა ტერეზამ.

— მოდი, მანდ რაღას გაჩერებულხარ, პაულინა!—გამოეხმაურა მოხუცი დედაკაცი, რომელშიაც გულის სიკეთე და სიწრფელე ქალურ შუღლსა და მტრობას მუდამ სჭარბობდა ხოლმე.

თავ-ჩაღუნული პაულინა გაუბედავათ შეევიდა ოთახში. რაღა სწორედ ტერეზამ გაუღო კარები?! პაულინა და ბიუტნერიანთ რძალი ერთი ხნისანი და სკოლის ამხანაგები იყვნენ. პაულინა სკოლაშივე ერჩეოდა ნიჭით და სწავლის, თუ სისუფთავის სიყვარულით. ამხანაგებს ეს ღირსებებიც ხომ შურდათ, მაგრამ პაულინასა და გრაფის ასულის მეგობრობა ხომ მოსვენებას აღარ აძლევდა. ენა ჭაპარტელა და ფიზუკური ღონის პატრონი ტერეზა ხომ პაულინას დაუძინებელი მტერი იყო. ამგვარი დამოკიდებულება არა თუ არ გაუმჯობესდა, როცა ტერეზა ბიუტნერიანთ უფროს ვაჟს მისთხოვდა და პაულინა კი უმცროსის საყვარელი შეიქნა, პირიქით, უფრო გამწვავდა. ტერეზამ ცოტა სიტყვა არ დახარჯა, რომ თავისი ქმრის ნათესაობისთვის პაულინა შეეძულებინა და არას გზით არ დაეშვა მათი დაახლოვება.

პაულინა ჯერ მოხუცს მიუახლოვდა, რომელიც იმ ჟამად ყავას შეექცეოდა მაგიდასთან, და-ხელი ჩამოართვა.

— გამარჯობათ, დედილო!

— გაგიმარჯოს, პაულინა, გაგიმარჯოს!

მერე გუსტავის დებს მიესალმა და ორთავეს ხელი ჩამოართვა.

— გამარჯობა, ტონი, გამარჯობა, ერნესტინა!

ორიკე გოგოები გაკვირვებულნი შესცქეროდნენ პაულინას და ხმა ამოუღებლივ თითქოს რაღაცას ელოდნენ. ტონის არაფერი ჰქონდა პაულინასა წინააღმდეგი, ეს უწყინარია და გულჩახურული ქალი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ამ საქმეში. პატარა ერნესტინა კი ძმის საყვარელს დაცინვით და ცნობის მოყვარეობით შესცქეროდა.

მიუხედავათ იმისა, რომ პაულინას ეხლა სხვა რამეებისთვის არა სცხელოდა, როგორც ამ გვარ საქმებში გამოცდილმა დედაკაცმა, მალე შენიშნა, რომ სოფელში ტონის ორსულობის შესახებ გავრცელებული ხმები მართალი უნდა ყოფილიყო.

პაულინას თუმცა სრულიად არ ეჭაშნიკებოდა სოფლის ჭორები და, ღვთის წინაშე, არც კი მისდევდა მათ – იმ დღის შემდეგ რაც ბავშვი ეყოლა საცეკვაო საღამოებზედაც აღარ დაიარებოდა, მაინც დრო გამოშვებით ამასაც ეტყოდნენ ხოლმე სოფლის ჭორებსა. აი, სწორედ ამ გვარად გაიგო პაულინამ ეს ახალი ამბავი.

რაკი დასაჯდომათ არავინ მიიწვია სტუმარი, პაულინა ისევ ფეხზედ იდგა. ქალები მოუთმენლად ელოდნენ რას იტყვის ჩვენი იშვიათი სტუმარიო; იმათ მშვენივრათ იცოდნენ, რომ თუ პაულინამ ბიუტნერიანთსა მოსვლა გადასწყვიტა, უსათუოდ რამე მიზეზი ექნებოდა.

სტუმარს მარცხენა ხელი წინსაფარის ქვეშ ეჭირა. იქ, იმ ადგილს ის წერილი ჰქონდა პაულინას, რომელიც უკანასკნელ დამამტკიცებელ საბუთად ეგულებოდა, თუ ვინიცობაა მასპინძლები ახალ ამბავს არ დაუჯერებდნენ. მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა, ბოლოს ხომ მაინც უნდა ეთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა? ამ ფიქრთან ერთად პაულინამ ნელის ხმით დაიწყო.

— მოკითხვა გუსტავისაგან!

გუსტავის მოკითხვას ქალებმა ჯერ არაფერი ყურადღება მიაქციეს.

— მალე აპირებს ჩამოსვლას,—განაგრძო პაულინამ.

— ჰო, სადღესასწაულოთ აპირებდა, მაგრამ ისიც მხოლოდ იმ პირობით, თუ დაითხოვდნენ!—შენიშნა მოხუცმა.

— არა, სადღესასწაულოთ კი არა, სულ ჩამოვა გალბენაუში.

— გუსტავი? რას ლაპარაკობ?

— აი, ფითონა მწერს.—და ამ სიტყვებით წინსაფარიდან წერილი ამოიღო და გამარჯვებულმა მაღლა ასწია.

— არ მჯერა! გუსტავი სამსახურს თავს ანებებს?!

— ვახმისტრთან ჩხუბი მოსვლია და ეხლა სალდათობაზედ ფიქრიც კი აღარ უნდა. აღლუმების გათავების შემდეგ უსათუოდ ჩამოვა.

ამ ახალმა ამბავმა კი ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა ქალებზედ. მოხუცს სულ დაავიწყდა, რომ პაულინას როგორც უზნეო ქალს ისე უყურებდნენ ოჯახში, მიიყვანა და გვერდით მოისვა. იმის საყვარელი შვილი გუსტავი სამუდამოთ ბრუნდება შინა! იმას უნდოდა ამ ამბის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით გაეგონა. პაულინამ ყველაფერი უნდა უ:მბოს.

ამ დროს ტერეზა და მისი ორი მული ოთახის მეორე კუთხეში იდგნენ. ტერეზა როგორლაც მტრულად შეჰყურებდა პაულინას და რაღაცას ბუზღუნებდა. იმას არც თუ გუსტავის დაბრუნება ესიამოვნა, პირიქით, ძალიან ეწყინა კიდეც. ტერეზას დიდი ხანია სძულდა თავისი მაზლი, იმიტომ რომ ის კარლს ბევრითა სჯობდა.

პაულინამ წერილის ერთი ნაწყვეტი წაუკითხა მოხუცს. უნტერ-ოფიცერი იწერებოდა—მამას, რასაკვირველია, გაეხარდება, რომ შემოდგომისთვის ერთი წყვილი მუშა ხელი კიდევ მოემატებაო.

აქ კი ტერეზამ ვეღარ მოითმინა.

— რათაო?—შეჰყვირა იმან და მაგიდას მიუახლოვდა.— გუსტავს ჩვენთან ცხოვრება სურს? აქ ბატონობას და ბრძანებელობას დაიწყებს ეხლა, ჰა? ჩვენ სადღა წავიდეთ? მშვენიერი ცხოვრება გვექნება, რაღა ლაპარაკი უნდა? მე და კარლი მაშინ უნდა სადმე გადავიკარგოთ, აქ აღარ დაგვედგომინება. მერე ეს ნათრევ-ნაწოწი გომბიოც..—ამ სიტყვებთან პაულინას მიუბრუნდა მუშტების ქნევით—დარწმუნებულია, რომ რაკი იმისგან ბიჭი გააგდო, ესეც ჩვენ ოჯახში შემოეჩხირება. უკაცრავათ, ნუ აჩქარდები! გუსტავის ყველა საყვარელი ოჯახში რომ შემოგვეყვანა, სახლში ხომ ადგილი ცოტას დარჩებოდა. აბა ქალაქშიც იკითხე, იქაც რამდენიმე საყვარელი

ეყოლება. იქნება შენა გგონია, შენზედ ჯვარი დაიწეროს, მანამ ნურასა სჭამ! ის ისეთი სულელი არ გახლავთ. შეირთავს ნაბიჭვრიან ქალს, დიაღ! გუსტავს მე შენზედ კარგათ ვიცნობ! შენ და იმას აქ ბინა არა გაქვთ, ეხლავე გეუბნებით. სანამ მე ცოცხალი ვარ, აქ ბინა არ გექნებათ თქვენა, არა!

ბრაზისა და ცოფებისაგან ტერეზას სუნთქვა შეეკრა. უკანასკნელი სიტყვები როგორღაც ხრინწიანი ხმით ჯ ხნავილით წამოისროლა.

პაულინა მომაკვდავსავით გაფითრებულიყო და თვალებ დაჭყეტილი ტერეზას შეჰყურებდა, გულითაც რომ სდომებოდა, მაინც ვერაფერს ეტყოდა საბრალო. პაულინა ყოველთვის ასეთი იყო. უსამართლობისა და უგვანი ქცევის წინ მუდამ უბრალო და უსახსრო რჩებოდა ხოლმე.

მაგრამ პაულინას მალე დაეხმარნენ. მოხუცსაც მოთმინება გაუწყდა. ყველაზედ ძლიერ მოხუცს ის ეწყინა, რომ ტერეზამ გაბედა და იმისი საყვარელი შვილი გუსტავი ცუდათ მოიხსენია. გაჩუმდა თუ არა ტერეზა, იმ საათშივე დედამთილმა შეჰყვირა... ნუ ჰგონია ტერეზას, რომ ის დიდი ვინმე იყვეს ოჯახში, სახლიცა და მამულებიც ჩემი კაცისაა და არა შვილებისა. სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, ან ჩვენი ნებაყოფლობით არ გადმოგცემთ მამულს, ცოტა ენაც მოჭრილი უნდა გქონდეთ და სურვილებიცა.

არც თუ ტერეზა უჩუმდებოდა დედამთილს. მაგრამ თუ მოთმინებიდან გამოიყვანდა რამე მოხუცს, დათმობა და შებრალება არც იმან იცოდა. ეხლანდელმა და მომავალმა დიასახლისებმა ისეთი ყვირილი და ღრიანცელი ასტეხეს, რომ იმათი ხმაურობა, მგონი, მთელ სოფელს ესმოდა. ამ გაცხარებულ ჩხუბში და დავიდარაბაში, რასაკვირველია, ფანჯარასთან ყარაულობაც დაავიწყდათ.

უცბათ დერეფანში ვიღაცის მძიმე ფეხის ხმა გაისმა. შეშინებულმა ქალებმა ერთმანეთს გადახედეს. ეხლა გვიანღა იყო

ყავის ალაგება. კარებში მოხუცი ბიუტნერი გამოჩნდა, რომელსაც უკან კარლი მოსდევდა.

მოხუცი ბიუტნერი ცუდ გუნებაზედ იყო, რადგან მამასახლისთან დიდი ლაპარაკი მოსვლოდა. მოავრობის მთხოვნით ბიუტნერს ქვეშის ორმოსთვის მოაჯირი უნდა შემოევლო და თუ მალე არ შეასრულებდა მთავრობის ბრძანებას, დაჯარიმებას უპირებდნენ. ამ უკანასკნელმა შემთხვევამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ბიუტნერს, რომ უფროსები სოფელში გლეხების დასაღუპავად და იმათ ცხოვრების მოსაწამლავად არიან დაყენებულნი. გაშმაგებული ეცა მამასახლისს და ნახევარ საათზედ მეტი უყვირა, ილანძღა, ისე რომ ეხლა, შინ რომ მოვიდა, ჯერ კიდევ დამშვიდებული არ იყო.

შესდგა თუ არა ბიუტნერმა ოთახში ფეხი, მაგიდაზე ყავადანი დაინახა. ქალების შემკრთალ სახეზე დანარჩენიც გაიგო.

მერე პაულინასაც მოჰკრა თვალი. ამან ხომ სულ გააკვირვა მოხუცი. ამას რაღა უნდა ჩვენსაო? მოხუცი მოიღუშა. სწორედ ეს-ღა აკლდა, რომ გუსტავის კავშირიც მოეგონებინა!

ბიუტნერის ცოლი მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო. ტონის ორსულობაც ამ რამდენიმე დღის წინად გაიგო ბიუტნერმა და ჯერ ეს ახალი ვარამიც არა ჰქონდა მონელებული. ქალებს ეხლაც ჟრუანტელი უვლიდათ სხეულში, ამ ამბის გამოატეხილ აურ-ზაურს რომ წარმოიდგენდნენ ხოლმე. ბიუტნერის ხასიათი ცოლმა მშვენივრად იცოდა. შუბლის დაჭიმულ ძარღვებზე შეატყო ცოლმა, რომ ჭექა-ქუხილი მალე უნდა დაწყებულიყო. ეხლა კი ყველა ხერხი უნდა ეღონათ, რომ როგორმე ეს ვაი-ვაგლახი თავიდან აეცდინათ.

ცოლი კოქლობით მიუახლოვდა ბიუტნერს და მხარზედ ხელი დაადო.

— ტრაუგოტტ!—მიჰმართა ტკბილის და ალერსიანი ხმით მეუღლემ.—ცოტა ყავა მოვიხარშეთ. თუ ღმერთი გწამს, ნუ გაჯავრდები. ერთი ჭიქა ყავა არ გაგვალარიბებს და საიმისო ფულს კიდევ ვიშოვნით!

მოხუცმა ჩაახველა. ცოლმა იცოდა, რომ ეს ჩახველება გაჯავრების წინამორბედი იყო. მაგრამ თუ გაჯავრდებოდა, მხეცს დაემსგავსებოდა და მაშინ ველარაფერი უშველიდა დედაკაცს. გამოცდილი დიასახლისი მიხვდა, რომ ეხლა კი უკანასკნელი ღონე უნდა ეღონა.

— იცი!—განაგრძო ცოლმა:—ჩვენ ერთი ახალი ამბავი გვაქვს შენთვინ გუსტავის შესახებ. ძალიან კარგი და სასიამოვნო ამბავი. წარმოიდგინე, თურმე სამსახურს თავს ანებებს და შემოდგომაზედ გალბენაუში მოსვლას აპირებს არა, რას იტყვი ამაზედ, კაცო? არ გიხარიან განა? ჩვენი გუსტავი ისევ შინ დაგვიბრუნდება.

დედაკაცმა კარგათ მოიფიქრა. ამ ამბავმა ძალიან ასიამოვნა მოხუცს. გუსტავი შინ დაბრუნდება! ის იმედი, რომელსაც მოხუცი მუდამ ატარებდა ხოლმე გულში და რომელიც არ უსრულდებოდა, რადგან სამხედრო აჭრელებულ ტანთსაცმელს გუსტავი მეტად ძვირად აფასებდა, ეს იმედი დღეს უხორციელდება. გუსტავისთანა მუშაკი და გონიერი ადამიანი თუ დატრიალდებოდა ოჯახში, ოჯახს რაღა უშავდა? ამ უკანასკნელ დროს დაკარგული იმედები კვლავ გაუცხოვლდნენ მოხუცს.

მართალია მოხუცმა შუბლი შეიკრა და რაღაც წაიბუტბუტა, მაგრამ ამას მნიშვნელობა ვერ მიეცემოდა. ბიუტნერს არ უნდოდა თავისი იდუმალი და ძვირფასი გრძნობები შინაურებისთვისაც გაეზიარებინა. ამ მიზეზით ოთახშიც კი ალარ დარჩა. იქვე კუთხეში ვითომ რაღასაც ძებნა დაუ-

წყო. მალე კარში გავიდა და სადღაც გასწია. მოხუცს უნდოდა თავის სიხარულს იალაღზედ, თავისუფალ ადგილზედ მისცემოდა.

ივ. ბოლუმორდგინოვი.

(შემდეგი იქნება)

მეფე სოლომონ დიდი

და

როსტომ, რაჭის ერისთავი

(დრამატიული პოემა ხალხური თქმულებიდან) *).

პ ი რ ნ ი

1, სოლომონ—მეფე იმერეთისა.
2, მაკრინე—დედოფალი.
3, ელენე—მათი ასული.
4. არჩილ-გიჟი—მეფის უმცროსი ძმა.
5, პაპუნა წერეთელი—იმერეთის მხედრობის სარდალი, სახლთ-უხუცესი და ვეზირი მეფისა.
6, ბერი ლორთქიფანიძე—ნაფიცი თავადი, სარდალი ნაფიც-ყმათა.
7, ზურაბ მიქელაძე—სარდალი.
8, ბერი წულუკიძე—ქვეითი ჯარის სარდალი.
9, გიორგი აბაშიძე—სარდალი.
10, ქაიხოსრო აგიაშვილი—ციხის თავი.
11, მამუკა—მეფის მდივანი.
12, პაატა აბაშიძე – დარბაისელი.

---

*) აქ აღებულ ხალხურ თქმულებას სარჩულად უდევს ნამდვილი ისტორიული ფაქტი—ბრძოლა სოლომონ მეფისა და როსტომ, რაჭის ერისთავისა და უკანასკნელის დამარცხება და დასჯა. იგივე ფაქტი სარჩულად უდევს ერთ ნიჭიერ პოეტურ ნაწარმოებს, თუმცა პროზით დაწერილს, რომელიც დაიბეჭდა 1895 წ. სათაურით: „იმერეთის მეფე სოლომონ დიდი“.

13, ოტია ჩხეიძე
14, თამაზა მესხი
15, პაპუნა } აბულაძეები } დარბაისელნი.
16, ქაიხოსრო
17, თანდარუხ იოსელიანი

18, ბასილა } იამანიძეები, მეციხოვნენი.
19, კვირიკა

20, გაგელა თევდორაძე—მესხეთელი გლეხი.

21, ჯარის-კაცი—ხრესილზე ხეზე შესული.

22, მამა და } ჯარის კაცნი.
23, შვილი

24, ლევან აბაშიძე—მეფის დედის ძმა.

25, როსტომ დიდი—რაჭის ერისთავი.

26. თამარი—მისი მეუღლე.

27, მეთოდე
28, გიორგი } როსტომის შვილები.
29, ანტონი
30, ცაგუნა და სხვა

31, ქალიაშვილი—მესტვირე

32, შიკრიკები, ჯარის-კაცები, ქარის-კაცები და ქალები და სხვ.

მოქმედება ბარის იმერეთში და რაჭაში, იმერეთის ერთ კუთხეში.

პირველი სურათი

(ბარაკონის სასახლის დარბაზში ალესილი არიან როსტომზე მისი შვილები და არეულ-დარეული ხმამაღალი ჯღლამუნი აქვსთ. როსტომი არ არის მათ შორის).

ცაგუნა. და რომ ჩვენ ბრიყვნი ალარ ვართ,
რომ შესული ვართ ჭკუაში,
ის გაუსწოროთ თვით მამას,
რაც ალარ მოგვდის ყუათში.

შეთოდე. აბა, როგორ გსურთ? იქნება
ამ გვარი შეურაცხ-ყოფა,
ცოლ-ქმრობის საიდუმლოის
წარბ-შეუხრელად დაგმობა?
თუ ჩვენ ვუყვარდით, ვუნდოდით,
ვერ გაგვიგდებდა მშობელსა!
თუ დედა გვიყვარს, დავაკვლეთ
მის ერთგულებას ცხოველსა.

გიორგი. ბრაზი მომაწვა გულზედა,
ვერ ვანძრევ საწყალ ენასა;
ველარ ავიტან, ღმერთმანი,
მე ამ უსამზღვრო წყენასა.
თუ მამას ხელს ვერ შევახებ—
ვინ გაგვაპარა დედაი?
იმ ორგულ, არამზადასა
დავმართო უნდა ბნედაი!

(გაიღება კარი და შემოვა როსტომ ერისთავი მრისხანე სახით).

როსტომ (შვილებს). რა ხორხოზი გაქვთ და ჯანყი,
დიდგულა ლომის ლეკვებო?!
თქვენს მშობელ მამა-ლომზედა
კბილებს ილესავთ ცგებო?
ჰგავს, იმ დროში ვართ, როდესაც

მტრობაა მამა-შვილობა,
როდესაც მამის დიდებით
შვილს დაჰკარგვია მშვიდობა;
პატივის მიდევრობასა
როცა ჯვარს უცვამს მოყვრობა,
წაულეკია ქვეყნისგან
ნდობა და თანატოლობა!
არ გავიკვირვებ, თუ თქვენაც
აჰყევით ქვეყნის ბრუნვასა:
თუ თქვენაც სისხლით უპირებთ
დახრჩობას მამის ზრუნვასა!..

(შვილები თავ-დახრილნი მდუმარებენ)

გიორგი (რიდით). ის დაგვიჩაგრეს, განწირეს—
ვართ გულ-ნატკენი მით ჩვენა,
ვინც ტკბილი ძუძუ გვაწოვა,
ვინც მზის ნათელი გვაჩვენა!..

რუსკოზ. უკანასკნელი იმედი
უფრო მიბედავს წყენასა,
უფრო ურიდლად მიყეფავს,
მიპირობს მშობელს კბენასა.
ყოვლი ზრუნვა და ალერსი,
ყოველი სიყვარულია
სადაც მიბუდნავს, მინახავს
იქ გველიც თურმე კრულია!
ეგ გველი მისხავს სისხლში შხამს
უკურნებელსა დამხრწნელსა.
აქ ამას მმართებ, ოგნურო,
რას ეუბნები იქ ღმერთსა!

გიორგი (რიდით). ანგარიშს ვითხოვთ...

რუსკოზ. ვისგან ვინ?
აი, ეგ საკვირველია!
მე შვილი გავხდი, თქვენ მამა—
განკითხვაც ხელ-და-ხელია!

აბა, დავიწყოთ, რადგან გსურსთ.
—თქვენს დედას განვშორებივარ...
შვიდი ძე მყავხართ, შვიდ ბიჯზე
მტერს მაღლა შევცოცებივარ;
შვიდიც რომ კიდე მეყოლოს,
მტერს ავუტირებ დედასა:
გმირების ჯარით ერთ-სულით
ქარებს ავუტეხ, ბნედასა!
ის მეფის კარის-კაცები
სხვა და სხვა გვარის, კუთხისა
სხვა და სხვა მიზანს იჭერენ—
მეფეს მეფობა უჭირსა.
ასეც დღეს თქვენსა ხორხოზში
გაისმის მთისა და ბრისა
და მეტიც რაღა უნდ იყოს
ნატვრა და ლხენა ავ-მტრისა?
პატიოსანი დედა გყავსთ—
ჩემს მიზანს მაინც ხელს უშლის:
არ ყოლებოდა მეტი ძე,
ბრძანება იყო თვით უფლის!..

გიორგი. ამბობს ქვეყნის ყმა: ეგ ნება
თქვენია, თქვენით ქმნილია;
ჯადო რამ გიხმარებიათ,
რომ არ გყოლოდათ შვილია

როსტომ. თუნდ სიყალბეა ქვეყნის ყბა,
ვთქვათ, რომ ეგ აგრეც ყოფილა...
როს დადიანი მეფემა
დათოკვა—დაიმორჩილა,
შეჯდომის წამას ცხენს უჭერს,
მთავარი მონად უპყრია,—
მე ზევით ვდგევ რ მთავარზე—
მეფის სწორი ვარ, ტყუპია.
და რომ მე ზევით ვიჭერ თავს,

ვუბრუნე მთავარს ასული.
უნდ გავახსენო ქვეყანას
ჩემი დიდება წარსული:
შვილობილობა ეკადრა
თამარს დიდებას ერისა
ჩემი დიადი ღვთაების
წინაპრის კახაბერისა!
ვითომ რა არის, რომ ბრწყინავს
ბაგრატიონი ტახტზედა,
როს ნაშთი კახაბერისა
სუნთქავს ამ ქვეყანაზედა?
რას იტყვით? ნუ თუ ეს ნაშთი
არ არის როსტომ ბატონი?
ნუ თუ ქუთაისს სატახტოდ
არა სჯობს მის ბარაკონი?

მეთოდე. დიდი ფიქრების მშობელო,
დიდი წადილის მამაო!
ეგ გამოტყდომა მგონია,
არის იმისთვის საკმაო,
რომ შვიდი ვაჟი როსტომის
გაუხდეს შენს ფიქრს კვარცხლ-ბეკად
და ჩვენი ღვაწლიც ჩავთვალოთ
საშვილიშვილო სახელად.

გიორგი. ბაგრატიონის გმირობა
ცხებული არის სატახტოდ,
როს ნაშთი კახაბერისა
ჯერ არ ცნობილა სამთავროდ.
რგებია თუნდა თამარის
კახაბერს მამობილობა,
კანონით თამარის ნაშთსა
ეკუთვნის კვერთხის მის პყრობა.
რა შუაშია ნეტავი
როსტომ ბატონის მეფობა,

როს სოლომონის სვე-ბედი
დღე-დღეზე უფრო ემკობა?

ბასტომი. ვაგლახ-მე, თუ რომ სოლომონ
ურიის ნაშიერია,
ღირსია კვერთხის, გვირგვინის,
როსტომ-კი მისი მტვერია!

ბეთოდე. მეფე არ არის, ვინც მტერსა
შემოხიზნულსა ხარჯს აძლევს,
ვინც თავის ერსა უგნური
სხვის უღელ ქვეშე ატარებს.
კიკიან ვაშას ქუთაისს,
ალიფაშასა ხრესილზე,
უსეინ ფაშას ბაღდათში,
ახმედს—შორაპნის ტეხილზე,
გაფაციცებით უჭირავსთ
თვალები იმერლებზედა:
სწოვენ ხალხს, მეფეს-კი სძინავს
წამოგდებულსა გვერდზედა!
ნიავ-ღვარივით ჩაუნთქავს
ოსმალთ ჯარს იმერეთია,
როდესაც რაჭის მხარესა
მადლის თვალით ჭვრეტს ღმერთია.
ვითა სვანეთი, ჩერქეზი
თავისუფლებით მკული ვართ,
მიუდგომელი კოშკებით
ვართ და გარს შემორტყმული ვართ.
ნებიერ ქვეყნის შევარდნებს,
ნეშიერს კახაბერისა
შეშვენის კვერთხი, გვირგვინი
და ბატონობა ერისა.

ბასტომ. დიალ! როდესაც გვილიმებს
ბედი პირცისკროვანებით,
ნუ თუ ჩვენს ბედსა ვუმუხთლებთ

კარზე მომდგარსა თვის ნებით?
ეგ შთამომავლის ლაჩრობა
კახაბერს ძრახსა დასდებდა,
გარეშე მისა, რომ თვის თავს
ლანძღვაში დაიმარხებდა.
ხუთასი გმირი ჩამსხდარი
თოფ-იარაღში თავს გვადგას,
თითო ხმა ჩემის ბრძანების
ააკანკალებს მთლად რაჭას.
ეხოლოდ არ მიხრის ჯერედ თავს
ჯაფარა ჯაფარაშვილი.
მის დაჯაბნასთან გვირგვინი
არ მედგას—არის სირცხვილი!

გიორგი. ჯაფარას სულის შებერვა
წამოგიჩოქებს მონურად;
მაგრამ გვირგვინს ქვეშ ვერ შეხვალ
ოსმალოს ჯართან მოყვრულად,
თუ რომ თავს მდაბლად არ უხრი
მფლობელსა ოსმალეთისა
და არ უკუგდებ ტიხტიდგან
მეფესა იმერეთისა.

როსტომ (დაჯდება. შვილები გარს შამოუსხდებიან.
როდესაც გულზე მოგეცხოთ
მამის თქვენისა წადილი,
მომეცით ნება, დავხაზო
თქვენ წინ მის ყოველი გზა-წვრილი.
საიდუმლოა ყოველი
და პირმშო ხვაშიადისა;
შემფიცეთ აზრი არ გასთქვათ
თქვენი მშობელი მამისა.

შვიდივე ვაჟი. (დაიდებენ ხრმლებზე ხელს)
გფიცავთ ამ ხმალზე გულ-წრფელად
კეთილ-შობლური სისხლისა:

ვინც გასთქვას საიდუმლება,
მოღალატეა თვით ღვთისა!

მეთოდე. ვინც უღალატოს მამის აზრს
და მისსა ღირსსა წადილსა,
საშიშარ მდგომარეობაში
მოუტყდეს ვადა ხრმალისა!

ეგელა შვილები. ამინ!

როსტომი. მაშ სული განაბეთ
და გამოჭიმეთ ყურები:—
გახსოვთ, წინაზე გვეწვიენ
იმერეთიდგან სტუმრები?

ეგელა. გვახსოვს.

როსტომ. არგვეთის თავადი
ლევანი მეფის ბიძაა;
აბაშიძეა განთქმული,
მაზედ ძლიერი ვინღაა?
მან განაზრახა დისწულის
ტახტიდგან გადაბრძანება
და ნახევარი სამეფოს
გვირგვინის დავით ტარება.

ეგელა: ნახევარისაც?

როსტომ: ნახევარს
სამეფოს როსტომს პირდება:
იმისი ხელი, სარჩლობა
და მოხმარება ჭირდება.
იმ სტუმრებშია უფროსი
იყო მფლობელი არგვეთის.
დის-წულს ის შებმას უპირობს
ჩვენ არ გვაქვს ნება გაბედვის?

ეგელა. გვაქვს! გვაქვს! გავბედოთ!

როსტომი. მაშ კარგი!
ერთ პირზე დადგომილი ვართ.
ჯერ აქ სახელი გავიგდოთ,

რომ თავ გასული გმირნი ვართ.
ვის გავატანო ორასი
რჩეულ-რჩეული მხედრები,
რომ ჯაფარ-ჯაფარაშვილის
გადმოგვცეს ტყე და ველები.
საკალმახო წყლებს უქებენ,
უქებენ მჟავე წყალსაცა,
ვინ ახდის გროლას და ონსა
და დასთხრის ჯაფარს თვალსაცა?

გიორგი. (დაასწრებს ყველას) მე!

როსტომი. შენგან მაგას ველოდი,
მამისა ღირსი შვილი ხარ...
იაშვილს ცოლსა უქებენ;
იმასთან ვინღა მიდიხარ? (დუმილი)
გეგუთში იაშვილია,
ნათესავია მაგისა;
მეფე სოლომონს იმასთან
სიყვარული აქვს მამისა.
წავართვათ ამას თამარი
ასული წულუკიძისა;
ბერ წულუკიძეს სარდალსა
ნათერავს ედემს რგულისა
ლახვარი გულში მოხვდება
და მათთან მეფე სოლომონს;
შიშის ზარს მათზე დაფენილს
ჩვენც ავუმართავთ ჩვენს ბომონს
და გავუხდებით მოშიშართ
საქებარ-სალოცავადა;
ველარ გაბედვენ ჩვენს შებმას,
ველარც ხსენებას ავადა.
ვინ ბედავს? ასი მხედარი
თან გაიყოლოს რაზმათა
და თამარ ტურფა მოგვგვაროს

ჩვენს სასახლეში ჩქარათა.

ცაგუნა. მე წავალ.

როსტომ. ბოლოს მეც დამრჩა
სასაქმებელი ძნელია.
სახლთ უხუცესი, ვეზირი,
სარდალი წერეთელია;
იმის დუდუკზე ცუნდრუკობს
მეფე სოლომონ ჯარადა;
ხვადაბუნებსა გავუხდი,
რომ აღარ ღირდეს ფარადა.
გადავალ საწერეთლოში,
ვფარცხავ საჩხერის ჭალებსა;
სატირლად გავანადგურებ,
სულ ახალ-ახალ ყანებსა.
მე დავიმისებ მის მიწებს,
მის ციხეს „მოდინახე“-სა;
უცრემლოდ გავხეთქ ტირილით
მეფეს პაპუნას მნახველსა.

მეთოდე. ავიყაყანებთ დიდებულთ;
ძრახს დაგვდებს თვითან რჯულია.

როსტომ. შიში შეიქმსო სიყვარულს—
ეს მოციქულის თქმულია...
ას ულელ ხარსა, ას მხედარს
მე გავირეკავ ჩემთანა,
რა ჩემს ენგიჩარს გავაფრენ
ოსმალოს ჯარის შეფთანა.

მეთოდე. განა ოსმალოც გვჭირდება?!

როსტომ. გვინდა, რა საკვირველია,
და გამარჯვებაც განზრახვის
ჩვენთვის მით უეჭველია.
მე და ლევანს გვაქვს ხვანთქართან
დღეს მორიგება მაზედა,
თუ რა საზღაურს მოითხოვს—

გვირგვინი დაგვდგას თავზედა.
ჩვენ მას ვპირდებით იმ ჟამად
იმერთა გამაჰმადებას
და იმერეთში თერთმეტი
დიდი მეჩეთის აგებას.

ეგეღა. უჰ!

როსტომ. მოიხსომეთ, გახდებით
გვირგვინოსანი გმირები
და იმერეთის ნახევარს
იფლობენ თქვენი შვილები.
გამოწყებული ოსეთით
გურიელ-დადიანამდე,
მარჯვენა მხარე, აქეთა—
გასწვრივ რიონის პირამდე
საშვილისშვილოდ თქვენია
სახნავ-სათესით, საძოვრით,
ხალხით—გლეხ-თავად-აზნაურ
მრავალი რიცხვის თავ-მოყრით.
შეფია შუა-მავალი,
კარგი ხანია, ამაზე;
თუ დაგვდასტურდა სულთანი—
მეფე დაებმის ბაგაზე.
ბაგრატიონის ჯილაგი
აღმოიფხვრება ტახტისთვის
და სკიპტრა-პორფის-გვირგვინში
ვიბრწყინებთ მომავალისთვის.
მაშ ენგიჩარი ვაახლოთ
კიკიანს ამბის საცნობლად.
იმ ენგიჩარის მოგვრილ ძაღლს
ყელ ქვეშ წერილი ამოვკრათ
და ჩვეულებრივ გავაგდოთ
ჩვენს ლევან აბაშიძესთან,
დეე, იმანაც იუწყოს,

რაც ვითათბირეთ შვილებთან.
წამოდით! რაღას დამდგარხართ?
ბევრი გვაქვს სასაქმებელი
კახაბერისა წინაშე
ლამპარად ასანთებელი!

მეოთხე სურათი

(ვარციხეში, სათათბირო დარბაზი მეფის სასახლეში. სარდლები: ციხის თავი ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე ქვეითი ჯარის გიორგი აბაშიძე და პაპუნა წერეთელი ცხენოსანი ჯარისა, არჩილ-გიჟი),

არჩილ-გიჟი. რას ფიქრობს ნეტა სოლომონ?
წაგვთქირეს ოსმალოებმა,
თუ გული გვიცემს საგულეს,
ეგ დაგვიმტკიცოს ომებმა.
მონის ულელში გაბმასა
გმირის სიკვდილი სჯობია,
კარგი სიკვდილი ვაშკაცის
სახელის შემამკობია.

პაპუნა. ბატონიშვილო! მღელვარე
ზღვა არის ჩვენი ქვეყანა.
შიგნით და გარეთ ყველა ძოწის,
ღალატი არის ყველგანა.
თქვენი მშობელი ხელმწიფე,
ბატონი იმერეთისა
აწ ნეტარ განსვენებული,
მოამე კაცის, ღმერთისა
მაგ ქვეყნის ღელვას გადაყვა,
გაღარიბებას ხალხისა.
სხვა და სხვა დიდმა პირებმა
თავის სამშობლო წყალს მისცა!
ნიაღვარივით გადმოსკდა

მათ წინამძღვრობით ოსმალი.
სობორო გახდა თოფხანად,—
შეიქნა დიდი დომხალი.
რალა ოტია, როსტომი,
ლევან, დისწულის სისხლ-მსმელი,
როცა თამარმაც აწრუპა
გერს ალექსანდრეს ნაღველი!
იმ დღის ჩამოღმა არა აქვსთ
თავადებს გული წმინდადა,
როსტომს და ლევანს ცა ქუდად,
დედა მიწა სურსთ წინდადა
როსტომი კანში ვერ დგება,
თავ-გასულია, ლომიკ,
იმისი ნატვრა-წადილი
ზვიადობა და ომია.
ამხობს და აქცევს იმერეთს,
გრიგალი ნებიერია:
თვისი კანონი და წესი
ხმლის წვერზე დაუწერია!
შვიდი არწივი შვილი ჰყავს,
ვაი მას, ვისაც მიუსევს:
ხვადაბუნების ცოდვის ხმა
მაღალ ღმერთამდი მიუწევს.
გულზე გადევლო წერეთელს,
დაწიხლა დადიანიცა:
თავსლაფ დასხმული ყოყოჩით
უკუ უქცია, რაც მისცა;
მოსთხარა თვალი იაშვილს,
დაუფსო ჯათარაშვილსა...
არვინ ჰყავს რაჭის მოცილე,—
სრული მეფეა რაჭისა!..

ალჩიდ-გიჟი. ჰმ! ჰმ!

ბაბუნა. თუ ტყვილი შეგკადროთ,

ეს თავი წამაგდებინეთ;
ამ ორი ქვეყნის ორგულის
ალაგმვა შემაძლებინეთ
და მაშინ ჯარი ოსმალის
ვერ გაგვიბედავს იმასა,
რაც დღე და ღამე თვალიდგან
დღეს ვღვრით ცრემლების წვიმასა.
უეჭველია, კავშირი
იდუმალია მათშია:
მათ ეგულებათ იმედი
ზვიადის ოსმალთ ჯარშია.

ალჩიდ-გიჟი. შესაძლო არის. მაგრამ ეგ
არ გვაძლევს არც ერთს საბუთსა,
თუ არ ავყებით მიხვდებით
პირადი გრძნობის წმაწურსა.
ჩვენ საქმე გვინდა. სად არის
საგანი ბრალის მდებელი,
რომ დამნაშავე იმ ბრალით
გახდეს პასუხის მგებელი?
რითი ჩანს,—ჩვენი თავადნი
ყელზე ხელს ხვევენ თათრებსა?
მეც-კი მგონია,—არ ვიცი,
თუნდ ვაფაციცებ თვალებსა.
ჯერ დამაჯერეთ, რომ ვეჭობ,
ღალატზე წამასწრებინეთ;
რა სურსთ, რა უნდათ, პირ-ახდით
თვალ და თვალ გამაგებინეთ;
ამოვიოხებ მაშინ სულს,
კბილებს დავკრეჭავ მტრებზედა:
ან მათი სისხლით გავძღები,
ან ჩემს სისხლს ვასხავ მკერდზედა.
(შემოდის მრისხსნე მეფე)

სოლომონ. ღმერთია მისი მოწამე,

დიდხანს ვიყრუე ყურები,
თუნდა დღე და ღამ სასთუმლის
ქვეშ მიყმუოდენ ტურები.
მაგრამ დღეს გადამლახეს მთლად,
არ მომირიდეს სრულიათ:
ჩემს სასახლეში ოსმალოს
ჯარის-კაცთ როდის უვლიათ?
ეგ ჯარის კაცის მოსევა
ცხვრის კანჭის შესაჭმელადა
სულ განძრახ იყო — და ჩვენაც
პასუხი მივსცეთ ერთხმადა.
კმარა ამდენი მოთმენა,
თავაზი, ტკბობა, მონობა
და რომ ეგ ჩვენ მხრივ არ იყო
ზარმაცის დაუდევრობა;
არ იყო ბრალი სიმხდალის,
დაცემულობა სულისა,
მე მინდა, მტერსა ვაჩვენო
სიმხნე ქართველის გულისა,
მის გრძნობა თავისუფების,
ღირსების, თავის-ნდობისა,
მტრისათვის მტრული სიმკაცრის,
მოყვრისთვის კმევა ძმობისა!

ეგელა. ამინ!

არჩილ-გიჟი. ან გავსწყდეთ, ან ბარემ
ვალირსოთ ჩვენსა მხარესა,
რომ არ სტაცებდეს ოსმალო
ოფლ-ნადენ ლუკმას მწარესა.

სოლომონ. დიალ, ეგ მტერი-ოსმალო
სცლის, ანადგურებს იმერეთს:
წყობ-წყობად ჰგზავნის მონებსა,
ქვეყნის დამცველსა იმედებს.
მე აღვუდეგი მაგას წინ,

შევრისხე ერისთავები,
რომელთაც ფაშებს აძლიეს
ფეშკეშად ყმების თავები.
და კიკიანმა ფაშამაც,
ალბათ, იწყინა ეგ ქცევა!
ეგ წყენა, იმედი მაქვს, რომ
ჭლექადაც გადაექცევა!..

ეგელა. ღმერთი ინებებს!

სოლომონ. მაშ კიდეც
ვახსენოთ ღმერთი ძლიერი
და მტერზე ისე ავმხედრდეთ,
ვით ცხვარზე ლომი მშიერი.
მართალი არის, დიდ-ძალი
ჯარი ჰყავსთ ოსმალთ ფაშებსა,
მაგრამ დავწიგნოთ, ძალლებიც
არ ჭამდენ ნაფარფაშებსა.
ჩვენ დავკრათ ოთხსავ ერთბაშად,
წამოვაყენოთ ქვეყანა,
პატარა-კახი გაიქნევს
ხმალს, თუ დაგვჭირდა, ჩვენთანა.
თვით დადიანიც, რომლისა
მამას ოსმალოს მფლობლისთვის
ფოთი ეძღვნა, რომ ბატონად
ყოლოდა ჩემი მშობლისთვის,
სიძისგან გამწარებული
ჩვენს ყმობას მოიწადინებს.
სხვამ, რაც რომ სურდეს, ისა ქნას—
ვერც გვავნებს, თავსაც იგინებს.
წამოესარჩლოს ლევანი,
გაუტანელი სისხლისა;
ფეხქვეშ შეუძვრეს როსტომი,
მატარებელი რისხვისა;
წამოიხმარონ აფხაზი,

ლეკი, ოსეთი, გურია,—
ყველას მოგვიქცევს ღმერთი ქვეშ,
წაწყდება მათი შურია.
ჩვენ ვიბრძვით სამართლისათვის,—
სამშობლოს ბედი გვწყურია,
ეს აზრი გამხნევებელი
საგრძნობლად საამურია.

ბაბუნა. ჩვენ ვიბრძვით მტრისგან სამშობლოს
განსათავისუფლებლადა,
ჩვენ ნებას არვის არ ვაძლევთ
მონის გასასყიდველადა,—
ეს ოპირობა მიზნისა
მკვდრისაც გამაღვიძებელი,
იქნება მტრისა სინდისის
მბღალავი, მამხილებელი:
წინ დაუდგება სიყალბე
თვის საქმის ბოჩად ქცეული
და დაემხობა თავ-დაღმა,
ვით ავი-სული წყეული!

ქაიხოსრო. იქნება ვსცდებით, იქნება
მტერს დარჩეს გამარჯვებაი,
მაგრამ მართალი საქმისთვის
მსხვერპლები არის შვებაი.
დარიჯანიდგან ჩვენს დრომდი
იმერეთს სისხლი ულვრია
და მისთვის მქრალი ღიმილიც
ერთ მეფეს არ მოუგვრია.
სწყურია მხარეს მშვიდობა
ხალხს უშიშრობა სწყურია;
დიდებულების ქიშპებში
ცრემლებად განაწურია.
საცადი კეთილი საქმის
უფლის წინ გამარჯვებაა;

პატიოსანსა ზრახვებზე
სიკვდილი უკვდავებაა!

სოლომ. შენ, ჩემო ბერო, რას იტყვი?
მიძრახავ აჩქარებასა?
გიორგი მაშინ აუგს-ჰყოფს
მეფისა მოთმინებასა.

ბერი წულიკიძე. მეფეს ღვთისაგან წილად ხვდა
უფლება ერის ბედისა:
პასუხს ის აგებს მარტო ღმერთს,
მირონ ცხებული ღმერთისა.
მე იარაღად ვებოძე,
მტრის სამუსრავად ველზედა!
ნეტავი თავისუფლებას
ქვეყნისას მხვია წელზედა!
ნეტავი სატრფოს საძებრად
ბრძოლის ველს დამრჩეს ძვალები,
ყორანმა მკორტნოს მისაგან
დაბრმავებული თვალები!
დაჰბეროს მკაცრმა გრიგალმა,
ზარი სთქვას შენაზარები,
მომგვაროს თავისუფლება
სისხლ-ნადენ, ნაკანკალები;
მიტიროს თავისუფლებამ,
ცრემლის მადინოს ღვარები,—
მაშინ ვცხონდები, მეფეო,
გამეხსნის ზეცის კარები!

სოლომონ. მომწონხარ, ბერო მოხუცო,
მაგ მჭევრმეტყველი გრძნობითა,
მეც უნდა დავტკბე ბრძოლის დროს
შენის სატრფოის ძმობითა.
ვშიშობ, გიორგიმ რომ ჩემი
უარ ჰყოს, რასაც ველოდი
და დაიჩემოს, რისთვისაც

ბერზე მე წელან ვწყრებოდი?

გიორგა. დარბაისლების კრებაში
ვერ დავიჩემებ ენასა,
მაგრამ უყურეთ ტკბილი ხმა
ჩემის ხმლის წვერის დენასა,
როცა ჩვენს სახლში, საყდარში
ურჯულო მტრები გვქელავენ
და ჩვენის ოქრო-ვერცხლითა
ნაირ-ნაირად ელავენ.
ჩვენ მივაჩნივართ მძოვრებად,
სვავებად დაგვტრიალობენ;
ჩვენ გვატირებენ და თვითონ
„ალ-ი-ალაის“ გალობენ...

სოლომონ. ამ გვარ სიცოცხლეს სიკვდილი
კაცურ კაცისთვის სჯობია.
თათრის ხელ ქვეითს მეორე
აღდგომაც ნულა გვხდომია!
მე ქუთაისსა გავცილდი,
მოვშორდი ოქროს ჩალდაყსა,
სადაც ოსმალნი უზრდელად
შვებოდენ ჩემ წინ მალაყსა;
ნულარც შევსულვარ იქ კვალად,
თუ ქუთაისის სობორო
არ გამოვწმინდე, მიწა მე,
თუ რაც ვსთქვი, უქმად მოვჭორო;
სხვა რომ არ იყოს, რუსეთის
ჯარი ადგია მოსვლაზე;
არ გვძინებია, როდესაც
სამშობლო გვიჯდა ცივ-ქვაზე.
წიგნი მაქვს,—მოდი ვალია
ტოტლებენ ღენერალისა,
თავზარი ესხმის ოსმალეთს,
ვიცით, რუსეთის ჯარისა.

ირგვლივ და ყველგან დრო შეგვწევს
მტრისგან სამშობლოს დახსნისა.
ბურთი და მოედანი აქვს
თვალ-წინ ჩემს გიჟსა არჩილსა.
თუ რომ როსტომი დიდგულობს
შვიდი შვილისა გმიროობით,
ჩვენ დავიქადნებთ არჩილის
ერთად ერთისა გიჟობით!
მის გრძელსა მკლავსა, მამაცსა
ხმალი არ გაუბრუნდდება;
ხმლის წვერსა, წანაწვადარსა
მტერი ვერ გაუბრუნდება;
ხმლის ყუას ფართეს კატუნა
გადუცანცალებს თამამად;—
ასეთსა ვეშაპს გვერდში ვგრძნობთ,
ვინლა შეგვაფრთხობს ანაზდად?
იოსებ ჩემი გენათში
ღვთის მშობელს შეგვავედრებსა.
შინ, გარეთ, ღმერთი და კაცი
დაგვაცემინებს მტერებსა!

ბაბუნა. ხმაა ერისა ხმა ღვთისა,
მეფისა გულსა რგულია;
ბაგრატიონის გვირგვინი
ქართველის სიყვარულია.
გული ხალხისა მტკიცეა,
სხვა ყველა წარმავალია; —
დიდი ხანია, სოლომონს
შეჰყურებს ხალხის თვალია.
შეჰყურებს, ცრემლი გადმოსდის,
შეჰვედრის ჭირში შველასა,
შეჰვედრის, ნება ებოძოს,
მშვიდი ცხოვრების ყველასა.
სოლომონ მეფეც სისხლ-ღვიძლი

ვახტანგ, დავითის, თამარის
თავს არ დაზოგავს იმისთვის,
ისეთი ძუნწი არ არის.
მხვედრია მხოლოდ რჩეულთა,
თავს შემოვლება ერზედა;
დაეწერება ხსენება
მათი ხალხს გულის-წვერზედა.

არჩილ-გიჟი. რაღა ჭოჭმანი გვჭირდება?
დრო გვიწვევს საწამებლადა.
თუ გული გვიცემს, აზრი გვაქვს,
უნდ ჩავყვეთ დროსა მედგრადა.
რაღაა ჩვენი სიცოცხლე?
ალია, მასთან კვამლია!
ალი უნათებს მოყვასსა,
კვამლი გაჰქრება, მყრალია!
დავენთოთ ჩვენს ერს ლამპარად
თვის სალოცავის წინადა:
სანატრელია, სამშობლოს
ნაცვლების რგება წილადა!

სოლომონ. ჩვენი აზრების შენებით
ერთ-სულობა გვაქვს, ნაღდია.
ის სხვის ქომაგად არ ვარგა,
ვინც შინ ნაცარში აგდია.
შემოვიბერტყოთ ფხვიერი,
გადმონარეკი მტრებისა;
შევაფრიალოდ ჰაერში
დროშა ერისა ნებისა!
და, აი, ჩემი ბრძანება
მტკიცეა, შეურყეველი:
შენ, ციხის-თავო, დაგერქვას
ბაღდათის ციხის მქცეველი.
იქ ბუდობს აღა უსეინ
და აბრიალებს თვალებსა;

ვით ქორი კოშკის წვერიდგან
ზვერავს იმერელ ქალებსა:
დედას შვილს სტაცებს, ძმასა დას
ჰგზავნის სტამბოლის ბაზარზე;
ჰყიდიან იმერ-ქრისტიანს
თათრის ყურუშზე საზარზე.
ახმედი უფრო წუნკალი
ფცქვნისა და აქცევს შორაპანს.
ამ მდიდარ სოფლებს ადენს კვამლს,
ადენს ბღლვირსა და ონავარს;
შიგა და შიგა იპარავს,
რჯულს უცვლის ქრისტიანებსა:
ძმას ძმასა, დედას თვის შვილსა
მოყიდვით უსიანებსა.
მაგარი არის შორაპნის
ციხე, ახმედის ბუნაგი;—
ამ ფარნავაზის ნალვაწში
ვინლაც ფაშა წევს მსუნაგი!
აუმგვრიეთ მას ეგ ბინა,
არჩილ, გიორგი—გმირებო!
მე იმას ვერ ვიქმ, რასაც თქვენ,
ძალიან ბევრიც ვინებო!

არჩილ-გიორგი. იმედში არ გიღალატებთ,
ეს იქონიეთ სახეში;
მაგრამ მეფეს რომ ჩვენ ვჯობდეთ,
აგრე ნუ გვაბავთ მახეში.
ხრესილი მეფის წილია,
ჩქარის ძალა მტერისა:
ალბ და მისი მხედრობა
უნდ გახდეს დარი მტვერისა.

სოლომონ. მიამა შენმ თათბირი,
მაგრამ რას ვიზამ მარტოდა?
მე ალი ფაშა შემყლაპავს

გამოცდილებით მარწყვადა.
მაგრამ გამოწრთვნილ სარდლებსა
ბერს და პაპუნას ვიძღოლებ
და მტრისა სისხლში დაბანვით
გულის ჯავრს გადავიყოლებ.
ქუთაისისა ციხეს-კი
მივანდობ ფიცის კაცებსა,
გამოიჩენენ ჩვეულსა
იგინი სიმამაცესა.
კიკიანია იქ შეფი
ოსმალოს ყველა სარდლების;
კლდეს ეშინია, თვით კლდესა
მისი ურიცხვი ჯარების!
იქ დაიწინდონ თვის თავი
ნაფიც-მამულის შვილებმა
და აღადგინონ სამშობლო
ხშირად ცნობილმა გმირებმა.
უბრძანე, პაპუნ, ჩვენ მდივანს,
დასწეროს ორი ბრძანება,
ორივე ფიცხლავ თავ თავის
მიზნისკენ გაიგზავნება.
ერთი ვუფრინოთ შიკრიკით
თავად ბერ ლორთქიფანიძეს:
მყის გამორეკოს ჯარები
და შემოარტყას იმ ციხეს,
რომელსაც სამასი წლისა
ღვაწლი აყრია ბაგრატთა,
რომელზედ ღვარად დაღვრილა
ოფლი და ცრემლი მრავალთა;
მეორე ფიცხლავ აახლონ
ჩემს ზურაბ მიქელაძესა:
შეჰყაროს ჯარი მრავალი,
გაჰყვეს ორპირის მხარესა;

იქ სად იყრის თავს ორი გზა
ფოთის, გურიის ერთადა,
ეკალ-მუხურში ჩასაფრდეს
ოსმალთა გასაჟლეტადა.

მესამე სურათი.

(ბარაკონში. პირველი სცენა. როსტომი, თამარი, შვილი შვილი როსტომისა).

როსტომი. ყოჩაღ, შვილებო! შვიდ გმირში
თავი მეც მომაქვს თამამად;
ჩვენი მიმხრობა ერთ ურთთან
მერმისში ითქმის არაკად.
განხორციელდა ყოველი
ჩვენი სურვილი საქმედა,
ჩვენი შერჩოლა ვერას გზით
ვერავინ ველარ გაბედა.
ვდიდგულობთა და ვნებივრობთ,
ვეუფროსებით ყველასა:
ხარკს ვახდევინებთ მთელ რაჭას,
არ ვაკლებთ არც სხვებს წველასა.
მეფე ვართ,—სხვისა სჯულსა ვსდებთ,
ჩვენთვის არ არის კანონი:
გვირგვინი, მეფის სახელიც—
გავხდებით მეფე-ბატონი!
ამისთვის საქმეს არ სძინავს,
დავიდასტურეთ სულტანი,
ახლაც ხელ-ახლა ვაახლეთ
კიკიანს ძღვენი მსუქანი.
ის შუამავლობს, ის გრიხავს
ჩემი მეფობის საქმესა;
ველი და მეწვის ძვალ-კანი,

ველარც ვახერხებ რამესა!
კარგა ხანია შიკრიკი
გამიგზავნია ფაშასთან;
მიმიქრ-მომიქრის ფიქრები,
ეჭვებიც მწველნი ათასგან—
ალარ მაქვს მოსვენებაი—
ვინ გამიახლებს გუნებას?
ვინ ამომირბენს ფაშისგან
სულტნისა განკარგულებას?

გიორგი. მე.

თამარი. არა. წავა მეთოდე,
ის ნასწავლია, ბრძენია,
ჩაყვინთავს ფაშის სულში და
ნახავს, იქ რაცა ჰფენია.
უხილავია ეგ სული,
ზღვის სილრმე, ხვაშიადია!
სარკეში სახე ნახული
თვალ-საჩინოა, ცხადია.
თვით სახე სულის სარკეა,
თუ სჭვრიტავს მკვეთრი თვალია,
და ეგ სიმკვეთრეც სწავლაა,
რაც სხვისთვის დანამალია,
მისთვის აშკარა საგრძნობი,
თვალ და თვალ სახილავია.
ფრთხილად თათრებთან! დანდობა
ორგულზე მეტად ავია!
ორგული არის თათარი,
შემოსეული ჩვენშია:
უკუნით ნაწვავ ნადაგი
ჩვენი ჩაიგდეს ხელშია!
სწველავენ მხარეს და ხრწნიან,
აასკეცებენ შფოთებსა.
ვინ იცის, იმედს გაძლევენ

და ბრმა თვალს ჯგუთვენ ჯოხებსა.
რუსტომი. მართალი ბრძანა თამარმა.
გიორგი ბრძოლის ღმერთია,
მაგრამ სიბრძნე კი,—მეთოდე
და მისი სიბრძნე—ერთია!
წავა მეთოდე. ბრმა ნდობა
გმირს გახდის ნაცარ-ქექიათ.
საეჭვოც არის: იქ მკიან,
სადაც არ დაუთესიათ!
ასე ჩვევიათ თათრებსა:
ჰქელვენ ქვეყანას ცბიერად!
და სჯობს, რომ იმათ მოყვრობას
მოვეპყრათ გულის-ხმიერად.
(შემოვარდება შიკრიკი I.)
რა ამბავია? რა მოხდა?
მტვერი გაყრია პირზედა,
თუ პირის სახე მოგშლია
რაღაც საშავდღო შიშზედა?
შიკრიკი I. ძიძგინობს მთელი ქვეყანა,—
იმერეთი დგას ფეხზედა:
კბილები ალესილი აქვს
შემოხიზნულსა მტერზედა!
რუსტომ. თათარზედ?
შიკრიკი I. დიაღ!
რუსტომ. უგნური
სულთა მობრძავის შფოთია,
შიკრიკი I. მოსწყვიტა მიქელაძემა
ქუთაისზედა ფოთია...
რუსტომ. სცდები, სულელო!
შიკრიკი I. თქვენს ძღვენსაც
იმან დახვია ხელია...
გიორგი. ხუმრობა საქმეს აღარ გავს!
მეთოდე. ამბავი საშინელია!

თამარი. ამხედრებულან თათრებზე,
გარეკვას მათსა ფიქრობენ...

როსტომ. მეფე და მისი სარდლები
თავზე ცას ჩამოიმხობენ!
„როს ხვანთქარი დაინძრევა,
დედა-მიწა შეირყევა"
ხალხს უთქვამს და მე ვამატებ:
მისი ძტერი დაიქცევა!

შიკრიკი I. ლორთქიფანიძემ შემოკრა
კიკიან ფაშა ჯარებით.
შიმშილით კვდება თათარი
და ფოთის შველას ვერ ველით.

როსტომი. ჰმ! ჰმ! განა თუ?! მძიმეა...
სოლომონ გამხეცებულა...

შიკრიკი I. თქვენი ნაძღვენი მონები
მის კალთას შესაფრებულა,

როსტომი. მაშ ეგ მონები წაუსხავს
ზურაბა მიქელაძესა?

შიკრიკი I. დიაღ. და ომის დაწყების
ამ გვარად ხსნიან საქმესა:
საბაბი ბრძოლის გამხდარა
მონების გზავნის აღკრძალვა,
კიკიანს ეს არ უქნია,
არ მოუშლია გაგზავნა.
ტურფა ქალწულნი იმერთა
როცა მიყავდათ ფოთშია,
რომ გაეგზავნათ სტამბოლში,
ხვანთქარის სატახტოშია,
თავზე დასხმიან თათრებსა,
მოურეკიათ მეფესთან.
კიკიანს ბნედა მოსვლია,
მყის უფრენია ფაშებთან;
ირგვლივ და ყველგან შეკრული

ყოფილა გზა და კვალიდ.
ახლა თქვენ გითვლის: „გაწყობა
ხელის დღეს თქვენი ვალია“!

რუსტომ. მე და ლევანი აქა ვართ,
ჯერ შველა ჩვენი ჯერია.
ჩვენ შევიმძრევით, მთა მთაზე
მოხვდება—ავა მტვერია!
არ შეიძლება ადგომა
მეფის, მის გადიადება.
მაშინ მზე ჩვენი ჩავა და
სიკვდილიც დაგვიანდება.

შიკრიკი II (შემოვარდება). მეფემ გაახლათ მოამბე:
სტუმრად მობრძანდა თქვენთანა.

რუსტომ. (გაბნეული) ეს რაღა ღვთისა ცეცხლია?!
ხომ არ ამიტყდა ქვეყანა?
(შორეული ბუკის ტკრციალი ისმის)
მარტოა თუ ახლავს ვინმე?
რას ნიშნავს მისი მოვლენა?

შიკრიკი II. რას ნიშნავს, რა მოგახსენოთ,
ვატყობ, არ იწვევს მოლხენა.
თან ახლავს პაპუნ სარდალი
და ჯარი წერეთელისა.

თამარი. როგორ თუ? ბარაკონში მან
შემოყო თავი გველისა?

რუსტომ. როგორ თუ ჯარი? გვებრძვის თუ?
სადა მყავს ენგიჩარია,
რომ ხიდის-კარი მხედრებით
პაპუნას გაუარია?
მას მტრობა უძღვის ჩემზედა:
დავფარცხე ხვადაბუნები;
შიმშილით ხალხი დავხოცე,—
გავუნადგურე პურები...

შიკრიკი II. მიბრძანეს მხოლოდ: სამოყვროდ

მოვდივართ როსტომ ბატონთან.
ნატრობენ თურმე თქვენს ნახვას
თვითონ ხრესილის წყაროდან!

როსტომ (ყურს გამოჭიმავს. ისმის მჰედრების ხმაური, მოძრაობა, ბუკების ყვირილი. როსტომი დაითხოვს შიკრიკებს).

მე ავადა ვარ, შვილებო!
თამარო! შეხვდი მეფესა.
პატივი ეცით ისეთი,
უკვირდეს ცას და ხმელეთსა;
და მოულხინეთ იმ გვარად,
არ ჩვენებოდეს სიზმრადა.
არ წაგცდესთ ჩვენი განზრახვა,
გულის-პასუხი კრინტადა. (გავა)

თამარი. დასცალონ ჯაზაირები,
ააწკრიალონ ზარები;
წინ შეაგებონ ხუთასი
გმირით შემდგარი რაზმები:
(გავა გიორგი და თან გაჰყვება რამდენიმე ძმა სისწრაფით).
მეთოდე! მეფეს და სარდალს
საკუთრად არვინ ემსჯელოს.
ყველამ გვაცალოს მე და შენ
და ეგებ რამე გვეშველოს.
ეგებ დავუძვრეთ ხელიდან,
გავუბოდიშნოთ სახლშია,
რომ ვერ შევიდენ თვით ეჭვად
ჩვენს გულის განაძრახშია.

(ატყდება გარედ ხმაური, რეკა, ჯაზაირების გრგვინვა და შემოვა მეფე სოლომონ. თან შემოყვება პაპუნა სარდალი და მათ მოდევენ როსტომის შვილები. თამარი და მეთოდე დიდის კრძალვით და თავაზით შეეგებებიან მეფეს).

თამარი. ჩვენს ბარაკონში მოფრენილს
ველირსეთ მზეს და მთვარესა!
მზის შუქი მეტად ანათებს
რაჭისა არე-მარესა.

გავლირსეულდით, ავყვავდით
ამ გვარ პატივის დებითა.
ვემთხვევი თქვენსა გზა-კვალსა
მოწიწებით და ქებითა!

სოლომონ. გვიხარის, სძალო, მიღება
გულ-წრფელად თქვენის სტუმრისა;
ვერ განგვისამზღვრავს ჯერ ჯილდო
შესხმისა საამურისა.
მაგრამ, რადგანაც ვიჩქარით,
ფიცხლავ ნახვა გვსურს როსტომის.
როსტომსა უნდა ატკბობდეს,
რომ გვერდს უმშვენებს გრო ლომის.

მეთოდე. ბედს არ ემდურის, მეფეო,
თქვენის წყალობით დიდითა
და სცხოვრობს ტკბილად, საამოდ,
თვის ცხოვრებითა მშვიდითა.

ბაბუნა (თავისთვის). ჰმ! განა მშვიდათ!? (ხმა მაღლა) დიალაც
რაღა აქვს სადარდებელი?
ზღვის ღელვას მოცილებულა
აქვს მყუდრო საცხოვრებელი.
სცხოვრობს ნებივრად, უშფოთრად,
უშიშრად ბარაკონშია:
ეჭვი არა აქვს სინდისში
და შავი ფიქრი გონშია!

თამარი. რას მოგვასწარით, ბატონო?
ველირსეთ მეფის ნახვასა!
როგორ გაგიშვებთ, გათენდეს ..
ნუღა მიბრძანებთ მაგასა.
თქვენი ვართ,—გვიმსახურეთ ყმა,
მაში ვგრძნობთ ნეტარებასა.
თუ აგვამაღლეთ, ნუ მოგვკლავთ,
დაგვყევით ამ ერთ ნებასა!

სოლომონ. ვაჟი გვითითებს ბრძოლისკენ;

არა ვართ მოსვენებაში.
როსტომი, გვინდა, რომ ვნახოთ;
ცეცხლი გვენთება კეფაში.

თამარი. როსტომი ავად-მყოფია,
სძინავს ჩამდნარსა ოფლშია.
დღე და ღამ ბოდავს, ვერ მოდის
ას ჩაკითხვაზე გონშია.
თუ მოიხედავს, ისევე
დილ-დილობისა ძალაზე,
მაშინაც მადა არა აქვს
არც სმაზე, აღარც ჭამაზე...

სოლომონ. მაშ მეტი ჯანი არ არის,
დავრჩებით გათენებამდი,
მაგრამ ჩემს ჯარსა ჭირდება
სმა-ჭამა—დიდ-ძალი ხარჯი.

თამარი. დეკეულებით დავაძღებთ,
ფეხ-ქვეშ მივუშვებთ ღვინოსა;
ბევრი ილხინოს, დანაყრდეს,
მიწვეს და მიიძინოსა.
ჩვენ-კი დარბაზში ვილხინოთ
და გავათენოთ თეთრადა.
იმერეთისა მპყრობელი
გამომეცხადა ღმერთადა!
(გერებს) უბრძანეთ ხარგა დახოცონ,
დაჭკლან ირემი ჩქარადა.
ვახ, რას ვეღირსე!!! სიკვდილი
აწ აღარ მიჩანს ჩალადა!

(მეთოდე განკარგულებას აძლევს ძმებს და დაფათურდებიან. სუფრას შლიან საჩქაროზე შინა-ყმები.)

თუ არ მიძრახავთ, ბატონო,
მივხედავ ავადმყოფსაცა!
თქვენმა საამო შეყრამა
გუნება გამიმამაცა!

(ყველა გადის, მეფე და პაპუნას გარდა)

სოლომონ. ეს რა ზღვა ცხოვრება არი?
ურიცხვი ჯოგი, ჯარები!
თვითან თამარი მზესა გავს,
მაყვალს მიუგავს თვალები.
ბედნიერია როსტომი...
ბაბუნა. მეფეა, ცხოვრებს მეფურად.
არ ულირს თქვენი გვირგვინი,
არც კვერთხი თავის ლეკურად.
სოლომონ. წამოვიქადებ, რომ ერთი
კიდე მყოლია მთავარი.
მაგისი მსგავსი გურიელ,
ან დადიანი სად არი?!
ბაბუნა. წინ დაგვეფინენ ნოხებად,
სმენა დაგვითვრეს ენითა;
ვნახოთ, რა გულმოდგინებით
შეგვეწევიან ხელითა.
სოლომონ. უნდ ვიქონიოთ იმედი,
რომ გამოგვიწვევს ჯარებსა,
რომ, თუ თვით ველარ წაგვყვება,
რაჭველებს დაგვახმარებსა.
ბაბუნა. აი, ამიტომ გირჩიეთ,
რომ, მანამ ომსა ატეხდით
ხრესილზე მტრისა საყლეტად,
სჯობდა, თუ დიდ ჯარს შევკრებდით!
სოლომონ. დიდის თავაზით მიგვიღეს,
პატივს გვცემს დიდებულადა...
ბაბუნა. ეტყობა, თავი არ უჩანს
წერეთლის ვალდებულადა;
ხვადაბუნების ამბავი
დავიწყებული ჰგონიათ.
პაპუნა, ვხედავ, აბუჩათ
აღებულიცა ჰყოლიათ!
სოლომონ. პირადი ანგარიშები

მოცლილობის დროს ასწორეთ,
ხოლო ამ ჟამად თვალ-ყური
სოფლის ტარებას აყოლეთ.
(ისმის ჯარების ყიჟინამული, სიმღერა და ზარბაზნების ხროლა. შემოვლიან თამარი და როსტომის შვილები)

თამარი. აბა, დაბრძანდით, მეფეო,
მე-კი გარს გივლი ლხენითა.
ეს ნეტარება, არ ძალ-მიძს,
გამოვთქვა მქრალი ენითა.

სოლომონ. არა, თამარო, დაბრძანდი
შენის მეფისა გვერდითა:
აღმივსე სული და გული
მაგ აღტაცების ლხენითა.
(დასხდებიან და შეეჭცევიან).

თამარი. (აიღებს თასით ღვინოს)
ვსვამ სადღეგრძელოს საყვარლის
ჩვენი სოლომონ მეფისა; —
ასე დასცალოს მან მტერი
ძვირფასი იმერეთისა!
(უკანასკნელ წვეთამდი დასცლის თასს და გაისმის ზარბაზნის გრიალი).
ალავერდი ვარ პაპუნთან!
სარდალი გმირთა გმირია:
მეფეს სჭირია პაპუნა,
ხატსა სანთელი სჭირია!

პაპუნა. იახშიოლ, ტურფა თამარ!
არ ჩამოგრჩე უკან რომა, —
დღე-გრძელ იყოს მეფე და მის
კურთხეული იყოს შრომა!
(იგრგვინებს ზარბაზანი)

მეფოდე. მეტი გრძნობით ვადღეგრძელებ
მეფეს და ვსცლი სავსე კათხას:
ვითა ლომი მოერიოს
მტრების ურდო ცხვარსა და თხას
შენთანა ვარ, ძმაო ჩემო,

წაუწყმინდე მტრები მეფეს!

გიორგი. ვინც რომ უმტროს, მტვერად იქცეს,
მეფეს, გრძნობის მოიეფეს!

(ჯშირი სროლაა ზარბაზნების და ჯარის ლხენის ხმაური ისმის. სხვანიც ადღეგრძელებენ მეფეს)

სოლომონ. ია ვარდის ფრად შეჰფერა
დღისულმა აღმოსავლეთი
და მაინც გრძნობას იბირავს
მეფისას ბნელი სამხრეთი...

(შემოდის უეცრად, უბოდიშოდ, ზინაურად ჩაცმული ახალუხ-მოსხმული, წითელ ჯაბფასის ნიფხვის ამარა, ქოშებით როსტომი).

დაბოლოს! (თუნდა შეკრთება მის ამ გვარ
საქციელზე, მაინც თავს შეიკავებს)
ნატვრა ამიხდა—
ნახვა როსტომის დიდისა.

როსტომ. (ფლიდად) ვინ მომივლინა, მაჩუქა
მფლობელი კიდით კიდისა?..

(მიესალმებიან ერთმანეთს)

სოლომონ. გული და გრძნობა, რომ ვხედავ,
ჩვენი ერთია, შემტკბარი.
ლხინისთვის ალარ მცალია
და არც ვარ, ვგონებ, შემცდარი.

(ანიშნებს, ყველა გავა. როსტომ და მეფე დარჩებიან და ჯდებიან)

როსტომი. რამ გაიძულათ, მეფეო
რომ დაისარჯეთ ჩვენთანა?

სოლომონ. იმერეთია შავ დღეში,
სწორი სჯობია ღმერთთანა.
მტრების გარეკა მწადია,
განწმენდა ჩვენის ქვეყნისა,
მწადია წამოყენება
ლაფში ჩამხრჩვალი ერისა!
მინდა აღდგენა რჯულისა,
დაცემა ყმების სყიდვისა;

მინდა მშრომელი უშიშრად
გამვლელი გზა და ხიდისა.
ოთხივე ფაშის ციხენი
შამორტყმული მაქვს ჯარებით.
მოდი, მიშველე, დავეცეთ
მტერს რაჭის ნიავ-ღვარებით.
გავწყვიტოთ იგი ხრესილზე,
არვინ გავუშვათ მარცვლადა.
მიშველე, მთხოვე, რაც გინდა,
შენს მეფეს ამის ნაცვლადა!
იქა მყავს ბერი სარდალი
თავის ქვეითი ჯარითა,
იქა მყავს თვითონ პაპუნა
ჯარითა ცხენოსანითა;
შორაპანს არჩილ აყრის დორბლს,
ქაიხოსრო-კი ბაღდათსა,
ფიცის კაცები ქუთაისს,
ნურც შენ დაჰკარგავ ალდათსა.
სადაც სხვა, იქ შენც წამოდი,
ნუ გაერჩევი ძმანებში...
რალაცა ეჭვი მაწვალებს,
რომ ვერ მიყურებ თვალებში!

როსტომ. მაშინ მოგიკვდეს როსტომი,
მისი დევ-გმირი შველები,
რომ თქვენ წინ მან არ დაყაროს
მტრის დანალეწი კბილები;
ოთხი ათას კაცს გამოვრეკ,
მყის მიმოვაფრენ შვილებსა;
ოსებსაც მოვიპატიჟებ,
იმ მოუსვენარ რწყილებსა.
მონა ვარ თქვენი, მორჩილი,
ერთგული, დასანდობია,
მერწმუნეთ, ერთი როსტომი

თქვენთვის ათასს სხვას სჯობია.

სოლომონ. ეგ მჯერა, მაგას ველოდი.
ძმა ხარ, დამკოცნე ძმურადა.
ხელი-ხელ გადახვეულნი
მტერს შევხვდეთ საამურადა.

(შემოვა ზიკრიკი III)

როსტომ. რა ამბავია? რას ჩქარობ?
რისთვის არ გვაცლი ბჭობასა?

ზიკრიკი III. ჩვენ რომ დღე თავზე გვადგია,
ისეთი მტრისა ყოფასა.
თუთხმეტ ათასსა თათარსა,
დამდგარსა ნაქერალაზე,
მოაქვს რისხვა და წვალება
უფსკრული ამ ქვეყანაზე.
ხრესილის ჯარზე მომწყდარა
ნახევარი და მოქშინავს.
შიში ამ ურდო ჯარისა
თვით კი სალ კლდესაც გაჰყინავს.

როსტომი. არიქა, მეფევ, უშველეთ
თქვენ საქმეს,—გაჩნდით ხრესილზე:
განახევრებულ ალის ჯარს
ვიწა აყარეთ ზედ პირზე!
მე კი აქ ახლავ გავსწმინდავ
ანგარიშს პირშავ მტერთანა
და თვით ხრესილზე ომამდე
დავიბადები თქვენთანა!

სოლომონ. არ გესალმები...

(დაშორდებიან ერთმანეთს სიყვარულით. მეფე გავა. შემოვლიან თამარ და როსტომის შვილები)

როსტომ. ძლივს-ძლივად
გავიტყუილე უკანა.
გაფრინდით, ჩემო შვილებო,
რაჭველ შევარდენთ გუნდთანა;
მორეკეთ ჯარი ოსეთის

ფაშების დასახმარადა.
ლევანი მიწვევს ხრესილზე,
ქუთაისს ფაშა კვალადა.
შიკრიკო! ახლავ გავარდი,
ეს წიგნი ჩადე ქუდშია,
აცნობე კიკიან ფაშას,
რაც სოლომონის გულშია! (ფაციფუცია)

სევასტი გაჩეჩილაძე

(დასასრული იქნება)

ლალიმი

წინასიტყვაობა

რამდენადაც ვიცი, გარეგანი ვითარება და ყოფა-ცხოვრება საქართველოსი, სადაც სწარმოებს მოქმედება ჩემის პიესისა, რუსულს სცენას იშვიათად თუ უნახავს ოდესმე და ისიც შორეულს წარსულში. ამიტომაც აღნიშნული გარემოება საჭიროდ ჰხდის ამ განმარტებასა.

რასაკვრელია, უმთავრეს მხატვრობრივ იმპულსათ (მომქმედ ძარღვათ), რომელმაც პიესის შინაარსათ საქართველოს წარსული ამაღებინა, შეიქმნა ის საზოგადო, ნათლად გარკვეული თვისება კერძო პირთა, ხალხურ ჩვეულებათა და ისტორიულ მოვლენათა ელფერისა, რომელიც სამხრეთის ნიშნობლივს თვისებას შეადგენს და ისტორიის გასაჭირს მომენტებში განსაკუთრებულის ძალით იჩენს ხოლმე თავსა,—როდესაც ხალხი თავს არა ჰზოგავს და იცავს მას, რაც სამართლიანად ყველაზედ უძვირფასესად მიაჩნია: სარწმუნოებას, დამოუკიდებლობას. გარდა ამისა, მეგონა, მტკიცე და მახლობელი კავშირი, რომელიც საქართველოს, აგერა ასი წელიწადია, რუსეთის სახელმწიფოებრივსა, საზოგადოებრივსა და სულიერ ცხოვრებასთანა აქვს, უნდა უფრო მეტად უღვიძებდეს-მეთქი ყურადღებასა და უახლოვებდეს რუსეთის საზოგადოებას, ვიდრე სხვა მრავალ ქვეყნებისა და ერის ცხოვრება, რუსული სცენის დრამატიულ ნაწარმოებთა საგნათ რომ შექმნილან.

თვითონ საქართველოც თავისის წარსულით ბევრად მეტის ყურადღების ღირსია, ვიდრე ამას რუსეთის მწერლობაში ვხედავთ, ვინაიდგან მთლად მისი ისტორია თავისუფლად და ნებაყოფლობით რუსეთთან შეერთებამდე წარმოადგენს ისლამის წინააღმდეგ პაწია ერის განუწყვეტელსა და მძიმე ბრძოლას ქრისტეანობის კულტურისათვის. შეგნებულად თუ შეუგნებელად, მაგრამ მთელმა საქართველომ, მეფედამ მოკიდებული ვიდრე უკანასკნელ გლახამდე, სისხლის ფასად და კერძო კაცთა თუ მთელის ერის მხრივ აღურიცხველის გმირობით მტკიცედ და წმინდად შეინახა 1200 წლის განმავლობაში ის, რაც ბევრად უკეთესს გარემოებაში მყოფმა სხვა ერებმა ვერ მოახერხეს. შესანიშნავი სხვათა სარწმუნოებისადმი ქართველების შემწყნარებლობა და პატივისცემა, რომელიც, ეჭვი არ არის, თავისისადმი გულგრილობით არ აიხსნება, შეიძლება დაამოწმოს ყველამ, ვინც-კი ებრაელებისა, მწვალებელთა და იმავე მაჰმადიანობისადმი ჩვენის დროის ქართველთა განწყობილებას დაჰკვირებია, მაჰმადიანობისა, რომელმაც სულ რაღაცა ას ხუთის წლის წინად ტფილისში ქვა ქვაზედ აღარ დასტოვა და საქართველოს მკვიდრთა ნახევარი მთლად ამოსწყვიტა თითქმის. პირადი და ოჯახური თავისუფლება ქართველ ქალისა და მისი დიადი მნიშვნელობა მაღალსა თუ დაბალს წრეებში, არა მხოლოდ ოჯახში, არამედ საზოგადოებრივს ცხოვრებაშიაც, რაღაცა დაუჯერებელსა და ძნელად ასახსნელს მოვლენას წარმოადგენს, თუ ყოველსავე ამას თანამედროვე მაჰმადიანობის გავლენის ქვეშ მყოფს ქალს შევადარებთ და გავიხსენებთ იმას, რომ ათასის წლის განმავლობაში საქართველო ფეხ ქვეშა ჰქონდა ისლამს განრთხმული და მხოლოდ-ღა იშვიათად ახერხებდა ხოლმე ნამდვილის გმირულის თავგანწირვით მოკლე ხნობით მის მძიმე უღლიდამ თავის დაღწევასა. პირადი ადამიანური ღირსება თვითოეულისა, რომელსაც მის სოციალურ მდგომარეობასთანა და სიმდიდრესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და არც თავხედობასა და თავგასულობასთანა აქვს რამე საერთო, სრული პატივისცემა როგორც თავისის თავისა, ისე სხვებისა,—შეა-

დგენს განსაკუთრებულს თვისებას ქართველ ერისას,—თვისებას, რომელიც უფლებისა და ფულის წინაშე მონობამ, ისლამის აღმსარებელ სახელმწიფოთა ამ ძლიერმა ძარღვმა, ვერ აღმოჰფხვრა. დასასრულ, საქართველოს სუსტმა კულტურამ შესძლო და შეინახა არა მარტო სარწმუნოება, არამედ თავისი განსაკუთრებული ეროვნული თავისებურობაც, მაშინ როდესაც ბევრად მაღალმა და მძლავრმა სპარსთა კულტურამ თავისი ათას-წლოვანი ეროვნული თვისებები ისლამის წინ ველარ დაიცვა.

ეს კულტურული ბრძოლა საქართველოსი ქრისტეანებრივის კაცთმოყვარეობისა, დედათა თავის-უფლებისა, ადამიანურის ღირსებისა და ეროვნებისათვის მით უფრო კეთილშობილურია, რომ მუდამ შეგნებით და ცნობიერად არ აღიარებდნენ მას, რისთვისაც იბრძოდნენ, არამედ ინსტინქტიურად ეძვირფასებოდა იგი თვითონ ხალხსაცა და მათს წინამძღოლებსაც,—მასთან არც მუდამ ერთისა და იმავე საშუალებითა და გზით სწარმოებდა ეს ბრძოლა. ისლამის მძიმე უღლიდან მოკლე ხნით განთავისუფლების შემდეგვე სწრაფად ისევ სასტიკი სისხლის ღვრა და დამონება იწყებოდა და მეხისავით ევლინებოდათ ხოლმე მაჰმადიანობა. კაცებს ჰხოცავდნენ, ტყვეთა ჰყიდიდნენ. აუარებელი სიმრავლე სპარს-ოსმალოთა, თათრებს ურდოებისა და არაბებისა მაინცა სძლევდა ხოლმე სამშობლოსათვის მებრძოლს ერთს მუჭა გმირებს. და იწყებოდა ისევ უსიცოცხლო, მკვდარი მყუდროება უცხო სჯულის ხალხთა მძიმე უღელ ქვეშ, მათის ბნელით მოცულ, შეუწყნარებელ, წეს-ადათებით სასტიკ სარწმუნოებითურთ, რომელსაც სიყვარულისა და მიტევების სითბო არაოდეს არ მიჰკარებია და სიამკნი ამა სიცოცხლისანი სრულიად შეუძულებია. ყოველგვარის სიკეთით სავსე, აჰყვავებული ბუნება საქართველოსი უდაბნოს გახურებულ ქვიშით გეგონებოდათ მაშინ მთლად მოფენილი. მისწყდებოდა ხოლმე სიმღერისა და ზარის ხმა, რომელიც გარინდებით ფიქრმოცულს გამარჯვებულს მტერს არად მოსწონდა ხოლმე, ჩადრჩამოხსნილი პირისახე ქალებისა შეურაცხჰყოფდა მათს პირფეროობას, რომელმაც სიყვარული ავხორცობაზე გასცვალა,

ოჯახი—ჰარამხანაზე, ღვთისადმი მხურვალე სიყვარული და სარწმუნოებრივი გატაცება კიდევ ფანატიზმსა, შეუბრალებელ გარეგან წესებსა და მრისხანე ალლაჰის წინაშე შიშსა და ძრწოლაზედ. მაგრამ ქართველის ნათლით მოსილ ბუნებისათვის ისლამი მარტო სიძულვილის საგანი არა ყოფილა: ბევრი რამ დიდებული თვისებაცა ჰქონდა, მასთან მძლავრი, მრისხანე იყო; საშუალო საუკუნოების ქართველ კაცის წარმოდგენით მისი ტალღა მთელს ქვეყანასა ჰქონდა მოდებული. იერუსალიმი და ბიზანტია—ეს ორი წმიდათა-წმიდა ქრისტიანობისა მის ხელთ იყო უკვე. კავკასიის მთებიც—ეს დაუძინებელი მტრები საქართველოს მინდორ-ველისა, მას ჰმორჩილებდნენ. საქართველო ჰაწია კუნძულს-ღა წარმოადგენდა ამ ზღვაში, რომელიც გაცოფებული ეხეთქებოდა მუდამ მისს ნაპირებსა და მზად იყო სულ მთლად შთაენთქა იგი თავისს ზვირთებში. საშინლად ჰმოქმედებდა ეს საზარელი ძლიერება მაჰმადიანობისა სამხრეთის ბცხოვრებთა ოცნებაზე, რომელთა მთელს ძალასაც შეუგნებელი, ინსტინქტიური სიმართლისადმი ერთგულობა შეადგენდა. იწყებოდა განდგომილება, სარწმუნოების ღალატი, ძლევამოსილის მტრების წინაშე მონობა და სამსახური, გამყიდველობა და დავიწყება ყოველისავე იმისა, რაც-კი უწინ თვით სიცოცხლეზე უძვირფასესად მიაჩნდათ ხოლმე. მაგრამ ეროვნულ ცნობიერების სიღრმეში, თვით უსაშინელეს და უმძიმეს დამონების დროსაც სცოცხლობდა მუდამ სიმბოლო, რომელშიაც შეერთებულნი იყვნენ სწორედ ის ძველთაგანვე ნაანდერძევი კულტურულნი საფუძველნი, რომელთაც საქართველო ინსტინქტიურად იცავდა სისხლის ფასად, თითქოს იცოდაო, რომ ადრე თუ გვიან იგინი ამ აზიურს ჰაწია ერს ქვეყნიერების უდიდესს ერებს შეუკავშირებდნენ მჭიდროდ და ეს ბრძოლა მათთვის ხელშეუვალ და საღმრთო უფლებას მიანიჭებდა, როგორც ტოლი და თანასწორი მათს ოჯახში შერიცხულიყო. სიმბოლო ესე იყო ჯვარი—და დაიცვა იგი უმთავრესად ქართველმა ქალმა, თითქოს ისრევე ინსტინქტიურად, მაგრამ უფრო კი სრულის შეგნებით, რადგან თავისს ერთად-ერთს სასოე-

ბასა და ხსნას მხოლოდ და მხოლოდ მასში ჰხედავდა. საქართველოს ყოფა-ცხოვრების ყველა მკვლევარნი და ისტორიკოსნი აღიარებენ ერთხმად, რომ განათლების შენახვის საქმეში საქართველოში ქართველს ქალს მეტად დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის. ზეპირად სწავლობდა იგი საღმრთო წერილს, ლოცვებს, ქართველ მწერალთა პოეტურ ნაწარმოებთ. თითქმის თვითოეულმა მათგანმა იცოდა უთუოდ წერა-კითხვა და ასწავლიდა აგრეთვე თავისს ქალიშვილებსაც. იგინივე ამზადებდნენ საბრძოლად შვილებს თავისს წმინდა სიმბოლოსათვის, რომელიც შეადგენდა მთელს მათს იმედსა და სასოებას, რომ ჰარამხანის მონობისაგან თავს ითავისუფლებდნენ და განამტკიცებდნენ ოჯახს, სადაც მცველ და მფარველად ისრევე დედაკაცი იქმნებოდა და არა საჭურისი,—დედაკაცი პირბად-ახსნილი და არა პირშებურვილი, რომელიც ქართველს ქალს სიკვდილივით ეჯავრებოდა. და აი, განადგურება-მოოხრების შემდეგ, ისლამის მძიმე უღელ ქვეშ, განდგომილთა, საჭურისთა, დიდთა და პატარა მტაცრვალთა ბატონობის დროს, შიშ ქვეშ მყოფ მონათა შორის, საშინელს გაჭირვებაში იწყებოდა აღმადგენელი მუშაობა ქართველის ქალისა. ერთნი განთავისუფლების საგმირო საქმეებისათვის ამზადებდნენ შვილებს; ესენი უმღერდნენ მშობლიურს სიმღერებსა, უამბობდნენ მამა-პაპათა საგმირო საქმეებსა და თავგანწირვასა, უსახავდნენ პირჯვარსა და ყოველსავე ამას დიდის სიფრთხილითა და რიდით სჩადიოდნენ, რადგან შიში ჰქონდათ წამებისა და სიკვდილსა არა მარტო თვითონ, არამედ უმთავრესად მათს შვილებს, რომლებიც ახლა სისხლთან ერთად გაერთებულნი იყვნენ მათთან სულიერადაც, მთელის თავისის მომავალის იმედით. ასეთი დედები ვაჟკაცებს ამზადებდნენ. სხვები ამზადებდნენ კარგმოქალებს, ისრევე ფრთხილადა და ხანგრძლივად, იმავე მუდმივის შიშით, რომ მთელს მათს წლობით ნამოღვაწევს ერთის თავხედად შეხებით ობობას ქსელივით ჩაჰშლიდნენ. ამათი დანიშნულება ბევრად უფრო რთული და ძნელი იყო. ესენი იყვნენ ჰარამხანაში მყოფი ქალები, სხვათა ჟინის მოსაკლავად რომ ფრინველივით ასუქებდნენ. თავსს მბრ-

ძანებლების ბილწ გრძნობათა და გულის ოქმათა დაკმაყოფილებისა გარდა სხვა არავითარი უფლება და მოვალეობა ამათ არ გააჩნდათ. თუ რომ ჰარამხანაში მოჰხვდებოდა ხოლმე იმ მისწრაფებისა და ბუნების ქალი, რომელიც ზემოდ დავასახელეთ პირველი ტიპის ქალისათვის, მაშინ ბედი მისი სწორედ რომ საზარელი რამა ხდებოდა. მთელი ჰარამხანა მის სულიერ მისწრაფებათა წინააღმდეგი ხდებოდა და იწყებოდა ბრძოლა, რომელიც ითხოვდა მისგან არა მარტო მხნეობასა და თავგანწირვას, არამედ მრავალს ზნეობრივს თმენადათმობასაც. თავისის მიზნის მისაღწევად იძულებული ხდებოდა იგი შეჰრიგებოდა ყოველგვარს სიმდაბლეს, პატიოსნებისა და ადამიანურ ღირსების შელახვას, თუმცა, რასაკვრელია, მისის სულიერ ვინაობისათვის ყოველივე ეს კვალ დაუჩნევლად არა რჩებოდა. მესამე ტიპს ქალებისას წამებულნი შეადგენდნენ. აუარებელიც იყო მათი რიცხვი. არის ცნობა, მაგალითად, რომ 1226 წელს ხორასნის სულთანს ჯალალ-ედინს 50,000 დედაკაცი უწამებია სარწმუნოებისათვის. ესენი ხალხის, ერის სულს ამზადებდნენ ისრევე, როგორც პირველნი ამზადებდნენ ვაჟკაცებს, ხოლო მეორენი — გარემოებას.

ამ რიგად, ვხედავთ, რომ საზოგადო ტიპი ქართველთა მრავალ-საუკუნოვან ბრძოლისა ჯვარისათვის, როგორც ნაანდერძევ საფუძველთა განხორციელებულ სიმბოლოსათვის, ყოფილა შემდეგი: მოოხრება-განადგურების დროს მებრძოლნი და მეომარნი მთლადა სწყდებიან, ხლტვიან, ბოლოს მტერს უმორჩილდებიან. ხალხი სულიერად დაცემულია. მაშინ იწყებს თავისს აღმადგენელს მუშაობას ქალი და მომავალს ბავშვივითა ჰზრდის დიდიხნის ზრუნვით და სიყვარულითა და თავისს თავს მხოლოდ ამ უმაღლეს სიკეთის მცველ ჭურჭლად ჰრაცხს.

როგორც სამშობლოსათვის მებრძოლ ვაჟკაცთა წინააღმდეგ გამოჰყვანდა მაჰმადიანობას თავისი ძლევა-მოსილი, მძლავრი მეომრები, რომლებსაც, მიუხედავად სხვა-და-სხვა გვარ შავ-ბნელ თვისებათა, მაინცა ჰქონდათ თავისი მომხიბლველი ძალა და

დიდება, ისე ჰარამხანამ შეიმუშავა ქართველ მებრძოლ ქალთა წინააღმდეგი ტიპი დედაკაცისა, რომელიც, მართალია, შედარებით ნაკლების სიწმინდისა იყო, მაგრამ ძალით-კი არა ნაკლებ შძლავრი. მართალია, მისს ძალას მხოლოდ დროებით შეეძლო გამარჯვება მიენიჭებინა, რადგან სულიერობისა არა ეცხო-რა და მთლად ნივთიერს ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგრამ მაინც ძალა იყო იგი მგრძნობელობისა და სილამაზისა, რომელსაც ისტორიამ მარტო ოდენ მაჰმადიანობას არ გაუწია ანგარიში. ჰარამხანამ ეს ტიპი ღვარძლ-მთესველ და ავხორც დედაკაცისა უმაღლეს წერტილამდე განავითარა. მოხერხებულადა და თან და თანობით, მოუკლა თავისს წარმომადგენლებს ყოველგარი მაღალი ზნეობრივი მისწრაფება, რომელსაც-კი ღვარძლ-მთესველობისა და დანაშაულობის შემაგრება შეეძლო და სამაგიეროდ მიანიჭა შესანიშნავი ძლიერება და გავლენა ფუფუნება-მგრძნობელობაზედ. როგორც საშუალებას მიჰმართავდა ხოლმე დაბალსა და ქვენა გრძნობების სადარს, ისე თვითონ მიზანი და აზრი ჰქონდა ხოლმე ჰარამხანის დედაკაცს დაბალი და სამარცხვინო.

მაგრამ მათდა მისაღწევად მაღალ კულტურისა და ზნეობრივ მისწრაფებათა ქალებზე ნაკლებ არ იყო იგი თავგამოდებით მებრძოლი და შეიარაღებული. ამიტომაც ბუნებრივი იყო სრულიად ის ინსტინქტიური ქიშპობა და სიძულვილი ამ ორის სხვადა-სხვა კულტურის დედაკაცისა, სიძულვილი შეურიგებელი, როცა კი გარემოება ორთავეს ერთს ბრძოლის ველზე შეჰყრიდა, როგორც ეს საზოგადოდ ხდებოდა ხოლმე მაჰმადიანობასთან საქართველოს მხრივ დაუსრულებელ ბრძოლის დროს.

და აი, ჩემს პიესაში ამ სხვა-და-სხვა პირებითა, გარემოებითა და ფერადებით მდიდარმა აღმოსავლეთის ქვეყანამ ბუნებრივად გამიტაცა, მსურდა, რამდენადაც-კი ძალა შემწევდა, საქართველოს ერის ისტორიული ბედი თავისის ტიპიურის თვისებებითა და ხასიათით რუსეთის საზოგადოებისათვის გამეცნო. მაგრამ არ მსურდა ჩემი შრომა რომელისამე სასტიკად გარკვეულის ისტორიულის მომენტით გამესაზღვრა, რადგან იგი მაშინ მომქმედს პირებსა და თვითონ გარემოებათაც დროებითს ბეჭედს

დაასვამდა და თავისის გარკვეულობით მეც შემზღუდავდა. ამიტომაც ფაბულა და მომქმედთა პირთა სახელები პიესისა ჩემივე შეთხზულია; ისტორიული ხანაც ნამდვილად არა მაქვს ნაჩვენები. ამ მხრივ „ლალატს“ ისტორიულის სინამდვილის პრეტენზია სრულიად არა აქვს. მხგრამ აზრი და ვითარება-კი პიესაში გამოყვანილ გარემოებანი, ხასიათი და ფსიხოლოგია მომქმედთა პირთა, როგორც ერის იდეალურ და ტიპიურ წარმომადგენელთა, აგრეთვე საზოგადო სული საქართველოს ისტორიისა ჩემის ყურადღების უმთავრესს საგანს შეადგენდა, დაწვრილებით შევიმუშავე. არა ვფიქრობ რა ჩემის პიესის ზოგიერთა ნაკლს, მაინცა ვფიქრობ, რომ შინაგან ისტორიულ სიმართლისათვის, რომელიც, ჩემის აზრით, ბევრად მნიშვნელოვანია არა მეცნიერულ ნაწარმოებთათვის, ვიდრე გარეგანი ფსიხოლოგიური და ფაქტიური სინამდვილე, ამ სიმართლისათვის არ მიღალატნია, გზა არ ამიქცევია.

ინ-ანი.

ლალატი

ხუთ-მოქმედებიანი დრამატიული ლეგენდა

საქართველოს წარსულიდან.

თხზულება თავ. ა. სუმბათაშვილისა.

მოქმედნი პირნი

სულეიმან-ხანი, შაჰის ჯარების სპასალარი, მთავარ-მართებელი საქართველოსი.

ზეინაბი, ამის უმთავრესი ცოლი, ქვრივი მეფე თეიმურაზისა, 40 წ.

რუქია, ხანის მხევალი, 25 წლ.

ისახარ, ზეინაბის გამდელი, ანანია გლახას ცოლი.

ოთარ-ბეი, ქართლის მართველი, 50 წლ.

გაიანე, ამისი ქალი, 18 წლ.

ანანია გლახა, მოხუცი გლეხი, 70 წლ.

ირაკლი, ამისი გაზდილი, 22 წლ.

დათო, ანანიას შვილი, 25 წლ.

საბა, სალოსი, 50 წლ.

ყარა-უსუფ, თბილისის მართველი.

ალ-რაზაყი, აბისინელი, საჰურისი ხანისა.

ბესო, ოთარის მსახური.

მაიკო, გაიანეს ლალა.

იბნ-საადი, ჯარის უფროსი, არაბისტანელი.

გიგა, ქართველი მხედარი.

ორბელიანი, სუმბათი } სპასალარნი.

ჯარი სპარსელებისა და ქართველთა, სულეიმანის მონანი, მსახურნი და მხლებელნი ოთარისა.

1 მოქმედება, სულეიმანის სასახლე, თფილისში.

2 და 3—ბაღი ოთარისა, გორის ახლო.

4—თფილისის ახლო-მახლო, მღვიმეში.

5—სასახლე სულეიმანისა.

მოქმედება სწარმოებს XVI საუკუნეში, როდესაც საქართველო სპარსეთისგან დაპყრობილი იყო.

1 და 2 მოქმედების შორის გაივლის 5 დღე.

II და III—ერთი დღე.

III და IV—ხუთი დღე.

IV—V—ერთი ღამე.

(ტერასა — მოჯირი სულეიმანის სასახლეში, მტკვრის ნაპირას. უკანა ფარდაზე მოსჩანს ალვა-ბარი, მეტეხის ციხე და საუდარი. მოჯირის სახურავს მარმარილოს სვეტები უდგა; სვეტები არაბულის წარწერებითა და ჩუქურთმით შემკობილია. ეკალოვანი და გაბმულ-მტენარე... აქეთ-იქით კარები, ჩუქურთმისა — შუა სტენაზე ოთხ-კუთხა აუზი, ოთხი ლომის ქანდაკება, პირიდან წყალი გადმოსდით... მარცხნივ დიდი ტახტი ხალებით და მუთაქებით.. იატაკი მოფენილია ხალებით — გაზაფხულია.. ხათლიანი საღამო მალე შეიცვლება ძალიან სიბნელეად მთვარიან ღამედ).

გამოსვლა პირველი

სულეიმან-ხანი, კამხარი, მაღალი მოხუცი, მოშარ, შავი ჭაღარა-ნარევი წვერები — მდიდარ ტანთ-საცმელში მაღალის ჩალმით (ტიურბანი) — ბრილიანტის კალმით — მუხლებზე ოქროს ხმალი. ზის ტახტზე — ტახტს უკან მსლებელნი. მარცხნით ალ-რაზაეი მსხვილი სახით და პატარა თვალ-ტანადობით. მარჯვნივ ყარა-უსუნი, თხელი წვერით, პატარა ტანისა.. სულეიმანის წინა დგა ოთარი, გორის ერისთავი — მაღალია, სპარსულ ტანისაცმელში — გრძელი ჩამოშვებული ულვაშები .. დიდი წარბები, მხნე სახისა, ხან და ხან მხიარული გამოხედულების — შუბლზე ატეკია საიარეები.. ისმის მტკვრის დუდუნი... ეველანი დგანან თავ დახრილნი: სულეიმან ჭკანი მკაცრის, თან მკვდრის ფერ ეფიოელ სახით — იტყვრება დაშტერებით მაღლისაკენ, ხელში ფარუზის კრიალოსანს ათამაშებს... დიდი ხნის სიჩუმე... ეველანი სულ განაბული დგანან).

სულეიმანი. დიდ არს ალლაჰ!

სამივე (თავ-დახრით) დიდ არს ალლაჰ! (სიჩუმე).

სულეიმანი. გურჯისტანის მბრძანებელს შაჰინშაჰ საყვედურს მითვლის.. ჯერ მხოლოდ შორიდან მოგვესმის მეხის მზგავსი იმისი გმინვა! ჩვენ ყველანი მისი ფეხთა მტვერი ვართ...

ნამიგე. ჩრდილმან მისმან მთელი მსოფლიო დაჩრდილოს!!

სულეიმანა. იმერეთის ცბიერი მეფე ახალციხის ფაშის ზე-გავლენით ქართლში ფარულად მოქმედებს და ურწმუნო გიაურთა გულში იმედსა სთესავს!.

ოთარი. დაე ველურ ნადირთ ამ ძაღლთა სისხლი შესვან!!

სულეიმან. მეჭვრეტელობა თვალთა დიადი მაქვს და მახვილი ყურთა-სმენაც!.. ოთარ-ბეი, ქართლში ჩემი ბეჭე შენა ხარ! შენი სიტყვები მიტკბობენ სმენას, მხოლოდ გულში კი ღალატსა ჰფარავ!!

ოთარ ბეი. მეუფევ ჩემო, ვიყომცა მე მსხვერპლად შენის სიმართლისა! წყრომა შენი მეხია ჩემთვის.. ჩემი გული სპეტაკია შენსა წინაშე..

სულეიმანა. რაკი შენ უარ ჰყავ შენი ბნელი რჯული და ნათელ მოსლემინობას შეუდექ, მეც დავივიწყე შენი ჩემ უძლეველ ჯართან ბრძოლა, მოგიახლოვე და გადმოგეცი, მონას, ქართლის ბატონობა!

ოთარ. მამადის მახკილის მპყრობელო! რა წყალობა შენი ჩემზე მოიღე—მეც გავანადგურე ის ტაძარნი, სადაც წანეთ ლოცვად ვიდექი! მამ-პაპათა სავანე გავანიავე და მგლები იმათ სასაფლაოზე ჰლმუიან!? განა მახლობელთ ან და შორეულს ვისმე მე ეზოგავდი ან ვიფარვიდი? ეს თვრამეტი წელია, რაც ქრისტეანეთა უწმინდურ სისხლით მტკვარსა და არაგვს ვღებავ.. ვხოცდი ნათესავთ, მოძმეთ, მეგობართ!.. ოცდა სამი ეკლესიისა ქვა-ქვაზე აღარ დამიტოვებია. თერთმეტი უდაბნო მიწასთან გავასწორე—მღვდლები და ბერები ფიცრის ჯვრებზე გავაკარ და წყალს გურგანის ზღვი აკენ გავატანე! მე, ქართველმა ტომით, ირანის სადიდებლად, საქართველო ფეხით გავთელე ისე, როგორც შვილი როსკიპ დედასა გასთელს!—მოვათრიე იგი შეზოჭილი და დამონებული შენ ფერხთა წინაშე! და თუ ეს არა კმარის, არ უამეა შენსა დიდებას—მაშინ ჯალათს მიეც ჩემი თავი, დიადო მეფევ! (დაიხრება წელში).

სულეიმან. კახეთის ერისთავი შენზე ერთგულია—მან თორმეტი ერევნელი ცოცხლად მიწაში ყელამდის ჩაფლა! შვი-

დი დღით ეგრე ბუზებ და მწერ მისეული დასტოვა — ამათაც ვერ გაუძლეს ტანჯვასა და თავიანთი სარდლის ხრიკები გასცეს. ერევნის სარდალი ჩემ დასაღუპათ ისპაანში მოქმედებს, ხშირათ შაჰინ-შაჰს ნობათს უგზავნის და ყოველ ნობათს ჩემზე ახალ-ახალ ცილის წამებას თან ადევნებს!.. რით-ღა ვიმართლო თავი?

ოთარ-ბეი. შენი მახვილის ძლიერებით, დიდებულო მეფევ!!

სულეიმან. იგი ფეხ-ქვეშ ეფინება შაჰინ-ჰშას და ჩემ გურჯისტანზე კბილებს აკრაჭუნებს... სად იყო ამ ოცის წლის წინად ის ჯაბანი, ლაჩარი ძაღლი? სად იყო მაშინ, როდესაც ვინც კი იყო საქართველოში — კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ პატარა — ყველა გავჟლიტე... განა ქართლ-კახეთის თავადობა ირანის მონებათ და მთელი ხალხი მონადირე ძაღლების საჭმელად იმან აქცია?! განა მზე გურჯისტანისა მე არ დავაბნელე — და უკანასკნელი მეფის გული მკერდიდან ამ ხელმა არ ამოჭგლიჯა?!.. (გაიდგა კარები და მოსჩანს ზეინები, მდიდარ სტუმელში).

ყარა-უსუფ. შენს ძლიერებას ვინ არ შეუდრკება!

ალ-რაზაეი. შენ ხარ ცელი ალლაჰსი!

ოთარ. დაე შენი მტერნი დაბრმავდნენ!

სულეიმან (თავ-დახრილი). და აი კაცთა დიდება!! მე აქა ეზავარ, იქ კი ჩემ ძლიერებას ივიწყებენ და მოძულენი მუხრუჭს მიჭერენ!

ოთარ. მოიღე ჩემზე შენი ნდობა, მეუფევ ჩემო! ავყარი მთელს ქართლსა და საომრად წავასხამ, ერთისა თოკით შევკრავ იმერეთის მეფეს და ახალციხის ფაშას — და შენ ფერხთ წინაშე მოვათრევ... მიბრძანე ოღონდ — ერევანს დავეცემი და თხის გუდაში გახვეული სარდლის თავს მოგვართმევ!

სულეიმან (კარკა ხანს მისჩერებია). მოვა დრო მართლა იმათ მიგასევ!! ჯერ ადრეა!.. თვით შაჰინ-შაჰის ბრძანებით სარდალს თავს გავაგდებინებ.. ყარა-უსუფ!

ყარა-უსუფ (თავ-დახრით). ბრძანე, უძლეველო!!

სულეიმან. მონური წერილი შეამზადე შაჰინ-შაჰსთან... ნობათებთან ერთად წავუღებ! ოთარ-ბეი, დღეს შუალა-

მემდი ქართლისკენ გასწევ—თერტმეტი დღის შემდეგ ერთ საპალნე ოქროსა, სამ საპალნე ვერცხლსა და თორმეტ მერანს გამომიგზავნი; პირველი თოვლივით თეთრი უნდა იყოს და უკანასკნელი შავი, ვით ღამე!

ოთარი. მეცხრე დღეზე ყველას გაახლებ!!

სულეიმან. აარჩიე ექვსი ულამაზესი ქალწული... თუ არ მომეწონა—ჯერჩია არ დაბადებულიყავ... დაიცა... ქალი შენცა გყავს? (ზეინაბი კარებში გამოჩნდება).

ოთარ. (დელვებას ფარავს. ხემრობით). ორმოცზე მეტი! ჩემ არამხანაში იზრდებიან! უმჯობესთა შაჰინშაჰსთვის ამოვარჩევ...

გამოსვლა მეოთხე

ზეინაბ (შემოდის, ნარ-ბადე ასდილი). არ დაივიწყო, გაიანეთან გამოგზავნო!!

(ოთარი კარკალით უკან გადგება; დელვება რომ დაფაროს, მძიმეთ თავს უკრავს. ზეინაბ მიდის, უჩოქებს და მუხლებზე ჰკოცნის სულეიმანს, გვერდ მოუჯდება... ისასხარ გამოდის იმავე კარებით და მოშორებით დადგება).

სულეიმანი. რას ამბობ, ზეინაბ?

ზეინაბი. სხივო ქართველისავ! იყო დრო, როს ჩემთა თვალთა შენ არ ეხილე და ჩემი გული დაფენილი შენ ფერხთ არ იყო!! ახლა შენა ხარ ჩემი სამშობლოც, ჩემი რჯულიც, ჩემი მეუფეც! მაგრამ სანამ შენი მე გავხდებოდი—კარგად ვიცნობდი ჩემს ხალხს, ჩემ ცბიერ მოძმეთ... ოჰ... ტყვილად არ გვედრიდი იმათ გასრესას, სისხლის დაღვრას და დამხობასა!.. უნდა აწამო, იმათ ცბიერ გულს მხოლოდ მაშინ მოიგებ!!

სულეიმან. ოთარ-ბეი, რას ნიშვნენ დედოფლის სიტყვები?.

ოთარ-ბეი (დაკარგული). არ ვუწყი, მბრძანებელო! ჩემზე, თვის მონაზე—დედოფალი რათ მრისხანებს?!

ზეინაბ (ზიზღით). მრისხანების ღირსი არის ლომი და არა მელა! ჩემო მეუფევ, შენი მოტყვილება ამას ვერ მოუხერხებია და სანამ ცოცხალი ვარ, ვერც სხვა ვინმე მოახერხებს! შორე და ახლო, ყველა ვიცი, რასაც ჰფიქრობენ! ჩემი შენდამი სიყვა-

რული შენდა გუშაგად გადამიქცევია და მოტყვილებას ვე-
რავინ გაბედავს! ოთარ-ბეი, სად არის შენი ქალი პირველი
ცოლისაგან, ქრისტიანი მარიამ მოხრან-ბატონის ქალისაგან?
იმ მარიამის, რომელიც ჯვრით ხელში თვის ციხე-დარბაზს
იცავდა, სანამ ჩვენმა ბრძანებელმა თვისი ხელით არ მოჰკლა!
სად არის მეთქი შენი ქალი? გაიანე? (ოთარი აკანკალებულის
ხელებით სჭუჭკნის სცმელს, გაფითრებული დგას—არ იღებს ხმას).
გაფითრდი! გაფითრდი! დაწყევლილო მელავ!! ის ცოცხალია,
მზეო ქართველისა! მიუვალ მთებში, გაუვალ ტყეებში მიმა
ლული ჰყავს! ვითა მთის ზამბახი იკი აღყვავდა და გაიფურჩქ-
ნა! ლამაზნი ამას არამხანაში უთვალავი ჰყავს, დიახ ლამაზნი,
ქალის სილამაზე რომ არ მოსწონდეს—განა ასე ადვილათ ყოვე
ლივეს, რაიცა სწამდა, ფეხით გასთელიდა? მაგრამ არამხანაში
არ ჰყავს გაიანე და არც მისი ჭზგავსი ვინმე ლამაზი! ოთარ-ბეი,
ყველა შენი ქალები დააგდე იქა და გაიანე მეფეს მოჰგვარე!
(დატინვით უცქერის.. ოთარი გაფითრებული დგას. სულეიმანი ვეფ-
ხიკვით გამოეურება. ყარა-უსუფი და ალ-რაზაკი თვალს არ აშორე-
ბენ.. დიდი ხნის სიჩუმე.. ეკელას სახეზე თავისებური აღელვება და
გრძნობა იხატება)

სულეიმან. ოთარ-ბეი! რას იტყვი?

ოთარი (გონს მოვა, უბრალო კილოთი). თუ ამას დანაშა-
ულათ ჩამითვლით, ბრალი არა მაქვს! გაიანეს შენთვის ვზრდი-
დი, შენ ფერხთა წინაშე მსურდა დამეგდო იგი, ვით საუმჯო-
ბესო ნობათი შენის მონისა!!

ზეინაბ (გაკვირვებული, უცებ). როგორ? შენ? (მოვა გონს)
მერმე რათ აგვიანებ?!

სულეიმან. რამდენი წლისაა?

ოთარ. თექვსმეტისა!..

ზეინაბი. თვრამეტის!

ოთარ. შეიძლება, დედოფალო! ჩემი წლოვანებაც ალარ
მახსოვს და გოგოსი საიდან უნდა მახსოვდეს; ისე ნორჩია, მე-
შინოდა შენთან მომეგვარა!!

სულეიმან. ცბიერობ, ქართველო!

ოთარი. დიდებულო გულთა-მხილავო! შენ სიბრძნესთან ჩემი ცბიერება რას გაიტანს? მართალია, პირველ ხანებში გეომებოდი, მაგრამ განა მე პირველმა საქართველოს თავადთაგან თავი არ მოვიხარე და შენის ფეხთა მტვრად არ გადვიქეცე?! მუხრან-ბატონი, ორბელიანი და სუმბათი შენს წინაშე ვინ მოათრია?. სადღა არიან ახლა ისინი? მუხრან-ბატონი იმერეთს გადაიხვეწა—სუმბათი ორბელიანს შეუერთდა და მთებში გამაგრებულან! მხოლოდ მე შეგრჩი. იმათ მიემხრენ ქრისტიანენი—მღვდელ-მონაზონნი! მხოლოდ მე და ჩემია მხლებელთ ნამდვილ მივიღეთ მოსლემინობა და ნუ თუ ჩემის ქალის გულისათვის ვიცბიერებ, მაშინ როდესაც სული და გული, მკლავი და ხმალი—ყოველივე შენთვის შემომიწირავს?!.

ზეინაბ. მონას არ შეშვენის მფლობელის წინაშე თავსა იქებდეს. რა ხარ შენ? ფეხთა მტვერი!!. სად შენი ძალა და სად ჩვენის არაბისტანელებისა? ან იქნებ შენი თავი საქართველოს საწყალ მეფის სამსახურში ბგონია, იმ მეფისა, რომელიც თრდოდა თქვენს წინაშე და მეფედ სახდით მხოლოდ იმისთვის, რომ ამილახვარს ეშინოდა ორბელიანის გამეფება, ორბელიანს სუმბათისა!!. თქვენის ბრაზიანის კბილებით სამეფო სუფრას გლეჯდით და მეფე კი ამ სუფრაზე ტიკინათ იჯდა!! სულეიმან მეფემ ერთი შემობერვით გაგანიავათ! იმის ხმლის ქშუილზე ვითა შემოდგომაზე ხის ფურცელნი თავები გცვივათ!!. ფრთხილად იყვნენ!! ძრწოდნენ ისინი, ვისაც კი თავები შერჩენიათ? მწყალობელია მეფე სულეიმან... ჩემი რომ დაეჯერებინა, საქართველოს თავად-აზნაურნი აქამდის ათასჯერ ჩვენს რჯულსა და ზნე-ჩვეულებას მიიღებდნენ!.. შენა კი არამზნისთვის სინიდისი უარ-ჰყავდ, და იმას გვეველრიდი — ღვინის სმის ნება დაგვერთო. არ იცოდი კი რა გერჩივნა: არამხანა, თუ ღვინისა სმა... რით იქებ თავსა?.. განა იმითა, რომ მთვრალი და გალეშილი, გარყვნილი და ბიწიერი უძლეველის წინ გველივით ხოხავ? ოჰ რა კარგია ის მოსლემინი, რომელიც ნიადაგ ღვინით გაჟღენთილია!

ოთარი (ცდილობს ხუმრობის კილოთი). მოვხუცდი, ჩემო მბრძანებელო! ღვინო მაჰმადის სადიდებლად ძალას მმატებს!!

დაცდილი მაქვს: რასაც მეტ ღვინოს დავლევ, ჩვენის მტერის მეტ სისხლს დავაქცევ!!

სულეიმან. მხიარულათ ხარ, ოთარ-ბეი!..

ოთარ. მხიარულად, ჩემო მეუფევ! ვისაც გული წმიდა აქვს, მხიარულებაც თან ახლავს... რათ მოვიღუშო... ჩვენი სვე-ბედი ზეცას სწყდება! იმისი შეცვლა არავის ძალუძს!! თუ გამწირავთ ან შენ ან დედოფალი... პირზე ღიმილით სიკვდილს შევხვდები, რადგან სინიდისით წმიდა ვარ თქვენთან! (მხნედ უკე-ქების).

სულეიმან (ადგება). მაშ ჩემი ბრძანება! შეასრულე (თვალებს დაუბრიალებს). და მაშინ ვნახავთ!! ყარა უსუფ! ზარის რეკა დღეს კიდევ მომესმა! თავი მომაბეზრა! გასწი კათალიკოზთან, ამის შემდეგ არც სიონში, არც ანჩისხატში და არც სხვა ეკლესიებში აღარა რეკონ...

ყარა-უსუფ. პირობაზე მიგვითითებს, ჩემო ხელმწიფევ, ხვალ მათი აღდგომა არის!!

სულეიმან. თუ კიდევ მომესმა ზარის რეკა—ყველას ზარბაზნებათ გადავადნობინებ და ეკლესიებს საჯინიბოთ გადავაქცევ! ისე როგორც მეტეხის ტაძარი თოფის წამლის სალაროდ გადაქმენი! (ყარა-უსუფი მძიმეთ თავს-უკრავს და გადის).

ოთარ-ბეი. რისთვის ვყოყმანობთ, დიდებულო მეფევ, მიბრძანე ოლონდ, დღესვე, ყველა ზარებს ჩემ მხედრებს ჩამოვახსნევინებ და ციხეში მოვაგროვებ!!.

ზეინაბ. ნუ სწუხარ, ოთარ-ბეი... საქმეს თავს უშენოთაც მოვუარ... ან და იქნება ზარების ხმა შენც გაშფოთებს და გიღვიძებს იმას, რის დავიწყებასაც ცდილობ?!

ოთარ. (გაფითრდება და თავს აქნევს). არა, არა, ხელმწიფევ ჩემო, რაც დამივიწყნია, იგი მომკვდარა და ზარის ხმა იმას ვერ გააღვიძებს!!..

სულეიმან. ალ-რაზაყ, მიახელ! (თან კაჭვეებიან მცველებიც).

გამოსვლა მესამე

ზეინაბ (მიმავალ ოთარს). დაიცა, ოთარ-ბეი... ორბელიანის ნადიმზე ხომ არა ხარ მიწვეული. ამბობენ, თავისი მომხრე ავაზაკებით ახლო-ადგილებში იმალებაო?!.

ოთარი. მოღალატეებზე აღარ ვფიქრობ, დედოფალო!

ზეინაბ. მაშ შენ თავზე რაღაც ფიქრობ?!

ოთარი. მე მოღალატე არა ვარ! რით დაგაჯერო, რომ ერთგული ვარ?..

ზეინაბ. ვისი?

ოთარი. შენი და ჩემის მბრძანებელისა!

ზეინაბ. მაშ ჩემიცა და იმისიც?!.

ოთარი. ჩემთვის მეფეც, დედოფალიც ერთნი არიან! (უცბად) შენთვის კეთილი მსურდა და გაიანეს მოყვანას იმიტომ არ ვაჩქარებდი! ჩვენ, მოხუცნი, ახალგაზდათა სილამაზეს უფრო შევსტრფით, მაგრამ თითონ ინებე იმის მოყვანა და მე ბრალს ნუ დამდებ!!

ზეინაბ. მაშ ჩემთვის სწუხდი?! გმადლობ, ჩემო ძველო მსახურო! მე კი მეგონა სინიდისი ცოტაღა მაინც შეგრჩენია და ის გაყოყმანებდა... გაიანე ხომ ქრისტიან ცოლისგან ერთად ერთი ქალია?

ოთარ (გრძხობდერათ). ერთად ერთი!..

ზეინაბ. ტანადი, მაღალი, ლამაზი?

ოთარ. მაღალი, ტანადი...

ზეინაბ. იმის თვალები მახსოვს...

ოთარ (აღტაცებით). დიახ, თვალები! (გონს მოვა) არა, თვალები კარგი არ აქვს...

ზეინაბ. ცრუობ! (ოთარი თავს-დახრის) იმის დედას ისეთი თვალები ჰქონდა, რომლების მზგავსს მთელს შენს არამხანაში ვერ ეღირსები!

ოთარი. მამას არ შეუძლია თვისი ქალის სილამაზე განსაჯოს... მაგრამ ხასიათი კი გაბედული და მედიდური აქვს!.. ნადირობა უყვარს და გიჟს ცხენს ქარივით დააქროლებს! მეშინიან, განა ყველა ეგ სულეიმან-ხანს სასიამოდ დაურჩება? (ვედრებით შესტქერის).

ზეინაბ (თვალს არ აშორებს). სულეიმან-ხანი მას დაიმორჩილებს!! ოცი წელია მას აქეთ, მახსოვს, ჩვენმა მეფემ, თეიმურაზმა, ხელთ აიყვანა პატარა ჩვენი ვაჟი და ეგრე გითხრა:

„ოთარ, შენი ქალი ამის საცოლო იყოსო“!.. იქნება, ახლა გერჩივნა ქალი მიგეცა პატარა საქართველოს მეფისათვის, ვიდრე ქვეყნის მპყრობელის არამხანაში გაგეგზავნა!!

ოთარ (მოწყენილი სახით). ჩვენა ვართ მონანი ალლაჰსი და ჩრდილი მისნი!

ზეინაბ. აი პასუხი ნამდვილი თავისუფალის ქართველისა!..

ოთარ. ნუ-ღა მცდი, ნუ-ღა მტანჯავ, იკმარე, დედოფალო, და თუ შენი მოკლული შვილის ხსოვნა ძვირფასად მიგაჩნია..

ზეინაბ. და ჩემზე ბედნიერი რატომ ხარ? რისთვის ჩემი შვილი სამარეში უნდა იწვეს და შენი კი სამშობლო ჰაერს სუნთქავდეს? ჩემი შვილი მე მალე დავივიწყე, შენც მალე დაივიწყებ... შენთვის ეგ უფრო ადვილია... სავსეა შენი ოჯახი ცოლებით, საყვარლებით, მონებით... ქეიფი და ღვინო, მხიარულება და პატივი! შენ შეიქნები მამა შაჰინ-შაჰის ხასისა—მაშინ შენს დამცირებას ვინ-ღა გაბედავს? მოიყვა, მოიყვა ჩქარა გაიანე!.. შენ გვშველიდი და ქრისტიანი სამშობლო შაჰინ-შაჰს ფეხით გავასრესინეთ და ამისათვის დაგასაჩუქრებთ... შენს ქალს ხასად მივართმევთ... ჩემი შვილი კი სამარეშია... დავივიწყე!! (უცბად). რამდენი კაცი გყავს გორის ციხეში? და თვით გორში?..

ოთარ. ხუთი ათასი ცხენოსანი!

ზეინაბ. ქართველები ბევრია?

ოთარი. არაბები და სპარსელები ძალიან ცოტანი არიან... თითქმის ყველა ქართველებია...

ზეინაბ. ერთგულნი არიან შენი. ყველგან მოგყვებიან?

ოთარი. სადაც ვუბრძანებ... იმათ სხვა გზა არა აქვსთ!

ზეინაბ. იმერეთს რომ გადავიდნენ?...

ოთარ. იქ ახლა მეფობს ახალციხის ფაშა და რითი სჯობიან თათრები სპარსს... (შეჩერდება) მე ვამბობ... ქართველ ქრისტიანისთვის ეგ სულ ერთია...

ზეინაბ (მადავს სიამოვნებას). კარგათ ვერ ცბიერობ—ჩემო მამაცო ოთარ-ბეი, სამაგიეროთ კარგათ მლიქვნელობ... და მით თავს შველი!.. მშვიდობით იყავ, ოთარ-ბეი!.. არ დაგივიწყებ...

იქეიფე, ეალერსე საყვარლებს, ერგული ძაღლივით გვემსახურე!!.. სხვა რაღა გწადიან?!

ოთარ. დღე გრძელი იყავ, დედოფალო! (თავდახრილი გადის).

გამოსვლა მეოთხე

ზეინაბ. ისახარ! მარჯვენა ხელი თეიმურაზ მეფისა, საქართველოს ლომი, უშიშარი ოთარი ხომ დაინახე?!

ისახარ. სანამ მეომარი ცხენი აქლემივით დასაპალნებულაი... ვერსად გაექანება... ჩამოაცალე საპალნე და მაშინ ნახავ, როგორ გაქანდეს!!

ზეინაბ. თვისი ქალის ხასობაზე უარის უთქმელად თანახმაა! თვით გვეუბნება, უძველეს ტაძრების ზარებს ჩამოვგლეჯო, იმ ტაძრებისა, სადაც ლოცულობდა, სადაც ჯვარი დაიწერა!. მე მას შეურაცხვყოფდი, ის კი, ვითა მათრახით შეშინებული ლეკვი, ჩემ ფეხთა მტვერს ლოკდა!. განა ეს ოთარია? ის მგელი ოთარი?.. განა ეს ჩვენ გამოგვადგება? როგორ დავენდოთ.... გაგვცემს ისახარ, გაგვცემს!

ისახარ. არა! თუ გამოგვყვა—არ გაგვცემს!..

ზეინაბ. ლოთობისა და გარყვნილების გარდა ყველაფერი დავიწყნია, ყოველი გრძნობა გულში ჩაუკლავს!. ლაჩარი, მლიქვნელი მონათ გადაქცეულა... ნუ თუ მთელი საქართველო ასეთი გამხდარა?!.

ისახარ. განა არ გაიგონე, დედოფალო? სულეიმანს უბრძანებია სეიდებადის უბანში მეჩითის აგება... მოზღვავდა ხალხი, კალატოზები დახოცეს და ქვები კი წყალში გადაჰყარეს... სანამ ციხიდან სპარსელები ჩამოვიდოდნენ, ხალხი მიიფანტ-მოიფანტა... ახლა ეს დაწყევლილები მტყუანსა და მართალს მოათრევენ ყარა-უსუფთან!.. ვინც მდიდარია, ფულით თავს იხსნის... ღარიბებს კი, თუ რჯულზე ხელს არ იღებენ, სიკვდილით სჯიან!!.

ზეინაბ (აღტაცებული). ვინ არის ეს ხალხი?

ისახარ. გლეხები, მწყემსები, სომეხთ ხელოსნები, მებაღენი, ერთის სიტყვით — ხალხი!!.

ზეინაბ. ისახარ! მეტის მოთმენა აღარ ძალ-მიძს! ამცნე ანანიას—მოიყვანოს იგი ოთართან, გორში მოიყვანოს!.. უნდა ვნახო! უნდა ვნახო ჩემი ნუგეში, ჩემი სისხლ-ხორცი, მხსნელი ქართველთა!..

ისახარ. დრო არის! დრო, დედოფალო!..

ზეინაბ. ოცი წელია, ოცი წელია, ისახარ, მას შემდეგ... როგორ სტიროდა, არ უნდოდა, იმ დაწყევლილ ღამეს, ანანიას მიჰკარებოდა... მე იგი მკერდიდან მოვიგლიჯე და ოცი წელია იმის ნახვას ვერა ვბედავდი... ოჰ... ამ მხეცმა რომ ყოველივე შეიტყოს?.. დროა! დრო! ისახარ! ანანიას ამცნე—მოიყვანოს ოთართან.. მეც იქ გავჩნდები და თუ ოთარის გულში კიდევ რამ ღვივის, ფეხებში დაუვარდება! ძველი ლომი გაიღვიძებს და წმიდა რჯულს, საყვარელ სამშობლოს, ახალგაზდა მეფეს თავსაც შესწირავს!!

ისახარ. ჩუმათ, ჩუმათ! სანამ არ იქუხებს, მდუმარება უნდა სუფევდეს! სანამ დრო არ დამდგარა, ბაგენიც სდუმდნენ! ხედავ, მთვარე კაშკაშებს, მეტეხის ზევით ღრუბელი მოსჩანს... გესმის, რა სიჩუმეა?! ამაღამ იქუხებს!!

ზეინაბ. ჩქარა ამ საშინელმა, ქუხილ-მეხიანმა ღამემ განვლოს... უფლისა რისხვამ იელვოს... (გაიღება კარები და გამოჩნდება სულეიმანი.. ისახარ კიდევ დაიწევა უკან. ზეინაბს მთვარის შუქი მთლად ანათებს).

გამოსვლა მეხუთე

სულეიმან. შენა ხარ, ზეინაბ?!

ზეინაბ. რას მიბრძანებ, ჩემო მეუფევ?

სულეიმან. ჰაერი ტყვიასავით დამძიმდა! ოთარ-ბეი წავიდა?.

ზეინაბ. გიახლო!!

სულეიმან. (ტახტზე დაეშვება) ზეინაბ! იმას აღარ ვერწმუნები! ალ-რაზაყს ვუბბძანე ცხენები და ამალა შენთვის მზათ იყოლიოს.. გორში ოთართან უნდა წახვიდე! ასი თვალით უცქირე, ასი ყური მიაპყარ... ყოველივე გამოამჟღავნე!..

ზეინაბ. ჩემო ხელმწიფევ, ყველაფერს შევიტყობ.. სანამ თვალით ვნახვიდე ან ყურით ვისმენდე—ჩემი გული ყოველივეს მამცნობს...

სულეიმან. ღამით საწოლთან რაღაც ხმები მომესმის!.. ვარსკვლავებს რომ ვუცქერ—თითქოს ჰქრებიან!!

ზეინაბ. ვარსკვლავნი ჰქრებიან? მე კი მინათებენ თან და თან ბრწყინვალეთ და რადგან ჩემ სულთან შესისხლ-ხორცებული მყევხარ... შენთვის არ ვშიშობ!..

სულეიმან. ოთარ-ბეის გაჰყევ—და თუ მცირეოდენი რამე შეატყო, უბრძანე დაჰკლან შენ თვალ-წინ და მოკვეთილი თავი აქ გამომიგზავნე!

ზეინაბ. (ძღივს იტყრს სიხარულსა). ჩემ ბედნიერებას ასეთ ნდობისთვის... სამზღვარი არ აქვს. უაღრეს ჯილდოთ მიმაჩნია შენი ალერსიანი გამოხედვა, შენი ღიმილი და შენს სამსახურს თავსაც შევსწირავ!!

სულეიმან. ყურანი გვიბრძანებს: ვინც ერწმუნება დიაცსა, თითონვე სჭრის იმ ხის ტოტს, რომელზედაც ზის! მაგრამ შენი მჯერა... იმიტომ რომ თუ მე დავიღუპე, შენც დაიღუპები!!

ზეინაბი. უშენოთ ცოცხალი თავი რათ მინდა!!

სულეიმან. მსურს ახლა დავისვენო... იმ კოპწია მონის ზღაპრები გუშინ ძალიან მომეწონა... წადი, გამოგზავნე!

ზეინაბ. რუქია? ჩემო ხელმწიფევ?!

სულეიმან. სახელი არ მახსოვს... ჩონგურიც მოიტანე... იქნება ზღაპარმა და ტკბილმა ხმებმა ძილი მომგვაროს.. დიდი ხანია ძილი გამიფრთხა...

ზეინაბ. (ხელზე ჭკოტნის) ახლავე, დიდო მეფევ! (გადის, ისახარ მიზდევს, მეორეს მხრიდან ყარა-უსუფ შემოდის).

გამოსვლა მეექვსე

ყარა-უსუფ. დიდებულო, კათალიკოზმა ბრძანება შენი შეასრულა... ყველა მღვდლებსა და ბერებს ამცნო, ზარები აღარ დარეკონ!

სულეიმან. დარაჯები თავ-თავის ადგილზე დგანან?..

ყარა-უსუფ. დიახ, მეფეო!!

სულეიმანი. მეჩითის დანგრევისათვის კიდევ ბევრი შეიპყარით?..

ყარა-უსუფ. ოცდა შვიდი კაცი ციხის გალავანზე ჩამოვახრჩე... ორმოცდა ათს თავი მოვკვეთე და ოცდა თექვსმეტი ეს არის ახლა შევიპყარით!.

სულეიმან. დილით მოედანზე ჩამოახრჩე და ხალხს ჩემი ბრძანება გადაეცი: სადაც მეჩითს ვაშენებდით, ყველამ თითო გათლილი ქვა მიზიდოს... შვიდი დღე ვადა მიეცი!!. ოთარ-ბეი წავიდა?

ყარა-უსუფ. ეს არის ახლა... დიდებულო მეფე!!.

სულეიმან. დედოფალსაც თან ვაყოლებ! თითქოს ვგრძნობ, რომ სადღაც ღალატი ბუდობს!. (ყარა-უსუფ შეინძრევა) ალ-რაზაყიც დედოფალს გაჰყვება!

ყარა უსუფ. ალ-რაზაყი თუმცა ერთგულია, მაგრამსულელია.. დედოფალი კი ბრძენია—უფალმა მისი დღენი განაგრძოს!

სულეიმან. რის თქმა გინდა?

ყარა-უსუფ. თან გავაყოლებდი ამათ კიდევ იმ ქალსა, რომელსაც სურს დიდებულ-მეფის სიყვარულის ღირსი გახდეს... ქვას ქვა გამოგაცნობინებს და ქალს—ქალი!!.

სულეიმან (უტქერის). წადი!.. შენი რჩევა მომწონს!!.

ყარა-უსუფ. შენი ჩრდილი მომეფინოს მე, დიდებულო ხელმწიფევ! (ფეხზე ჭკოტნის, გადის).

გამოსვლა მეშვიდე

ზეინაბს შემოჰყავს რუქია—ისახარ ჩონგურით.

ზეინაბ. მოდი, რუქია, ბედნიერება შენის თვალებით იხილე.

რუქია. მეშინიან!. საშიშარი და მკაცრია დიდი ხელმწიფე!..

ზეინაბ. გაინარცხე წინაშე მბრძანებლისა და ზღაპარი მოახსენე... (სულეიმანს) სხივი სინათლისა ამისკენ მოაპყარ... ნორჩი ყვავილი მით გადაფურჩნე! (კალთებისკენ მიდის. ისახარ ჩონგურს მიაწვდის და ი'ვე დაჯდება. სულეიმან ბირბადეს

ხსნის რუქიას და თმებს ბუსამაშუბს... რუქია კაფეთრებული ზის ფეხებთან... შეშინებული.. თვალებში ელვარება ეტყობა).

სულეიმან. შენ სადაური ხარ?

რუქია. არ ვიცი, ჩემო მეფევ! მახსოვს პატარა მიმიყვანეს ოდიშსში.... ზღვით მომიყვანეს.. და იქ, მთებში, ზღვის ახლოს ვიზრდებოდი...

სულეიმან. ზღაპრები ვინ დაგასწავლა?!

რუქია. გამდლებმა.. ყველაფერი მასწავლეს... ცეკვა, სიმღერა.. შენდა სასიამოდ, დიდებულო ხელმწიფევ, ყველაფერს შევიძლებ! თუ ინებებ—და გურიის ქალის სიყვარულზე გიამბობ..

სულეიმან. სთქვი!! (ზეინაბ დაიწყებს ჩონგურის დაკვრას).

რუქია. გურიის მეფეს ქალი ჰყვანდა, თეთრი ვით თოვლი, შავ-თმა, ლერწამ-ტანი, მისი სიტურფე ყველას ხიბლავდა! ვარდნი მის გზაზე იფურჩნებოდნენ, ბულბულნი მას უგალობდნენ... როს იგი ზღვაში ბანაობდა, ზღვის ტალღები ნექტარსა სუნთქმიდნენ... კაცის თვალს ის ვერ ეხილა, რადგან ასი სამთავიანი და ორასი ერთ-თვალიანი დევი დარაჯათ ჰყვანდა!.. მაგრამ ნიავთ ამის ამბავი ზღვის მეფეს ამცნეს... და უაღრესი სიყვარული შთაებერა მეფისა გულში!. აღიბორგა მეფე ზღვათა და ქარიშხალითა და სილა-ქვიშით დევებს თვალები დაუვსო... ჭექა-ქუხილით სატრფოსა კოშკს ერდო მოჰგლიჯა და გაანათა იგი ელვებით. და წარსდგა მის წინ ვნებით სავსე, აღტაცებული! მზეთ-უნახავს ტახტზედა სძინავს.. შავი ნაწნავნი მარმარილოს მზგავს სხეულს შემოხვევია და... (მოისმის ერთი, მხოლოდ ერთი ზარის ჩამორეკა . სულეიმან საშინელი მკტრის კამოხედვით წამოიწევა ცალ ხელზე დაბჯენილი და დაიუვირებს).

სულეიმან. ყარა-ლსუფ!!. (ყარა-უსუფ ტოტხალ-მკდარი შემორბის) ეგ რა არის?

ყარა-უსუფ. დიდებულო მეფევ... მხოლოდ ერთხელ დარეკა.. მხოლოდ ერთჯერ!. კათალიკოზმა მდევრები ყველგან მსწრაფლ გაჰგზავნა. უთუოდ ვინმე უვიცი არის! ხვალ იმათი აღდგომა არის!

სულეიმან (მშვიდად). ხვალ დილით კათალიკოზის თავი ვითა სააღდგომო კვერცხი შეღებილი მე მომართვან!—განაგრძე რუქია!!

ისახარ. (ჩუმად ზეინაბს) ეს მეოცე ასეთი აღდგომა არის!

ზეინაბ. ეს უკანასკვნელი ასეთი აღდგომა არის! (განაგრძობს დაკვრას).

რუქია. და მეფე ზღვისა ხელ-გაპყრობით მზეთ-უნახავს მიაშურებს... და...

ფარდა

მოქმედება მეორე

(ოთარ-ბეის ბაღი გორის სახლის, მტკვრის პირად. მარცხნივ სიღრმეში ერთი კუთხე კოშკისა მოსჩანს, კოშკიდან ბაღში თვრთოკიბე დაეშვება. რკინის კარები კიბეს ზევით—თვანჯრები რკინის ბადით. პირდაპირ მოსჩანს ტეიხი მთები—მარჯვნით ტალავარში შესასვლელთან დიდი კაკლის ხე, თეთრფოიანი. ხის ძირში თვრთო ტახტი ხალებით და მუთაქებით... სადამოს 6 საათია—ძალიან ნათელი, მზიანი.

გამოსვლა პირველი

ოთარ-ბეი (შეშფოთებული გამოდის და გაიყლის რამდენჯერმე სტენას, ბესო, ცუდლუტი სახე აქვს, ქუდი ახურავს) ეგ ქუდი რა ამბავია, შე ძალლის კერძო.—თავი მოგბეზრდა?!

ბესო (მოიხდის). სულ ამრიე, ჩემო ბატონო. როცა სპარხელი ხარ, ღმერთმა დამიფაროს ქუდის მოხდა, როცა ქართველი, ვაი ჩემი ბრალი, თუ დავიხურე!!

ოთარ-ბეი. მოიტა ღვინო. (ტახტზე დაჯდება) აგრიე?.. მე თვითონ ავირიე!! (ბესოს ვერცხლის კულა მოაქვს, ოთარი დიდხანს სვამს.—მერე გადასცემს ამოოხვრით).

ბესო (სიჩუმის შემდეგ). ამბობენ, კათალიკოზი ცისკრის დროს მოუკლავთ!..

ოთარ-ბეი. მოჰკლეს!.. სულეიმანმა ბრძანა ზარები არ დარეკონ... კათალიკოზმაც ყველას უბრძანა—საკუთარი კარის მღვდელს კი ვერ გაეგო და იმანაც ერთხელ ჩამოჰკრა... კათალიკოზი თვითონ ავარდა სამრეკლოზე და რეკა შეაჩერა...

ბესო. მაშ მარტო ერთხელ ჩამოჰკრა?

ოთარი (მოდუშული). ერთჯერ!

ბესო. და ამისთვის მოჰკლეს?

ოთარ (ვითომ და გაწრისხებული). მაშ რა გნებავდა?!.

ბესო (თავს დაჭრის). არაფერი, მაგრამ ერთს მოგახსენებ!—თუ კი კათალიკოზი სიკვდილს მოელოდა, ბარემ სიკვდილის წინ ყველა ზარები დაეჭექა...

ოთარ-ბეი (ვითომ და ძალიან ჯავრობს, უგულოთ ჭეშვირის). მე შენ გახურებულ შამფურზე წამოგაგებ და როგორც გოჭს ისე შეგწვავ! ტომარაში გამოგკერავ ძაღლთან, კატასთან ერთად და წყალში გადაგიშვებ!!.

ბესო. შე დალოცვილო, ჩემო დიდო ბატონო, ასე როგორ იქნება, ორში ერთი უნდა იყოს: ან ცეცხლში დამწვი, ან წყალში დამახრჩე!

ოთარ-ბეი (კაი ხანს უტქერის—ბერმე დაუუვირებს). ღვინო! (დიდ ხანს სვამს).

ბესო. ბატონო! ასე ამბობენ—შენს ბატონს გაუჭირდება ამდენი ოქრო-ვერცხლის მოგროვებაო... ხალხს არაფერი აქვსო, და ეკლესიებიც სულ გაძარცვულიაო...

ოთარ-ბეი. მერე სურამელ ურიებს ცოტა ოქრო-ვერცხლი აქვთ?

ბესო. სამი რჯულის ხალხისთვის საკმაო მაინც არ ექნებათ...

ოთარ. რას მიედებ-მოედები, ბრიყვო!

ბესო. კი არ მივედები—თითებზე დაგითვლი: სანამ გავთათრდებოდით, ჩვენ ვძარცვავდით! ეს ერთი! მერე თათრები ძარცვავდნენ! ეს ორი! ახლა კი სპარსელები.—ოქრო მართლა კიტრი ხომ არ არის, ყოველ გაზაფხულზე შემოვიდეს?!

ოთარი. რა დროს ხუმრობაა!.. მათრახი მოგინდა?!

ბესო. ოჰ და, ჩემი სულელის ჭკუით ასე ვფიქრობ: ვსთქვათ იმათ ვძარცვავდით იმიტომ, რომ ქრისტე გვიწვალეს, თუმც ქრისტეს ახლა ჩვენ უფრო ცუდათ ვეპყრობით, მაგრამ სპარსელებს რაღა უნდათ ალარ მესმის—ურიებს იმათი ხომ არავინ უწვალებიათ—ჯერ აწვალებინეთ და მერე, თუ უნდათ, გაძარცვონ!..

ოთარი. ვინ აწვალონ, შე ძაღლო!

ბესო. აი თუნდა სულეიმან-ხანი!!

ოთარ-ბეი (შეშინებული მივარდება). დაჩუმდი, შე ოჯახ ქორო!! (ხელს მიაფარებს პირზე). არა, მე შენ ჩამოგახრჩობ!!.

ბესო. ამას დაუმატე ექვსი ლამაზი ქალწული... ლამაზები წინათ-კი გვყვანდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე და შენ გავურჯულდით, ყიზილბაშებს დავუმეგობრდით და საქართველოს გურჯისტანს ვეძახით—მხოლოდ ერთი ქალწული ღა დაგვრჩა, ისიც ბრუციანი და ორი შვილის პატრონი!...

ოთარი. ბესო, ბესო, მე ვიცი შენ ავი საქმე მოგივა!!.

ბესო. ეჰ, კარგი რამ მჭირდეს, თორემ ავი რა საკვირველია. (შემოზრბის გაიანე სიცილით და ყვირილით. მდიდრულათ, სპარსულათ აცვია).

გამოსვლა მეოთხე.

გაიანე. ვერ დამიჭერ, მაიკო, ვერა (იცინის). მამა! (მივარდება და ჭკოტნის).

ოთარ. საიდან გაჩნდი! (ბესოს) დაიკარგე!.. (ბესო კადის)

გაიანე. მაიკო სწორედ გაგიჟდა... არ მომეშვა, პირ-ბადე ჩამოიფარეო, თითქოს თათრის ქალი ვიყო... კარებზე ვილაც გაბერილი მახინჯი მომიყენა და როდესაც ბაღში გამოსვლა დავაპირე—არ მიშვებდა—რაღაცას წვრილის ხმითა ბუტბუტებდა... ვერა გავიგე!—უთუოდ სპარსულად ლაქლაქებდა... ისე სასაცილოთ იღმიჭებოდა, კინაღამ სიცილით მოვკვდი!!

ოთარ (ვითომ სიმკაცრით). როგორ არა გრცხვენიან... ბავში ხომ აღარ ხარ!..

გაიანე. ნეტავი შენ გენახა, მამა, მაშინ შენც... (აჯავრებს საჭურისს) აბა-ლა-ბა-ლა ბა-ლა... მოდი და ნუ გაგეცინება... ქრისტეს მადლმა, ისეთი დაიღმიჭა... აბა-ლა-ბა-ლა-ბალა! სანამ მე ვიცინოდი—იმან კარები დაჰკეტა... ავყვირდი, გავჯავრდი... როგორ გამიბედა?! მე იმას ვაჩვენებ. ვინა ვგონივარ მე იმასა? (მკაცრად გამოიყურება, ოთარი თან მწუხარებით და თან აღტაცებით შესცქერის). ჰაიკოც მომიჯდა ფეხებთან და წუ-

წუნი დაიწყო! (ჯაჯგრეებს) ჩემო თვალის სინათლევ! შენ მალე დედოფალი შეიქნები—ამის შემდეგ პირ-ბადე უნდა იხმარო—მამა შენმა ასე ბრძანა... აღარ უნდა იხტუნო... სანადიროთ ველარ წაბრძანდები... შინ უნდა იჯდე... შენ უნდა... ვითმინე წუწუნი, ვითმინე და უცბად სარკმელზე ავხტი... გადმოვიხედე—მაღალია, მაგრამ იქვე ხე იდგა, მაიკომ დაყვირებაც ველარ მოასწრო, გადმოვხტი ხის ტოტებზე და როგორც სინდოფალა—ტოტიდან ტოტზე გადახტომით ძირს დავეშვი, მოვქუსლე და აქ შემოვიჭერ... ახლა გამაგებინე: მართლა შენ ბრძანე ჩამკეტონ და არსად გამიშვან?.. შენ?.. ტყუილია!.. და კიდევ... მაიკო რათ ამბობს, მალე დედოფალი შეიქმნებიო?... მართლა მალე?.... მართალია თუ არა, რომ აქ შენ მეფეზე უფროსი ხარ? რას დადუმებულხარ?... რატომ არას მეტყვი?!..

ოთარი. მართალია, შენ დედოფალი შეიქნები.... დიდებული, მთელი ქვეყნის მბრძანებელი!!.

გაიანე. ოჰ.. რა კარგია და!!.

ოთარი. მაგრამ მე უნდა დამიჯერო!... შენ ქალი ხარ და არა ვაჟი! უნდა ზოგიერთი შენი ზნე შესცვალო... ლეკი ხომ არა ხარ—აიღებ თავს და ცხენს გიჟივით აჭენებ.... ნადირობ. ესენი უნდა მიატოვო!!.

გაიანე. დედუფლობა მაშ რათ მინდა, თუ ნადირობაც არ შემეძლება?...

ოთარი. რა სულელი ხარ, გაიანე!.. რათ გინდა? (უცბად დაუწყებს ეგირიდს). მე მამა ვარ შენი თუ არა?.. ვინ გასწავლა შენ, რომ ჩემ ერთ სიტყვაზე პასუხათ ასი მომარტყა. მამა ვარ თუ არა? (გაიანე შიშით მოშორდება და გაშტერებული უცქერის. ოთარი თან-და-თან ხმას უმატებს). მაიკომ ჩემი ბრძანება გადმოგცა... რომ ოთახში უნდა იჯდე, პირ-ბადე დაიფარო და შენ კი სარკმელში... ეს რასა ჰგავს... ჩიტი ხომ არა ხარ, ხეებზე დაფრინავ!!.

გაიანე. ჩიტი არ ვარ, მაგრამ დაკეტილში არა მსურს ვიყო... და პირ-ბადე.... კი.... აი.... აი.. . შენი პირ-ბადე.... (გლეჯს).

ოთარი. (ადარ იცის რა ჭქნას, მუხლებზე ხელს ირტყამს) აი, შენ-აი შენ... როგორ ბედავ?!

გაიანე. მე ხომ მკვდარი არა ვარ! პირზე მიცვალებულებს აფარებენ!..

ოთარი. (ვითომ მკაცრობს, მაგრამ უნებლიე ადტაცებით უცქერის) ხელ-ფეხს შეგიკრავ და სარდაფში თაგვებთან ჩაგამწყვდევ!!

გაიანე. რათა?! ბარემ მომკალი და გაათავე! (შესცქერიან ერთმანერთს).

ოთარ (ტოტახნის სიჩუმის შემდეგ). ოჰ... ოჰ... კარგი... ნუღა ჯიუტობ... მოდი აქ.. გამიგონე...

გაიანე. (არ მიდის) სთქვი!

ოთარი. აი რა... შენ წელან მეკითხებოდი, მართლა მეფეზე უფროსი ხარო?.. უფროსი არა, მაგრამ ჩემზე მძლავრი და დიდებული თავადი კი არავინ არის... მერე რატომ? იმიტომ რომ მე ჭკვიანი ვიყავი... სულ იმას ვცდილობდი, კეთილ-განცხრომაში ვყოფილიყავ და... და... ხომ ხედავ... ახლაც განცხრომაში ვარ... გახსოვს პაპა შენი მუხრან ბატონი? სადგადაიხვეწა?.. იმერეთში! სხვისი სარჩენი გახდა! ორბელიანი, სუმბათი, გულბაათი სადღა არიან?.. უსახლკარონი დაეხეტებიან და მთებში ყაჩაღობენ!! სხები? ზოგს თავები დაჭკვეფეს, ზოგი სამსახურშია და ყოველ წამს შიშით ძიგძიგებენ... ვსთქვათ... მეც ხან და ხან... ეს შენი საქმე არ არის... მაგრამ... მე მაინც... თუ გავჯავრდი... შემიძლია ჩამოვახრჩო, დავხვრიტო ვინც კი მსურს!!. შენის ფიქრით, ამისთანა უფლება ცოტას ნიშნავს?! და ყოველი ეს ძალა იმიტომ მაქვს, რომ მეფეს და დედოფალს ვუყვარვარ... და დედოფალიც სხვებთან ხომ პირ-ბადით არ ის— რადგან სირცხვილია ქალმა სახე გამოაჩინოს!..

გაიანე. რატომ არის სირცხვილი? ქალები კაცებზე უფრო ლამაზები ვართ... და თქვენ რატომ არ გრცხვენიანთ? მერე ზოგიერთებს რა დამანჭული სახე გაქვსთ... ქრისტეს ვფიცავ!...

ოთარი. შენ სულ ქრისტე!!. ღმერთი ყველას ერთი გვყავს, მეც, შენცა და ყველას... ალლაჰ...

გაიანე. რაო?.. ალაჰ?... განა თათარი ვარ?!

ოთარ (იუვირებს). მაშ ბერი ხარ, რომ ამისთანა საგნებზე სჯი... როგორც მე გიბრძანებ, ისე უნდა ილოცო!!

გაიანე. არა, მამაჩემო, ეგ არ შეიძლება! ღმერთი ყველაზე დიდია—მამაზედაც!.. აი, თუნდა მაიკოს ჰკითხე!.. შენ ძალიან მიყვარხარ... შენ მაჩუქე ცხენიც, მონადირე ძაღლებიც... ეს... კაბაც... ეს სამკაულიც—ყველაფერი—მაგრამ მაიკომ შენზე უკეთ იცის ღმერთის ამბავი!!

ოთარ (ყვარის). როგორ თუ უკეთ! ჩემზე უკეთ ვინ იცის!!

გაიანე (ჯიუტობით). მაიკომ! ყოველთვის ასე მეუბნება: მამაკაცთა საქმე—ომი არისო—აი.. მამაშენი დიდი მამაცი სარდალი არისო... იმათ სალოცავად დროც არა რჩებათო... და ჩვენ, ქალები, იმათ მაგიერათაც და ჩვენთვისაც ვლოცულობთო!! კიდევ, საბა სალოსი... ის წმიდა კაცია... თუმცა მონადირეა და ძაღლიცა ჰყავს.. სულ უბრალო ძაღლი,—მაგრამ ელვასავით მარდი!..

ოთარი. საბაო? ეს კიდევ ვინლა არის? საიდან გაიცანი? სად გინახავს:

გაიანე. ის სულ დადის... საკუთარი ეკლესიაც ჰქონია, ღმერთმანი... სპარსელებს დაუწვავთ... და ახლა დადის... სადაც ქრისტე ღმერთი თვალს მოავლებს, საყდარიც იქ არისო, მაგრამ ჩვენ ვერა ვხედავთო, რადგან ცოდვილნი ვართო!.. ახლა დრო დადგაო, რომ ღმერთს ვეეედროთ, ხშირად საქართველოს გადმოხედოსო... თორემ ჩვენებმა ღმერთი დაივიწყეს, ზოგმა შიშის გამო, ზოგმა ფულათ გაყიდეს სამშობლოო... მერე შენ როგორ აძლევ ამის ნებას?.. საბა სადაც კი გაჩნდება... ამოიღებს წიგნს და ლოცულობს... ძალიან მამაცია... ტყეში გზა დამებნა... ვნახოთ—უშველებელი ტახი გამოჰქანდა... ცხენი დაფრთხა—ყალყზე ადგა და ძირს გადმომაბრძანა... ვიფიქრე, დავიღუპე მეთქი... საიდანაც იყო გაჩნდა საბა—გაიელვა ხანჯალმა და ტახი გაგორდა... პირდაპირ გული გაუპო!!. შენი კი ეშინია.. თუმცა მე კი ვუთხარი, რომ შენ ბევრი ყვირილი გიყვარს, მაგრამ გული კეთილი გაქვს!!.

ოთარი. დაჩუმდი!!. (დედის დარტყვენილსაკით) გამიგონე, გაიანე, ნადირობას და ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს, ხვალ-ზევით თბილისს მიმყევხარ... და თუ მეფე-დედოფალს მოეწონე.. გაგაგზავნიან შაინ-შაჰეთან. მაშინ ირანის და საქართველოს დედოფალი შეიქნები და შენი მამის მბრძანებელიც!!

გაიანე. ირანის დედოფალი?... შაჰინ-შაჰს ცოლი? სად არის ირანი? ვინ არის შაჰინშა! არ მინდა!.. არ მინდა!..

ოთარი (სიჩქარით). ოქროს სასახლეში იცხოვრებ, ხავერდსა და აბრეშუმებში გახვეული იქნები, ასი დიაცი—მონა ნიადაგ ფეხ-ქვეშ გაგებული გეყოლება და ყოველს შენს ბრძანებას აგისრულებენ! შენს ბაღში მარგალიტის შადრევანები იქნება... ჩემო სულო, ჩემო თეთრო ვარდო!.

მაიკო. (კულისებში). გაიანე, გენაცვალე... სად ხარ, გაიანე?..

გაიანე. ვაიმე, მაიკო! ნუ ეტყვი თუ მნახე! (კაიქცევა).

ოთარი. დაიცა!.. ჩემ წინ ყველა ძრწის, მარტო ამას არ ეშინია... ოჰ.. სჯობდა, რომ მე... (შემორბის მაიკო)

გამოსვლა მესამე

მაიკო. გაიანე, გაიანე! უი! დიდი ბატონი!

ოთარი (განგებ ჭეშვრის). მაშ ეგრე უვლი? როგორ გაბედე? როგორ გამოგექცა?!

მაიკო. უი! შე დალოცვილო, ფრთები ხომ არა მაქვს დავეწიო!.. სად არის ჩემი მტრედი?.. სად? ჩემი გუგული გალიაში ალარ გაჩერდა... ჩემი მაისის ვარდი...

ოთარ. აი აქეთ გაიქცა, დაედევნე.—და თუ ერთხელ კიდე... მე შენ...

მაიკო. ჩემო ზურმუხტო სადა ხარ? შენ შემოგევლე!. გაიანე!.. გაიანე!.. (მიდის. კიდევ კი ხანს ისმის ძახილი)

ოთარი. არა! არა! უნდა გავათავო! ბესო!

გამოსვლა მეოთხე

ოთარი. სურამიდან არ დაბრუნებულან?

ბესო. ჩაფარი მოიჭრა საპალნეები მოაქვთ.... განსაცვიფრებელია! ტყუილად არ არის ნათქვამი—მაგრათ თუ მოუჭერ,

ქვაც ღვინოს გამოხეთქსო.. ანანურიდან .. სამი ცხენი მოიყვანეს მერე რა ცხენები? მიკვირს სად გამოუჩხრეკიათ... ქალები კი არ მოუყვანიათ... მე მოგახსენე, ქალები გადაშენდნენ!

ოთარი. სულ ერთია... ჩქარა ურმები, ხალიჩები გადააფარებინეთ. ამალა და ბიჭები .. განთიადისას თბილისისაკენ... ცხენები მართლა კარგებია?

ბესო. ძვირფასი!..

ოთარ. ჩაფრებმა მოიყვანეს?

ბესო. არა! ვილაც მოხუცმა თავის შვილებითა და სამი ბიჭიც თან ახლავს... მოხუცი გთხოვს ინახულო, და ცხენები-კი, როცა დაისვენებენ, მერე დახედეო! სამი ბიჭი თავლაში ცხენებს მიუყენა; მოხუცი და ორი ახალგაზდა კი შენს ბრძანებას ელიან!

ოთარ. აქ მომგვარე!.. (ბესო გადის. ოთარი მარტოკა. ხმრავს) ოხ-ოხ-ოხ!..

გამოსვლა მეხუთე

(გამოდიან ბესო, ანანია, ირაკლი და დათო. ანანია ელამია, მოკლე თეთრი წვერი, დიდი ულვაშები. ერეკლე სულ უმაწვილი კაცი, ქერა... დათო შავ-წვერ-ულვაშა. ანანია ქუდს მოიხდის და თავს უკრავს).

ანანია. გამარჯობა დიდ ბატონს!

ბესო. ქუდი დაიხურე, შე გამოტვინებულო! არა, ჭკუას რომ ვერ ისწავლიან! (მიდის.. დათო თვალს გაუფლებს).

ანანია (მიაძახებს). ჩემი ძველი ბატონი ყოფილიყო, თუ ქუდით იქნებოდი, მაშინ ნახავდი, რა დღე დაგადგებოდა...

ოთარ. საიდან?!

ანანია. ანანურიდან, ჩემო ხელმწიფე! ანანია გლახა, ჩვენი სოფლის მამასახლისი... შენი ბრძანება მივიღეთ; სამი ცხენი და სამი ქალწული-მოგვეგვარა! ცხენები მოგგვარე და ქალ-წული კი ალარსად გახლავს, შარშან ყველა წაიყვანეს და ვინც დარჩა, ისინიც შენმა ჩაფრებმა ირგუნეს...

ოთარ (მკაცრად). რაებს ამბობ, შენ გესმის?!

ანანია. გამოიკითხე და მერე გაჯავრდი!! შვილების დაქორწილება მინდოდა და ქალები კი აღარსად არის... აი, მოგიყვანე —იმსახურე.. მეც მამაშენს ვახლდი... შენთვის კი ესენი გავზარდე..,

ოთარ (სიამოვნებით გადახედავს). შენი სახელი, შენ უფროსი ხარ?..

დათო. (ქუდს იხდის) დათო, ჩემო ბატონო!..

ოთარ. შენ?.. მოიცა... ესეც შენი შვილია?.

ანანია (ცალის თვალით მიაჩერდება). ჩემი, დიდო ბატონო!..

ოთარი. ეს შეუძლებელია!!

ანანია. ჰკითხე ჩემ დედაკაცს... იქნება შენ გამოგიტყდეს და მე კი მარწმუნებს, შენი არისო!

ოთარ. შენი სახელი, ბიჭო!.

ირაკლი. ირაკლი, დიდო ბატონო!

ოთარ. რამდენი წლისა ხარ?

ირაკლი. ოცდა ორისა..

ოთარ. შენ ქრისტიანი ხარ, მოხუცო!!

ანანია. მამა შენთან ერთად მომნათლეს!!

ოთარ. ანანურელებს კარგად გიცნობთ... უჩუმრად იქ მღვდლებიცა გყავთ!.. ბიჭებიც ქრისტიანები არიან?

ირაკლი და დათო. ნამდვილია, შენი ჭირიმე.

ოთარ. რა რჯულის ბატონია, იმ რჯულისა მონანი უნდა იყვნენ... შენისთანები—მოხუცო, მამადს რალათ უნდა და ამათ კი დღესვე უნდა შიიღონ მაჰმადიანობა!.

ირაკლი. არა, ბატონო!

დათო. რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე—რჯულს როგორ გამოვიცვლით?

ოთარ. რაო? მე თქვენ.

ირაკლი და დათო. რაც გენებოს, ჩვენ არ შეგვიძლია!

ანანია. ჩუმად! წინააღმდეგობას როგორ ბედავთ! ბატონმა უკეთ არ იცის, რომელი რჯული სჯობია?.. თუ თვით უარ-ჰყო მამა-პაპათა და სამშობლოს რწმენა—მაშ სინიდისს ასე უმხილებია.. (ხელს იტემს გულზე) სინიდისი?.. გესმისთ თუ არა,

თქვენ, ბრიყვებო, სინიდისი რა არის?.. თუ ინებებ, დიდო ბატონო, მეც მაჰმადიანობას მივიღებ! დღესვე! მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს... განსვენებულ მამა თქვენს რომ შევხვდები საიქიოს — მომიბრუნდება, თვალში მომაფურთხებს და მეტყვის: ვსწუხვარ, ანანია, რომ ცალი თვალი სპარსელებმა დაგიქრეს —თორემ იმაშიაც მოგაფურთხებდიო!.. აი რას მეტყვის მამა შენი!.. როგორ არა გრცხვენიაო... მე აქ ჯოჯოხეთში ვარო და შენ კი სამოთხეში ყიზილბაშებთან ქეიფობო! მამა-შენმა რომ ეგრე მითხრას—რათ მინდა მაშინ სამოთხე, რადგან განსვენებული მამაშენი...

ოთარ. რას ჩააცივდი მამა-ჩემს!.. მოშორდი!..

ანანია. მთელს მის სიცოცხლეში არ მოვშორებივარ!.. შენი ჭირიმე... როგორ მოვშორდებოდი!. იმის დროს თათრობა იყო და სადაც კი მოვასწრებდით, ღორებივით ვკლავდით... მამა-შენმა დააგდო სახლ-კარი, ბაღები, ქეიფი, განცრომა და ჩვენთან ერთად მთებში—სიცივეში, მშიერ-მწყურვალე ეგდო. რჯულს კი არ უღალატა, არამედ როგორც კი თათრები რომელსამე სოფელს მიესეოდნენ—ისიც როგორც არწივი მოევლებოდა თავს, იხსნიდა სოფელს, ანთავისუფლებდა ტყვეებს, ხოცდა თათრებს...

ოთარ. რატომ არ მახსოვხარ?

ანანია. შენა... შენი ჭირიმე, სხვა საქმეებიც ბევრი გაქვს. მეც მოვხუცდი.... საიდან-ღა მიცნობ, თუმცა.—სულეიმანმა რომ დაგვამარცხა... გვერდით გიდექი...

ოთარი. მოიცა... მოიცა...

ანანია (აწყვეტინებს). როდესაც შენ ჩვენკენ იყავ და ამ ურჯულო ჩვენს ბატონებს ეომებოდი... მეც შენთან ვიყავ... როდესაც იმერეთს გადადი... და სულეიმანი შენი მეუღლის ციხე-დარბაზს მიესია, მეც იქ ვიყავი... და როდესაც შენი მეუღლე სულეიმანმა აწამა და მერე ნაჭერ-ნაჭერ დაჭკეპა...

ოთარი (ყვირის). კმარა, კმარა! . ყბედი, ყბედი ხარ მოხუცო!..

ანანია. მოვხუცდი, სიკვდილი არ მეწია, საქმესაც ველარას ვაკეთებ და ამიტომ ყბედათ გადავიქეცი... თქვენ კი, ბრი-

ყველა, ბატონს დაუჯერეთ. ამან ორჯელ შესცვალა რჯული და უკეთ იცის რომელი სჯობიან!!

ოთარი. ჩუმად! ხვალ ვნახავთ!.. ჩემ სამსახურში გნიშნავთ.. ვნახოთ, თუ მამაცნი ხართ!...

დათო. მამაცი ვარ თუ არა, ჩემო ბატონო, ამ ცხენებს კი ვერ ნახავდი—და შენ ჩაფრებს კიდევ ოცი მომატებოდა—სეირს ვაჩვენებდი—მაგრამ მამაჩემმა მიბრძანა და მეც... (ანანიას შეხედავს. დათო კიდევ გამოიცვლის) და ჩვენც.... ერთგულათ გემსახურებით...

ოთარ. ვნახოთ, ვნახოთ... მეც მეყვარებით, თუ. .

ირაკლი. ოლონდ, ბატონო... (მორცხვათ).

ოთარ (ამის ხმაზე შეკრიბა). რა არის?!. (განზე) ნამდვილ თეიმურაზს მაგონებს!.. რა გინდა, ირაკლი?..

ირაკლი (ნაზი ხმით). ჩვენების ასაკლებათ ნუ გაგვგზავნით...

ანანია. დაჩუმდი, ნაძირალა!.. რა ვუყო, შენი ჭირიმე ამ სულელებისთვის ათასჯერ მითქვამს.. ისწავლეთ ჩვენი დიდი ბატონისაგან ცხოვრება როგორ უნდა... იმან მეთქი სულეიმანის და შაჰინ-შაჰს სასიამოთ თვისი ბიძა ნიკოლოზი მოჰკლა, ორი ბიძაშვილი სატუსაღოში ჩაალპო, სიმამრი იმერეთში გადაჰკარგა...

ოთარ (დარცხვენილი და განრისხებული). დაჩუმდი!

ანანია. ეგ რა არის მეთქი!.. იმისი სახელით ბავშვებს აშინებენ... ყველა გაურბის, ყველაფერი თრთის იმის წინაშე მეთქი—და სულეიმან-ხანსაც ამისთვის უყვარს... და ბატონობაც ამისთვის ხელთ აქვს... სხვები? სხვა თავადნი სადღა არიან?... ზოგი ტყეში, ზოგი მთებში—მშიერ-წყურვალნი, უსახლ-კარონი დარჩენილან... რატომ მერე?.. იმიტომ რომ ჩვენ დიდებულ ბატონს დიდებული ჭკუა აქვს მეთქი... ჭკუა, ჭკუა ასწავლე ამ ლაწირაკებს, ჩემო დიდო ხელმწიფევ, ჩვენ ყველა შენი მონანი ვართ!!.

ოთარი (ოითქოს სიდუბ ნაკრავი ყვირის). შენი მელური მლიქვნელობით ვერ მომატყუილებ! მოიყვანე ცხენები და თუ რომელიმე არ მომეწონა, შენის დაჩრჩილულ ტყავისაგან ასალს შევკერავ... (გადის ჩქარა).

გამოსვლა მეექვსე.

ანანია (ჩქარა). აბა, შვილებო, მიიხედ-მოიხედეთ.... ყველაფერი დაათვალიერეთ, დათო, შენ აქეთ... ირაკლი, კოშკს შემოუარე .. ფრთხილად... არავინ შეგნიშნოსთ... (გადის).

გამოსვლა მეშვიდე

ირაკლი. დათო, გული როგორღაც მიცემს—თითქოს რაღაც უნდა მოხდეს...

დათო. აი, ჩემი ხელი და ხმალი... რის გეშინია... ვისაც გული ერჩის, მობრძანდეს!!.

ირაკლი. კი არ მეშინია, მაგრამ წუხელის სიზმარი ვნახე, ვითომ წმიდა გიორგიმ მახვილით გული გამიპო!..

დათო. რაებს ბოდავ! წმიდა გიორგის რა შენთვის ცხელა! კოშკი შემოიარე ჩქარა... სიზმრები კი დედაკაცებს უთხარი—მე რა ვიცი იმათი გამოცნობა!.. წადი, წადი!..

ირაკლი. შენც მალე დაბრუნდი (გადის. დათო მეორე მხრით მიდის—გაიანეს შეხვდება)!..

გამოსვლა მერვე

გაიანე (უცქერის დათოს). ვინა ხარ? (დათო გაშტერებით და ვნებიანის თვალებით უცქერის!) მუნჯი ხარ?

დათო. ოთარ-ბეის მხედარი... შენ ვინა ხარ, გოგონა?

გაიანე. მე იმისი ქალი ვარ! შენი სახელი?

დათო. დათო! შენი?

გაიანე. გაიანე!.. (სიჩუმე... ერთმანეთს უცქერიან). რა გინდა აქა!.. მამას ჯარი გორშია!..

დათო. მამაშენს ცხენები მოვგვარე შაჰინ-შაჰსათვის... ..

გაიანე. შაჰინ-შაჰსათვის.—ვინ არის შაჰინ შაჰ?

დათო. მე რა ვიცი!

გაიანე. არავინ იცის?!.. მეფეა?..

დათო (უცქერის). არ ვიცი!

გაიანე. არც ირანი იცი სად არის?

დათო. არა!.. ვიცი მხოლოდ, სპარსელები იქიდან შემოგვესია—დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა. და მამაშენი სულეიმან მეფეს ემსახურება....

გაიანე. სულეიმან მეფეც სპარსელია? ირანიდან?....

დათო. აგრე უნდა იყოს; იქ ჰგზავნიან ვერცხლს, ოქროს, ცხენებს, ქალებს! ჩვენ გვართმევენ და იქ აგზავნიან!...

გაიანე. ვინ გართმევსთ?

დათო. მამა შენი!..

გაიანე. ტყუილია!

დათო. მართალი! გამდელი ხომ არა ვარ, ტყუილები და ზღაპრები ვილაპარაკო!

გაიანე. შენ საიდან ხარ?..

დათო. ანანურიდან!.

გაიანე. სად არის ანანური?..

დათო. იქ, მთებში!..

გაიანე. მონადირე ხარ?

დათო. თერტმეტი ავაზა მომიკლავს!

გაიანე (აღტაცებით). ოოოჰ!.. იმათზე ნადირობა მასწავლე?

დათო. შენ ქალი ხარ... ვერ დასძლევ!..

გაიანე. განა ძლიერია?

დათო. ხბოს იტაცებს!.. როგორ ელვარებენ შენი თვალები?!. თუ მიბრძანებ, შენი გულისათვის ორ ვეფხვს ერთად შევებმი... ჩემი უკანასკნელი სისხლის წვეთამდის მამა შენს ვემსახურები, ოღონდ შენ კიდევ გიხილო!

გაიანე (მოწყენილი). მე მალე მივდივარ! მამას მივყევარ ჯერ დედოფალთან და მერე...

დათო (გაფითრდება). მიჰყევხარ?

გაიანე. ირანში... მამას სურს დედოფალი გავხდე, ამისთვის ნადირობა უნდა დავიწყო, პირ-ბადე მოვიბურო და მაშინ შაჰინ-შაჰს ცოლი შევიქნები...

დათო. როგორ? შენცა?.. სპარსეთში?.. და მამა შენი?.. მამა შენი?.. იცი, შე საბრალო ბაგისთანა დედოფლობას ჩემი მძვინვარი მტრის ქალსაც არ ვუსურვებდი.

გაიანე. რაო? რას ამბობ?..

დათო. გაიანე! გაიანე... იქ იმისთვის მიჰყავთ, რომ მოგათ გახადონ და არა დედოფლათ.. დედას მკერდიდან გლეჯენ ქალსა—ქმარსა ცოლს სტაცებენ, დანიშნულს საცოლოს აშორებენ... გატყვილებენ, გაიანე... გყიდიან როგორც გაჰყიდეს საქართველო—გაჰყიდეს ქრისტე!..

გაიანე (თავ-ზარ დაცემული). ვინ? ვინა?

დათო. მამაშენი!!.

გაიანე... (რისხვით). საქართველო? ქრისტე?.. მამაჩემი?.. გაჰყიდა მამაჩემმა?..

დათო. მთელი ქვეყანა ამას ამბობს! ჰკითხე—საბას... იმან ყველაფერი იცის... მამაშენმა ხალხს შიშის ზარი დასცა.... მაინც კმარა, რომ ერთი სიტყვა მოგვძახოს და როგორც კედელი გარს შემოვერტყმით... ჩვენში ბევრია კიდევ ახალგაზდანი და ძლიერნიც... ყველანი შენსავით არ გავუსყიდნივართ სპარსეთში, ჩემო მზევ, ანგელოზო, ჩემის სულის სინათლევ!!

გაიანე (დაკარგული). მე... მე...

დათო (უფრო და უფრო ვნებით). კმარა ლაჩრობა, კმარა ყოყმანი.... თუ აქამდის ხმას არ ვიღებდი.... ახლა ვიყვირებ!.. უნდა გიხსნა, რადგან ამ წამიდან შენში ვხედავ სამშობლოს, ღმერთს, თავისუფლებას... თუ წაგიყვანეს.... როგორც ვეფხვი. შენს ქარავანს დავესხმი.—იმ საქართველოს მტარვალის მთელი სპა გარს გეხვიოს, მე მაინც იმათ ხელიდან შენს თავს გამოვგლეჯ!.. ჩემისთანა ბევრნი არიან! ბელადს ეძებენ! მე გავხდები ბელადი!.. და როგორც პატარა ყინულის ნაჭერი მთის წვერზე რომ მოსკდება და დაექანება—საშიშარ ლენქერად რომ გადიქცევა და რაც კი რამ გადეხირება, კლდე, სახლი ანუ სოფელი—ყოველივეს მოსპობს, გალეკავს.... ისე ჩვენც შენდა საშველათ მტრის ჯარს გავანადგურებთ.... ჩემო განთიადის ვარსკლავო!! (აკოცებს. ისმის ხმა: გაიანე!).

გაიანე. გასწი ჩქარა!

დათო. იმედათ იყავ! დათო მოჰკვდეს, თუ ვერ გიხსნას!! (გაიქცევა).

გამოსვლა მეცხრე

მაიკო. აი... სადა ყოფილხარ?.. ვაიმე... მე შენ მომკლავ. რამდენი ხანია დავრბივარ, ვყვირი... სულთქმას ველარ ვახერხებ... (დაეცემა ტახტზე).

კაიანე (დაფიქრებული იყო... უცებ). მითხარი... მამა ქრისტიანია?

მაიკო (სულ დაიბნევა). მერე... რათ... გინდა?.. რა შენი საქმეა, ჩემო ნარგიზო!..

კაიანე (ხელს დაუჭერს). მიპასუხე!

მაიკო (შეშინებული). წინათ ქრისტიანი იყო!

კაიანე. ახლა?..

მაიკო. არა!

კაიანე. მართალია მაშ? ყველაფერი მართალი და დედა ჩემი მოკლულია?.. ვინ მოჰკლა?..

მაიკო. დაჩუმდი, შვილო, დაჩუმდი... იწამე ღმერთი!

კაიანე (მრისხანეთ). ვინ?..

მაიკო (ძალიან ჩუმათ). სულეიმან მეფემ...

კაიანე. და მამა ჩემი იმის სამსახურშია?..

მაიკო. რას ამბობ, გენაცვალე... ჩვენ ყველა მონები ვართ!..

კაიანე. ჩვენ მონები—მამა კი მოსამსახურე?!.

მაიკო. დაჩუმდი... დაჩუმდი!..

კაიანე. დაიცა... კიდევ... რატომ მამასთან არა ვცხოვრობდი?..

მაიკო. არ ვიცი... არა ვიცი რომ.... შენ მე დამღუპავ!

კაიანე. სთქვი...

მაიკო. თავის ჰარამხანაში ხომ არ გაცხოვრებდა...

კაიანე. სადა?..

მაიკო. არამხანაში... იმას ბევრი ცოლი და შვილები ჰყავს... როგორც მამადის სჯულის წესი არის!

კაიანე. ჩემ გარდა სხვა შვილებიც ჰყავს?!.

მაიკო. ბევრი, მაგრამ შენ უყვარხარ და ისინი კი არა...

გაიანე. ისინი სად არიან!

მაიკო. ძალიან შორს!

გაიანე. იქ მეფე ვინ არის?

მაიკო. შაჰინ-შაჰ!.. მეფეთ-მეფეა!

გაიანე. იმასაც ბევრი ცოლი ჰყავს?

მაიკო. რაც ქვეყანაზე ლამაზი ქალია, იქ ჰგზავნიან....

გაიანე (თავში ხელს იტაცებს... დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ). წავიდეთ!..

მაიკო. (მიმავალ!) არა სთქვა რა... თუ მე გითხარი. (ოთარ-ბეი და ანანია შემოდიან).

გამოსვლა მეათე

ოთარ (კმაყოფილია). ძალიან კარგი, ძალიან ცხენებია, გადაეცი სოფელს, რომ ანანურის ციხის აგების მუშაობისაგან განმითავისუფლებია.

ანანია. დიდი წყალობაა, ჩემო ხელმწიფევ! თუმცა ტყუილად ნებულობ მაგასა.. ჩვენები გულიანათ მუშაობენ... ასე ამბობენ: ციხეს სპარსელები თან ხომ ვერ წაიღებენო, ჩვენ დაგვრჩებაო!

ოთარ-ბეი (უცებ მობრუნდება და მიაჩერდება). გამიგონე, გლახა!.. ამდენი გაბედულება სად მოგიკრეფია? შენა გგონია, ვერ მივხვდი წელან რომ მამიჩემის ხსენებითა დამცინოდი?... იცოდე!.. მე ხუმრობა ჩემი ხუმარა ბესოსი მიყვარს და სხვა მასხრებს კი სახეს სიცილისაგან კი არა, ცეცხლითა და გამათრახებით დავამანჭვინებ!.. სიმამაცე მე მისი მომწონს, ვინც ჩემ მტერს დაამხობს, ჩემთან მამაცობა კი არავის გამოადგება!

ანანია (რიხიანად). მერე რაღას უყურებ! შენ ხელთ არა ვარ... უბრძანე მომკლან... სიკვდილს არც აქამდი შეუშინებივარ, არც ამის შემდეგ შევუშინდები...

ოთარ (წაავლებს მხრებში ხელს). ბებერო, შენს წადილს მივხვდი... შვილები იმისთვის მოიყვანე, რომ ფარულად, ქურდულათ მომკლან!

ანანია. არ გეკადრება.... ქურდულათ მოკვლა სპარსელებმა იციან....—ღმერთმა ჩემი შვილებისთანა ქეშიკები

კიდევ სხვა მოგცეს! და როდესაც სპარსელებმა ჩვეულები სამებრ გიღალატონ, ირაკლი და დათო მათ მიუსიე და ნახავ, თავიანთი სიცოცხლე შენდა საშველად რა ფასად გაჰყიდონ!!.

ოთარი. გამიგონე მოხუცო, ჩემგან უვნებელი წადი... ძხოლოდ მაგისთანა სიტყვებს თავი ანებე.. სიტყვების დრო არ არის, ჩვენი ქვეყანა განადგურებულია!.. ლოთობით, სიმღერის ღრიალით და ხტუნვა-ცეკვით სამშობლოს აღდგენა განა ხალხს შეუძლია?.. ასე გაფუჭებული, დაძაბუნებული ხალხი სალ-კლდესავით მაგარ სულეიმანს როგორ შევებრძვით.... შენ ბოდვას თავი დაანებე, მოხუცო, და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ნუ-ღა იმწარებ?!!

ანანია. სამართლიანად არა სწამს ხალხს, ვითომ შენ ბოროტი იყო, ჩემო დიდო ბატონო!.. მაშ მიგითითებ ხსევ ამ ხალხზე, იმის ტანჯვაზე აგიხსნი ქვეყნის ვარამს და იქნება შენს გულის სიღრმეში მიმალული სიბრალული გავაძლიერო!!

ოთარ. კმარა!... სიბრალული დიდი ხანია ყველასათვის მოვსპე, უკანასკნელს შენ გიბრალებ!.. (ბესო შემორბის შეშინებული).

გამოსვლა მეთერთმეტე

ბესო. ბატონო, ბატონო, დედოფალი თავის ამალით მოგბრძანდა ..

ოთარ. ხომ არ გაგიჟდი?! (დათო და ირაკლი შემოვლენ).

ბესო. აი ბატონო, მოგბრძანდნენ! (დაეცემა მუხლებზე. შემოვლენ ზეანაბ, რუქაა, ალ-რაზაეი. რამდენიმე მონა-ქალნი და ჯარის-კაცები ჩალმებათა და ხმალ-ამოდებულნი).

ზეანაბ. კარგი გუშაგები კი გყოლია, ოთარ-ბეი!.. არავინ შეგატყობინა ჩემი მოსვლა? მაგრამ როდესაც მოღალატესთან მიდიხარ... უნდა უცბად თავზე დაესხა! გზაზე ყველა შენი კაცები დავიჭირე... რატომ შენ ჯართან არ ხარ?.. რაგინდა აქა?.. ამ განცალკევებულ კოშკში?.... არამხანა როგორ დააგდე?!.

ᲝᲗᲐᲠ-ᲑᲔᲘ (დაჩოქილი იყო და ახლა წამოდგება). მოწყალე დედოფალო! მეფის ბრძანებით აქ ნობათებს ვაგროვებ!.. ხვალ განთიადისას ჩემის ქალით თბილისში წასვლას ვაპირებდი!..

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ. გზაში დავიღალე... ამაღამ აქ ვრჩები!

ᲝᲗᲐᲠ-ᲑᲔᲘ. ბედნიერებას ეწევი, დიდებულო მეფევ, შენის აქ ყოფნით. ეი!... მხლებელნო... სანადიმოთ შეემზადენით... საქართველოს მთვარეს თავის მონის ქვეშ სურს დასვენება!!. (უნდა წავიდეს).

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ. დაიცა!.. ხადიმი და ლხინი არა მსურს.... ალრაზაყ, კარებზე დარაჯები მიაყენე!.. (ანიშნებს კოშკის კუთხეს) მე იქ მოვისვენებ... (ალ-რაზაყი გადის. ზეინაბ შეხედავს ანანიას და გულზე ხელს იტაცებს).

ᲠᲣᲥᲘᲐ. რა გემართება, დედოფალო?..

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ. არაფერი, ჩემო კარგო.. დავიღალე... (ᲝᲗᲐᲠ-ᲑᲔᲘᲡ) ვინ არის ეს კაცი?..

ᲝᲗᲐᲠ-ᲑᲔᲘ. ანანურიდან გახლავს, დედოფალო, სამი ცხენი მომგვარა...

ᲐᲜᲐᲜᲘᲐ. დიდებულო მეფევ, ცხენები საუცხოონი არიან, მაგრამ ერთი მათგანი მაინც უძვირფასესია!!

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ. მარდი, ძლიერი და საომრად გამოდგება?!

ᲐᲜᲐᲜᲘᲐ. პირველ ნახვაზე შეატყობ, რომ ჩვიდმეტი მეფის საჯინიბოს მოდგმისაა, იმის ძარღვებში წმიდა სისხლი ჩქეფს და ტრიალებს!!!

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ. მაშ ძალიან მოგწონს?!

ᲐᲜᲐᲜᲘᲐ. მე თითონ ვუვლიდი და შვილზე უფრო მიყვარს!..

ᲝᲗᲐᲠ-ᲑᲔᲘ. ნამდვილი არაბისტანელი ცხენია, დედოფალო შაინჰშას ეამება!

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ. სიამოვნებას იგრძნობს შაჰინშა!!

ᲐᲜᲐᲜᲘᲐ. ეგ არ ვიცი, მაგრამ ნამდვილია, რომ არც არაბისა, არც სპარსელის წვეთი სისხლი იმას არა აქვს... ჩვენია იგი—ჩვენი სისხლისა... (შკილებს ხელს დაუქნევს) აი.. ჩემი შვილები უკეთ იცნობენ!.. (რუქია ირაკლის დაინახავს და განგებ ერთის წამით ᲗᲘᲠ-ᲑᲐᲓᲔᲡ ჩამოუშვებს, ირაკლი აღტაცებით შესტქერის—ზეინაბ აღელვებული ორთის და თვალს არ აშორებს ირაკლის)

ანანია. ერთმა ამათგანმა ცხენი გახედნა!..

ზეინაბ (მიერუებულის ხმით). რომელმა?..

ანანია. რომელსაც შენ უცქერი?!.

(ზეინაბს გული უწუხდება და რუქიასა და ოთარის ხელებზე დაეშვება).

მოქმედება მესამე

იგივე დეკორაცია. დამე. მოვარე. შემოდის ირაკლი. დათო ჩუმათ მოეპარება. უკვდა სტენები აშფოთებულის დაბალის ხმითა).

დათო. (მხრებზე ხელს დაადებს) აქ რას აკეთებ?

ირაკლი. (მოიხედავს) შენა ხარ, დათო!

დათო. ვის ელოდები აქა?

ირაკლი. მომშორდი! შენი საქმე არ არის!

დათო. მითხარი, ვის ელი?

ირაკლი. (გულიანად). გეუბნები, შენი საქმე არ არის!

დათო. ირაკლი, წინათ არას მიმალავდი?!.

ირაკლი. ქალს ველი!

დათო (უცებ). გაიანეს?

ირაკლი. სახელი არ ვიცი. წადი!

დათო. შენ, ეი, გამიგონე! შენ წადი! მე პირველად შევხვდი, ვაკოცე კიდეც, სიკვდილამდის არავის დავუთმობ!..

ირაკლი (გულიანად). ცრუობ! როდის შეგეძლო იმისი კოცნა, როდესაც დედოფალს არ მოშორებია... დედოფალს რომ გული შეუწუხდა და მკვდარსავით დაეცა, იმან უცებ წამჩურჩულა „როცა ყველამ დაიძინოს, აქვე მოდიო“. მერმე ისინი ყველა კოშკში შევიდნენ. — და შენ საიდან აკოცებდი? სთქვი! (ხანჯალს წაიღებს).

დათო (მიხვდება). ხანჯალს ხელი უშვი! სხვას ვაკოცე... კარგია და... კინაღამ ერთმანერთი არ დავხოცეთ?.. გაიანე რომ ყოფილიყო... ნამდვილ კაინათ გადავიქცეოდი!..

ირაკლი (კიდე მოდუშული). ვინ სხვას? აქ არავინ ყოფილა დედოფლისა, იმისა და მობუერულ დედაბრების მეტი?

დათო. დედოფალს ვერას ვკადრებ და მობერული დედა-ბრები შენთვის დამილოცნია? მაშ თუ გიშლი, წავალ... ფრთხილად, ირაკლი, სპარსელებს ხუმრობა არ უყვართ და ეს შავი არაბები კიდევ უარესნი არიან! ნიორსავით დაგნაყვენ!.. თუ მოგესიონ, დამისტვინე... აქვე ვიქნები!

ირაკლი. მოიცა, ვის ჰკოცნიდი? იმის გარდა აქ არავინ მინახავს?!.

დათო. არც დედაბრები?

ირაკლი. არ ვხუმრობ! მიპასუხე!...

დათო. დაიცა და! ძმები ვართ ჩვენ თუ არა?

ირაკლი. ვიყავით, სანამ არ მომატყუილე!!.

დათო. მაშ კარგი!.. ოთარ-ბეის ქალი ჰყოლია, გაიანე!.. დედოფალიც იმის წასაყვანათ აქ მოვიდა!.. სპარსეთში შაჰინ-შაჰთან უნდა გაჰგზავნონ, მაგრამ ვერ გაჰგზავნიან, ირაკლი... ვერ მივართვი შაჰინ შაჰს.... აი, აქ შემხვდა.—როგორც შვე-ლი—ისე გამოხტა და ქურციკივით შედგა.... მე კი.... მე.... ნუ ლა მკითხავ, ნუ ლა მკითხავ!

ირაკლი. მაშ დედოფლის გვერდით არ იდგა?

დათო. არა, ჩემო ძმაო, შენც ძალიან მოგდებია!.. წმი-და გიორგის ვფიცავ, არა მეთქი, რაც დედა-მიწის ზურგზე ქა-ლია, ყველა შენთვის დამითმია... გაიანე აქეთ გაიქცა... მეც ახლა იქითკენ მივიპარებოდი და შენ კი წაგაწყდი!... იცი, მგონია, ღმერთი ორივეს გვწყალობს და....

ირაკლი. დათო, გამიგონე!.. ოღონდ იმან მიბრძანოს და მზათ ვარ დავივიწყო დედ-მამა, პატიოსნება, სჯული, სა-მშობლო!...

დათო. ჩემი მაგეებს ვერ მეტყვის და თუ მითხრა, მა-შინ ვუბრძანებ—თვითონ იმან მიატოვოს სჯული და დედ-მამა... არა, არა, შენ მაგას ტყვილად ამბობ!.. გზაში მამას სიტყვები ალარ გახსოვს? შვილებო, საქეიფოთ კი არა, დიდის საქმისათვის მივდივართო! —რას ნიშნავს ეს, ირაკლი, იცი?

ირაკლი (სარკმელს უყურებს). ველარ ვითმენ... აი... ერთ წამს გამოჩნდა იქა სალამოზე და ხელით მანიშნა... იცი, ქვას ვესვრი.

დათო. ქვიშა სჯობია... მე კი ვიცი... დროა, სირცხვილიდან გამოვიდეთ!.. ჩვენ, ხალხი კი არა, შამადიანების პირუტყვნი ვართ... ჩუმად, მიყრუებულ ხევებში და ჯურღმულებში ვლოცულობთ .. ეკლესიები დანგრეული გვაქვს... ყველაფერი წაგვართვეს... იტაცებენ ჩვენ დებს, საცოლოთ და ჰყიდიან... რაღას უნდა ველოდეთ კიდევ?.. ირაკლი, რაღას უნდა ველოდეთ?

ირაკლი. დიახ, ლოდინს სიკვდილი სჯობიან!.. ქვიშას ვესვრი!..

დათო. გუშაგებს გააღვიძებ!.. რა თვალი მოვკარ: რაღაც ძალა გულიდან დაიძრა, გაიზარდა, ვეებერთელა გახდა! იცი, ირაკლი, ახლა რა ძლიერი ვარ... რა ძლიერი?.. იმის ხმა ჩემთვის საომარ საყვირის ხმათ გადიქცა, თითქოს მომძახის: გასწი, იომე, სარწმუნოება, თავისუფლება, სამშობლო და მეც გამოგვიხსენ!!

ირაკლი. სს!.. მოდის!! (დაბალი ხმები ისმის).

დათო. ვილაც... მივიმალოთ! (გადიან).

გამოსვლა მეოთხე

(გამოჩნდებიან ბესო, ანანია და სანა, ჩაცმულნი რიგიერ გლახა, მხიდოდ უფრო ძაგად. ხელში გრძელი კანიანი ჯოხი უჭირავს).

ბესო (ჩურჩულით). წყნარად, მამაო.. აქ დამიცადეთ... ჩავირბენ გვირაბებში და საიდუმლო გზას გავიკვლევ... ყველანი იქ გვიცდიან... აღდგომის წირვას ელიან... სანამ შენ წირვას არ მოისმენენ, გახსნილებაც არავის უნდა... (გადის ფრთხილად).

ანანია. კახეთში იყავი?

სანა. საზარელი სანახავია... ყოველივე აუოხრებიათ... სადღაც სარდაფებში ვლოცულობდით... ეს ურჯულონი არავის ზოგავენ...

ანანია. ხევსურეთში...

სანა. საამო რამ ხოლო იქ დავინახე... სპარსელების ჭაჭანებაც არ ისმის.. შევაგროვე მამაცი ფშავ-ხევსურები და ყაზბეგ-

თან იმათ ბანაკს დავეცით, ციხე წავართვით და გერგეთის უდაბნოში ზიარების ლოცვებს შევუდექით... სამი დღე არ დაგვცალდა... სწორეთ ხარებას გუდაურიდან ამათი ჯარი თავს დაგვესხა... ერთ ხელში ჯვარი, მეორეში ცელი ავიღე და რამდენმამე კაცმა გზა გავიკაფეთ... დანარჩენების სისხლით ომის ველი მოირწყო... გამოველით, როგორც იქნა, ბორჯომის ხეობაში და იქიდან კი ტივებით აქ ჩამოველით!..

ანანია. გაიგონე, კათალიკოზი მოგვიკლეს...

საბა. ვიცი, ვიცი... მე ცოდვიანმა!.. იმ დროს, როდესაც იმას ჰკლავდნენ... თავისუფლების იმედი გულს მიხარებდა... მაგრამ ღვთის განგებას ვინ მისწვდება...

ანანია. ღმერთს ჩვენ დავავიწყდით!

საბა. არა, ანანია... ღმერთს ჩვენი ქვეყანა, ღვთის მშობლის წილ-ხვედრი ახსოვს!.. საქართველო გარდი-გარდმო გავიარე! ღმერთი ჩვენთან არის! და წმიდა ჯვარს, სისხლში ამოვლებულს, ღელოს გავიტანთ!..

ანანია. და როდის მერე, უფალო, როდის?.. მალე?

საბა. მალე!.. იმათი შვილები დაიხარდნენ, ვინც ჩვენი სამშობლოს დაცემის დროს დაიხოცნენ, იმათიც, ვინც ქვეყანა გასცეს... დედებმა ძუძუსთან ერთად შეაწოვეს სჯულის და მამულის სიყვარული... დიახ... მეომარნი დაგვეზარდნენ... ათასობით ვნახე... მხოლოდ ბელადი არა ჰყავთ!

ანანია. ჰყავთ! მიიღე ჩემი აღსარება, წმიდა მამავ... ეგ საიდუმლო მხოლოდ სამმა ვიცოდით... ოცი წელიწადია, როგორც სამარე, ჩუმათ ვარ... ახლა ვგრძნობ დრო არის... წადი... ახარე საქართველოს ხალხს, ჩვენს მეომრებს... რომ ამ ამბავმა კიდევ მეტად განამხნევოს მათი მკლავები... მეფის ძე გიორგი ცოცხალი არის!!.

საბა. ანანია... ტყუილი საჭირო არ არის... ხსნას მაინც ველირსებით!..

ანანია. ილოცე მეთქი ყველასთვის.... მე ტყუილს არ ვამბობ!

საბა. თეიმურაზის მემკვიდრე სულეიმანმა თვისი ცხენით გასრისა... ანანია... თვითონ ვნახე ეგა... და ახლა ამბობ, ცოცხალიაო?..

ანანია. გასრისა იგი... ილოცე მისთვის... — ის იყო ჩემი შვილი!!. (საბა ხელებს და თვალებს ცას აპყრობს). ჩემთვისაც ილოცე... ცოდვა ჩემია... თითონ შევცვალე პატარა ბავშვები...

საბა. შენს შეცოდებას... უფალი განსჯის... სად არის ყმაწვილი?

ანანია. დედოფალი მიგითითებს!

საბა. ჩვენი დამლუპველი დედოფალი?

ანანია. ჩვენი მხსნელი!!.

საბა. დარწმუნებული ხარ?

ანანია. ჩემ თავზე უფრო მას ვერწმუნები!!

საბა. მერე მეფის ძე სად იზრდებოდა?

ანანია. ჩემთან!

გამოსვლა მესამე

ბესო. ყველა სალოცავად გომურში შეკრებილა... უნდა ჩავიდეთ...

საბა. საითკენ?

ბესო. მომყევით... ისე მალულად ჩაგიყვანოთ, ვერც ბატონი, ვერც სულეიმანის ძალლები სუნითაც ვერ მიხვდნენ სად ჩავიჩქმალებით!.. (გადიან).

დათო (გამოჭყვავს ხქარა ირაკლი). რა სთქვა მამამ, გაიგონე?

ირაკლი. ვერა გავიგე-რა? რომელი მეფის ძე?..

დათო. არც მე მესმის... ვინ იზრდებოდა მამასთან?.. შენა და მე!...

ირაკლი (სიცილით). მერე რომელი ვართ მეფის ძე?

დათო. შენ ხუმრობ?.. ეს სახუმარო საქმე არ არის!... (რუქია თეთრს ჩადრში გამოჩნდება ბუჩქებთან).

ირაკლი (შენიშნავს). კაბა მოსჩანს!... (იქით გაირბენს).

დათო. ეს ხუმრობა არ არის! (გადის).

გამოსვლა მეოთხე.

რუქია (უცებ მოეხვევა ირაკლის... ხანგრძლივი კოცნა). მომკვლენ, თუ შენთან მომასწრეს... შენი სახელი?

ირაკლი. ირაკლი!...

რუქია. ვინა ხარ! საიდან?

ირაკლი. მთიული ვარ!..

რუქია. ჩემები კი ზღვის-პირელნი არიან.... მე იმათ გამომყიდეს!...

ირაკლი (ვნებით). შენ გაგყიდეს?.. ვის მიგყიდეს?.. ჩემი ხარ საუკუნოდ... ჩემსავით შენს შეყვარებას ვერვინ შეიძლებს... ჩემის ალერსით დაგწვავ... (ჰკოცნის).

რუქია (მიაუუებს). ჩუმად....

ირაკლი. ჩემთან ვისი გეშინია?.. შენს თავს ვინ-ღა წამართმეს... საუკუნოდ ჩემი ხარ-მეთქი.

რუქია (ვნებით, თ ნ მოწყენილი). შენი მხოლოდ ამ წამს ვარ, ჩემო სინათლევ!.. მკოცნე, სანამ შენთან ვარ!.. შენ რომ შეგხვდი... ამ ერთის წამით მაინც შენთან ყოფნით დავსტკბე და მერე თუნდა ისევ მონობა, თუნდა სიკვდილი!!

ირაკლი. რათ ამბობ სიკვდილზე?.. ვინ გაჰბედავს ხელი შეგახოს, როდესაც ჩემს გულზე მიკრული მყევხარ!..

რუქია (ვნებით. როგორც გველი ისე ეხვევა). ოჰ... სულ ასე რომ ვიყოთ და შორს... შორს... იქ ზღვაზე... ნავით... ზურმუხტებრ ტალღებზე. . ვუცქეროდეთ ვარსკვლავებს... შენს ამოოხვრას. ვსუნთქავდე, სიყვარულის ხმებს გიმღეროდე და შენს თვალებში ვდნებოდე...

ირაკლი (თითქოს შეშფოთებული). გსურს გავიქცეთ! აქვე, ისეთი რაში ცხენები გვყავს ქარზე, ელვაზე მარდი... ვით ქარიშხალი ისე გავქრებით!..

რუქია (იგნორს). არა... ყველგან დარაჯებია... როდესაც გაქცევა შესაძლებელი იქნება, მე თითონ გეტყვი... გამიგონე, იცი—ვინა ვარ!..

ირაკლი. ვიცი! დედოფალი ხარ და მე შენი მონა!!

რუქია (ტბიერად). მე რუქია ვარ... სულეიმან-ხანის საყვარელი მხევალი, დედოფალი მოხუცდა... და მეფეს მოყირჭდა... დედოფალი მე გავხდები.... სად შეგიძლია სულეიმანის თვალებისაგან დამმალო? როგორც მხეცებზე, ისე ინადირებენ ჩვენზე და მოგვძებნიან!.. ოჰ, არ იცნობ სულეიმან მეფეს?

ირაკლი. სულეიმანის მხევალი ხარ?

რუქია (მედიდურად). დიახ!. როდესაც ზეინაბს ის მოჰკლავს... დედოფალი შევიქმნები, ეს მალე იქნება... მზვერავათ დამნიშნა... აი, თბილისს რომ ჩავალ—ოღონდ ერთი სიტყვა ვუთხრა—მაშინვე თავს გააგდებინებს, სულეიმანს არ იცნობ! სისხლი უყვარს!

ირაკლი. მაშ რაათ მეძახდი მე—თუ იმისი ხასა და მონა ხარ?... შენი სილამაზე რად გამიელვარე? და შენა ggონია, შენს თავს სხვას დავუთმობ.. gესმის? შენ უხდა ჩემი იყო! მარტო ჩემი!!

რუქია. სულელო ბალღო! მაშ ვერ gიცვნივარ! განა მე იგი მიყვარს? შენ მიყვარხარ, შენ, და მოველ შენთან—საზარელ შიშსაც დავძლიე!...

ირაკლი (ათრთოლებული). რუქია!.

რუქია (ჭკოტნის). დაჩუმდი!.. ნუ იჭვიანობ... ის მოხუცია, შენ ახალგაზდა... განა ვინც შენ დაგინახავს—იმას შეიყვარებს?.. მაგრამ ის მეფეა... როგორც მახვილი, მრისხანეა.... სიკვდილივით საშიშარია. სიხარულისა და რისხვის დროს უცვლელი სახე აქვს... თუნდა კაცს ჰკლავდეს, თუნდ ლხინში იყოს იმის თვალებში ერთნაირი ელვარება იხატება... ისეთი გამოხედვა აქვს, ასე gგონია, თბილისიდან ახლა აქ მიcქერის... შენთან რომ ვარ... შენ რომ gეხვევი... თითქოს ის ჰხედავს.. (ცახცახებს და ირაკლის ეხვევა მაგრათ. ისიც მიიხედ-მოიხედავს შიშით. რუქია შიშით იcინის). ხედავ... შენc შეშინდი... სად... სად შეgვიძლიან მას დავემალოთ!

ირაკლი. გამაგიჟე... ალარა მესმის—რა... მხოლოდ ერთი მსურს... უნდა gინახულო, უშენოთ სულ-თქმა მომესპობა.

რუქია. მეც მარტო შენ მიყვარხარ! (ალ-რაზაკი გამოჩნდება და იქვე ბუჩქებში იმალება) მე შენთან ვივლი მალულად... ოჰ რა ტკბილი წამები გვექნება! ჩემი ფეხები ბუმბულზე უმჩატესია, ღამის სიბნელეში გველივით დავსრიალებ... მძინარ ძაღლს ფეხს გადავადგამ და დავბრუნდები-არ გაიღვიძებს!.. ოღონდ ჩემი მორჩილი იყავი და ისეთ ბედნიერებას გწევ—სხვა არ.... (უცებ ნელა დაიკივლებს და ბუჩქნარისაკენ გაექანება). აქ ვიღაც არის!.. (ირაკლი გადახტება და ველში სტაცებს ხელს ალ-რაზაკს და გამოჭვავს!..

გამოსვლა მეხუთე

ალ-რაზაკი. აქ მომ... (ირაკლი პირს უკუმშავს)

რუქია. (იცნობს ალ-რაზაკს) . მოჰკალი! მოჰკალი!

ირაკლი. სიცოცლეს გაჩუქებ, თუ შემომფიცავ!..

რუქია. მოჰკალი!.. ეგ საჭურისია! ძაღლია... შემოგფიცავს, მაინც გვიღალატებს.. მოჰკალი მეთქი!.

ირაკლი (ხანჯალს მოუქნევს). რუქია, ხედავ როგორ მიცქერის?

რუქია. ლაჩარო! დაჰკა!

ირაკლი. (ერთის მოქნევით ხანჯალს ჩასტემს. თავ-ზარ დაცემული) აი... მოვკალი!..

რუქია (აცქერდება ალ-რაზაკს). ახლა ველარას იტყვის!! (ეხვევა ირაკლის) ელოდე ჩემ მოწოდებას... ყოველთვის ახლოს იყავ... ახლა გაიქეცი... (გაიქცევა. შემორბის დათო)

გამოსვლა მეექვსე

დათო. ოთარ-ბეი და დარაჯნი მოდიან!.. ეს რა არის?! ეს რა არის?..

ირაკლი. საჭურისი!.. მოვკალი!.. იმან მიბრძანა!!

დათო. დაგვლუპავ! გავიქცეთ... დავიმალოთ... ძილი მოვიგონოთ! (გარბიან. მეორეს მხრით შემოდიან ოთარ-ბეი და ჯარის კაცნი).

გამოსვლა მეშვიდე

ოთარ-ბეი. ამალამ არ დავიძინებ!. წადი, დარაჯები კიდევ...

ერეი მხედართაგანი. შეხედე, ბატონო... აქ ვილაც არის!

ოთარ. ალ-რახაყ!.. (შეშინებული) ჩქარა წყალი!

ხმები. აღარ სუნთქავს.—მოკლულია.—ღალატი!.. უნდ. ბალში ვეძიოთ... ჩქარა... მოგვეშველეთ!! (ზეინაბ გამოჩნდება კოშკის სარკმელში)

ზეინაბ (ბრძანების კილოთი). ჩვენს შეშფოთებას ვინა ჰბედავს... ალ-რაზაყ... ჩადი, გაიგე... ოთარ-ბეის და დარაჯებს დაუძახე!

ოთარ-ბეი. აქ ვარ, დედოფალო. მთელი ღამე გარემოს ვუვლი და ვდარაჯობ!!

ზეინაბ (მოუთმენლად). ალ-რაზაყ!

ოთარ-ბეი. ალ-რაზაყი მოუკლავთ, ხელმწიფევ!.. ეს არის მკვდარს წავაწყდით. (ამ ხმაურობაზე მოგროვდებიან ყველანი... ბესო, ანანია, დათო, ირაკლიტ, დიდი აღელვება სჩანს).

ზეინაბ (ფანჯარას შორდება) ალ-რაზაყ მოკლულია?.. (დაიმალება).

გამოსვლა მერვე

ოთარ-ბეი (მკაცრად). ეი... ისმინეთ ყველამ, ჩემ ჭერს ქვეშ ხელმწიფისაგან გამოგზავნილი რწმუნებული პირი მოუკლავთ!.. ეგ სირცხვილი თავზე ვინ, ვინ მომახვია?.. ვინ დამლუპა?..

სპარსელი ჯარის კაცნი. გიაურებმა.. გვღალატობენ. დაჰკარით ძაღლებს! (ირაღზე ხედს იტაცებენ. საერთო ნოძრაობა)

ბესო (და რამდენიმე ჯარის კაცნი). მოკლულს ჩვენ არ ვიცნობდით... ჩვენ ბატონის ერთგულნი ვართ... იქნება თქვენ თითონ გძულდათ და მოჰკალით კიდეც, ჩვენ კი გვაბრალებთ! აი ღალატი სად არის! (ირაღზე ხედი... შეიქნება კიყინი, მიწევ-მოწევა).

სმარსელება. უნდა ეს ბუდე გავანადგუროთ... დაჭკა!.. დაჭკა!

ოთარ-ბეის ბიჭები. ეი, ვინა ხართ! ქრისტიანების გაწყვეტა სურსთ...

ოთარ-ბეი (მეხივით ხმით). ჩააგეთ ხმლები! ძაღლებო! დამნაშავეთა თავის მოსაკვეთათ ჩემი სიტყვა არა კმარა? განა მე სარდალი ალარ ვარ!.. როგორ ჰბედავთ? მისმინეთ.. თუ არ ჩვენი კაცი, აქ ვერავინ შემოვიდოდა... ერთ-ერთ ჩვენგანს ეს საზიზღარი მკვლელობა ჩაუდენია... იბნ-საად... აჰა, ჩემი ბეჭედი... ახლავე გასწი გორში და მომგვარე ხუთასი კაცი. (იბნ-საად გადის). ახლა ვეძიოთ მკვლელი და თუ ჯარის მოსვლამდის ვერ მოვსძებნეთ... ყველა ვინც აქა დგა, ვინც სახლში, ეზოში იყო, ვინც კი დედოფალს იახლა—სიკვდილით დაისჯება... (სასერთო ხმაურობა. მოისმის „..მე ბატონთან ვიყავ... „მე ტხენებს ვუკდიდი... მე კარებთან ვიდექ... ...კამოტუდეს ვინც არის... ეკელა რატომ ერთისთვის დაიდუპოს... კამოტუდეს!).

დათო. (ხმაურობის დროს მიდის და ხელს წაავლებს დობის სარს). ხალხნო! (ყველანი მიუბრუნდებიან) საჭურისი მაჰმადთან წარემგზავრა, უნდა მოახსენოს: სულეიმან-ხანიც და სხვებიც იქ მალე მივლენ. ალ-რაზაყი საიქიოს მე გავგზავნე... თუ შეგიძლიათ, დამიჭირეთ! (მოევლება და გადახტება დობეზე. კიყინა—„ტხენზე შეახტა!.“ „ჩქარა მდევარი!..“ თოფის ხმა).

დათოს ხმა შორიდან. ესროლეთ დაბმულებს, ძაღლის მოდგმავ!!

ხმები (იმათი, ვინც დობეზე შემდგარნი უტქერიან). ცხენები გაქრა!.. „ძალიან შორს წავიდა“ „ვერ დაეწევიან“... (კიდევ თოფის ხმა).. „ქერიმიც მოკლა“!..

ოთარ-ბეი. (გაცოფებული) ასი ოქრო ვინც იმას მოჰკლავს.. ჩქარა მდევარნი!!. (ანანიას და ირაკლის შეაჩნევს) შეჰკარით ესენი. პასუხის-მგებელნი ესენი იქნებიან!.. გაახურეთ შანთები.. წამოიყვანეთ!.. (ამ დროს შემოდის ზეინაბ და რუქია, შეშინებული დედოფალს ეკვრება... ალ-რაზაყი გაქვთ... ზოგნი ანანიას და ირაკლისთან დგანან).

ზეინაბ. რას ნიშნავს ყოველივე ეს, ოთარ-ბეი?.. (უველა გაჩუმდება).

ოთარ-ბეი. ჩემ სახლში ღალატი შემომეპარა... ეს სამი გველი შემოსრიალდა ჩემ ჭერ-ქვეშ და სასიკვდილოთ სტუმარს და ჩემ მეგობარს უკბინა... ერთი გაიქცა.. მაგრამ ორი ხელში მყავს... მალე დავბრუნდები, ხელმწიფევ! წამოიყვანეთ!..

ზეინაბ. დაიცადეთ!.. მე თვითონ გამოვკითხავ! (იტნობს ირაკლის. გაფითრებული). მკვლელნი ესენი არიან?..

ოთარ-ბეი. ამისი შვილი, დედოფალო, ძმა ამ საძაგლისა!!

ზეინაბ. (წამოვა წინ...) რათ მოჰკალით?...

ანანია (სულ მიუურებული იყო დათოს პირისკენ). არაფერში დამნაშავე არა ვართ, დედოფალო... არც ამან, არც მე იმ უკულმართის განზრახვა არ ვიცოდით!!. მე იგი ჩემდა საუბედუროდ გამოვზარდე! (მიაუურებს)

ზეინაბ (სიუვარულით უტქერის ირაკლის, მაგრამ მკაცრის ხმით). შენ, ბავშო, ამისთანა საქმეში როგორ ჩაერიე?..

ირაკლი (უტქერის რუქიას, ეს ანიშნებს უარის-თქმას). არა ვიცოდი რა, დედოფალო!..

ანანია. მე და ეგა... ცხენებთან ვიყავით... იქ თავლაში გვეძინა... ჰკითხე იქ მყოფთა... უცებ ყვირილი მოგვესმა... ვხედავ, დათო იქ აღარ არის!..

ოთარ-ბეი. ცრუობ .. ბებერო ძაღლო... კარგათ გიცნობ.

ზეინაბ. ნება დაურთველად ჩემ წინ ლაპარაკს ვინა ბედავს?

ოთარ-ბეი. მაპატიე, დედოფალო!

ზეინაბ. წადით თქვენ-თქვენ ადგილას, (უველანი გაგდენ ოთხის გარდა, რომელთაც ანანია და ირაკლი უჭირავთ). წადი შენც, ჩემო ლამაზო, მოისვენე...

რუქია. (არ უნდა წასვლა). მეშინიან... დედოფალო!!

ზეინაბ. ვერავინ შეგაშფოთებს!.. წადი... ლამის ნამი შენს სილამაზეს არ მოუხდება... წადი!..

რუქია. (მძულვარებით შეხედავს და მიდის) შენს ბრძანებას აღვასრულებ! (შეჩერდება ირაკლის წინ და სიუვარულის ნაზის ხმით ზეინაბს მიუბრუნდება). ამათ ახლავე სიკვდილით დასჯი, დედოფალო?!.

ზეინაბ. (გაკვირვებული შეხედავს) შენ რათ გინდა ეგ გაიგო?..

რუქია (მოწიწებით). იქნება ამათი გამოკითხვა თვით მეფემ მოისურვოს... ჩემი სულელური სიტყვა... შემინდე.. (აკოცებს ხელზე და ირაკლის ცქერით გადის)

ზეინაბ. რუქია მართალს ამბობს!.. შებორკეთ, ჩაამწყვდიეთ... პასუხის-მგებელი თქვენ იქნებით. (მიჰყავთ. ზეინაბ დიდ-ხანს უცქერის და შეწუხებული დაეშვება ტახტზე. ოთარ-ბეი სიჩქარით ამბობს:)

ბამოსვლა მეცხრე

ოთარ-ბეი. მაპატიე, დედოფალო, მყუდროება დაგირღვიე... ღირსი ვარ სასჯელისა და ნუ შემიბრალებ!!

ზეინაბ. შეწყალებას მართლაც ნუ მოელი!

ოთარ-ბეი. ეგ მკვლელობა ჩემ სახლში მოხდა... თუმცა მართალი ვარ, მაგრამ ვიცი არ შემიწყნარებ, დიდებულო დედოფალო... მაშ შენი რისხვის მსხვერპლი მე ვიყო მარტო... ჩემი ქალი შეიბრალე... რათ გინდა სიცოცხლე მოუსპო? (იჩოქებს).

ზეინაბ. მაშ გიყვარს?..

ოთარ-ბეი (დაბნეული). არ ვიცოდი, თუ ასე მიყვარდა!.. მე გამცემელი, მოსყიდული, გახრწნილი კაცი.. ქრისტეს უარმყოფელი.. ის კი ბავშვია უბიწო! დღეს, მარტო დღეს მივხვდი, ვიცანი იგი... ოჰ, ჩემო დედოფალო, ყოველივე შენ და მეფეს შემოგწირეთ! თქვენის დიდებისათვის ყოველივე დავთრგუნე... არა, მოღალატე არა ვარ... თქვენი მოღალატე არა ვარ!.. დაე მარტო მე გადამხდეს.. მიმეცით სიკვდილს და იმას კი ნუ მოსპობთ... ნორჩ სულს და სხეულს ნუ დაღუპავ...

ზეინაბ (სიხარულით—თავშეკავებით). ოთარ-ბეი, მერე ვინ დაიცავს მას, როდესაც შენ ამ ქვეყნად აღარ იქნები?.. სულეიმანის კლანჭებიდან ვინ გამოიხსნის? ამ მხეცებით სავსე ქვეყანაში ვინ მისცემს შველას?

ოთარ-ბეი. ერთი ერთგული ყმა მყავს!.. იმერეთში გავგზავნი.

ზეინაბ. მერე?.. განა თათრები სპარსელებს რითა სჯობიან? ეგრე არა სთქვი?!. არა, ოთარ-ბეი, თავს ვერსად შეაფარებინებ... გურგანის ზღვიდან შავამდე ერთი ადლი მიწა არ მოიპოვება, სადაც ძალ-მომრეობა და სიკვდილი არა სუდევდეს... მამადიანთა ფეხ-ქვეშ ქვეყანა ისრისება და ითელება... მონანი, მონანი ვართ ჩვენ და მონობის მეტი არა დაგვრჩენია-რა!..

ოთარ. (გაკვირვებული) დიდებულო დედოფალო!

ზეინაბ. ვინ არის აქ დედოფალი, ოთარ, ეგრე ვის უწოდებ?

ოთარ. შენ, დედოფალო ზეინაბ!!

ზეინაბ. ვიცნობდი დედოფალ თამარს და მე კი მხევალი ვარ! მახსოვს ახალ-გაზდა თამარი, უპირ-ბადოთ, შედიდური და მხიარული თეიმურაზს გვერდში უდგა!! ღვთის-მშობლის წილ-ხვედრ ხალხს სასიხარულოდ ის მოჰფენოდა!! თქვენი ცოლ-შვილი, თავისუფალი საქართველოსი თავად - აზნაურობა გარს ეხვეოდა! ნაკურთხი ცის გულბათის ქვეშ, წმიდა ზარების რეკაზე, ზურმუხტებრ ველთა და ბალთა შორის თავისუფლად თავისუფალი ხალხი წმიდა ტაძრებისაკენ სალოცავად მივიჩქაროდით... და უშიშრად თავისუფალი ხალხის სიმღერა გაისმოდა და ყველგან დიდებული ლხინი იყო! დიდებული მეფეც თავისუფალ ხალხთან მხიარულებდა! მადლით სავსე ჩვენს მშვენიერს ქვეყანას სარქველად ეს ლაჟვარდი ცა ჰქონდა კედლებათ თვალ უწვდენელი მთები და სალოცავათ წმიდა ტაძრები... ქართველის გული ქართველი ქალის გულთან, სული სულთან ვითა სიმები შეწყობილ იყო! უშიშრად დედა თვის მკერდზე შვილს მიიკრავდა... უშიშრად გლეხი თვის გუთანს მიღუღუნებდა და ბოროტების ნაცვლათ კეთილსა მკიდა! და უფალი ღმერთი თვის წმიდა კრებულით ერთგულ მორწმუნე ხალხს ნათელსა ჰფენდა-იმ ხალხს, რომელიც უზარ-მაზარი აღმოსავლეთის სამზღვარზე ქრისტესა ჯვრის მცველად და ბურჯად იდგა! და ახლა, ახლა?

ოთარ (ტრემულ-მორეული). ჩემო მეფევ! ჩემო დედოფალო!

ზეინაბ. და ახლა... ვდგევართ აქ მე და შენ და ერთმანერთს ვუცქერით, ჩემი თვალები უცრემლოთ გაშრენ! სამაგი-

ეროთ სიცრუეს, მლიქვნელობასა და უძილობას შეეჩვევნენ! შენ კი, დიდებულო მეომარო და თეიმურაზის მეგობარო? მთელის შენის ძალით და უფლებით რა ხარ ახლა? მონა!! სულეიმანის ძაღლი! იმისგან გამათრახებული, იმის მერანის გვერდში უნდა რბოდე, ნადირს იჭერდე!! და, აჰა, შენის სამსახურისათვის, შაჰინშჰას საროსკიპოში შენი ერთად-ერთი ქალი უნდა ჩაჰკეტონ! და თვით შენც მონა-საჭურისის მოკვლისათვის სიკვდილი გელის!! საქართველო კი, ოთარ, საქართველო? მიმოიხედე... მონობა—მეთქი, მონობა! უსინათლო, ვით ბნელი ღამე!!

ოთარ (თავში ხელებ წაგდებული), ძლიერო ღმერთო! ძლიერო ღმერთო!

ზეინაბ. და მე, მე? იცი შენ ახლა ვინ დავაპატიმრე? იცი, შებორკილი სულეიმან-ხანთან ვინ უნდა წავიყვანო? იცი თუ არა ვის აწამებენ, ჩემის თვალის წინ ვის მოკვლენ? ოთარ, იცი თუ არა? ჩემ შვილს!!

ოთარ-ბეი (თავ-ზარ დაცემული). როგორ თუ შენ შვილს, დედოფალო?

ზეინაბ. ოცი წელია არ მინახავს! სხვამ გაზარდა!! იმის ზრდას, იმისი დავაჟკაცებას სხვისი თვალები უცქერდენ, სხვისი ყურები იმის ხმას ისმენდნენ!! და მე კი, ერთხელაც არის, ამ ოცი წლის განმავლობაში ვერ გავბედე იმისი ნახვა. დღეს, დღეს პირველად ვნახე. და ვერც დღეს შევიძელ იმისი გულზე მიკვრა, ჩემის ცრემლებით მისი განბანა!!

ოთარ. როგორ, როგორ გადარჩა, დედოფალო... ქვეყანამ იცის, რომ ის... ცხენმა...

ზეინაბ. ომის შემდეგი ღამე გაიხსენე.... ამ ომში მოჰკლეს მეფე თეიმურაზ! და საქართველო წარიხოცა!!. დაიარაღებული მრავალის ჭრილობით—ცოცხალ-მკვდარი მოიტერ ჩემთან მეტეხის ციხეში, მამცნე მე სიკვდილი ქმრისა და სამეფოს დაღუპვა, და სისხლით დაცლილი პირქვე დაეცი...

ოთარ-ბეი. საშიშარი და დამღუპველი ღამე!!.

ზეინაბ. თავზე გადექი... ბავშვი გულზე მიკრული მყავდა... უკანასკნელი მეომარნი ციხეში ომობდნენ და სათითა-

ოდ იხოცებოდნენ.. სულეიმანის ჯარი კი, როგორც ყალია, გარშემო მთებს, მტკვრის ორივ მხარეს მოჰფენოდა და ბოლოც არ უჩნდა!. მეტეხის ტერფთა თბილისი იწოდა... და საზარელ ვაებისა, გულსაკლავ კვნესისაგან კედლები იძროდნენ!!. და ოთხი კუთხივ ავარდა ალი! და შეიღება მტკვარი სისხლის ფრად! სჩანდა, მთელი ქვეყანა იმათ ხელთ იგდეს და მტრის ბანაკიდან თან და თან ხმა მაღლა კიჟინი გამარჯვებისა მოისმოდა!.. სამი ადამიანი უკანასკნელ სიმაგრეს იცავდა. მე, გულზე მიკრული ჩემი ბავშვი და სულ-მობრძავი მხედარი—შენ!.. ოჰ... იმ საშინელი ღამის ყოველი წუთი მახსოვს .. თითქოს გულის ფიცარზე დადაღული მქონდეს... გონს მოხველი... თვალებში შემომხედე... გახსოვს ოთარ?!.

ოთარი (ძალიან აღელვებული). მახსოვს! მახსოვს!.. ავდექ უსიტყვოთ... სასიკვდილოთ ფორთხვით წაველ... რა იყო შემდეგ, აღარ მახსოვს.. რამდენისამე დღის შემდეგ გონს მოვედი და, იცის უფალმა, შენთვის ვიბრძოდი, სანამ არ გავიგე, რომ შენ, შენ თამარ...

ზეინაბ. ზეინაბ დედოფლად და სულეიმანის საყვარელ ცოლად გადვიქეც, განა?..

ოთარ-ბეი. მაშინ მეც შენს კვალს მივზდიე.

ზეინაბ. მაშ კვლავ მიზდიე, ოთარ, ამ კვალს ბოლომდის!.. იცი ამის შემდეგ რა მოხდა? ყური მიგდე და გამსაჯე! როდესაც გამხეცებული სპარსელნი იერიშით მოდიოდნენ, სადაც მე ვიდექ, ანანია გლახა ქვიდან ქვაზე ხელის ფრჩხილით მიბჯენილი, მტკვრის ნაპირიდან, ხელში პაწია ბავშვით—კლდეზე ამოვიდა. ამ წამს დიდებული, საგვირგვინო რამ შესრულდა! ოთარ, დიდებული საქმე!.. იგი მე ცხოვრების გზას მინათებდა და მასწავებდა თუ რას ვეწიო!.

ოთარი. რა საქმე, ჩემო ხელმწიფევ?

ზეინაბ (მოჯინებით გატაცებული). ანანიამ მითხრა: სპარსელები მეფის ძეს ეძებენ.. მომეცი.. როდესაც დრო მოვა, დაგიბრუნებ! ააჰ...ჩემი შვილი! ნაცვლად ეს მოჰკლან! ჩემი შვილი წაიყვანა, თავისი დასტოვა! მეტი დროც აღარ იყო.. მტერი

მოგვესია და პატარა ბავშვით ციხიდან გამოგვიყვანეს... მოლალატე თავადებმა სამეფო სამოსლით მომმრთეს—ხელში ოქროს ხონჩით, ზედ უკვე დაპყრობილ ციხის გასაღებებით, ქალაქის გალავანს გაველით და იქ მტვერში დამაჩოქეს. ბავშვი შეკოჭეს და მიწაზე ჩემ წინ დააგდეს... სულეიმან ხანი გამარჯვებით აღზნებული მოგვიახლოვდა... ერთი მოხედა ბავშს, ამ დროს მისმა ცხენმა მაგრად გულზე ჩლიქი დაჰკრა და გაისმა საზარელი ხმა... ოჰ! ეს გულსაკლავი, ბავშვის უკანასკნელი კივილი ახლაც მომესმის... (იფარავს სახეს).

ფიარრა. ოჰ—პატარა წამებულო!..

ზეანაბ. ისახარ, ანანიას ცოლი ჩემი მოახლე იყო... ჩვენი ბავშვები ერთ დროს დაიბადნენ და მამამ იმ საზარელ ღამეს დედის ძუძუსგან ბავში წაგლიჯა და მე მომიყვანა... სახელი მისი ირაკლი და ამ სახელს ატარებს ახლა მეფის ძე გიორგი! ისახარ დარჩა ჩემთან, ოჯახი, სხვა შვილებიც დასტოვა!.. ანანაიას და უვლიდა იმათ!... წელიწადმა განვლო და ჩემის შვილისა არა ვიცოდი... წლის თავზე ანანიამ მაცნობა, გიორგი ცოცხალი არისო! ჩემი შერცხვენის, საძრახისი დღენი აქედან იწყება. ურწმუნოთა სჯული მივიღე... იმისი ნდობა რომ მომეპოვა, როგორც ისა, ისე ვიქცეოდი!.. ჩემის ერთის ხელის გაქნევით მოძმის, მოკეთის სისხლი იღვროდა... ჩემი ახალი სახელი ჩემ სამშობლოში უფრო საშიშარი შეიქნა, ვინემ მისი მტარვალის სახელი.... პატიოსნება, რწმენა, სიფაქიზე, მეფური დიდება ტალახში სათრევად არაბეთიდან მოთრეულს მე გავუხადე!!. სიცრუე ვისწავლე, სიცრუე სახით, ხმით, ვნებებით, მთელის ჩემის სხეულით! წელნი ვლიდნენ! ნათესაობა, მეგობრები, ერთგულნი ყმანი ჩემის ბრძანებით ჯალათის ხელით იხოცებოდნენ!!. გაქვავებულ გულში სიბრალულს ალაგი აღარა ჰქონდა!!. სიბრალული, სიყვარული, სინიდისის ქენჯნა, ყოველივე გულში ჩავიმარხე... არცა მშობელნი, არც მეგობარნი და არც შვილი მე აღარ მიყვარს... მხოლოდ მრავალ წამებული, ძონძებში გახვეული ჩემი ხალხი—მრწამს! ჩემი მეფური და ქალური ღირსება, სიმართლე,

დატანჯული ჩემი გული, უკვდავის ჩემის სულის ხსნა ამ ხალხს შევსწირე! ამაზე მეტი რა შემეძლო მისთვის მიმეცა?

ოთარ (ძლიერად). განა არ შეგეძლო იმის გულში მახვილი ჩაგერჭო?!

ზეინაბ. ოთარ! შურის ძიებით განა მას დავიბრუნებდი, რაც კი დავკარგე?.. წინათ მეც ეგრე ვფიქრობდი. რამდენჯერ ჩემის ალერსით მიბნედილს ჩემს გულზე დაუძინია... ერთი ხელის გაელვება და დაწყევლილის სისხლით ჩემ შურის ძიებას გავაძღობდი! მაგრამ შური მეგო, მხოლოდ შური მეგო მე, მეფეს ქართველთა, მეფის დედას და ნაწამებ, განადგურებულ სამშობლოს ქალსა?!. იმის სიკვდილი რას შეგვძენდა? მონობისაგან გამოგვიყვანდა? განა შაჰინშაჰს უფრო მძვინვარის გამოგზავნა ჩვენ ასაოხრად არ შეუძლიან?.. არა! შურის გებას არ შევნატროდი! მე იმ დროს მოველოდი, როცა ხალხის მრისხანება მომზღვავდებოდა და ვით მთის ნაკადული გადმოსკდებოდა, და როს ყოველ მონაში თავისუფალი ადამიანის სული გაიღვიძებს, მაშინ ამ ხალხს ჩემი შვილი წინ წაუძღვება... ვისაც მკლავი ერჩის, იმის გარშემო შეიკრიბება! ინის ტერფთა წინ მეც ჩემს ცოდვებს, ჩემს სირცხვილს, ჩემს ბოროტებას დავაწყობ.. დაე ულმობელ სიმკაცრით თვისი დედა განსაჯოს, ოღონდ ამავე ულმობელობით და მრისხანებით ისლამი მოსპოს და თვის სამშობლოში ქრისტეს ჯვარი მან აღადგინოს!!.

ოთარ: ოჰ, ჩემო მეფევ, წმინდანო მეფევ!.

ზეინაბ. ამბობენ, დედამიწაზე ბედნიერება არა სუფევსო, ოთარ, იგი სუფევს! ეგ ცრემლები შენს სახეზე არის ჩემთვის ბედნიერება! ეგ გამოხედვა მრისხანე, ნათელი და საიმედო, იგივ ბედნიერებაა!! თუ კი შენ ჩვენ მტერთაგან დიდებულის ძლიერებით შეზღუდულს შენი სამშობლო არ გავიწყდება... განა ის დაივიწყებს, ვისაც სირცხვილი, წამება, განადგურება მისი უნახავს?! (ბუჩქებში სიბა გამოჩნდება).

ოთარ. განაგრძე, დედოფალო, განაგრძე!!

ზეინაბ. ოთარ, აღიღე ხელთ ძლიერი მახვილი! ამ სიტყვებით მე კი არ მოგმართავ შენ, არც ჩემი შვილი, არც შენი ქალი,

არამედ აქ, მიწაზე, შენი ხალხი და იქ, ზეციდან, შეურაცხყოფილი, შეგინებული ღმერთი!. სულეიმანის ცხენისაგან გასრესილი ბავში ცით გეძახის... ის საქართველოს გული იყო და დაიცალა წმიდა, უცოდველ სისხლით!!.

ოთარი. ბრძანე... ბრძანე, ოღონდ რას ვეწიო, დედოფალო! ოჰ კრულ იყოს ჩემი გულის ვნებანი... სირცხვილი ჩემ ჭალარა თავს, სიკვდილი მე, სამშობლოს გამსყიდველს და მოღალატეს! არა, შებრალებას არც ღვთისაგან, არც შენგან არა ვთხოულობ.. არ ვარ ღირსი!.. მხოლოდ სამაგიეროს იმათ მოვსთხოვ—ვინც მოღალატედ, ქვეყნისა მტრად გადამაქცია!!. აბა, ახლა ბრძანე რას ვეწიო?!.

ზეინაბ. შენი სპისა მეომარნი გამოგყვებიან!

გამოსვლა მეათე

საბა (წინ წამოვა). და მთელი საქართველოც იმათთან ერთად!..

ოთარი (ხმალზე იტაცებს). ვინა ხარ?

საბა. ღვთის მმოსავი... საბა სალოსი!

ზეინაბ. წმიდა მამაო, უფალმა შენი თავი ჩვენ მოგვიგზავნა.

საბა. უფალმა!!. ქრისტე აღსდგა!!.

(აკოცებს ზეინაბს და ოთარს)

ფარდა.

მოქმედება მეოთხე

(ძველი ნანგრევები თბილისის სხლოს. მარცხენა მხარეზე დანგრეული კედელი, სახურავიც ნახევრად ჩამონგრეული, ხავსით და ბატარა ბუჩქებით მოდებული. მარჯვნით მოსჩანს ხევი—ხევის სიღრმეში, შორს, ტყე. ხეებში გამოსჩვირს ჩამავალი მზის შუქით ცეცხლის ფერად შეღებილი ღრუბელნი. ხანდახან მოისმის სუსტი გრგვინვა და ელვა. ანანია და ირაკლი შებოლილნი წკანან ნანგრევებზე. ათი კაცი, ქართულად ჩაცმულნი, ხმალ-ამოღებული და ზურგზე თოფებ გადაკიდებული დგანან კარშემო. კიკა იმათში ურევია. ბესო, ნანგრევების შესავალში, ქვაზე ხის და ბატარა ტიკიდან ღვინოს ეწაფება. წიხ ფერადი ცხვირ-სახოცი—ზედ ფავაშები, უფული და წითელი კვერცხი).

გამოსვლა პირველი

ბესო (იმღერის). ხელ ახლად ღვინო ცქრიალებს
ჰარიალალე!
ღამეს ლხენით აციაგებს
თარიალალე!
არარატის მთით დაეშვა
ჰარიალალე!
ნოე ღვინით მოიღეშა
თარიალალე!

კიკა (მოხუცი, დიდი თეთრის წვერით). დაჩუმდი, ოჯახ დაქცეულო! რა გაღრიალებს...

ბესო. წითლად შეღებილი ქაჯებს რომ ვეღარ ვხედავ, იმიტომაც სიმღერის გუნებაზე მოველ! (მღერის).

ღვინოს მხოლოდ მამაცი სვამს
ჰარიალალე!
და პირუტყვებს უტოვებს წყალს
თარიალალე!

სპარსელებიც და ყველა რჯახქორი მხეცები არიან! უფალმა იმათ მოპარსულ კეფაზე მეხი დაატეხოს!.. (სვამს).

ანანია (უცქერის ალალვებით ირაკლის). ჩემო შვილო... ნუ დაეცემი სულით... ბორკილებს ველარ ითმენ?

ირაკლი (გაფითრებული, თითქოს თვალები ეწვის). ველარ, მამა! ველარ, სული შეხუთული მაქვს!. გავგლიჯო მინდა, მსურს გავფრინდე... დათომ დაგვღუპა!

ანანია. წმინდა გიორგიმ იხსნას იგი!.. თავის მამაცობით და სიმარდით მაშინაც გვიხსნა და (ჩუმად) ახლაც გვიხსნის! ერთმა ჩვენმა გუშაგმა გადმოგვცა.—ახლოს არისო და მე მჯერა, მალე გაგვანთავისუფლებს!

ირაკლი. როდის? როდის? თითქმის თბილისში ვართ... ამაზე მეტად არსად შეგვასვენებენ...

ანანია. ჯალათი რომ ხმალ ამოღებული თავზე გადგეს, მაშინაც იმედს ნუ დაჰკარგავ! სანამ სულ-თქმა ჰგაქვს, იმედიც გქონდეს...

ირაკლი. ო! რა წვალებაა ბორკილში?. ახლა... ბორკილები?.. ვერა ვნახო... მერმე ახლოს არის... ვერ ვნახო... ბორკილი მიშლიდეს?..

ანანია. რას ამბობ, ირაკლი, შვილო?

ირაკლი. ალარ შემიძლიან... ან ეს უნდა დავამტვრიო ან და თავს ამ ქვებზე გავიხეთქ... ერთხელ, მხოლოთ ერთხელ დავინახო, თვალი მოვკრა და მერმე თუნდ სიკვდილი... მწარე სიკვდილი! (დაემხობა ჰირქვე).

ბესო. (დიდინებდა თავისთვის). ეი, თქვენ, გუშაგნო და მუშაკნო... ყველას გიბძანებთ გამხიარულდით... ამიტომ რომ... იმიტომ, რომ სულ ერთია... ყველას ჩამოგახჩობენ... ზოგს ხვალა, ზოგსაც პარასკევს... და რატომ არა სვამთ?.. (შედის

ნანგრევებში) დალიეთ! (გიგა თოფს მოუდერს) ეი! არ გავარდეს... რასა შვრები!.. (აქნევს ტიკს) ვის უმიზნებ?.. ااჰ? იცი ვინა ვარ?!. ჩემ დიდ-ბატონს ჩემი ჩამოხრჩობა, დახრჩობა ასჯერ უნდოდა და ვერ მოახერხა და შენ კი თოფს მიმიზნებ?.. მე შენთვის ღვინო მომაქვს და შენ... თოფს მიმიზნებ?.. ااااااჰ?.

გიგა. ტყვეებთან ნუ მოდიხარ, თორემ...

ბესო (გულ-მოსული, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის). დამაცადე ხვალამდის... როგორ უნდა მიზნება გასწავლი!.. ჩემ ბატონს ღვინის სმისა უფლება აქვს— მაშ მეცა მაქვს!!! იმას ასი ცოლი ჰყავს... მეცა, იქნება მეტი მყავდეს... ოღონდ ერთად კი არა... ცალ-ცალკე, სხვა-და-სხვა ადგილებში... შენ კი მე მიმიზნებ?

ანანია (გიგას). ძმაო, ყელი გამიშრა... დართე ნება... ღვინო მომაწოდოს...

გიგა (ანიშნებს). შენ ეი, ლოთო, გადააყლაპე და აქედან დაიკარგე!

ბესო. ოოოჰ! შეგეშინდა?!. ვის უმიზნებ... ვის?.. (მიდის ანანიასთან, უსხამს ჭიქარა ყანწში და მაშინვე გამოფხიზლდება... და მღერის).

მთა, ტყე, ღრეში, ხვრელს და ბნელში
ჰარაალალე!
გაბნეულა ყველა ჩვენში
თარიალალე!

დალიე და ბესო დალოცე! ასე არა სჯობია—შე თხის წვერა!.. თორემ რომ მიმიზნებ... როგორ მიმიზნებ?..

ორბელიანს ვხედავთ სამხრით
ჰარიალალე!
და სუმბათსა სოლანლუღით
თარიალალე!

(ეგვდა სულ-განაბული სიმღერას ყურს უგდებენ...)

ანანია. უფალმა სული საიქიოს ასე გაგიგრილოს, როგორც ამ ღვინომ მე გამაგრილა...

გიგა. გასწი ჩქარა!.. დედოფალი და ოთარ-ბეი მობრძანდებიან!!.

ბესო (სიჩქარით გადახტება). ნუ გეშინიანთ, ძმებო, ნუ გეშინიანთ, მე ყველას გაგამართლებთ!.. (მდერის და შემდეგ გადის—შემოდიან ზეინაბ და ოთარ-ბეი.. ორი დარაჯი).

გამოსვლა მეოთხე

ოთარ-ბეი. გიგა... გარშემო დადექით... სიახლოვეს არავინ მოუშვათ... დედოფალს ტყვეების გამოკითხა ნებავს!.. (უგელა მოშორებით დადგებიან.., ზეინაბ და ოთარ შევდიან ნანგრევებში. ანანია და ირაკლი ფეხზე წამოდგებიან).

ზეინაბ (ფრმა სიუვარულით უტქერის ირაკლის). საცოდაო ბავშო, როგორ გამოცვლილხარ... განა ბორკილმა დაგამძიმა?

ირაკლი. ბორკილი კი არა, დედოფალო, უსამართლობა ლოდივით მაწევს!.. რისთვის შეგვიპყარ, გვაწვალებ და საჯალათოთ გვამზადებ?.. წრფელის გულით ნობათი, საუკეთესო ცხენები მოგართვით... ჩვენ რა დამნაშავე ვართ?.. ასე რად გვეპყრობით?..

ზეინაბ (ოთარს). ხედავ, თვალები როგორ მეფურის მრისხანებით უელვარებენ! (ირაკლის—ვით ომ გულ-მოსული) შეჯაჭულო მონავ, დედოფალთან ეგრე ლაპარაკს როგორა ბედავ!

ირაკლი. (ძლიერად) მე მონა არა ვარ! მართალს ვამბობ. რისთვის შეგვბორკე?.. თავისუფალი უნდა ვიყო! სულ ერთია ჯალათამდის ვერ მიმიყვან... დარაჯებს ვეცემი!.. დაე ამკუწონ!.. თავისუფალი უნდა ვიყო!!.

ზეინაბ. ჯალათისა გეშინია?..

ირაკლი (ოდელვებული). არაფრის არ მეშინია... მაგრამ მაინც თავისუფალი უნდა ვიყო...

ზეინაბ. და იქნები კიდეც, ჩემო შვილო! უფალმა გიხსნას შენ ყოველის განსაცდელისგან, ჩემო მამაცო!..

ირაკლი (გახარებული). არა ხუმრობ, დედოფალო? მერე როდის? ახლავე?!

ზეინაბ. ახლავე, ჩემო არწივო!! ახლავე, ჩემო იმედო, მშვენებავ, ბედნიერებავ. (ეხვევა) ოთარ!.. შეხედე ამას... ლოყებზე ვისი სისხლი აუთამაშდა... ეგრე ვისი თვალები ელვარებდნენ...

ოთარ (ადელვებული). ვხედავ, დედოფალო, და მაგისთვის თავსაც გავწირავ!!.

ირაკლი. რას ნიშნავს ეს? მამა?

ანანია. მეც შენთვის მოვკვდები, ჩემო სულის ძევ!!.

ზეინაბ. მეშინია, ოთარ, გული არ გასქდეს!.. ოცი წელი ველოდო და ერთ ღამეს კი ყოველივე აღსრულდეს?! ოცი წელი ვპირ-ფერობდე და ახლა ერთ-წამს ყოველივე ხვაშიადი გამოვაქვეყნო?!. ოცი წელი ვიწამო და ახლა ერთიანად ასეთი ბედნიერება?.. ანანია, დაგლოცოს უფალმა, როგორც მე გლოცავ!! (ბარბატებს... ირაკლის მოხვევნით თავს შეიმაგრებს) კმარა! ყოველივე ამაღამ უნდა გათავდეს, თორემ გვიან იქნება! მისმინეთ სამივემ... აა... გასაღები...

ირაკლი (გამოსტაცებს და უნდა ბოჯკიდი შეიხსნას). ოჰ, დედოფალო!!

ზეინაბ. გულზე შეინახე, გიჟო ბავშვო... და მომისმინე... მე და ოთარმა... სპარსელები სხვა და სხვა მხარეს გავგზავნეთ, მაგრამ ზოგიერთნი კიდევ ჩვენს ბანაკში დარჩნენ... თუ ვინმე მათგანმა თქვენი გაქცევა შეიტყო... ყველა დავიღუპებით!...

ირაკლი. განა უნდა გავიქცეთ?

ზეინაბ. მბრძანებლობას შეეჩვევი, ჩემო ყრმაო, ახლა კი დაგვემორჩილე.. როდესაც ჩვენ ავბანაკდებით... დარაჯები წინანდებურათ გარს შემოგეხვევიან!.. ეს ორი თქვენ მაგიერობას გასწევენ აქა... თქვენ კი იქ ხევში დაიმალენით... ბორკილები შეიხსენით... და როდესაც მთელი ქარავანი თვალთ მიგეფაროსთ... მაშინ ჩადით მტკვრის პირად... იქ ტივი დაგხვდებათ... მეტივეთ საბა სალოსის სახელი უხსენეთ... და შუალამემდის თბილისში ჩახვალთ...

ირაკლი. თბილისში... და იქ... იქ... ყველანი... ვინც შენთან არის... იქ... იქნებიან?..

ზეინაბ. ვინ ყველა?..

ირაკლი (აღელვებით). მტერნიც და მოყვარეც?!

ზეინაბ. ყველანი, ჩემო შვილო!.. მზე ჩადის!.. ჩვენც მალე ციხეს მივაწევთ... ოთარ, კიდევ გეკითხები: შენი კაცები ხომ სანდონი არიან?..

ოთარ. ყველანი, მეფევ!..

ზეინაბ. მაშ ახლა, ირაკლი, შენ ხელთ არის ბედი საქართველოსი და შენი ბედიც!.. დიდებულ ღვაწლისთვის მზათა ხარ?..

ირაკლი. (ვერ გაუგია, აღელვებით) ბრძანე, მეფევ!

ზეინაბ. დიახ, მეფე დღეს... მაგრამ ხვალ... ხვალ... მაშ ყველამ იცოდეთ, რაც მე და ჩვენმა სარდალმა ვიცით!! ყველა ხევში, ყველა ტყეში, ყოველ მობერულ ადგილს, საქართველოს ყოველის კუთხით სულეიმანის ბუდის დასანგრევათ მოხლვავდა ხალხი!..—დიდი ხანია ამას ვამზადებდი და ყოველივე კიდეც მზათ არის!! თბილისზე რგოლივით შემოწნული ვართ და ამ ბუდეს ვუცქერით... თვით თბილისში, ციხეში და მეტეხის კლდის ძირში ვისაც კი ხელში იარაღის დაჭერა შეუძლია, ამაღამ ვერ დაიძინებს... სამი დღის წინად შენმა შვილმა, დათომ შეკრიბა სამი ათასი მთიული და მოჰყავს აქეთკენ: ღამ-ღამ სიარულით, ფრთხილად, მალულად ორბელიანი დასუმბათი თავიანთ კაცებით დასავლეთით თბილის მოადგებიან! იმავე მხრით ბორჯომის ხეობის და ახალციხისა მკვიდრნი მოვლენ... შეინძრა ქართლი და ამაღამ ჩუმად ქალაქს დაესხმის!..

ანანია. მაშ ქართველთა გულში მრისხანება დამწიფებულა!..

ოთარ. მოდის მუხრანი, მოზუზუნებს ფშავ - ხევსურეთი, მოჰქრის კახეთი.

ირაკლი. და რაღას ვიცდით? ეხლავ შევესიოთ, გავანადგუროთ!!.

ზეინაბ. ოჰ ჩემო არწივო!.. ეგრე ფრთებს ნუ შლი! არ შეიძლება!.. საკმაო ირაღი არა გვაქვს.. არ გვაქვს წამალი... და ციხეში კი ოჰ... შენ მეტეხის ციხე არ გინახავს... არ იცი, ციხე სავსეა იარაღით, წამლით, სურსათით... იერიშით ვერ

ავიღებთ... შიმშილით ვერ დავიმორჩილებთ, წყურვილითაც ვერა, რადგან თვით ციხეში წყალი აქვსთ... შეცდომით ერთი ნაბიჯი და მხსნელნი ქვეყნისა დაიღუპებიან და სამშობლო გათელილი დიდ-ხანს დარჩება... არა! არა! გველი მის ხვრელში უნდა გაისრისოს!!!

ანანია. მაშ, რას ვეწიოთ? დედოფალო!

ზეინაბ. დამონებული, გაცამტვერებულის ხალხის სულიმანს არ ეშინია... შაჰინშჰას წინაშე თრთის იგი, იმასთან დაბეზღების—იმისი რისხვის ეშინიან! მე იმას სხვა-და-სხვა ამბებით გავართობ... და ამ დროს ოთარმა უნდა დარაჯები შესცვალოს... სადაც სპარსელებია ჩვენები იქ ჩააყენოს... ამაღამვე სასახლის ყველა კარები ჩვენების ხელში უნდა იყოს! მე და ოთარი მაშინ ქვე-მძრომის გვერდით ვიქნებით და შენ, ირაკლიმ, ჩემა შვილმა—შხამი იმას უნდა ამოსთხარო! ანანია, შენ ეს იხსენი მაშინ, შენვე ამ დიდებულ ღამეს, დიდებულ საქმისთვის წინ წაუძღვები... შენთვის, ჩემო ერთგულო გლახავ, სხვა საჩუქარი არაფერი მაქვს!..

ანანია (სიხარულით). ბრძანე, ბრძანე, დედოფალო!..

ზეინაბ. იმავე გზით, რა გზითაც იმ ღამეს ეგ წაიყვანე, ამაღამ მეტეხში ამ ძლიერ მეომარს შეიყვან...

ანანია. ეგრე, ეგრე, ჩემო ხელმწიფევ!..

ზეინაბ. ამისმა ხელმა მეტეხის წამლის საწყობი უნდა აფეთქოს... იმის ცეცხლის სვეტი ჩვენ ჯარებს გზას გაუნათებს... და ნაწამებ ხალხს თავისუფლების სხივებს მოჰფენს! .

ოთარი და ანანია. ეგრე, ეგრე, დიდებულო შეფევ?

ზეინაბ (ღრმა კრძნობით) ჩემო შვილო, რასაც მე ამაღამ შენთვის გადვიტან, სიკეთით უფალმა იგი მომიზღას. თვით გააფთრებულ სიკვდილს, დედა თვის შვილს ხელიდან გამოგლეჯს და ნუ თუ მე შენთვის მღერთს ვერ გამოვსთხოვ მტერზე ძლევა ამაღამ მოგცეს? შენთვის მშობელმა დედამ თვისი ღირსება, უკვდავი სული გასწირა! უცოდველი ყრმა შენთვის მოკვდა!.. სამეფო გვირგვინით უფალი შეგამკობს და წმიდა ჯვრის აღსადგენათ მახვილს ხელთ მოგცემს!.. დაიმსახურე ეგ

გვირგვინი, უცოდველის სისხლით შეისყიდე... და ღვთისა წინაშე შენი მშობელი შენ გაამართლე!

ირაკლი (დაბნეული). დაიცადეთ, დედოფალო, მამა?.. ვისთან? ვის? ვინა ვარ მე?..

ზეინაბ (დაუჩოქებს). შენა ხარ ჩემი მეფე და ჩემი შვილი... ეს ბორკილები დღეს შენთვის მეფური სამკაულია... და როდესაც შენ შუბლს სხივოსანი გვირგინი მოევლება ამ ჯაჭვით ჩემ სხეულს შევზღუდავ.—დაუღალავათ ვილოცებ... შენთვის უფალს სიკვდილამდე ვეეედრი. (ადგება) ხვალ ვერავინ იტყვის — ეგ ყრმა მეფედ საიდამ მოგვევლინაო... სამშობლოს ძლიერი მხსნელი, ვით ცით მოგზავნილი ანგელოზი, თვის მამისა ტახტს ზე მოევლება და მეფის პორფირი სასახელო სიმოსლათ გარს მოგეხვევა. ხვალ სამეფო ტახტზე ისე დაგლოცავ, როგორც ახლა სასტიკი ბრძოლისთვის გზას გილოცავ..

ირაკლი (ანთებული). შენი შვილი ვარ? საქართველოს მეფე? დედოფალო. ოჰ. ჩემო დედა! რასაც მიბრძანებ ყველაფერს ავასრულებ. ჩქარა—შორს ეს ბორკილები... სულს მიხუთვენ!

ოთარ-ბეი. (დაიჩოქებს). მაპატიე ჩემი შეცოდებანი, მეფევ. ამალამ შენ სამსახურს თავს შევსწირავ!.

ანანია (დაიჩოქებს). ჩემო მეფევ, ხალხს კეთილ მამათ მოევლინე, ი ე როგორც ხალხი იყო შენი მამა. ენაცვლე იმას, როგორც ჩემი შვილი იმ მრისხანე ჟამს შენ დაგენაცვლა!

ირაკლი (ითრთოლებული). დაე დაიმსხვრას ეს ბორკილნი... მეფე და შეჯაჭული!. ჩქარა, ჩქარა, მეთქი.

ოთარ-ბეი (ადგება) ახლავე. ხელმწიფევ...

ირაკლი. მე ხელმწიფე?. მე... მე ჭკუიდამ შევიშლები...

ზეინაბ (შეკრთება). ანანია... დღეს ეგ ისე დაიცავი როგორც ოც წელს იცავდი!.

ანანია. გჯეროდეს მეფევ, უვნებელს ვყოფ!!

ზეინაბ (თვალებს იწმენდს). წავიდეთ, ოთარ... მშვიდობით შვილო! მშვიდობით ჩემო სისხლო... ღმერთი თვის მოსავს დაიფარავს! (ეხვევა და კამოვლენ ანგრევიდამ).

გამოსვლა მესამე.

ოთარ (მცველებს). აქეთ მოდით... გიგა, მეთაურად შენა ხარ! გახსოვდეთ ჩემი ბრძანება... კარგათ უთვალ-თვალედ... ეხლავე ავბანაკდებით„ (გადის. ისმის ხმა სცენის გარედამ: „ცხენებზე! მივდივართ. დრუბლები მატუდობენ, დამდება, გრგვინვა უფრო ახლოს ისმის, ხმაურობაა ჯარის და იარადისა... სცენაზე ნაბდიანი და ხოხიანი ჯარის კაცნი გამოიყვლიან!.. ხეობის მხრიდან რუქია გამოჩნდება.—ნაბადი ახურავს და ბაშლუეთ სახეს იფარავს!.. ხმები: „ჩქარა ცხენები“!.. „მეფეს მოართვით ცხენი“!.. ოთარი: „იბნ სად!.. წაიყვანე შენი კაცები და გზა დაათვალიერე“. ბესო. შემოდის და წაწყდება რუქიას. ამ დროს გიგას თავის კაცებით ნანგრევებიდამ ტყვეები გამოჭყავს).

გამოსვლა მეოთხე.

ბესო. ძმობილო, ოთარ-ბეი ხომ არ მეძახის?

რუქია (ნანგრევებისაკენ გადირბენს). არა!

ოთარის ხმა. სად არის ბესო? ბესო! (სხვა-და-სხვა ადგილ იძახიან: „ბესო“, „ბესო !).

ბესო (მირბის). აქა ვარ ჩემო ბატონო. ყველგან გეძებთ! (გარბის. რუქია კერევა მცველებში).

გიგა (მრისხანე ხმით). იქით, იქით!.. აქ ტყვეებია! (მეხის ხმა. ძალიან დამდება).

ოთარის ხმა. გიგა! მარჯვეთ. ტყვეები არ გაგექცეს!.. დაღამდა!.

გიგა (კასძახის კულისებში). ვაგებ პასუხს, დიდო ბა-ტონო... (რუქია შეირბენს ნანგრევებშა, იმალება). ბორკილი შეიხსენით?..

ანანია (ჩუმად). შევიხსენით!

გიგა (ჩუმადვე). ბუჩქებში ჩაიმალენით... ჩქარა! წმიდა გიორგიმ გიხსნათ! (ხმა მაღლა) შემოესაფრეთ ტყვეებს... (გაჰ-ყავს ნანგრევებიდან. რუქია მარცხნივ... კლასა და ირაკლი ხევში

იმალებიან... ხმაურობა თან - და - თან სუსტდება... ხანგრძლივი გრგვინვა).

გამოსვლა მეხუთე

დათო (შემოდის და მიდის მამასთან და ირაკლისთან) მამა!

ანანია. დათო!

ირაკლი. მამაო! (რუქიას გამოსვლა უნდა, მაგრამ შენიშნავს ამაო და ისევ იმალება).

დათო (ჩქარა). აქა ვარ ჩემის კაცებით—მოწინავე ჯარი კიდეც თბილისისაკენ დაეშვა. ამალამ ციხეს შემოერტყმიან!?

ანანია. ბევრნი ხართ?

დათო. ვინ დასთვლის?—ყველა ამხედრდა! ჩვენი ადგილებიდან ათასობით წამოვიდნენ! ოთარიც ხომ ჩვენია. ნახავ-რა სეირი იქნება!..

ირაკლი. შენც ციხეში შემოხვალ?

დათო. ბრძანება გვაქვს, როდესაც ციხეს აიფეთქენ—ყველა მაშინ უნდა მივესიოთ... ვინ აფეთქებს? არ იცით?

ირაკლი. მე და მამა!

დათო. მეც წამიყვანეთ!

ანანია (ჯავრობს) დაიკარგე იქით! ცულლუტო! მაშინაც კინალამ დაგვღუპე. ერთი მითხარი, აქ რას გვებლანდები?

დათო. მივდივარ, მივდივარ! მაშ ასაფეთქად არ წამიყვანთ? არა? რა გაეწყობა, მივდივარ. მეც გავიჩენ საქმეს. ვინც ჩემზე ადრე სულეიმანს ფეხთ ქვეშ იგდებს, იმას საქმე ჩემთან ექნება! მშვიდობით... ჩვენი ხმლების ლეკურის თამაშზე ერთმანერთს შევხვდებით! (გაიქცევა).

გამოსვლა მეექვსე

ანანია!. გიჟი! გიჟი! ბატონიშვილო, ეი პატრუქი ასაფეთქად. მეც ამისთანა მაქვს. კვესი და კაჟი ხომ გაქვს?..

ირაკლი. ყოველთვის!

ანანია. სსს... ჩუმად. მიწყნარდა, მაგრამ ჩამორჩენილნი არსად იყვნენ? (იცქირება).

ირაკლი. ტივზე! ტივზე გავწიოთ!

ანანია. ჯერ ადრეა... სანამ კარგათ არ დაბნელდება ტივს ვერ დავძრავთ. შეგვამჩნევენ!.. ახლა კი ძომისმინე, ჩემო ბატონიშვილო, რა მოგახსენო!

ირაკლი. სთქვი.

ანანია. მეტეხის ძირში ტივიდან ჩამოვალთ. წყალი ჩქარია, მაგრამ მე და შენ ადიდებულ არაგვში რამდენჯერ გავსულვართ, და რა გვიშავს.. პატრუქი, კვესი და კაჟი ქუდში შეინახე, არ დასველდეს!

ირაკლი. ძალიან კარგი!

ანანია. თვით მეტეხში—საიდუმლო შესასვლელით ავალთ კლდეზე!... მეტეხის აკლდამებში წამლის საწყობს მივადგებით. აი ამ გზით—გიხსენი მაშინ, როდესაც სულეიმანმა თბილისი დაიპყრო და შენც მოკვლიდა!

ირაკლი. ოჰ! მაშ დღეს იმის ხელიდან გამოვგლეჯ!

ანანია (კაკვირვებით). ვისა?

ირაკლი (გაახსენდება). ვისა? დედას, მშობელ დედას.

ანანია. ეგრე, ბატონიშვილო! დედასაც და მთელ ხალხსაც. როდესაც პატრუქს მოუკიდებ... გამოიქეცი იმავე გზით... მეც იქ ვიქნები... სანამ ნახევრამდე დაიწოდეს ჩვენ ისევ მტკვარზე ჩამოვალთ... ისევ წყალში და ჩვენებს შევუერთდებით კიდეც. ამ დროს ციხეს ჰაერში სტყორცნის! იქაურობა განადგურდება და ჩვენც მტრებს მივესევით!..

ირაკლი. მზის ამოსვლამდე მე იგი ხელთ მეყოლება.. აი ამ ხელებში... მამა! ჭკუიდან შევიშლები. ნეტარებისაგან მეშინია გული არ გასქდეს!.. მითხარი მამა, მეფე ვისაც ინებებს ცოლად ხომ შეირთავს?..

ანანია. დღეს მტრის სისხლით გავძღეთ და მერე ღვთით შენს ქორწილზე ღვინოს გადავკრავთ! დედოფალი ისეთ საცოლოს გიმზადებს—მთელს ქვეყანაზე პირველი არის... გაიანეს... ოთარის ქალს!

ირაკლი. რას ამბობ, მამა... გაიანე?..

ანანია. მაპატიე, ბატონიშვილო, ახლა მაგისი დრო არ

გვაქვს... გარემოს დავხედავ... აქ მომიცადე... ფსტვენა რომ გაიგონო, წყალზე ჩამოდი... გზა თავისუფალი იქნება... (გადის მარცხნივ).

გამოსვლა მეშვიდე

ირაკლი (ნანგრევებთან ჩრდილში დგას). არა! არა!.. გაიანე ხომ?!. დათო ამბობდა.

რუქია (ნანგრევებიდან ჩუმად). ირაკლი!

ირაკლი. ვინ არის? (გასტერდება).

რუქია. ირაკლი! ეს მე ვარ, რუქია! (ირაკლი ნელა დაიკიდებს და მივარდება).

ირაკლი. ეს შენ, შენა ხარ.. ჩემთან?... აქ... ოჰ! რომ იცოდე, ეს ხუთი დღე რა წვალებით გავატარე?.. ახლა ჩემთან ხარ! ოჰ! ეს შენი ხელებია... შენი სახე... ეს... შენ... შენ. (ჯოტნის და ეხვევა).

რუქია. (უცებ ხელიდან გამოეცლება). მოიცა!.. ყოველი წუთი ახლა ძვირფასია!.. ჯერ ააჰ, შენ! (მივარდება და ხანგრძლივ ჭოტნის). ახლა სიკვდილამდის ჩემი ხარ...

ირაკლი შენი... შენი...

რუქია. მინდა, რომ ყოველთვის ჩემი იყო—იქნები კიდეც.. გამიგონე... ღალატი შემზადდა... სულეიმანს ღალატობენ... მეც მზვერავდნენ და ვერ მოვახერხე ფეხ-მარდის გაგზავნა... ალ-რაზაყი ცოცხალი ყოფილიყო გავგზავნიდი და ყოველივეს ვამცნობდი. მაგრამ ალ - რაზაყი უნდა მოგვეკლა, თორემ არ მაცოცხლებდენ...

ირაკლი. ოჰ! ახლა ნურასი გეშინია! ჩემთან ხარ! შენ არცკი იცი ვის უყვარხარ... მე გავსრეს სულეიმანს.. მტვრად ვაქცევ...

რუქია. შენა? (ნელა ჩაიცინებს)... შენ იმაზე უკეთ კოცნა იცი, მაგრამ მტრის გასრესა შენზე უკეთ იმან იცის!. არა, არა... კი ნუ ვემუქრებით... იმასთან გავიქცეთ... ახლავე.. ჩემთან ერთად... ყველაფერი გავიგე.. ქალაქში შესვლა უნდათ, კარები მეამბოხეთ და მოღალატეთ უნდა გაულონ... არა! არა!

ამათზე ადრე მე მივალ, როგორც მშველი ამ მთას ისე მოვევლები და იქ გავჩნდები.

ირაკლი. მაინც... რუქია... შენ არ იცი... ქალაქში ვერსაიდამ შეხვალ... ყველგან ჩვენებია...

რუქია. მართლა? „საბა სალოსიც“? (იტინის) ოჰ!.. ზეინაბ!.. ცბიერი ხარ, მაგრამ ყველაფერი შეტყობილი მაქვს!.. ყველა ჩემ ხელში ხართ!.. ციხეში შესვლა გსურსთ?. ოჰ! ყველანი შეხვალთ, მაგრამ ყველას აგკუწვენ და დედოფალს კი... მეტის პატივით მოვეპყრობით... მე იმას ფეხთ ქვეშ ჩავიგდებ... ფეხით დავახრჩობ!.. რა გემართება?

ირაკლი (სიკვდილის ფერი დაედება. გიჟის გამოხედვით) არა... რუქია... შენ არ იცი...

რუქია. რა არ ვიცი? მე ვიცი რომ შენ, განთავისუფლებულს შეგხვდი! პირდაპის თბილისს გავსწევდი... მაგრამ შენი ნახვაც მინდოდა, ახლა გავსწიოთ სულეიმანთან... ის შენ გაგაბედნიერებს... მე ცოლად ამიყვანს... და შენ კი მეყვარები... გავიქცეთ, ესენი ნახევარ გზას ვერ გაივლიან და ჩვენ ამ მთით კი იქ მივასწრებთ! აი... ხედავ შავზოლს... ისინი მიდიან და დედოფალს ჰგონია, რომ ჩარდახიან. ურმით მეც თან მივყევარ... (იტინის). წადით, წადით... ვერა ხედავ?! ოჰ... მე ღამე როგორც კატა ისე ვხედავ... წადით... იქ... დაგხვდებით... გავიქცეთ... ბედნიერება ხელთ ვიგდოთ და არ დაგავიწყდეს „საბა სალოსი“! (იტინის).

ირაკლი. მოიცა, რუქია... არ შეიძლება... არ შეიძლება!

რუქია. რა არ შეიძლება?..

ირაკლი. არ იცი, ვინა ვარ... და რას უნდა ვეწიო? არ იცი, ვისი დაღუპვა გსურს? ის ჩემი დედაა, რუქია!!

რუქია. რას ამბობ! ბოდავ?

ირაკლი (ძლიერად). არა, რუქია!.. სულეიმანმა მამა მომიკლა... ჩემი მოკვლაც უნდოდა... ანანიამ მიხსნა... მამა მეფე იყო... დედოფალი, ოთარი და ის მოხუცი აი აქ... ჩემ წინ დაჩოქილნი იყვნენ... ყველაფერი მზათ არის... მე დღეს უნდა მეტეხის ციხე ავაფეთქო!.. ჩემი ხალხი თბილისს მიესევა,

სულეიმანი მთელის თვისის ჯარით აღმოიფხვრება... სამშობლოს მეფედ გავხვდები და შენც ჩემ გვერდით იქნები...

რუქია. გაგიჟებულხარ!

ირაკლი. არა, ჩემო სიცოცხლევ!.. არა! ჩემო თვალის სინათლევ! როცა შევიტყე ვინა ვარ მე... პირველად შენ გამახსენდი. . იმათ სურთ ოთარ-ბეის ქალი შემრთონ!!

რუქია (ვითომ და ეჭვით). ააჰ!

ირაკლი, მაგრამ მეფის სურვილს წინ ვინ აღუდგება?.. მხოლოდ შენ, შენ დაგაგვირგვინებ; ჩემი სამეფო და მეც შენ წინ თავს დავიხრით...

რუქია. დაიცა, დაიცა... (ჩფიქრობს წარბებ შეკმუხვნილი) შენა ხარ მეფე?.. შენ, ბავშვი, და მეფე? ზეინაბი შენ... და მე კი... (დაიწყებს ხარხარს).

ირაკლი. ნუ იცინი, რუქია! მე ბავშვი აღარ ვარ?

რუქია (უცებ). შენ გატყვილებენ, დაგცინიან, ბავშო!. შენ მეფე? განა მეფეებს სასიკვდილო საქმეზე გზავნიან?.. მისი შვილი ხარ? განა დედა თავის შვილს მთელ კვირას ბორკილებით შეზღუდავს?. განა დედა თავის შვილს ციხის აფეთქებას მიანდობს, რომ აფეთქების წამს ქვებს ქვეშ მოჰყვეს და ცოცხლად დაიმარხოს?.

ირაკლი (დაბნეული) არა... არა... ანანია ჩემთან იქნება... იმას ვუყვარვარ!

რუქია. აკი სთქვი, რომ იმისი შვილი არა ხარ... მისი შვილი გაიქცა და იმის-მაგიერ შენ დაგიჭირეს...

ირაკლი. მაგრამ... იმან მკვლელობა თავის თავზე მიიღო...

რუქია. და გაიქცა... შენ კი დაგიჭირეს... და ახლა შენს გამზრდელს ასაფეთქათ მიყევხარ... თვითონ გამოიქცევა და შენ კი ნაკუწ-ნაკუწ იქცევი... ვისთვის ხარ საჭირო... ვის უყვარხარ?.. მხოლოდ მე! (კოცნის) დაიცა... სწორედ... სწორედ შენზე... შენზე ლაპარაკობდნენ ოთარ-ბეი და დედოფალი...

ირაკლი (დაკარგული). რასა?!

რუქია. სწორედ ახლა მივხვდი! (ვითომ და იხსენებს) დაიცა... გავიხსენო?... ოჰ... დიახ... „ნაბიჭვარი მეტეხს აფეთქს“!...

ირაკლი (შეაძიგძიგებს). ნაბიჭვარიო!!

რუქია. დიახ, დიახ და მე კი ეს ნაბიჭვარი ყველა მეფეებს მირჩევნია!.. არ მივცემ ნებას დაგლუპონ!.. თვითონ დავლუპავ... შენ მაგიერ შურს ვუგებ, ჩემო საყვარელო, ჩემო გულო, ჩემო სიცოცხლევ!! (ჩეოტნის და თან იტინის) მეფე რომ ყოფილიყავ, განა ზეინაბი ჩვენს შეუღლებას დასტურს დართავდა?! მხევალი შეგერთო ნებას მოგცემდა? ის მე მომწავლავს! მაგრამ ეს ყოველივე ტყუილია!—იმას დიდი ხანია ოთარბეი უყვარს... იმისი გამეფება უნდა!.. ოჰ... მე ვიცი, ყველაფერი მესმის... მაგრამ... შენ თავს ვერ წამართმევენ!.. სანამ ცოცხალი ვარ ვერ დაგლუპვენ... მე გიშველი... ჩემო ღმერთო, ჩემო დიდებავ!

ირაკლი (თვალებში უტქერის). მომატყვილეს! ოჰ! დაწყევლილნო! (ისმის სტვენა).

რუქია. ეს რა არის?

ირაკლი. ანანია მეძახის!

რუქია. საით?

ირაკლი. ტივებისაკენ!

რუქია (ხელებს მოხვევს). დაე წავიდეს... შენ ჩემთან წამოხვალ.

ირაკლი. რუქია, უკანასკნელად... შემომფიცე, რომ გიყვარვარ?.

რუქია. რომ არ მიყვარდე—არც გიშველიდი (ჩეოტნის. ისმის მეორეჯერ სტვენა) ისტვინე... გზას უშენოთაც მოვნახავთ...

(გაიქცევიან)

(ფარდა)

იგივე დეკორაცია, რაც პირველში, დამეა. ხშირი ელვა. ხან-და-ხან გრგვინვა.

გამოსვლა პირველი

სულეიმან (ტახტზე წამოწოლილი, ყარა-უსუფი და შორსისახარ). დღეს მიდამოებში ბევრი დაუჭერიათ?

ყარა-უსუფ. ოთხმოცდა ათი კაცი, დიდებულო და სხივოსანო! ეს არის ოთარ-ბეის მდევარი მოვიდა და გვაცნობა ერისთავს კიდევ ორმოცდა ათი თან მოჰყავსო!

სულეიმან. შეიარაღებულნი რით იყვნენ?

ყარა-უსუფ. რკინით მოჭედილი კომბლებით, ცელებით! ხანჯლები და ხმლები ძალიან ცოტას აქვსთ... თოფი კი მხოლოთ ოთხ კაცს!

სულეიმან. და ამისთანა იარაღით ჩემზე მოდიან?.. რას ამბობენ? რისთვის ვგროვდებითო?..

ყარა-უსუფ. ზოგი—საოჯახო საქმისთვის მოვდივართ ქალაქშიო, ზოგიც—სავაჭროთაო... მხოლოდ ერთმა ვერ გაუძლო წვალებას და მუქარას მოჰყვა!..

სულეიმან. მაინც?

ყარა-უსუფ. რეგვენობაა, დიდებულო მბრძანებელო! ლაქლაქებდა—ქრისტეს ჯვარი ყველას გაგჟლეტთო! ღვთის რისხვა მალე მოგევლინებათო... სიკვდილის წინ ყველა ეგრე გაიძახის! (გრგვინვა).

სულეიმან. დედოფალი გვატყობინებს: ორბელიანი და სუმბათი მოსკოვის მეფესთან გაიქცნენ... დახმარებას სთხოვენო!

ყარა-უსუფ. მოსკოვის მეფე შორს არის! მზეო აღმოსავლეთისავ!

სულეიმან. მოსლემინთა გაწყვეტის დროც შორს არის!

ისახარ (სიდრმიდან). აი... ახლოს არის...

სულეიმან. ისახარ! რას ამბობ?

ისახარ. ცხენის ფეხის ხმა მომესმა... დედოფალი მობრძანდება.

სულეიმან. ყარა-უსუფ... ორბელიანის კაცების ასაკლებად რომ ჯარი გავგზავნე... დაბრუნდა?

ყარა-უსუფ. ჯერ არა!.. დიდებულო მეფევ!

სულეიმან. დაბრუნება მესამე დღეზე ვუბრძანე... დღეს კი მეხუთეა..,

ყარა-უსუფ. სწორეთ მეხუთე, სხივოსანო მზევ! მაგრამ ცუდი ამინდებისაგან...

სულეიმან. მშიშარა ლეკვო, ამისთანა ამინდებში მე ათასი კაცით ინდი გავცურე და ქვეყანა დავიპყარი!.. თუმცა მაშინ მზე ასე არ იყო შავი!

ისახარ. ის კიდევ მალე გამოანათებს!

სულეიმან. რას ამბობ, ისახარ?

ისახარ. მე ვამბობ, მალე გამოანათებს... ამისთანა ღამის შემდეგ...

სულეიმან. იგი მოფარებული ღრუბლებით კი არ არის... ღალატით!.. ყარა-უსუფ, რასა გწერს ერევნის სარდალი? (ყარა-უსუფ შეშინდება და აცახცახდება) რასა გწერს?

ყარა-უსუფ. ვარ... ვარსკვლავო ჩემო... წერილი არ მიმიღია!..

სულეიმან. მაშ მიიღე... დიდიხანია, მგონი, ამ პასუხს ელი... (ყარა-უსუფი ძლივს მიდის, კამაცრთმევს წერილს და დაეტემა მუხლებზე).

ისახარ (თავისთვის). თაგვები ცეცხლს გაურბიან! (მიდა) დიდებულო ხელმწიფევ, ჯალათებს დავუძახო?!

ყარა-უსუფ (ძლივს). ქვეყნის მპყრობელო... არა გღალატობ... იმათი გამოცდა მინდოდა... შემიბრალე...

სულეიმან. როგორ?.. (გრგვინვა).

ყარა-უსუფ. (ფეხთხვეს). შემიბრალე... შემიბრალე...

სულეიმანს. შენი სიბრძნე სადღაა? ყარა-უსუფ, ჩემო ვეზირო... იქვე განა სადაც შენი ერთგულებაა?

ისახარ. ჯალათებს დავუძახო, დიდებულო?

ყარა-უსუფ. შენი მტრების ამბებს ყველაფერს მოგახსენებ!.. ყველას გავამჟღავნებ!..

სულეიმან. სთქვი!

ყარა-უსუფ. ამ დღეებში აქ შაჰინშჰას ელჩი ჩამოვა! შენ იმას ქალაქის კარებში უნდა მიგებებოდი და მაშინ მოკვლას გიპირებდნენ!

სულეიმან. რატომ აჩქარდი და ეგ ამბავი გამაგებინე! აქეთ მოდი... შენ ჩემთვის საჭირო ალარ ხარ... ჩემი ღალატისთვის დასჯა დაიმსახურე და იმათი ღალიტისათვის კი შებრალება... შენი ხსნა მხოლოდ ალლაჰს შეუძლია! აი შენი გზა!

ყარა-უსუფ. ხელმწიფეე... იქ... იქ... წყალია... წვეტიანი ქვები!

სულეიმან. ბედი თუ გწყალობს... გადარჩები! (გადავარდნას ხელით უთითებს).

ყარა-უსუფ. (ფეხებში დაუვარდება). შემიბრალე... შემიბრალე .. (სულეიმან უთითებს. ყარა-უსუფ გადავარდება).

სულეიმან (გადხედავს). ჩაიჩქმალა!! ჩემი მტერნი ყველა ეგრე დაიღუპებიან!.. (მეტეხზე უთითებს) სანამ მეტეხი თბილის გადაჰყურებს, ჩემ დაღუპვას ვერვინ შეიძლებს!!

ისახარ. უფრთხილდი მეტეხს, დიდებულო, მეტეხს უფრთხილდი!

სულეიმან (მიუბრუნდება და თვალებში უცქერის). რა სთქვი?

ისახარ. უფრთხილდი მეტეხს .. იქ ჯარი გყავს... იქ შენი თოფ-იარაღი აწყვია... უფრთხილდი მეტეხს!

სულეიმან (ხელს დაუკრავს). სთქვი, ბებერო! რა იცი?..

ისახარ (უხმოდ იცინის). ქვეყნისა მპყრობელო! ჩემი ძვლები დიდი ხანია დასვენებას თხოულობენ!.. წამებით ვერას მატკენ! დედამიწაზე ალარავინ მებრალება... დიდი ხანია ვით საფლავის ქვა მარტოკა ვარ!.. და ველარ შემაშინებ!!

სულეიმან (უფრო ძლიერად უჭერს). რა იცი?

ისახარ. სულეიმან-ხან, ნახევარი მსოფლიო დაიპყარი... მაგრამ მე ვერ დამიპყრობ... არარაის დაპყრობა შეუძლებელია... მე არარა ვარ!!

სულეიმან. არარა?

ისახარ. ჩემსავით არარათ გადაიქეცა და შენაც ვერც სიკვდილი, ვერც მტერი, მუქარა და შაჰინშაჰ ვერ შეგაშინებს! როცა რამ მქონდა, მეც ვშიშობდი: შვილები მყვანდნენ—მათთვის ვთრთოდი... ქალები მყვანდნენ—მათ პატიოსნებას ვიცავდი... იყო ოჯახი, მიყვარდა იგი... შვილი ცხენმა გასრისა!..

სულეიმან. შენი შვილი?..

ისახარ. დიახ... ამოდენა იყო...

სულეიმან. როდის?

ისახარ. დიდი ხანია! ქალებს ნამუსი ახადეს!.. ოჯახი დამიწიოკეს!... ალარაფერი შემარჩინეს, მეც არარად გადვიქეცა!.. (იტირის) რა საჭიროა ღალატი... ბრძოლა... საჭიროა მხოლოდ ლოდინი და ყოველივეს მოესწრები!..

სულეიმან. დედაბერო, შენ ბოდავ!.. სთქვი რაც იცი!

ისახარ (თითქოს ჩურჩულით). ადი მეტეხში!.. შიში ალარ გექნება... იქ ჯარები გყავს, ცოცხალი კაცი ვერას დაგაკლებს! და მკვდრებისა კი გეშინოდეს! აი ხედავ, ამ ღრუბლებს, მკვდრებისა სულებს... ზეციდან მეტეხს გადმოფენიან და იმათ დაძლევას ვერ მოახერხებ!!.

სულეიმან (შემკრთალი). შენ ბოდავ!!

ისახარ. მიცვალებულთ წინაშე ძრწოდე, უძლეველო და საწყალო სულეიმან... ცოცხალთაგან კი თავი მეტეხში შეიფარე! (შემოვლენ ზეინაბი და ოთარი).

გამოსვლა მესამე

ზეინაბ (უჩოქებს). ველირსე კიდევ შენს ხილვას, ჩემო მფლობელო! უშენოდ განვლილნი დღენი კრულ იყვნენ! ვერც ქარიშხალმა, ვერცა ქარ-ბუქმა ვერ შემაჩერა—მოვიჩქაროდი!

ოთარ. გამარჯვება ყველგან გენახოს, დიდებულო მეფევ!..

სულეიმან. (დამშვიდებით და მედიდურათ) იყავ ბედნიერი, ზეინაბ!.. ალ-რაზაყი ვინ მოჰკლა?

ზეინაბ. რუქიამ... გაიქცა!

სულეიმან. (გახედავს უცებ) როდის?

ზეინაბ, დღეს, დაბინდების დროს! სამი დღე ის გველი ავათ-მყოფობას იგონებდა! ნიადაგ წყალს თხოულობდა... საპატიო მცველები გარს ერტყა. შენგან მოყენებულ ჯაშუშს ბორკილებში ჩაჭედვა ვერ გაუბედე! იქნებ ჰფიქრობდი, ამას ვერ მიგიხვდებოდი!

სულეიმან. როგორ? ქალი გაიქცა, როდესაც მთელი ჯარი თქვენთან იყო? ოთარ-ბეი!

ოთარ-ბეი. ყველგან ფეხ-მარდნი დავადევნე... დავიჭერთ, ქვეყნის მპყრობელო!

სულეიმან. რუქიამ თავისი ხელით მოჰკლა? შენ ეგა ნახე?

ზეინაბ. ოჰ, არა! მკვლელი გაიქცა... დავიჭირეთ მამა მისი და.. (ძაგძაგებულის ხმით) ძმა! (ჩჩქარებით) აქ... მოგიყვანე... და დილამდის ვუბძანე მეტეხში დაამწყვდიონ! გნებავს ინახულო? ეხლავე მოვაყვანინებ... (ვითომ მიდის)

სულეიმან. დაიცა! იმათი დროც მოვა!

ზეინაბ. ოჰ, რუქიას გველური თვალები მაშინ უნდა გენახა, როდესაც დამნაშავეთ ვიპყრობდით! მისი მომხიბლავი ხმის ცბიერი ღუღუნი რომ გსმენოდა... ეჭვი, როგორც მე, შენც თავში გაგიელვებდა!! დიახ... იმის თვალებში აღმოვიკითხე, ზეინაბის მზვერავათ ყოვლად ძლიერმა სულეიმანმა მე გამომგზავნაო!! (ნაღვლიანი სიტყვით) თითქოს საბრალო ზეინაბი სარწმუნო არ არის! თითქოს ყოველი შენი გამოხედვა, ხელის ყოველი გაქნევა, შერხევა წამწამის საბრალო დედოფალ ზეინაბისთვის უცვალებელ კანონად არ ითვლებოდა!! და შენ, შენ.. გაცვეთილი, გარყვნილი რუქია ჩემ მზვერავად დანიშნე!. ოჰ! როგორ შეურაცხ-მყე!! თუ ასე ერწმუნებოდი, რატომ იმასვე არ მიანდე...

სულეიმან. ნობათები შეკრიბეთ?

ოთარ. დიახ, დიდებულო მბრძანებელო! ოქრო და ვერცხლი, მერანნი და ქალწულნი მეათე დღეს აქ გავაჩინე!.

ზეინაბ. ჩემო მეუფეე.. ყველაფერი ღირს შესანიშნავია, მაგრამ ქალი.. ამისი ქალი! ოპ, მეფეო, ირანის მფლობელი იმის ერთი ხილვისთვის ერევნის სარდალს შებორკილს ხელში ჩაგიგდებს!!. ნობათებს ხვალ ინახულებ, მაგრამ, ქალი კი, ქალი, გთხოვ, ახლავ იხილო! მიბრძანებ, მოგვვარო?... (სულეიმახი თანხმობას უცხადებს) ოთარ-ბეი! (მნიშვნელობით) შენი ქალი მოიყვანე და დარაჯებიც ყველგან განაწესე... ნობათნი.. არ გაიტაცონ... ისახარ, ოთარ-ბეის იახელ! (ოთარ და ისახარ გავლენ).

გამოსვლა მეოთხე

ზეინაბ (აჩქარებით დულაფს). ოთარ-ბეი ამის შემდეგ სამარემდინ შენი ერთგული იქნება... თავისი ქალი სიცოცხლეზე უფრო ძვირფასათ მიაჩნია!.... ერთგული კაცნიც ახლა გვჭირია.. საქართველო ამბოხებას აპირებს!!.

სულეიმან. ალ-რაზაყი მომიკლეს... მკვლელი ვერ დაუჭერიათ! რუქია გაიქცა.. ყარა-უსუფი სიკვდილს მივეც!.

ზეინაბი. სიკვდილს?. როგორ? რისთვის?.

სულეიმან (თვალებში შესტქერის). ღალატისათვის! დედოფალო ზეინაბ! დედოფალო ზეინაბ!!.

ზეინაბ (კაუშან მოდებული მუხლებზე ეხვევა). რაო! ჩემი თვალის სინათლე რას მიბრძანებს? შენს თვალებში სიკვდილს რაბ ვხედავ? ყველგან ღალატია და ჩემიც, შენი მხევლის აღარა გჯერა?! დიახ მხევლის, უძლურის მონის..! მონის თავით ფეხამდე! დიახ მონა ვარ... ომში შეპყრობილი და არა ოქროთ ნასყიდი ან ნაბოძები!! შენის მრისხანე თვალების, შენი ლომგულის და რკინის ხელის მონა ვარ მე... (თან დ. თან მძულვარებით)... ამ მონურ სიცოცხლის მეტი რა შემარჩინე?..—სამეფო წამართვი, რჯული მომისპე, შვილი წამგლიჯე... (კიდობს გამოიცვლის)... დამიმონე, ჩემ გარეშემო ყოველივე გასრისე და მეც ღონე-მიხდილი შენ ძლიერ ფრთებ ქვეშ თავს

ვიფარავ!.. შენგან საით უნდა გავფრინდე? სად დავიმალო?.. განა ყველაფერს შენი რკინის მუხრუჭი არ უჭერია? განა ყველაფერში ბასრი კლანჭები არ ჩიგისვია!.. მაშ, აწამე... ყველანი, ყველანი აწამე... აწამე... (ფეხზე ითმენს) მანამდის, სანამ შენი ბრჭყალები... (ძლიერი მეხის ხმა)!!

სულეიმან. რა გემართება?!

ზეინაბ (თავს შეიკავებს) შევშინდი! შენზე ზრუნვამ და გულის ქენჯნამ დამასუსტა და ვშიშობ... ეგრე ნუ მიცქერი!

სულეიმან. შენ ხმაში სიყალბე მესმის!!

ზეინაბ (მრისხანეთ) მაშ მომკალ... და დამშვიდდები!! სიყალბე გესმის? გარყვნილი რუქია კი მართალი იყო?! გამცემი, მოღალატე ყარა-უსუფის ხმაში კი მართალი გესმოდა?? სულეიმან, მე კი არა შენი სმენა გღალატობს... შენი თვალები გატყვილებენ!.. ამ ღამეს, ეს ვარსკვლავნი შავათ გეჩვენება და ეს ღრუბლები ვითომ და გზას გინათებენ?! მაშ მომკალ!.. მომკალ! შენ დასამშვიდებლათ სიხარულით გავწირავ ჩემ სულს! ან ჩემი გჯეროდეს ან და მომკალ!!!

სულეიმან (მოღუშული). აქამდის სიკვდილი ჩემ გვერდთ ვიდოდა... არასოდეს წინ არ დამდგომია და თვალს ვერ მისწორებდა!!.. ახლა კი პირი ჩემკენ მოიბრუნა, ჩემ მტერთ ზურგი შეაქცია და თვის გაყინულ შუბლიდან, ვითა ყარადალი, მყინვარე მთა, სასიკვდილო ნიავს მიქროლებს!!. (ზეინაბი ისე შესტქერის—თითქოს იმის წინ მართლა სიკვდილი დგას) ჩემი წუთი-სოფელი დავამთავრე!.. საზარლად ყველასთვის ჩემმა დრომ განვლო და სახელი ჩემი შუქ-მოფენილი ისლამს მოედო!!. ალარას ვჩივი! მაჰმადმა ბრძანა: ვისაც ალლაჰ მტკიცეთ დაუცავს, იგი უკანასკნელ განკითხვის დღეს ჯოჯოხეთის საშინელ ცეცხლისაგან ისე შორს იქნება, რომ თვით უმალესი მერანი ამ მანძილს ათას დღეშიც ვერ გაირბენს!!. (შემოდიან ფოთარი, ისახარ და გაიანე, ზირბადით, მხოლოდ თვალები უჩანს)

გამოსვლა მეექვსე

ზეინაბ. (უცებ გაიანესთან მიდის) ძლიერო მეფევ, მაგ ფიქრებს თავი დაანებე.... ამის მშვენებას თვალი მოავლე...

(ახსნის ბირბადეს და წინ წასწევს. გაიანეს ნატრის ფერი სდეკ. მკაცრათ იცქირება... ზეინაბი ოდნავ მოსედავს ოთარს)

ოთარი (ძლივს ისმის ისე დაბლა). ჩვენები გალავნის კარებში ჩადგნენ... ორბელიანი ციხეში შემოვიდა...

ზეინაბ. ჩემო მეუფევ, ამ თვალებს შეხედე... ახლა მძულვარება აქ იხატება.. მაგრამ როს ვნებით გაშუქდებიან... (მიაუურებს და ადარ ესმის რასაც ამბობს). . როდესაც სიყვარულის სხივი.. ეცემა... და ეს თმა... ეს ლაწვნი ..

სულეიმან (შოსწონს). შაჰინშა კმაყოფილი დარჩება!

გაიანე (რიხიანად). არასოდეს!

სულეიმან (უურადღებას არ აქცევს). ზეინაბ! ამას თვით შენ მიგვრი!!

გაიანე. ცოცხალს ვერა!!

სულეიმან (ისახარს). გაიყვანე!!

ისახარ (ხელის შეხება უნდა). წავიდეთ ..

გაიანე. ხელი არ მახლო! სატუსაღოსკენ წინ წამიძეხი!.

ისახარ. წამო, წავიდეთ! (გავლენ).

სულეიმან. ოთარ-ბეი, შენი სამსახურით კმაყოფილი ვარ!. ისპაჰანში შენს ქალს თვით დედოფალი წაიყვანს!

ოთარ-ბეი. შენი წყალობა ჩემზე უთვალავია, დიდო ხელმწიფევ, და ვეცდები გიზლო!!

სულეიმან (მკაცრად). ხვალ თბილისის გარეშემო შემოსეულ ხალხს განფანტავ!. ახლა კი წადი!. (ოთარი შუბლს მიიდრეკს და მარჯვნივ გადის).

ზეინაბ (გაიანეს კაბიდებს). ჰაერი რა საზარლად შეხუთულია!. სრულიად დავსუსტდი! (სულეიმან მეტეხისაკენ კიეურება) ღამეში რას მისჩერებიხარ, დიდებულო ხელმწიფევ!

სულეიმან. მიცვალებულთ წინაშე შიშით ძრწოდე და ცოცხლებისაგან თავი მეტეხში შეიფარე!!

ზეინაბ (შიშით). მეტეხში? რატომ? რომელ მიცვალებულზე ამბობ?

სულეიმან. არაბეთის უდაბნოებში აღზრდილმან სინდი და ჯებალი დავიპყარ და წმიდა ინდოს წყალი განსაბანათ უმალ ვიხმარე, ვინემ ისლამის მახვილს საქართველოში შემოვიტანდი!! იდუმალი ხმა ყოველთვის ჩაჰჩურჩულებდა: სულეიმან! მოიღე მუზარადი, ხელთ იპყარ დაშნა, მტერი ახლოა. ის იქ.. მთებს მოფარებულა, ტყეში მიმალულა. უდაბნოებში მიჩქმალულა! დიახ! სანამ მხედარი, მეომარი ვიყავ—ვითა ლამურას ბნელ ღამეში მხედველობაც მქონდა. გამხმარ ფოთლის შრიალიც კი მომესმოდა და, როგორც არწივი, მტრებს თავზე დავეევლებოდი... ახლა კი... ამ ოცი წლის მშვიდობიანობამ სრულიად მომშალა!! რალაც შიშსა ვგრძნობ და არ ვიცი კი საიდან მომელის?!.. (მარცხნით მოისმის რუქიას ხმა: „ლაჯანი! მეფეო! ლაჯანი“! სულეიმანი უცებ ხელს წაავლებს ზეინაბს).

სულეიმან. გველო!!

ზეინაბ. მოვიდა განა? ის არის! ჩემი დალუპვა სურს! (რუქია შემოიჭრება).

გამოსვლა მეშვიდე

რუქია (ნაბადში, ჩაბალახს მოიხსნის, თმები გაეშლება). დიდო ხელმწიფეო! დროზე მოველ! შენი მხსნელი ვარ! დედოფალმა გიღალატა!!

ზეინაბ (ცდილობს დრო მოიგოს). უსირცხვილო მონავ! ღალატს შენს გულში დაუბუდნია! შენი გარყვნილება ცილისწამებით გნებავს დაჰფარო! შენი კურო სად არის!

რუქია (ათვრობით). ჩემი კურო?.. ჩემთან არის! (გაირბენს და უცებ ირაკლის შემოიყვანს). აი, ეგ არის!! (ზეინაბ სულეიმანის ხელიდან გამოეკლიჯება, უნდა შვილს მივარდეს და საზარელი კვნესით ძირს დაეცემა).

რუქია (ძალიან აჩქარებით). ახლა ნურაფრის გეშინია. მელიას კვალ-და-კვალ მოვზდიე.. აქ კი ძლივს შემოველ... ცხის გარშემო, გალავნის ირგვლივ, მთებზე, მტკვრის პირად, ბანებზე... ყველგან ხალხია... მათი ნიშანი: „საბა სალოსი“... თუ ეს სიტყვები არ... (ხმა ჩაწყდება).

სულეიმან (მისჩერებია ირაკლის და თან და თან უკან იწევს). ვინ არის ეს კა... მკვდრეთით აღსდგებიან?!

რუქია ეს შენი ერთგულია!.. ყველა ამან გასცა?.. მეტეხი ამას უნდა აეფეთქა... ატყვილებდნენ.. მეფის შვილი ხარო, მაგრამ მე ვურჩიე... მეფესთან გავიქცეთ.. გავუმჟღავნოთ და დაგაჯილდოვებს...

სულეიმან (გონს მოვა, ხელს მოავლებს ზეინაბს—ფეხზე წამოაყენებს). ეგ შენი შვილია?!

ზეინაბი (მკვდარ-ტოტხალივით). არა!

რუქია (ირაკლის). ხომ გესმის?

ირაკლი (გაბრაზებული). არა, მეფეო! მე ნაბიჭვარი ვარ! დასაღუპავათ მზრდიდნენ! ნაბიჭვარი ვარ! სურდათ როგორც საკლავი ხარი სისხლისაგან დავცლილიყავ!! ჩემი, ნაბიჭვრის თავი საფეხურათ უნდა გამხდარიყო და მაშინ ოთარ-ბეი შენს ტახტზე ასვლას შეიძლებდა...

რუქია (ირაკლის უბიდამ გამოსტაცებს ჰატრუქს). ხედავ, დიდებულო მზევ, აი შენმა ერთგულმა ზეინაბმა მისცა ეგა... შენი ბურჯი, შენი უძლეველი მეტეხი ახლა აჰერში ატაცებული იქნებოდა—მე რომ ამის ცბიერ გულში არ ჩამეხედა!! შენი მხსნელი ვარ!

სულეიმან. ზეინაბ! მე მაღლა ვდგევარ! ჩემზე მაღლა ღმერთია! ღალატი კი ქვე-მძრომელობს! მაშ მოვიდეს და დამძლიოს!! (უტქერის) ახლა ვინ გიშველით? ვინ გიხსნით?

ზეინაბ. ახლა რაღათ მინდა ხსნა! ვერა ხვდავ, ვინ გამცა?. რათ მინდა შველა?! (ირაკლის, დაბლა, ძალიან შეწუხებული) დიახ, შენ ჩემი შვილი არა ხარ! თუნდ ეგრე იყოს, შენი დაღუპვა მსურდა!. მაგრამ შენი სამშობლო? შენი ძმები? ქრისტეს ჯვარი შენ საზიზღარ გულზე?! ყველა ეს.. ნუ თუ ყველა ეს, ამის ხვევნა-კოცნაში დაივიწყე და გაჰყიდე იმ ჯილდოსათვის, რომელსაც ჩემი წვეთ-წვეთად სისხლის მსმელი შენ გიბოძებდა?! გესმის შენ თუ არა რა ჩაიდინე? ოჰ, ეს წილ სჯობია, არ გაიგო და ისე მოკვდეს. გესმის თუ არა რა ჩაიდინე?.. ამომავალი მზე შენ ჩააქრე! სამშობლო ბნელით მოცჰევი, განთიადს ველარ ველირსნეთ!!

ირაკლი. რუქია! გესმის, გესმის, რუქია? ეს სიმართლის ხმაა!

რუქია (სულეიმანს). შენი მხსნელი მე ვარ, მზეო აღმოსავლეთისა!!

სულეიმან (ზეინაბის მდგომარეობით სტკბება). ზეინაბ! მაშ შენი შურის-მაძიებელი ეს არის? ამორჩევა კარგათ გცოდნია!! (კარებში). ეი! ოთარ-ბეი შეიპყარით და ახლავ აქ მომგვარეთ.. განგაში დაჰკარით!.. დედოფლის მხლებელნი ამოსწყვიტეთ!! (სტენის გარედან დიდი ხმაურობა, კიჟინა და ირაკლის ხმა მოისმის)

ზეინაბ (ირაკლის მიაშურებს). უკანასკნელ სირცხვილისაგან თავი იხსენ! გასწი იქ, თავი შეაკალ! იმათთან მოკვდი! სიცოცხლე მოისპე! მოისპე სიცოცხლე! ხალხი, ადამიანი არ გაპატიებს, იქნება ქრისტე ღმერთმა შეგინდოს!.. გასწი!.. იქ მოკვდი!!

ირაკლი (კვნესით). რუქია!

რუქია (ირაკლის არ უყურებს). შენი მხსნელი მე ვარ!!

სულეიმან (მეხისებურად). ზეინაბ! სათამაშოთ ალლაჰს ცა და ქვეყანა არ შეუქმნია!! სანამ მოკვდებოდე, კვლავ მას იხალავ, რასაც ამ ოცი წლის წინათ ხედვიდნენ შენი თვალები! ჩემის ცხენის ფეხებით შენი შვილის გულზე მეორეთ შევდგები! მხოლოდ ჯერ ხალხს ვაცნობებ, თუ შენმა შვილმა თვისი დედა, თვისი სამშობლო როგორ გასცა და ულალატა! მეტეხის წვერიდამ შენ დაინახავ, ძირს, კალთებზე სისხლი როგორ ამოხეთქს! ხალხი შენ შეკრიბე, აქ მოაზღვავე, მაშ შენვე მათზე მიღერილ ზარბაზნებს პატრუქს მისცემ და (ცა... სისხლის ფრად შეიმოსება. ისმის საშინელი აფეთქების ხმა, ჰაერში ატატებული ქვა-ნანგრევი მოსჩანს... რუქია საზარლათ დაიკივლებს და გარბის).

ზეინაბ. ანანია?! ოჰ, უფალო იხსენ!!

ირაკლი (კარს მიაშურებს). დედავ! ცოცხალს ნუ შემინდობ... მკვდრისათვის ილოცე!! (გარბის).

სულეიმან (ჯერ თავ-ზარ დატეშული, მივარდება ირაკლს). ალაჰ, ალაჰს მოსავნო, ჩემთან, ჩემთან? (უკელა კარებში ოშია. ტერასაზე დათო შეშორბის და სულეიმანს მოაშურებს)

ᲓᲐᲗᲝᲜ. მგელო, გამოძვერ სოროდან! (ჯერ ხმლით ჯმობენ, მერმე ხელით ჩასწიდებენ).

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ (წინ სცენაზე, დაბოქილი). ღთვის-მშობელო მარიამ! შენ დასერილ გულს ვედრებას მოვმართავ!! მისი ცოდვა მე მაზღაკევინე... მე.. მე .. მარტოკა მე!! (**ᲓᲐᲗᲝᲜ** სულეიმანს დასცემს და მუხლს დააჭერს... შემოიჭრებიან ორბელიანი, მადალი მოხუცი, სუმბათი ჭადარა წვერით, ჯარის კაცნი, გლეხნი... საბას ერთხელში ბერის ჯოხი, მეორეში ამოდებული ხმალი... ომის ხმაურობას ზარების რეკა დაერთობა... მარცხნით შემორბის კაიანე—ისახარ მოზდევს.)

ᲒᲐᲛᲝᲬᲡᲕᲚᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ

(ყვირიან) ჩვენია ციხე! მტერი გარბის"! დედოფალს მიეშველეთ... სიკვდილი სულეიმანს... სიკვდილი!!

ᲙᲐᲘᲐᲜᲔ. დათო!!.

ᲓᲐᲗᲝᲜ. (მუხლით უჭერია) სარდალნო! აქა მყავს იგი!!.

ᲘᲡᲐᲮᲐᲠ. ფეხით გასრისე, როგორც შენი ძმა მაგან გასრისა! გასრისე, როგორც შენი ქვეყანა მაგან გასრისა!!. (მიდის იმათთან) უძლეველო სულეიმან, მკვდარ ყმაწვილს ახლა ხედავ? იმის ძმის ფეხი გულზე გაჭერს!.. (ახლო მდგომს ხანჯალს წაართმევს) მაშ შენმა სიხლმა ამოხეთქოს ისე როგორც იმისმა!!. (უნდა დაკრას. საბა შეაჩერებს).

ᲡᲐᲑᲐ. შეჩერდი! მეფე დედოფალმა უნდა განსაჯონ!.. (დათოს) ხელი უშვი! ახლა ეგ საშიში აღარ არის! (**ᲓᲐᲗᲝᲜ** მუხლს მოაშორებს... ჩხუბი სწყდება... სულეიმან ორ ჯარის კაცს ხელში უჭირავთ...

ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ (სულეიმანს მხარზე ხელს დაადებს). მე, ორბელიანი, მეფეთა სპის მემკვიდრეობით სპასალარი, ამ სვავ-ნადირს ხელით ვეხები და დაშნასა წავგლეჯ!!.

ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲘ (გლეჯს ჩალმას). მე, სუმბათი, მეფეთა გვირგვინის მემკვიდრეობით ხელში დამჭერი, ამ ავაზაკს და მაწანწალას დოლბანდს ვგლეჯ და ფეხით ვთელავ!!. (სთელავს).

ᲮᲐᲚᲮᲘ. თვალი დასთხარეთ! ნაკუწ-ნაკუწ აქციეთ ეგ ნადირი! (სულეიმანი უძრავთ დგა... ცაზე ფვალებ-აჭერობით)

საბა. შეჩერდით!.. მეფე-დედოფალმა ამბისი ბედი უნდა გადასწყვიტონ...

ხალხი. მაშ ჩქარა, დედოფალო! გვიცოცხლოს ბატონიშვილი გიორგი!!.

გამოსვლა მეათე

ფთარ-ბეი (დაბრილი, მისუსტებული სხვებთან ერთად ირაკლის შემოიტანეს). დედოფალო!... შენი შვილი... მოჰკლეს!!.. (ირაკლის დედოფლის წინ დასვენებენ. სრული სიჩუმე).

ზეინაბ. (არ უყურებს მკვდარს). გმადლობ შენ უფალო!

ირაკლი. დედავ.... შემინდე!!.. (კვდება. ზეინაბი დაეშვება და დიდხანს შესტქერის... მერმე მიდის ნელა სულეიმანთან, თვალს არ აშორებს).

სულეიმან. (თავ-აწეული, ზევით იტქირება, დამშვიდებით). გამარჯვება შენია, ზეინაბ... უბრძანე მომკლან!!

ზეინაბ. შენ მოგკლან?.. განა შენ მე მომკალი, როდესაც ჩემზე გაიმარჯვე?!. შენ წვეთ-წვეთათ ამოსწოვე ჩემი სისხლი, ჩემი რწმენა, ჩემი ნამუსი!! შენ ოცი წელი ჩემ ღმერთს, ჩემ ხალხს ფეხით სთელავდი... და ახლაც.. ახლაც... გამარჯვების ჟამს, ნამუს ახდილი სირცხვილით ვიწვი... აქამდისინ ერთი ვარსკვლავი ბნელს მინათებდა... (ქვითინი ერევა) უძილო ღამეებში უფალს მხოლოდ ერთს ვევედრებოდი... შურისმაძიებელი უდაბნოებში, ვით მათხოვარი მეზრდებოდა... და იმ ჟამს მოველოდი—როდესაც იმას ფეხთ უნდა დავვარდნოდი და ჩემის უნამუსობისთვის მსჯავრს მოვითხოვდი!... ის იყო ჩემი ქვეყნის მხსნელი, ჩემი ხალხის მეფე, მხნე, მამაცი, უცოდველი ყრმა... და შენ... შენ... შენმა გარყვნილმა ჰარამ-ხანამ, შენმა დასამხობმა ისლამმა (ხმა მიაწყდება) წამართვა ... ჩემი უკანასკნელი სხივი... ჩემი ვარსკვლავი... და ყველა ამისთვის... სიკვდილი მხოლოდ?... წინამძღოლნო და ხალხო!.. მოგმართავთ თქვენ... ჩემი ამდენის ვაებისათვის, ამისი სიცოცხლე მაჩუქეთ!! (ჩოქილი) სარდალნო და სპავ!.. ნურცა წვალებით, ნურცა სიკვდილით შურის-ძიება ნუ იქნების!! წვა-

ლება და სიკვდილი ამ ურჯულოსათვის რა უნდა იყოს?! არა! ეს უძლეველი, ეს მბრძანებელი, ეს მედიდური—ეგრე შერცხვენილი, ეგრე დამცირებული პატრონს მიუგდეთ! უღელ დადგმული მტრებს წარვუგზავნოთ! დაე დღევანდელ მეომართ სახელოვნება ნული იგემოს!.. დაე უსირცხვილობამ, ჰონობამ, უპატიურობამ ჩვენი სირცხვილისა, მონობისა და ამისი (შვილზე მიუთითებს) უსახელოვნო სიკვდილისათვის შური უგოს!! დღეს მიიცვალა თქვენი მეფე!.. ჩემი შვილი... შვილი ჩემი!! (საუოველთაო დრტვინვა).

სულეიმან. შენი შვილი მოლა...

ზეინაბ. (ბრძანებლობით). დაჩუმდი, მონავ! მემკვიდრეობით დედოფალი თავის ხალხს არ მოატყვილებს!! წინამძღოლნო და ხალხო!. ამ ყრმამ, ჩემმა შვილმა, თქვენი მეფის ძემ.. გიღალატათ! მართალია შეაცდინეს—მაგრამ მაინც ღალატი ჩაიდინა და მე ვუბრძანე თავი შეეკლა... შეაკვდა კიდეც... დაე ჩვენ ორივე უფალმა გაგვსაჯოს!! (დაიკრავს ხანჯალს. საზარელი ყვირილი ისმის... და მალე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება).

სჯბა. განისვენეთ მშვიდობით, სიკვდილით ცოდვათა დამთურგვნელნო! უფალი თქვენთან არს!

(ფარდა).

ბ. მესხი.

ეტიუდები

ქართულის ლიტერატურიდან

წერილი მეშვიდე *)

თ. აკაკი წერეთელი.

რეალურის ლირიზმის საუკეთესო წარმომადგენელი თ. აკაკი წერეთელია, რომლის სალირიკო ლექსებზედ გვექმნება დღეს ბაასი.

თუ გნებავთ გაიგოთ, რა განსხვავება არის რომანტიულსა და რეალურს ლირიზმს შორის, აიღეთ ბარათაშვილის ლექსები და შეადარეთ აკაკი წერეთლის ლექსებს. ბარათაშვილი ისეთ გრძნობათა შესახებ ლაპარაკობს, „რომელთა გამოთქმა მოკვდავთ ენათა არ ძალუძს“, ისეთი გრძნობებით არის გამსჭვალული, „რომელთა სახელი კაცთა ვერ დასდვან“; მისი ფიქრები „ლაჟვარდის ცისაკენ მიისწრაფვიან და მის იქით ეძიებენ სადგურს, მაგრამ იქამდის ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“. ბარათაშვილს გულ-დახურულთა მეგობარი ბუნება უყვარს და „სწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის“ და ამიტომაც განმარტოებულს ფრიალო კლდეზედ მდგარის ალვის ხის ფოთლების შრიალთა სმენა იცის და „მრავალ დროის მოწამე, მაგრამ უტყვის მტკვრის ბუტბუტს მიაშურებს სევდიანი, ფიქრთ გასართველად“. ბარა-

*) იხ. „მოამბე“, 1898 წლისა № IV, V, VI, VIII, IX და 1900 წლისა VII, X და XI.

თაშვილი სულით მარტოობას დასტირის, უმაღლესის სასოწარკვეთილებით აღსავსე პირად, ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ არა ჩვეულებრივ გრძნობათა გვისახავს საოცარის ნიჭით, ერთის სიტყვით, ბარათაშვილს პოეტი ზეკაცად, არა ჩვეულებრივ ადამიანად მიაჩნია, პოეზია კი ღვთის „ტაძრად, შესაფარად, უდაბნოდ მდგარად, სად ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი, ანგელოსთაგან იკვროდა სად დავითის ქნარი და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი“. თ. აკაკი წერეთელი პოეტსა და პოეზიას სულ სხვა გვარად უცქერის. პოეტი ის ფუტკარია (ეს ეპიტეტი ძლიერ უყვარს თ. აკაკი წერეთელს და ხშირადაც ხმარობს), დიაღ, პოეტი „ფუტკარია, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, შორს მიფრინავს სამუშაოდ, მიიმღერის უხარია! ყვავილიდან ყვავილებზე გადაბზუის, გადმობზუის. აქაც წუწნის, იქაც წოწნის. სათაფლ-სანთლო მასალასა, არ იზოგავს, ღვთის მოცემულს, არც ნიჭსა და არც ძალასა“. პოეტი თ. აკაკი წერეთლისა „არც დიდია, არც პატარა, არც ბატონი და არც მონა, არც მიწის არის, არც ცისა, შუა კაცია უბრალო, ხან მიწის არის ხან ცისა“. თ. აკაკი პირად განსაკუთრებულ გრძნობათა გამოსახვას გვერდს უხვევს და მარტო საერთო საზოგადო ჭირ-ვარამზედ ლაპარაკობს. თვით უდიდესი და უძლიერესი ინდივიდუალური გრძნობა სიყვარულისა თ. აკაკი წერეთლის პოეზიაში რაღაც საოცნებო არაჩვეულებრივ გაჰაეროვნებულ არსებისადმი არის მიმართული და ამ გვარად ეს გრძნობა სიმბოლიურ სახეს ღებულობს. „მისი სატრფო უწინ ტკბილი ფა დღეს კი ლეჩაქ-მოხდილი“—ეს ხომ მისი სამშობლოა. ამგვარად თ. აკაკი წერეთელი გამომხატველია საზოგადო, საერო გრძნობათა, საერთო ჭირ-ვარამისა და სევდისა. მისი ტანჯვა ხალხის უმეტესობის ტანჯვაა. მისი სევდა და მწუხარება ერის კვნესა და გოდებაა, მისი სასოება და იმედები ერის ლტოლვილებაა და ერის სურვილებია.

ბუნება იმდენად იტაცებს, რამდენადაც საერთო მისწრაფებათა გამომსახველია, სიტკბოებე და სიკვდილი იმისდა მიხედვით ეინტერესება, თუ რა დამოკიდებულება აქვს მის სათაყ-

ვანო საგანთან. ამ მხრით თ. აკაკი წერეთლის მწერლობა მეტად ერთფეროვანია, ერთგვარია. მთელის მისის ლექსების საგალობელი საგანი ერთი და იგივეა, ერთსა და იმავე ჰანგზედა მღერის, მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ეს სრულიადაც არ ამცირებს პოეტის ნაწერების არც ღირსებასა და არც მნიშვნელობას. ისტორიულად და ფსიხოლოგიურად სრულიად ბუნებრივია და მისახვედრი, რომ ჩვენს მგოსანს მარტო ერთი ფიქრი და აზრი უტრიალებდეს თავში. ეს მწერლის მოქალაქობრივ სიკეთესაც ამტკიცებს, ხოლო ესტეტიურად, ჩემის აზრით, პოეტის ხელოვნება მით უფრო მაღლად არის დასაყენებელი, რამდენადაც ერთსა და იმავე საგანს ღრმად და ყოვლის მხრივ დაგვისურათებს.

ყოველივე საგანი, ყოველივე მოვლენა ცხოვრებაში იმდენზედ რთულია და მრავალ მხრივი, რომ ერთის კაცის ხელოვნება ვერც კი შესძლებს საგნის სიღრმე-სიგანით გამოსახვასა და აღწერას, ამიტომაც, როცა ნიჭიერი პოეტი ერთსა და იმავე მოვლენას რამდენჯერმე შეეხება, რამდენჯერმე აიღებს თავისი გალობის საგნად, მით უფრო დაამტკიცებს ხელოვნების შეგნებასა და უნარს, თუ ყოველთვის სულ სხვა და სხვა ჰანგზედ შომართავს თავისს ჩანგს და საგნის სხვა და სხვა მხარეს დაგვანახვებს.

ამით არც ის მინდა ვსთქვა, რომ თ. აკაკი წერეთლის პოეზიას საგნის მრავალგვაროობა აკლდეს, ანა და მთლად მთელი მისი მწერლობა ერთს საგანს ეხებოდეს. არა, თუ გნებავთ პატარა ლექსები, რიცხვით მეტი, სხვა და სხვა საგანს ეხება და არა ერთსა და იმავეს. მაგრამ საუკეთესო ნაწილს თ. აკაკის პოეზიისას და ამ საუკეთესო ნაწილის უმეტესობას საგნად ერთი და იგივე აზრი და ფიქრი აქვს, ის აზრი და ფიქრი, რომელიც მთელის მოაზრე და გონიერის საქართველოის მთავარი აზრი და ფიქრია.

1

როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე უნდა ჩაითვალოს სიყვარულის მგალობელ პოეტად, რომელსაც ეს სანეტარო და სიცოცხლის მომნიჭე გრძნობა მოშხამული და მოწამლული ჰქონდა საერთო კვნესისა და გმინვის გამო, ისე თ. აკაკი წერეთელიც იმ „სატრფოს“ მგოსნად უნდა დაისახოს, რომელსაც საერთო არა აქვს რა ხორციელ სატრფოსთან, მაგრამ რომელიც პოეტის საოცარმა ნიჭმა განახორციელა, სული ჩაუდგა, ნამდვილ „ცხრა-კლიტულში დამწყვდეულ ნესტან-დარეჯნად“ გაიხადა და მისი ტარიელობა თავს იდვა და დღემდის დაუღალავად ისეთისავე სიცოცხლით, ისეთისავე გატაცებით თავს ევლება ამ „სატრფოს“.

„მაგრამ იცით მისი სატრფო ვინ არი?

„ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
„ფეხ-შიშველი, თავზედ ლეჩაქ ახდილი.“

სიჭაბუკიდან პოეტი იმაზედ კვნესასა და ოხვრაშია; სტირს უბადრუკი და წარსულს დროებას ოცნებით ეძებს.

„მთა კლდეთ შეჰბღავის, ჩასძახის ქვესკნელს,
„წყალსა მიჰყვირის მსწრაფლ მიმავალსა,
„მაგრამ ვერ პოვებს ნუგეშის-მცემელს
„და უმრავლდება წყლული საწყალსა“.

რა ნუგეში უნდა ნახოს ან კი ბუნებაში, როცა ყოველრვეს ბუნებაში და თვით ბუნებას მისთვის ერთი აზრი აქვს და ამ ერთის აზრის საზომავით სჭვრეტს პოეტი ყოველივეს.

„მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
„ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა,
„რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
„მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინაპართა.“

სიჭაბუკიდან იმ დრომდის, ვიდრე პოეტს „გული წყლული შეექმნა, სული კრული, სახე მჭკნარი თმა ჭალარა“

არ არის ისეთი შემთხვევა, არ არის ისეთი გარემოება, რომ თავის საყვარელი საშობლო არ აგონდებოდეს. პოეტს „თავი ტარიელ ჰგონია, ოცნებით გარემოცულსა, უხმობს ფრიდონს და ავთანდილს“, რათა, „მხარი მხარს მისცენ, ხელი ხელს, ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს“.

თვით ბუნებაც კი განხორციელებული თანამგრძნობი მეგობარია მგოსნისა, მისი თანამოაზრე. ბუნების მშვენიერება მისთვის მოწამლულია, რაკი გული სევდითა აქვს მობურვილი. მისთვის ციხე ცოცხალი არსებაა, თავისებური პოეტი, რომელსაც „აგონდებოდნენ ტკბილნი დრონი, თვისის პატივის და დიდებისა, ოდეს გმირთ გმირი მისი პატრონი, ჩხუბების შემდეგ გამარჯვებული პირდაპირ იმას მოაშურებდა“. დღეს კი ეს ამაყი ციხე „ტკბილი დროს მგონი, იყო ტანჯვაში და შეჭმუხვნილი, ამაყი სახე მას ჩაეხატა მდინარე წყალში“.

ზემოდაც მოვიხსენიეთ, პოეტს „მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ, ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა“.

მუსიკის საკრავები მისთვის იმავე დაჟინებულის აზრისა და ფიქრის აღმძვრელია. როცა მწყემსის სალამური ესმის, რომელიც „გაჰკივის მთა და ველში, ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს და სევდისას შავს ქვესკნელში“, მაშინ პოეტის ფიქრი მის ხმას „გარს ეხვევა, ვითა ძმა ძმას და მისი კვნესა აგონებს საქართველოს მწარე მოთქმას, ხან თათრები აკვნესებენ, ხან თურქები აოხრებენ, ხან სკვითები დროს შერჩევით, მყუდროებას უშფოთებენ“.

მეზურნის შიქასტას სულ-მოშხამული მგოსანის გული ძგერით თანაუგრძნობს, „ვით სნეულსა მისივე მსგავსი სნეული“ და მუდარებით მიჰმართავს:

„ახ, მეზურნევ დაჰკა, დაჰკა! გამაგონე ეგ სევდის ხმა!
„მაგაშია ჩემთა ძველთა მამაცური ოხვრა-მოთქმა,
„გამიხურე ჰანგით გული, ეგებ დასდნეს მწუხარება,
„და ჩემთ თვალთა გადმოსთხიონ ნაღვლიანი მდუღარება“.

მაგრამ იმას კი „ნურვინ ცდილობს იმ ცრემლებში, ნახოს კერძო-
სიყვარული,
„იქ იქმნება საიდუმლო გულ გამხეთქი, დაფარული!“.

თარიც უყვარს ჩვენ მგოსანს, ვითა სიმბოლო საეროვნო მუსიკისა, თარი „გულ საკლავად მკვნესარი, მწუხარების უკუ ყრელი რომ არი, სიმები რომ დაიწყებენ ჟღერასა, სული შფოთავს გული შეიქმს ძგერასა. ყურსა უგდებს უცნაურსა ციურს ხმას, ოორკეცებს აღტაცებით გულისთქმას და შორს მიჰყავს მომხიბლავსა ოცნებას“.... ეს ოცნება იმდენზედ დიდია, რომ იმასაც კი ჰხედავს, ვითომ „არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე“.

მისთვის სულ ერთია, სად, რა დროსა და გარემოებაშ ესმის მუსიკა, ყველგან და ყოველთვის მუსიკა ერთ ფიქრს აუშლის ხოლმე, ერთს რასმე აგონებს, თითქოს ყოველთვის და ყოველგან მუსიკას, ამ თავის-თავად უპირადო და უგრძნობელ რასმე, მარტო ჩვენი მგოსანი ჰქონდეს სახეში და მისი სამშობლო მხარე: „სიმნი მკვნესარნი სამარის ხმითა ზედ დასტირიან რაღაც საგანსა და უცნაურის თანაგრძნობითა ეს ჩემი გულიც ეტყვის მათ ბანსა“, ამბობს პოეტი ერთ ლექსში, რომელიც რუსეთში უნდა იყოს დაწერილი, და განაგრძობს: „ღმერთო, რა მიყვარს ეს მწარე მოთქმა, ვეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა, მხოლოდ ამისი ეს მაცდური ხმა გულს გადამფერავს მოდებულს ჟანგსა. ეს არის ჩემი თანამგრძნობელი, ეს ისმენს მხოლოდ ჩემს აღსარებას, მეალერსება ვითა მშობელი და ცრემლით ადნობს ჩემს მწუხარებას. აი ეხლაცა ჩემი გონება, სიმთ გააცოცხლეს, აამღელვარეს, მომცეს წარსულთა დროთ მოგონება და გარდმიტანეს სამშობლო მხარეს.“

ძლიერ ადვილი გასაგებიც არის ის, რომ მგოსანი ხშირათ გვიხატავს მუსიკის გავლენას მის განწყობილებაზედ. მუსიკა თავადაც რომ არ იყოს ერთი უწარჩინებულესი შტო იმ დარგისა, რომელსაც ხელოვნებას ეძახიან და ღვიძლი ძმაც არ იყოს პოეზიისა, თ. აკაკი წერეთელს მუსიკის გამომსახვე-

ლი იარაღი, ჩანგი და სალამური, პოეზიის სიმბოლოდა აქვს მიღებული და მათის შემწეობით გვამცნებს დიდ მნიშვნელობასა და ძალას პოეზიისას. თემურ ლენგის ტყვე, გულ დაღალული დამწვარი იმედსა და ხსნას ქვეყნისას არც თვალ-მარგალიტში ჰხედავს, არც ცრემლებში, რადგანაც „დამჭკნარი ვარდი ცრემლებით არ განელდება, არაო, მარტო ცრემლები ქვეყნისთვის საშველად არა კმარაო“ არც ხანჯალში, რადგან იმის გამარჯვების იმედი არა აქვს. ხნის იმედი მას იმ „წმინდა და დიდ საუნჯეში“ ჰგონია, რომელიც წარსულისა და მომავლის სიცოცხლის გზა და ხიდათ შიაჩნია—ჩანგურში, იგი, მისის აზრით, ქვეყნის ჭირი და ლხინია, სამშობლოს სისხლი და ხორცი მისივე ნაღველ ტვინიაო. ეს ჩანგური მგოსანს გულზე დაუკიდია და ვერ გაეყრება, გინდ მოვლოს ტყვეობით დიდით კიდეო, მისი სამშობლოს სიცილი და მისი მწარე კვნესა ორივე ერთად სიმებმა შიდ გულში ჩაიკვნესაო. მგოსანი სიმებს ჩამოჰკრავს, ხმას ცასა აწვდენს ჰანგებით და ის ხმა ტყვედ ქმნილს ბაგრატსაც მოესმა ღვთისა განგებით, მოესმა: „ბაგრატ გახსოვდეს შენი სამშობლო ტკბილიო, ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს, არ ეთქმის ქვეყნის შვილიო.“ ეს ჩანგური ტყვედ ქმნილის მგოსნისა .სავსებითი სიმბოლოა თ. აკაკი წერეთლის პოეზიისა. მიტომაც არის ასე უყვარს ჩანგური, რომელსაც მეგობრულის კალოთი ემუსაიფება: „ჩანგურო! ჩემო ჩანგურო! ოცნების ზღვაში მცურავო, შენი კრინ-მანჭი წკრიალი ხელ ახლად მომეწყურაო, ჯორა გაქვს ია-ვარდისა, სიმი— ბულბულის ენაო, ფრთები არწივის გასხია, შეგფერის ალმა ფრენაო: მიმაფრენ, მეც თან დაგყევარ, წამის-წამ კიდის-კიდესო! ველარ მერევა სიკვდილი მე შენსა გადამკიდესო, დიდება შენსა მოვლენას, ციურო ტკბილო ძალაო! დაადნა გული შენს სიმებს და სული დაიცალაო“.

ჭეშმარიტად სადიდებელია პოეტისათვის მისი ჩანგური, მისი პოეტური ძლიერი ნიჭი, რომელმაც მართლაც რომ უკვდავი გაჰხადა იგი ჩვენის ერისათვის, მართლაც რომ ჰის

გადამკიდეა სიკვდილი მას ვერ ერევა და ვერც მოერევა, ვიდრე ქართული ენა არსებობს.

II

პოეტ რეალისტს, თ. აკაკი წერეთელს, პოეტზედ სრულებით სხვა გვარი შეხედულება აქვს. მისთვის გაუგებარია პოეტის „ღმერთებთან ლაპარაკი". იგი სრულებით წანააღმდეგია იმ აზრის, რომ პოეტს „ცა ნიშნავდეს და ხალხი ზრდიდეს, მიწიერა ზეციერსა", როგორც ამბობს მეორე ჩვენი დიდი პოეტი. თ. აკაკის პოეტი „არც დიდია, არც პატარა, არც ბატონი და არც მონა, გულს ესობა ხან ისარი, ხან სუნნელი ვარდის კონა, ხან უგნურია, ხან ბრძენი, ხან არც ის არის, არც ისა, გარემოების საყვირი, არც მიწის, არის არც ცისა, მის გული სარკედ ქცეული ბუნების ნათავსედია, მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია, ენაც მას ამბობს, რაც სმენას სხვისაგან გაუგონია, ან თვალს უნახავს და ჭკუას გაუზომ-გაუწონია, თქვენ რომ ბგონიათ არ არის, სხვებს რომ ჰგონიათ არც ისა, შუა კაცია უბრალო, ხან მიწისაა, ხან ცისა" ამ პოეტს „ცრემლში ულესავს ნაღველი და მელნად ის უხმარია, შიგ თაფლი არის ნარევი და ზოგან ცხარე ძმარია, ზოგს ეტკბილება, ზოგს არა, მაგრამ რა მისი ბრალია? ბულბული ვარდს და ეკალზედ თანასწორ მომღერალია", საწერლად გული უხმარია, კალმად ენა, „საწვერ-მახვილო ის არი, ხან საშკურნალო მალამო, ხან სასიკვდილო ისარი, მისი ქება და დიდება, მისი დალხენა-ჭირი ქამანჩაა და სტვირი".

უკეთესი განმარტება პოეზიისა და პოეტისა რეალიზმის შეხედულებით ძნელი-ღა წარმოსადგენია. რეალიზმის განმარტებით პოეტი უბრალო მომაკვდავია, დროისა და გარემოების წყალობით „სტვირითა და ქამანჩით" აღჭურვილი, „შუა-კაცია უბრალო, არც მიწის არის, არც ცისა, და ხან მიწის არის, ხან ცისა". ამ მხრით თ. აკაკი წერეთელმა ახალ განმარტებასთან ერთად ჩვენ პოეზიას ახალი კვალიც დაამჩნია.

ერთ ადგილას თ. აკაკი წერეთელი ბრძანებს: საზოგადოდ მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდიო და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დდიურ ავკარგიანობის საბრძოველელ სასამსახუროდაო, თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალუნებურად და შემთხვევით მომხდარა, თვარა ის ჩემ დღეში არა მქონია ფიქრათ, რომ მომავლისთვის ვწეროო. ამ სიტყვებს ძალაუნებურად უნდა დავეთანხმოთ, იმიტომ რომ თ. აკაკი წერეთელი აქ მარტო ჩვეულებრივ კეკლუცობას გარდა ნამდვილი გამომსახველია იმ დროის შეხედულებისა ლიტერატურაზედ. თ. აკაკი ხომ სამოციან წლების მწერალთ ეკუთვნის. იმ დროის მწერლობა საზოგადოდ იმ აზრისა იყო, რომ ხელოვნება უბრალო იარაღია დღიურის ჭირ-ვარამის „საბრძოლის-სასამსახურო", როგორც თვით აკაკი ბრძანებს, მწერლობას (სიტყვა კაზმული მწერლობა გვაქვს სახეში) პუბლიცისტიური მნიშვნელობა ეძლეოდა და ამიტომაც რუსეთში და ჩვენშიაც, რუსეთის ზედგავლენის ქვეშე, სიტყვა-კაზმული მწერლობა პუბლიცისტიკად გარდაიქცა

ზემორე მოყვანილ ჩვენის მგოსნის სიტყვებში ცხადად გამოსჭვივის ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს რომანტიულისა და რეალურის ლიტერატურის შორის და ეს განსხვავება არის უფრო ხშირად მიზეზი იმ დაუსრულებელ კამათისა, რომელიც ასტყდება ხოლმე ეგრეთ წოდებულ წმინდა ხელოვნებისა და უტილიტარულ ხელოვნების მოსარჩლეთა შორის. რეალური ფილოსოფია და მის გავლენის ქვეშე რეალური ესტეტიკა არა სცნობს არავითარ საუკუნო და აბსოლიუტურ საგნებს. მისთვის არსებობს მხოლოდ განუწყვეტელი ცვლილება მოვლენათა შორის. „დღეს ერთი უნდეს ხვალე სხვას" რეცეპტზედ შექმნილი, ამიტომაც მისთვის მნიშვნელობა აქვს და აზრი მხოლოდ „დღიურ ავ კარგიანობას".

რომანტიზმი კი იდეალების ფილოსოფიის ზედგავლენის ქვეშე „მოვლენათა შორის" დაფარულს კავშირს იძიებდა, მისს აზრით, ყოველივე ცვალებადი და სწრაფლ მავალი მოვლენა

ცხოვრებისა და ბუნებისა, გამომხატველია რაიმე დიადის შინაარსისა და აზრისა, რომლის მიწდომა და გაგება მხოლოდ ღმერთთან დაახლოვებულ ადამიანთ შეუძლიათ, მხოლო ზეკაცთ ეხერხებათ მოვლენათა ასეთის ფარულის შინაარსის შეგნება და ამიტომაც პოეზია მათთვის წინასწარმეტყველებაა და პოეტი წინასწარმეტყველი. მათის აზრით, პოეტის მოვალეობაა ბრბოს, ხალხს, უბრალო მომაკვდავს „წინ წარუძღვეს", ღმერთთან ილაპარაკოს და ამ ლაპარაკის შედეგი ხალხს ამცნოს.

ეს განსხვავება პოეზიის საგნებთა შორის ბადებს მიზეზს ზემოხსენებულის კამათისას წმინდა ხელოვნების დამცველთა და უტილიტარულის ხელოვნების მოტრფიალეთა შორის. პირველთათვის დღიური ავ-კარგიანობა, დღიური ჭირ-ვარამი პუბლიცისტიკის საქმეა და არა სიტყვა-კაზმულის ხელოვნებისა და პოეზიისა, ხოლო მეორეთა შეხედულებით სწორედ პოეზია უნდა ემსახურებოდეს ამ „ავ-კარგიანობის" განმტკიცება-გაუმჯობესებას.

თ. აკაკი წერეთელი შემცდარია, როცა ამბობს, რომ მომავალისათვის არა ვსწერდიო და თამამად შეგვიძლია მოვახსენოთ, რომ შესაძლოა დიდ ნაწილს მისის სატირებისა და პუბლიცისტიური ლექსებისას და წერილებისას აწ უკვე მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდეს, როგორც თვითვე აღიარებს, მაგრამ მისი სალირიკო პოეზია კი მომავალისთვის არის შექმნილი და მის ლექსებში მხოლოდ მასა აქვს საუკუნო მნიშვნელობა, რომელსაც საუკუნო დიადი აზრი და ფიქრები აქვს საგნად, ანა და დღიური ავ-კარგი, მაგრამ უკვდავის „ხელოვნებით" შექმნილი. ერთის სიტყვით, მის ნაწერებში ის არის უკვდავი, რომელიც უკვდავ და საუკეთო ფორმით არის შემოსილი, ან ის რომელსაც ფორმის საუკუნო სიმშვენიერესთან ერთად კაცობრიობის საუკუნო საფიქრალი საგნები აქვს აღებული.

პოეზიის საუკუნო და სამარადისო საგალობელ საგანთა შორის კი იქმნება ყოველთვის, ყოფილა და არის, კაცთა შორის დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების უძლიერესი,

ფატალური და საიდუმლო კავშირი სიყვარულისა; კაცისა და ბუნების შორის დამოკიდებულება, ესე იგი, გავლენა კაცზედ ბუნების დიად მოვლენათა და კაცის სიცოცხლის დასასრული, საიდუმლოებით და საუკუნო სევდით მოცული, სიკვდილი და გახრწნა ჩვენის არსებისა.

სამშობლოს გოდება არ არის საუკუნო და დაუსრულებელი გრძნობა, ვერც სამშობლოს ქება-დიდება და ხოტბის შესხმა წარიტაცებს ყოველთვის მგოსანს. სამშობლოს ტირილი, სამშობლოს ტრფიალი მხოლოდ მაშინ არის პოეზიის საგანი, როდესაც სამშობლო განსაცდელშია, და ეს რაკი აცილებული იქმნება, საგანიც პოეზიისა თავისდა თავად ჰქრება. აბა მიჩვენეთ რუსის პოეტი, რომელიც სამშობლოს ეტრფიალებოდეს, ანა-და რუსეთის მონგოლებისაგან დაპყრობას სტირიოდეს, ანა და მის უცხო კლანჭებიდან დახსნას ლაშოდეს, ან საფრანგეთის მწერალი მიჩვენეთ, ან იტალიელი დღეინდელი, რომ სამშობლოს გალობა გაეხადოს საგნად თავის პოეზიისა. უფრო საყურადღებოა იტალიის მაგალითი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც თავისის პოეტებისა და მწერლების პირით მოსთქვამდა სამშობლოს ბედ-იღბალს.

არის მხოლოდ ერთი მხარე თ. აკაკი წერეთლის პოეზიაში, რომელიც უკვდავად ჰქმნის მის პატრიოტულ ლექსებს (ე. ი. მის საუკეთესო სალირიკო ლექსებს), ეს ის, რომ მან სიყვარული სულიერიდან უსულოზე გადაიტანა, თუმცა ეს უსულოც რაღაც კონკრეტულია და ადვილად გასაგები. ის (და მასთან ერთად ილია ჭავჭავაძეც) ამ დიდ სულიერს, ამ ერთ დიდ არსებას—თავის საყვარელ სამშობლოს, ისეთის ენით ელაპარაკება, თითქო ნამდვილი, გულ-წარმტაცი და მომხიბვლელი სატრფო უსხდეს გვერდით. აბა მიბრძანეთ, რა შეედრება მის ტანჯვას, მის სასოწარკვეთილებას, მის სევდას, როცა ჰხედავს, რომ მისი სატრფიალო თავ-შეხვეულ მიჯნურს შეიყვარებს და გულსაც მისთვის ააძგერებს.

რომელი პოეტის სევდას ჩამოუვარდება, თუ არ აჯობებს, თ. აკაკი წერეთლის სევდა მის „აღმართ აღმართ“-ში?

როცა პოეტი შემცდარსა და მოხიბლულ სატრფოს ემუდარება: „ჭინჭარში ნუ ვარდები, ნუ ბგონია მად ია და ვარდებიო, შეიბრალე შენი თავი იცოდე, მაგ შარბათში საწამლავს სვამ იცოდეო“, და როცა მისი სატრფო გულ გრილად მიიღებს ყოველსავე რჩევას და ვედრებას დანაგულის მისის მიჯნურისას, მგოსანი, უდიადესის სევდით მოცული, ტანჯული და თავ განწირული „დალმართ დალმართ დაუყვება წამ მალით“ და „საუკუნოდ ხელ დაკრეფით განსვენებას“ ლამის მისთვის აქ ამ ქვეყანაში, რომელმაც ერთის წუთის წინად ისე ეშმაკურად მოხიბლა, „სიცოცხლე აგრძნობია“, „სული და გული აუდუღა“, რომელმაც ერთის წუთის წინად ალიტაცა ისე, რომ კინაღამ გულში არ ჩაეკრა მას; ეხლა აქ—ამ ქვეყნად—მისი მიმზიდველი აღარა დარჩენილა-რა და მიიჩქარის იქ, „სად ელიან ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით. „ჩვენის პოეტისათვის სიყვარული არც საკურკურო რამ არის, არც მტანჯველი, რომელსაც წყევითა და კრულვით იხსენიებენ, ეს სიყვარული მისთვის თვით იდეალია, თვით შინაარსია ცხოვრებისა, „ცისა და ქვეყნის კავშირი და თან შუამავალი.“ უმისოდ მისი ცხოვრება წარმოუდგენელია. პოეტი გამოდის საგმირო სამოქმედოდ და თავს განიწირავს „ნესტან დარეჯნის“ ქაჯებთაგან დასახსნელად იმიტომ-კი არა, რა საყვარლისაგან ალერსი მიიღოს და დაფნის გვირგვინი. არა, მისთვის ამ საყვარელის არსების გულ-გრილობაა სატანჯველი. პოეტს არ შეუძლია ამ საყვარელს იმისთანა კაცის ხელში ჰხედავდეს, რომელიც „საწამლავში შარბათს ასმევს“, რომელიც ვარდებით ეკალში იტყუებს, ეშხით ათრობს, ბოლოს, როცა ბევრის აღთქმით, ბევრის ხერხით ჩაითრევს და შეაცდენს, მერე „ზედ შედგება ფეხით დაიმონებს, ცრემლებს ადენს, ლეჩაქს მოხდის, გააშიშვლებს, ბანგს შეასმევს დააძინებს, გამოუზრდის მონად შვილებს და თვითონვე მას დასცინებ“. ამ სატრფოს მისი მომხიბლველისაგან დახსნა, განსაცდელისაგან განთავისუფლება იდეალიც არის და გზაც ამ იდეალამდე მიმყვანი. პოეტის ტანჯვა და ვაება, სიხარული და ალტაცება მითი არის სასიმპატიო და თაყვანის საცემელი, რომ

სრულიად უანგაროა, სრულიადაც არ ემჩნევა, რომ ვითომ უნდოდეს თავისი ტანჯვით იკოხტავოს, იმიტომ რომ წრფელის გულით იტანჯება და წრფელს გრძნობას კი კოხტაობისა და პრანჭვისათვის არა სცალიან.

პირიქით, შეჰხედეთ რა ხასიათის სიმტკიცეს იჩენს პოეტი, რა სტოიკებრივს დიდებულებასა ჰჩემობს, როცა „ხალხში, ძალად ღრუბელს ადარებს“, „მოწყენით მტერს თავზედ არ აცინებს, რომ არა სთქვან მაზედ: „რა ოხერია“! მაგრამ ვინ ჩაიხედავს იქ, მის გულში, ვინ დაინახავს, რა ტანჯვა და წამება ტრიალებს იქა, რა „მწუხარების ალი“ სწვავს. დიდებულია ეს ტანჯვა გულ-მკვდარი ადამიანისა, მით უფრო დიდებული, რომ არც შავი თვალების მოღრუბლვას გამოუწვევია და არც პირადის უბედურების გრძნობას, იმიტომ რომ „ვილას ახსოვს თავისი სატკივარი, თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?“ ეს ტანჯვა ისეთის გრძნობითა და სურვილით გამოწვეულია, რომლის დაკმაყოფილებისა და აღსრულების უიმედობა ცხოვრებაზედაც კი უარს ათქმევინებს მგოსანს:

„ღმერთსა ვვედრებ, ღმერთო, მომეცი ნება,
„რომ მელირსოს საფლავში დაძინება,
„სჯობს, სულ განქრეს კაცი, რადგანც მტვერია,
„ამ ტანჯვისგან საფლავში დამიფაროს,
„რომ ამ გულზედ მე მიწა დამეყაროს,
„ეგებ მაშინ სატრფომ აქ გაიაროს,
„ჩემს საფლავზედ ცრემლები დააღვაროს,
„რომ სხვებმაც სთქვან: „ხედავ რა მწუხარია“.

მაგრამ იქაც-კი, საიქიოსაც, თავისს საყვარელს ვერ გაშორდება, იქაც იმ იმედით მიდის, რომ ოდესმე საყვარელი მის საფლავს ცრემლებს დააყრის და თუ ამას თითონ ვერ გაიგებს, სხვები მაინც დაინახავენ და იტყვიან: ამ კაცის ტანჯვამ ტყვილად არ გაიარა და ბოლოს მაინც ცრემლმა ცრემლი გამოიწვიაო. მართალი უნდა ვსთქვათ, ამ მხრით ჩვენმა პოეტებმა ჩინებული და დიდად შესანიშნავი შექსოვა იტვირთეს

ორი გრძნობისა, პატრიოტიზმისა და სიყვარულისა, ერთმანერთს შეადუღეს ისე ეს ორი გრძნობა, ერთი მეორის შინაარსად და ფორმად გახადეს, ერთი მეორის აზრადა და სიმბოლოდ და ეს ისეთის ხელოვნებით მოახდინეს, რომ ხშირად გიძნელდებათ გაიგოთ, რომელ სატრფოს უგალობს პოეტი, ქაჯებისაგან მიტაცებულ ცხრა-კლიტულში დამწყვდეულ ნესტანს, თუ უბრალო ჩვეულებრივ „საარშიყო სალაღობო არსებას, რომლის გულზედ შემდეგი ზედწარწერაა გამოფენილი:

„გამოცვლილა სიყვარული აქ ოთხმოც და ცრამეტჯერა“

III

აკაკი რეალისტი პოეტია და, რასაკვირველია, როგორც ეგრეთს, სიყვარულის იმ მხარისათვის უნდა მიექცია ყურადღება, რომელიც რეალიზმის მამამთავრების აზრით არის ერთადერთი ღირსი ყურადღებისა, ე. ი. ფიზიოლოგიური მხარე ამ გრძნობისა, რადგან რეალურის ფილოსოფიის აზრით, სულიერი მხარე სიყვარულისა შეთხზულია, ოცნების მოყვარე იდეალისტებისაგან და რომანტიკოს პოეტებისაგან. ამ აზრს ადგია თ. აკაკი წერეთელიც, მაგრამ სწორედ იმ გარემოებამ, რომ ვარდ-ბულბულიანს იგი ხმარობს სიმბოლოდ დიდის გრძნობის — სამშობლოს სიყვარულის — გამოსახატავად, შეაჩვია აკაკი წერეთელი იმ აზრსაც, რომ სიყვარული დიადი მოთხოვნილებაა კაცის არსებისა და ამიტომ სერიოზულად უყურებს და უფრო ხშირად მის იდეალურ და საუკუნო მხარეს აძლევს ისეთს მნიშვნელობას, რაც არა სჩვევია რეალურ პოეზიას.

ზოგან მგოსანი ნამდვილ ნატურალისტურ დახასიათებას გვაძლევს სიყვარულისას. „ეს გრძნობა მის ძარღვებში სისხლს აღელვებს, პიმპილითა შეკაზმულს, ხან ჯოჯოხეთს და ხან სამოთხეს წამ-და უწუმ იცვლის გული“! ეს შარბათია, ამბობს იგი, მე რომ ვსვამ, „ხან მწარეა და ხან ტკბილი, და არ ვიცი რა ვარჩიო, მე სიცოცხლე თუ სიკვდილი.“ და თავის თავსვე ამვარ რჩევას აძლევს. „ტკბილ შარბათსა დაეწაფე, მწარეს

ალარიდე თვალი, სადაც ვარდი აკოკრდება იქ ეკალიც ხომ იჩენს პირს; მაგრამ ბრძენი მხოლოდ ვარდს ჰკრებს, ეკალზედ კი არ ახევს ცხვირს. ქალიც ვარდის ჯაგი არის: ეკალთან აქვს ყვავილები, ორში ერთი აირჩიე, თვითონ ჯაგს თავს რად ევ ლები?" მგოსანს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ციური მშვენიერება ქვეყნად გვეჩვენებოდეს „ბროლ მკერდა, სახე ნათელის, ალვის ხის ტანის არსებაში", ღიმილი მას მატყუარად მიაჩნია. და „მხოლოდ თვალები, ეს შემკრებავი ფოკუსი სიყვარულის ძალებისა, „თვალები არიან გამცემი დაფარულისა" „ლამაზი ქალი შეყვარებული სხივ-მომფენ ვარსკვლავსა ჰგავს", ვარსკვლავმა უცბად მოწყვეტა იცის და ცის წყვდიადში იღუპება, „მოწყვეტილი ვარსკვლავია — ქალი გულ-გაგრილებული", მოწყვეტილი ვარსკვლავის მაგიერი ათასია ცაზედ, მაგრამ მუდამად მნათობად ისიც ნუ გეგონებაო, ურჩევს ჭაბუკს პოეტი. სიყვარულის ფიზიოლოგიური მხარეც აქვს შენიშნული პოეტს; ერთხელ ნახული ტურფა, რომელმაც გული აუძგერა, იყოს „პირ ეთერი, ტანად სარო, სათაყვანო სანეტარო, ბროლ ფიქალზედ ვარდ ღაწვები, ბროლ ბალახში ბაგე-ლალი, ბაგეთ ტკბილად დასაწები, შავ ხუჭუჭა თმა, ნაწნავ-ბევრი, წამწამ ხშირი, წარბებ ტევრი კერძოდ—ყველა სიყვარული—ერთად სიყვარულის წვერი". როცა სიყვარულს ქვა კუთხედად ბროლ-ფიქალი აქვს, წარბებ ტევრი და წამწამი ხშირი, რა თქმა უნდა, იგი ხან მოკლეა და ცვალებადი. სულ დიდი საუკუნე მისი, 10—15 წელია. ამის შემდეგ მარტო სევდით აღსავსე მოგონება რჩება იმ წუთებისა, როცა, „მიჯნურის ხელსა სატრფოს გულ-მკერდში, ხშირად გაჰქონდა ფართხალი და მის ბაგეთ სატრფოს ყელში კრთოლვით უძებნიათ ხალი, ერთმანერთის ეშხით მთვრალნი სიჭაბუკით ამაყობდნენ და დრო რომ წლებს უწამვლი და, იმას კი ვერ ატყობდნენ"; 15 წლის წინად შვენებით აღსავსე ქალ-ვაჟი—დროისაგან გაძრცვნილნი ხედვენ, რომ „უკბილობით ბაგეები მათ პირში შეუვარდათ და ის ყელიც დაჭკნობია, რომელიცა მათ უყვარდათ." ან კი სხვა გვარად როგორ უნდა იქმნეს, როცა „ტრფობის ბუდეა მშვენება, თავდები სიჭაბუკეა

და ეს ორივე აკლია ვისაც ჭალარა უმკია, სიჭაბუკე და სიბერე ორი სხვა და სხვა კიდეა, ერთი რომ ჯაჭვით აბია, მეორე ბეწვზე ჰკიდია. ის გაზაფხულის იაა, გარს ეხვევიან ვარდები, ეს შემოდგომის ფოთოლი, სიო ჰკრავს ჩამოვარდება. და გაშრა ტრფობის აუზი გულში ძველი-ღა არხია, მოდგება ცნობის მოყვარე თან გადმოჰყვება სურვილსა, მაგრამ უკანვე იქცევა, რომ ვერ მოიკლავს წყურვილსა, სიჭაბუკესა მიმართავს, მასთან დაიჭერს კავშირსა, პატარა ნაპერწკალი სჯობს დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა.“ ეს კიდევ დროის ზედგავლენაა და თუ მარტო ეს იყოს სიყვარული საფლავი, კიდევ არაფერი, მაგრამ სიყვარული ერთგვარი ჟინია, რომლის დაკმაყოფილების შემდეგ ერთობ უგრილდებათ მიჯნურთ გული, იქ თუ წლები იყო აქ დღეებია სიყვარულის ხანგრძლივობის გამომხატველი. „რაც იყვენ, იგინივე არიან, იგივე აქვთ ორთავ ძალა, მაგრამ დრომან ხარბი გული გააძღო და მით შესცვალა. ვარდს ეკალი თან ხლებია, იჩხვლიტება მწარედ ხშირად, ტრფიალების ტკბილსა ბადაგს, ნალველი აქვს თურმე ძირად, და ერთმანეთის ეშხით დამთვრალნი“, რაკი გამოფხიზლდებიან, მალე გადაიტანენ ეშხს სხვებზედ, ფიცს გასტეხენ და უღალატებენ ერთმანერთს ხოლმე და ეს კანონია თვით ბუნებისაგან დადებული, რომლის შეშლა კაცთ არ ძალუძსთ. ამ გვარი მალია და სწრაფლ წარმავალი ნეტარება სიყვარულისა, სიყვარული წამ ტკბილია და ხანგრძლივ მწარე, ჯერ აკვანი ნეტარების, მერე კუბო და სამარე, დღეს ვისია, ხვალ სხვისია, უგზო უკვლოდ მოარული... დიდის ხნობით მალალ გრძნობით ის არავის არ ახარებს და წამიერ სიტკბოებას საუკუნოდ წაუმწარებს, მაგრამ მაინც ყველა ეძებს, ცოცხალი ვით დაიწუნებს, ვინ არის რომ იმ ერთ წამში არ გასწირავს საუკუნეს?“ ხორციელება სიყვარულისა, წუთიერება ამ გრძნობისა და მისი ცვალებადობა ასე მშვენივრათ აქვს დახატული პოეტს. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ტრფობას თ. აკაკი წერეთელი სიმბოლიურ იარაღად ხმარობდა სხვა დიდ გრძნობათა გამოსახატავად, ამ გარემოების გამო თვით სიმბოლიურ იარაღსაც სხვანაირად დაუწყო

ყურება და სიყვარულის იდეალური მხარეც ნათლად და მშვენივრად დაგვანახვა.

სიყვარული ჩვენის მგოსნისათვის სრული ნიჭია, „გულსა მისგან დახაზულსა ველარ ჰკურნებს დრო და ჟამი“, ამგვარად სიყვარულისაგან გამოწვეული ტანჯვა დაუსრულებელია, რომელსაც დროც კი ვერა სცვლის და სიყვარულისაგან მოძულებული არსება მარტო ხორცით კი არ ობლდება, არა, სულსაც სტოვებს საწყლად, ობლად, ხოლო ამ ობლობის სამკურნალო ერთი მხოლოდ საფლავია. „სიყვარული წამ-ტკბილი და ხანგრძლივ მწარე“ მგოსნისათვის სამოთხის ძალია, ურომლისოდ სიცოცხლე ავია.

სიყვარული ერთგვარი მონებაა, მაგრამ ეს მონება არ დაამცირებს არავის არასოდეს. შვენების ღვთაებისაგან ჯაჭვით დაბმული ნეტარობს და გაიძახის: „ვიშ, სიყვარულო! ჩემს გულსა, რა ტკბილი ჯაჭვით დაებიო“. „სიყვარული არის სჯული, ტრფიალება — წმინდა ლოცვა, მოტრფიალთა საუბარი არის დიდი აღსარება, მათი ხვევნა, მათი კოცნა, სიდუმლო ნეტარება“. აქ თუ გნებავთ პოეტი თვით ფიზიოლოგიურ მხარეს სიყვარულისას იდეალურის შუქით მოსავს, რა-კი ბუნების საიდუმლოების გამომხატველად სახავს გარეგან, ხორციელ მხარეს გრძნობისას.

სიყვარული უძლეველი რამ ძალია, უკვდავი და სრული, რომელიც ბოლოს ჟამს სიტკბოების წამს ნაღველ-ძმარად გარდაქცევა კაცს, სულს აწვეთებს შხამს და გულს მით უწვამს, „რომ მისგან მარად აწ მიეფარა“ და სიყვარულის დამკარგავს „ოცნება უქრება, ვნება ეშხამება და სიცოცხლის გაქრობაც სანატრელად უხდება“. თუ სიყვარულისაგან გამოწვეული ტანჯვა სიცოცხლის მომშხამველია, თვით სიყვარულიც „ყოველ სნეულებაზედ ძნელია, შეყვარებულთათვის ნათელიც კი ბნელია, აგრძნობინებს უცნაურს რაღაც ციურსა ძალსა, და ეს ბიჯი სიკვდილ-სიცოცხლის სწორად ჩასათვლელია, ან ავად და ან კარგად გარდაქმნის ერთი-ორად, იმისდა მიხედვით, თუ რა ღირსებისაა სატრფო საგანი, თუ შეხვდა

ღირსეულ სათაყვანოს სიყვარული მას, „განუმტკიცებს გონებას, აუმაღლებს მით სულსა“. რაც ბუნებითად კარგი მასში მოიპოვება, აჰყვავდება, იხარებს, ვითა უმანკოება, „ვითა სხივი ცით მნათობის, გაანათებს ქვეყნად ბნელსა, ისე ესე სიყვარული განუქარვებს ჭირსა ძნელსა, სოლომონის სიბრძნეს მისცემს, სამსონისა ძლიერებას და გინდ შავი დღეც დაადგეს, არ მოაკლებს ნეტარებას“. „მაგრამ თუ შეხვდა ულირსს, ზნეობითად დაცემულს, ვაი იმის სიცოცხლეს, საფლავამდე დაშხამულს“. ხანდისხან თ. აკაკი წერეთელს გრძნობა სიყვარულისა იმ ხარისხამდის აჰყავს, ისეთ სამეფო ტახტზედა სვამს და ისეთის შარავანდედით ამკობს, რომ ბარათაშვილის გარდა ვერც ერთს ჩვენ ლირიკოსს ვერ უკისრებია ესა. თუ ხორციელება სიყვარულისა თ. აკაკის უნდა აღეწერა, როგორც რეალისტს პოეტს, თქვენა ჰხედავთ, რომ ამ მხრით იმდენ ძლიერებას კიდევ ვერ იჩენს, როგორსაც ალექსანდრე ჭავჭავაძე, ხოლო როცა სიყვარულის მაღალ მხარეს ეხება, უფრო ძლიერ ნიჭს იჩენს ჩვენი პოეტი და, თუ ვერ ბარათაშვილობს, ყოველ შემთხვევაში გენიოსის პოეტის მაღალის შეხედულების ღირსეულ მემკვიდრედ ხდება. „შენ სიყვარულო!—ამბობს აკაკი, ცისა და მიწის კავშირო და თან შუამავალო, შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს, მზა ვარ, სიცოცხლე მთლად განაკვალო, შენ ვისაც უგუნურთ უმეტესობა (დააკვირდით ამ სიტყვებს, თუ რომანტიკოსის მედიდურება არ გამოსჭვრიეს შიგა), ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს“.

„და შენ მაგიერ შენის სახელით
„ის აღიარებს პირუტყვულ წამებს,
„შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
„გამოუთქმელო კაცთა ენითა,
„შენგან მგოსანი ფრთებ შესხმული ვარ
„და მონავარდე აღმა ფრენითა“.

დამერწმუნებით ამის შემდეგ, რომ სიდიადე და მშვენიერი სულიერი მხარე ამ დიდის გრძნობისა ჩვენს პოეტს სავ-

სებით ჰქონია შეგნებული. თან ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მისთვის ყოვლად შეუძლებელია ან ერთი წუთი ისეთის თავდავიწყებისა, რომ სიცოცხლის საგანი თვალ-წინ არ ედგას. მისთვის ყოველივეს იმდენადა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი თავს ევლება მისის აზრისა და ფიქრის სამარადისო საგანს. თუ სატრფო უყვარს, რომელსაც საქვეყნოდ უცხადებს: „შემსჭვალული ვარ მე სიყვარულით, მსურს გული მხოლოდ შენთვის ვაძგერო და გეტრფიალო სულით და გულითო,“ ეს იმიტომ, რომ ის არის ქალი, „ჭეშმარიტების გრძნობით აღვსილი, რომ აასრულა მშობელის ვალი და გამოზარდა მამულის შვილი“. „შენ გენაცვალოს კეკლუცი ყველაო, ეუბნება ასეთს სატრფოს მგოსანი, ოხერიც იყოს მათი მშვენება.

„მე შენ არ გეტრფი მშვენებისათვის,
„არც თითები გაქვს ბროლივით თლილი,
„მე გიამბორებ ხელზედ მისათვის,
„რომ მაგით გეპყრა მამულის შვილი
„შენ მკერდს ვემთხვიო, მაქვს მე სურვილი
„თეთრი რომ არის, მისთვის კი არა,
„არა... მისთვის, რომ მამულის-შვილი
„ჭეშმარიტ დედას მაგ გულში გეპყრა“.

მგოსნისათვის ჩალის ფასადაც არა ღირს ქალის მშვენება, თუ გინდა იგი იყოს „თვით სარკე ხელოვნებისა, შემკული გარეგნობითა“, რომელიც „თვალსა სჭრის და გულს იტაცებს ანდამატურის ძალითა“—ასეთს ქმნილებას პოეტი მაინც ვერა სცემს თაყვანსა, „მიტომ რომ მისსა მშვენებას აკლია გვირგვინ ბეჭედი, აწმყოში სულის ჩამდგმელი და მომავალში იმედი—ეს არის ნერგი ოცნების, ღრმად გულში ჩამარხულისა, სახის ადმგზნები ბეჭედი სამშობლოს სიყვარულისა“.

ეს აზრი და გრძნობა ისე აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში ჩვენს მგოსანს, რომ თვით უძლიერესი წამები ტრფობისა გარეშე ამ ფიქრისა ვერ წარმოუდგენია. როცა იგი სატრფოს იწვევს: „უდაბურსა უცხო მხარეს გადავფრინდეთო, იქ შე ვეტკბოთ ორთავ მყუდროთ, მტრედებივით დავიბუდოთ, რომ

სიტყვით, მარტოდ მარტო ნეტარებით განვლიდეთ დროთო, მაშინ ერთის გულის თქმითა, შეთანხმებით და ლოცვითა ღმერთს ვავედროთ, საქართველო იცვას ისე, როგორც ცვიდაო".

ამაზედ უფრო შორს წასვლა აღარ შეიძლება ერთის რისამე აჩემებასა და დაჟინებაში. სამშობლოს სიყვარული ეს ის წერტილია, რომელიც რადიუსებით შეერთებულია თ. აკაკი წერეთლის პოეზიის ყოველ ანბანთან და სტრიქონთან; ეს ის მზე არის, ის პლანეტა, რომელსაც გარს ახვევია მთელი დაუშრეტელი წყარო მისი ლექსთა წყობისა; ეს ის კანდელია, რომელიც ანათებს არა თუ მთელს ნაწარმოებს თ. აკაკისას, არამედ იმის ნაწარმოების წყალობით მთელს არე-მარეს ჩვენის ღარიბის ლიტერატურისას; ეს ის ვარსკვლავია, რომელიც დღე და ღამე თვალწინ უდგა პოეტს; ეს ის უხილავი ანგელოზია, გინდა ნაზი ღმერთა პოეზიისა, რომელიც ჩასჩურჩულებდა პოეტს ღვთიურ სიტყვებს მისის ლექსებისას; ეს ის საღმრთო ჩანგია, რომელსაც უხილავი რამ ძალა უწყობდა სიმებს, და რომლის ჰანგებზედ აყოლებდა მგოსანი ჩვენის ლიტერატურის დამამშვენებელს გალობას, კვნესითა და გოდებით აღსავსეს, ქებათა-ქებას საყვარელის სამშობლოისადმი, რომლის მწუხარე და სევდიანი კილო და თანაც იმედითა და სასოებით აღსავსე ჰანგი სამარადისო მშვენებად შეიქმნა ქართულის პოეზიისა.

კიტა აბაშიძე.

(დასასრული იქნება)

უცხოეთის მიმოხილვა

1. ახალი რესპუბლიკა.—2. ერთი პროცესი.

სამხრეთ-ამერიკაში აქამდე სულ ათი დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო, ეხლა მიემატა მეთერთმეტეც — პანამის რესპუბლიკა.

სამხრეთ-ამერიკა განთქმულია ხშირის, თითქმის განუწყვეტელის რევოლიუციებით, რომელთაც თითქმის ყოველთვის მხოლოდ ადგილობრივი პატარა მნიშვნელობა აქვთ. მეტ წილად ეს რევოლიუციები იმით თავდება, რომ ერთი „გენერლის“ მაგიერ მეორე დაჯდება რესპუბლიკის პრეზიდენტად. ამიტომაც არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა მხოლოდ მაშინ აქცევენ ყურადღებას სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკების საქმეებს, როცა ამ სახელმწიფოების თითქმის განუწყვეტელი არეულობა შესამჩნევ ქონებრივ ზარალს მიაყენებს ამერიკისა და ევროპის ვაჭრობას.

უკანასკნელი რევოლიუცია, რომელსაც ახალ რესპუბლიკის დაარსება მოჰყვა, სხვა ხასიათისა და მნიშვნელობის არის.

პანამის მეტად ვიწრო ყელია, რომ აერთებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას. მაგრამ ეხლანდელ დროში მეტად უმადურნი არიან ასეთ შეერთებისა—ეს ვიწრო ყელი დიდი

ხანია ყელზე ადგას ამერიკა ევროპის მეზღვეურებსა და ვაჭრებს, რადგან, მისის მიზეზით, ატლანტიკისა და დიდი ოკეანე მეტად დაშორებული არიან ერთმანერთზე. ევროპიდან რომ გემით გინდოდეს წასვლა თუნდა ქალაქ პანამაში (დიდ-ოკეანეზეა), უნდა შემოუარო მთელ სამხრეთ-ამერიკას, რაც გზას აათკეცებს მაინც, თუ მეტი არა.

რა გასაკვირველია, რომ ევროპიელები დიდი ხანია სცდილობდნენ მისვლა-მოსვლისა და ვაჭრობის ასეთ შემაფერხებელ გარემოების თავიდან მოცილებას, მით უმეტეს, რომ სუეცის არხის ისტორია თვალ წინ ჰქონდათ.

შესანიშნავი ფრანგი ინჟენერი ლესეპსი, სუეცის არხის გამყვანი, ჯერ კიდევ ცოცხალი და ენერგიით სავსე იყო. რა კი უფრო ძნელ საქმეში ასე გაიმარჯვა ლესეპსმა, პანამის არხის გათხრა აღარ გაუჭირდებოდა და ეხლა ამას შეუდგა, მაგრამ დაწყებული საქმე საშინელის სკანდალით გათავდა.

პანამა და პანამის სკანდალი საარაკო გახდა. ლესეპსმა დიდი კამპანია შეადგინა პანამის არხის გასათხრელად და, რა კი დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი საქმის ინიციატორს, ყველა სიამოვნებით და ნდობით აძლევდა ფულს საქმისათვის; პატარა შეძლების ხალხს ხალისით მიჰქონდა ფული ლესეფსთან იმ იმედით, რომ, სუეცის არხის საქმესავით, პანამის არხიც ერთი ოცად და ასად დაუბრუნებდა მაზედ დახარჯულ ფულს.

დიდის ამბით შეუდგნენ საქმეს—დაიწყეს არხის გათხრა. მაგრამ გავიდა დრო და ჟამი და საქმე შეფერხდა. მოხუცი ლესეფსი ხელში ჩაუვარდა მადა-გამგელებულ უსინიდისო ინჟენრებს და საქმისათვის შეგროვილი ფული ამათ ჯიბეში გადავიდა. საზოგადოებამა და მთავრობამაც ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება პანამის კამპანიის მოქმედებას. საქმეში ვინც გასვრილი იყო, არაფერს არ ზოგავდა ამ ეჭვის გასაქარწყლებლად: მოიყიდეს გაზეთები, პოლიტიკური მოღვაწეები და ამ

გზით თვალს უხვევდნენ საზოგადოებას, მაგრამ პატიოსანმა საზოგადოებრივმა აზრმა გაიმარჯვა და ყველაფერი გამომჟღავნდა. დამნაშავეთ საპატიმროში უკრეს თავი, მათ შორის სახელოვან მოხუც ლესეპსსაც.

ასეთ საშინელ სკანდალის შემდეგ პანამის არხის გაყვანა სულ შეჩერდა—საქმის მეთაურები დასჯილი იყვნენ და ფული კი ერთი შაურიც აღარ იყო.

გავიდა რამოდენიმე ხანი და ძველ უკვე დაღუპულ კამპანიის მაგიერ გაჩნდა ახალი კამპანია, მაგრამ არც ამას შესწევდა ძალა პანამის არხის დამთავრებისა და თუ მაინც შეუდგა მუშაობას მხოლოდ იმ აზრით, რომ არ დაყუპულიყო უკვე გაკეთებული ნაწილი საქმისა და კამპანიას მანამდე არ დაეკარგა უფლება პანამის არხის კონცესიაზე, სანამ არ გამოჩნდებოდა ისეთი სახელმწიფო ან კერძო კამპანია, რომელიც იყიდიდა მთელ საქმეს.

სხვაზე უფრო დაინტერესებული პანამის არხის საქმეში ისევ ამერიკის დიდი რესპუბლიკა იყო. შეერთებული შტატები ჯერ კიდევ ორმოცდაათთიან წლებში შეეკრა პირობით კოლუმბიის რესპუბლიკას და ამ პირობის ძალით ზედამხედველობა პანამის არხისა ეკუთვნის ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკას. ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, თუ პირველ კამპანიის დაღუპვის შემდეგ დიდი რესპუბლიკის მთავრობა საგანგებო ყურადღებით მოეპყრა პანამის საქმეს. თავი მოუყარეს საუკეთესო ინჟენრებს და მიანდვეს ამ საქმის შესწავლა.

რამდენიმე წელიწადი იმუშავა ინჟენრების საგანგებო კომისიამ და ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ პანამის არხის საქმე სახეირო და შედარებით ადვილად აღსასრულებელი არისო (იყო აზრი მიეტოვებინათ პანამა და უფრო ჩრდილოეთით, ნიკარაგუაში, გაეყვანათ არხი).

ვაშინგტონის მთავრობამ მოლაპარაკება გაჰმართა პანამას კამპანიასთან და ხან - გრძლივ მოლაპარაკების შემდეგ მორიგდნენ. შარშან ვაშინგტონის პარლამენტის დადგენილებით უნდა შესდგომოდნენ არხის გაყვანას, მაგრამ ამას წინააღუდგა კოლუმბიის რესპუბლიკის მთავრობა: პანამის ყელი ამ რესპუბლიკის ტერიტორიაში შედიოდა და ამერიკის ძლიერ რესპუბლიკის ფეხის მოკიდება აქ საშიშოდ მიიჩნია სუსტმა სახელმწიფომ (სულ ოთხ მილიონამდე ადის კოლუმბიის მცხოვრებთა რიცხვი) და თან ფულის მხრივაც ვერ მორიგდნენ მთავრობანი.

ამერიკელი ადვილად არ ანებებს თავს საქმეს, როცა ეს საქმე დიდ სარგებლობას უქადის მას. კოლუმბიის რესპუბლიკა სუსტია, მას არ შეუძლია გაუძალიანდეს ამერიკის ძლიერ რესპუბლიკას; მანროეს დოკტრინაც ხომ ძალაშია და მაშასადამე ვერც ერთი სახელმწიფო ევროპისა ვერ გაერევა ამერიკის შინაურ საქმეებში. ასეთ პირობებში აბა რად გაუჭირდებოდა შეერთებულ შტატებს თავისი გაეტანა!

ამერიკელებმა დიდი აგიტაცია გაჰმართეს პანამაში: მათ მხარს აძლევდა პანამის არხის საზოგადოების სულის ჩამდგმელნიც და ერთ მშვენიერ დღეს პანამამ თავისი თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. კოლუმბია ჯარის საშუალებით ჰფიქრობდა გაურჩებულ პანამის დამორჩილებას, მაგრამ ვაშინგტონში უკვე იცვნეს პანამის რესპუბლიკა დამოუკიდებლად და ვაშინგტონის მთავრობის შეგონებით ევროპის სახელმწიფოებიც დასთანხმდნენ ახალ რესპუბლიკის არსებობას, მით უფრო რომ პანამის არხი ყველასთვის დიდათ საინტერესო საქმეა.

„თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ საქმეს, იქიდან სჩანს, რომ გზა ნიუიორკიდან ჩინეთის ნაპირამდე, მაგ. შანჰაიმდე, თითქმის ორის თვით შემოკლდება ამ არხის წყალობით. ამასთანავე პანამის არხის გახსნისათანავე გახშირდება და

გაცხოველდება მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება ამერიკის რესპუბლიკებ შორის, ევროპასა და დასავლეთ ამერიკას შუა; ქვეყნის ხუთივე ნაწილი დაუკავშირდება ერთმანერთს ახალის მოკლე გზით და ამას დიდი გავლენა ექნება მსოფლიო ვაჭრობაზე. მართალია, ევროპიდან აღმოსავლეთ-აზიამდე უმოკლესი გზა ისევ სუეცის არხი იქმნება, მაგრამ რადგან აქ სრული ბატონი ინგლისია, რადგან ამავე ინგლისის ხელშია გიბრალტარი, ადენი, სინგაპური, მას ყოველთვის შეუძლია საჭიროების დროს დაჰკეტოს ყველა ეს პუნკტები. ინგლისმა რომ ომი გამოუცხადოს ევროპის რომელიმე სახელმწიფოს, უკანასკნელს აღარ შეეძლება მისვლა-მოსვლა იქონიოს აღმოსავლეთ აზიასთან, პანამის არხის გათხრით კი ინგლისის ასეთი მონოპოლია მოისპობა და შეერთებულ შტატების რესპუბლიკა შეიძენს იმ უპირატესობას, რომ იმ სახელმწიფოს მისცემს ნებას ისარგებლოს პანამის არხით, რომლის ინტერესი უფრო ახლო იქნება ამერიკის ინტერესებთან". ამ გვარად პანამის არხის გაყვანით ამერიკა მოიგებს არა მარტო ეკონომიურად; მისი საერთაშორისო მნიშვნელობა და გავლენა შესამჩნევად გაიზრდება: მის ხმას მეტი ძალა ექნება საერთაშორისო კითხვების განხილვის დროს.

ბერლინში ამ ერთი თვის წინად განიხილეს ერთი საინტერესო საქმე, რომელმაც მთელი გერმანია აალაპარაკა.

ერთ პოლონელ არისტოკრატის ოჯახი, ცოლი და ქმარი, პასუხის გებაში იყო მიცემული იმ ბრალდების გამო, ვითომც გრაფინიას საიდუმლოდ აეყვანოს სხვისი შვილი და შემდეგ თავის ღვიძლ-შვილად გამოეცხადებიოს. საქმე ის არის, რომ გრაფინიას 51 წლამდე ვაჟი არ ჰყოლია და მისი ქმრის მთელი მამული უნდა გადასულიყო მის ნათესავების ხელში, რადგან მაული მეიორატს შეადგენდა. აი სწორედ ამ ნათესავებმა ასტეხეს ერთი აურ-ზაური: გრაფინიამ სიყალბე ჩაიდინა, რომ მაიორატი შეერჩინაო.

ასეთი საქმე ყოველთვის სენსაციის ახდენს და საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი უფრო სხვა მხრივ არის საყურადღებო.

პრუსიის მთავრობამ დიდი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში და პირში ჩალა გამოვლებულ მემკვიდრეებზე უფრო სცდილობდა, რომ ბრალდებული გრაფინია უთუოდ დამნაშავედ გამოეყვანა.

რატომ? პრუსიის მთავრობა აქ რა შუაში იყო?

ჩვენმა მკითხველმა კარგად უნდა იცოდეს, თუ როგორი დამოკიდებულებაა პრუსიელებსა და პოლონელებ შორის პოზნანში: ერთის მხრივ შეუბრალებელი, უსინიდისო დევნა, მეორე მხრივ თავგანწირული ბრძოლა თავის ვინაობის დასაცველად. გაბატონებული ძლიერი გერმანელი არავითარ ღონისძიებას არ აუვლის გვერდს, რომ დაპყრობილი პოლონელი აღგავოს პირისაგან ქვეყნისა, მოსპოს მისი ვინაობა და გერმანელად გარდაქმნას; პოლონელიც თავის მხრივ სასტიკად და მტკიცედ ებრძვის ბატონობისაგან გაბოროტებულ გერმანელს; და აქამდე ბრძოლიდან გამარჯვებული შედარებით სუსტი პოლონელი გამოდის.

ეს კიდევ უფრო აბრაზებს გერმანელს და სისასტიკესა და სიმკაცრეს უმატებს.

დღეს პრუსიის პოლონეთში სკოლა არ არის: სკოლის დანიშნულება ხალხის განათლებაა ყველგან, სადაც კი ცხოვრება ნორმალულ პირობებში მიმდინარეობს; პოზნანში სკოლა პოლიტიკური დაწესებულებაა, მისი დანიშნულება პოლონელ ბავშვის გაგერმანელებაა ყოველის საშუალებით და არა მისი აღზრდა და განათლება.

არც სასამართლოა სასამართლო პოლონელებისათვის; აქ სიმართლის გამოკვლევას კი არ დასდევენ, როცა პოლონელთან აქვს საქმე, არამედ იმას, რომ პოლონელი დაამცირონ, სახელი გაუტეხონ.

ზემოთ ნახსენები პროცესიც ამ მხრივ იპყრობს ჩვენ ყურადღებას.

როგორც გამოირკვა, გრაფინია კვილეცკას მთელი დანაშაული ის იყო, რომ მის ნათესავებს დიდი ქონების ჩაგდება უნდოდა ხელში და პრუსიის მთავრობა მოწადინებული იყო პოლონელი დაემცირებია, მისთვის სახელი გაეტეხა ხალხის თვალში. „სასამართლოს თავჯდომარე და პროკურორი, რომელთაც შესაფერი ინსტრუქცია ჰქონდათ მიღებული იუსტიციის მინისტრისაგან, ყოველ ღონეს ღონობდნენ, რომ პოლონელი ბრალდებულნი დამნაშავედ გამოეყვანათ; საზოგადოდ ბოროტმოქმედის დასჯას კი არ ჰფიქრობდნენ, არამედ პოლონელ ბოროტმოქმედის გამოყვანას. ამის დასამტკიცებლად საკმარისია იმ ფაქტის მოყვანა, რომ თავმჯდომარე თითქმის არ ალაპარაკებდა იმ მოწმეებს, რომელნიც ბრალდემულების სასარგებლოდ უჩვენებდნენ“.

პროკურორმა თვის სიტყვაში პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ სასამართლომ აქ უნდა გადაწყვიტოს პოლიტიკური და კულტურული საქმეო. სასამართლო და პოლიტიქური საქმე! ასე ყვლაფერი გაუკულმართებულია იქ, სადაც არსებობს დამმორჩილებელი და დმორჩილებული.

თავჯდომარისა და პროკურორის მეტად ურცხვმა მოქმედებამ საზოგადოება აალაპარაკა; პრესსამ ხმა ამოიღო და, რადგან საქმე მეტად ცხადი იყო, თითქმის ერთხმად ჰკიცხავდნენ თავჯდომარესა და პროკურორს. ნაფიცი მსაჯულები საზოგადოების წევრნი არიან და საზოგადოებრივმა აზრმა იმ-დენი გაელენა იქონია მათზე, რომ გრაფანია კვილეცკა გაამართლეს.

რა კი პრუსიის მთავრობამ პოლიტიკური ხასიათი მისცა ჩვეულებრივ სასამართლო საქმეს, პრუსიელი პოლონელებიც საგანგებო ინტერესით ეკიდებოდნენ კვილეცკას საქმეს: გრაფინია კვილეცკა ჩვეულებრივი ბრალდებული როდი იყო მათ თვალში, არამედ ეროვნულ საქმისათვის წამებული. სასამართ-

ლო პოლონელებით იყო სავსე, ქუჩა გაჭედილი იყო პოლონელებითვე და როცა კვილეცკას გამართლების ამბავი გაიგონეს, ეროვნული ჰიმნი დასძახეს.

სად სასამართლო და სად ეროვნული ჰიმნი!! მაგრამ იქ, სადაც გაბატონებული და დამორჩილებულია, ორივე მხარე ირყვნება.

რედაქტორი
ალ. ზეინია

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი